

~~1510534~~
~~№ 2~~



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახურის

საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახურის



თბილისი 1920 წლის

89.9.362.171



1/10534
2

სტუდენტური სტრუქტურა


ლექსები
ბელი ქართლისა
დერილავი

ი:

მ:

ტფლისი 1922 წელსა





ნ. ბარათაშვილის საულოვი ტფილისში (დიდუბე).

გათყარა

~~საქმიანობა~~

ჩემთვის, ვერც რომელიმე უცხოელს
მე სიყვარულს მფარვეს ჩემთვის სურს სიყვარულს,

აქ რაღაცაა მზეტ ზედას ვუბნობ, სხვადას,
სიბნობა მქვეშაა ვაიწყობ, მხედავს შიშის.

აქ მისთვის ვუბნობ მუცლის აქვს სიყვარულს
აქ ათქვამს სიყვარულს აქვს სიყვარულს!

სასიყვარულო, ^{საქმიანობა} ~~საქმიანობა~~ აქვს ვაიწყობ, ვაიწყობ,
ვაიწყობ, ვაიწყობ, ვაიწყობ, ვაიწყობ.

აქ ვაიწყობ ვაიწყობ, იქვე სიყვარულს აქ ვაიწყობ,
აქ ვაიწყობ ვაიწყობ, სიბნობა მხედავს შიშის!

მისთვის ვაიწყობ ვაიწყობ ვაიწყობ, აქ ვაიწყობ,
ვაიწყობ ვაიწყობ ^{სიბნობა} ~~სიბნობა~~ მხედავს შიშის!

ავტოგრაფი ნ. ბარათაშვილისა, ერისთავის ვარიანტის. ლექსი "ჩემი მეგობართ", პირველი რედაქცია.

~~Handwritten text, heavily obscured by large circular scribbles.~~

მამათა ვერც მთავრებს ქოთი ღამთა ვიდათქმად,
 და მათი ზნეობა ლაგობდა ვინაა-მცხრემ,
 იმ რაინდობა ვერც ვერც მსხვერფი მსხვერფი
~~Handwritten text, partially obscured by a large flourish.~~

ადვილია სიყვარული უახლოესი და მათი მსახურა
 და მათივე სიყვარული მსხვერფი მსხვერფი
 მსხვერფი მსხვერფი მსხვერფი მსხვერფი
 და მათივე სიყვარული მსხვერფი მსხვერფი

და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი
 და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი
 და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი
 და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი

და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი
 და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი
 და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი
 და ვერც ვერც თუ სიყვარული მსხვერფი

ავტოგრაფი ნ. პარათაშვილისა, ერისთავის ვარიანტის, ლექსი „ჩემი შეგობართ“, მეორე რედაქცია.

იონა მეუნარგია

სხოვრეზა ნიკოლოზ გარათაშვილისა

გუძღუნი ნიკ. რევაზის ძეს ერისთავს

ბარათაანთ გვარს შესანიშნავი მწერალი ემართა. იმ მოდგმათა რაზმს, რომელიც მოჰყვა ბარათას და ჯამბაკურის ჩამომავალთა მას შემდეგ, რაც ესენი ძველთა-ძველად გადმოსახლდნენ საქართველოში „ვიღრე ხუთი ათასითა ოდენ მეკომურისა კაცითა,“ იმ მდიდარს და პოხიერს სისხლს, რომლის შორეულმა ტალღამ მოსცა ჩვენს მწერლობას ნიკო ბარათაშვილი, არა ერთი კაცი გამოუჩენია საქვეყნოდ, განთქმული სამშობლოს ერთგულებითა და ვაჟკაცობით. დრო იყო, როცა თითო ბარათაშვილი თითო ჯაზად უღირდა საქართველოს. გარნა სამწერლო სარბიელზე ამათში მხოლოდ ორბელიანთ გვარს ჰქონდა შეკვლეული გზა. ბარათაანთ სახელი ამ ასპარეზზე პირველად იმან შეიტანა, რომლის ცხოვრების აღწერას ეკუთვნის ეს მცირე შრომა. ეს გვარის დამაშვენებელი კაცი არის ჩვენი სასიქადული პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

I

ბარათაშვილის დედ—მამა.—მისი დაბადება.—პირველ—დაწყებითი სწავლა კალოუზნის სასწავლებელში.—კეთილ-შობილთა სასწავლებელი.—პოეტის მასწავლებელი და ამხანაგნი.—სხვა და სხვა მოგონებანი სასწავლებლის ცხოვრებიდამ.


ნიკოლოზის მამა, მელიტონ ბარათაშვილი კავკასიის მთავარ-მმართველების ერმოლოვის¹⁾ და პასკევიჩის²⁾ დროს მთავარ სამმართველოს თარჯიმანი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ახლად ჩამოთესილს მთავრობასა და საზოგადოებას შორის თარჯიმანს დიდი ადგილი ეჭირა, — ჩვენში ჯერაც არ დავიწყნიათ სახელები იმ დროის თარჯიმანებისა ბებუთოვის, ენიკოლოფოვის და ფალავანდოვისა.³⁾ შემდეგში მელიტონ ტფილისის მაზრის მარშალი იყო და ხშირად გუბერნიის თავადაზნა-

¹⁾ ყველა ხელმოუწერელი შენიშვნა ეკუთვნის ი. მეუნარგიას. რედ.

²⁾ ერმოლოვი იყო მთავარ-მმართველად 1816—1827 წლ., ხოლო პასკევიჩი 1827—31 წლ. რედ.

³⁾ ივანე მუხრან ბატონისაგან განაგონი.

ტფილისი გასული საუკუნის 40—50 წლებში



სურათის დედანი ეკუთვნის ტფილისის კლაქის მუზეუმს

ურთა წინამძღოლიც. მისი ოჯახი ფართედ გაშლილი ოჯახი იყო და სუფრა ღონეზე გადამეტებულად მდიდარი და ნაქები მთელს ქალაქში¹⁾. ხშირმა სტუმარმა და წვეულებამ თან წარიღეს მისი ავლა-დიდებაც. მელიტონი ჩავარდა დიდს გადუხდელს ვალში, რომლის გამო პოეტიც ნაკლულეფანებაში იყო მთელი სიცოცხლე.

მის ზნეობითს ვინაობაზე ბარათაშვილის ამხანაგი და ცხოვრების ამწერი კოსტანტინე მამაცაშვილი სწერს: „მელიტონ იყო ქართულს ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე ქართულ ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს. იმათ შორის თითქმის ყოველდღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი, პოეტი ალექსანდრე ქავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფაველენიშვილები, სოლომონ მეთიარე თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილი და ბევრი მაშინდელს დროს განათლებულნი ქართველნი“²⁾.

ყველა სხვა ღირსებასთან მელიტონს ერთი საშინელი თვისება ჰქონდა, მეტის-მეტად ანჩხლი იყო და მყვირალა. იგანე კერესელიძემ გვიამბო: მელიტონ თავის სადგომში რომ გააბამდა ყვირილს ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდაო, კანტორის პირდაპირ. მის გულ-ფიცხობისაგან მის სახლობას არა ერთხელ ცხარე ცრემლი უღვრია და მწარე პური უჭამია. ერთხელ, მაზრის მარშლად ყოფნის დროს, იმან გუბერნატორის სეკრეტარი გალახა, რომელმაც რაღაც ქალაქის მოძებნის უარი უთხრა.

მაგრამ ასეთი არ იყო პოეტის დედა ეფემია, ის სამგზის კურთხეული დედა, რომელმაც, როგორც მუშამ, სულთ უდგა მის ძმას გრიგოლ ორბელიანს დაეწერა საუკეთესო ლექსი ქართულის მწერლობისა „ჩემს დას ეფემიას,“ რომლის ალერსი უხაროდა შორით მის დიდებულ ძმას და იზიდავდა მისდამი ყოველთა პატივისცემას. „ეფემია იყო მშვენიერი ქალი და ქართულად კარგად გაზრდილი,“ ამბობს კოსტანტანე მამაცაშვილი. ის იყო საშვალის ტანისა და პირხმელი, — დასძინა ივ. მუხრანბატონმა.

1) გენერალის ალექსანდრე საგინაშვილისგან განაგონი.

2) დროება №206. 1881 წ.

მელიტონ სახლობით ჯერ მუხრანთან ხიდს ახლო იდგა და შემდეგ ანჩისხატის უბანში, იქ, საცა აბხაზი იდგა, დეკანოზის დიმიტრი მცხხიშვილის სახლის პირდაპირ.

ბარათაშვილი — შინაურობაში ტატო, ნათლობის სახელით ნიკოლოზ — დაიბადა ქ. ტფილისში 22 ნოემბერს (4 დეკემბერს) 1816 წ.

ამ დროს ჯერ ისევ არსებობდა ტფილისში სამრევლო სასწავლებლები, საცა თითო ოროლა ანაბანას სწავლობდნენ ყველა ჩვენი შესანიშნავი კაცები წარსულის დროებისა. შეიდი წელი რომ შეუსრულდა ტატოს, დედამ ასწავლა იმას წერა-კითხვა და ღიაბარა კალოუბნის სასწავლებელში, საცა 10 — 12 წლის წინად სწავლობდა გრ. ორბელიანი. აქ დაუდვა იმან პირველი საფუძველი იმ კარგს ენას და წერის კილოს, რომლითაც მდიდარია ყოველისჟერი, რაც რამ დაუწერია მის მარჯვენას. ლოცვანი, დავითნი, ჟამნი, სამოციქულო, სახარება, ე. ი. ღთას წლის ქართული ენა, რომლითაც გულმხურვალედ ულოცნია ქართველ კაცს, უქია და უდიდებია შემომქმედი, გამოუხატნია უაღრესი და უდიდესი თვისი სულის მოძრაობა, შეიქმნენ ქვა-კუთხედად მისი მომავალის მსახურებისა ქართულის მწრელობისადმი. ნუ დავეძებთ იმას, თუ როგორ, ან რას ასწავლიდნენ ამ სკოლაში, რადგანაც პირველ დაწყებითი სწავლა მარტო მიიღო პოეტმა აქ. ასწავლიდნენ აქ სამღეთო წიგნებს, სიტყვიერებას, ასწავლიდნენ მამა პაპურად, პატრიარხალურად. ბარათაშვილას ცხოვრების ამწერი ბ. ზ. მთაწმინდელი, რომელსაც არა ერთი საინტერესო ცნობა გამოუჩხრეკია პოეტის ცხოვრების, სწერს ამ კალოუბნის სკოლაზე: „სკოლა სწორედ ახლანდელს კალოუბნის ეკლესიის მახლობლივ ყოფილა, შეგირდები თურმე ეზოში შეგროვდებოდნენ, ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში — დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელნი თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ ყიდულობდნენ. შეგირდები რომ პურს მიიტანდნენ, ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თვითონ დაიტოვებდა და ნახევარს შეგირდს მისცემდა. ახლა შუადღისას დაუძახებდა შეგირდებს: სათითაოდ ზოგს კოკას მისცემდა, ზოგს ლიტრას, დაირეკამდა ყმაწვილებს წყალზე წასასვლელად და თვითონ მასწავლებელიც თან მიყვებოდა“¹⁾.

¹⁾ „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ზ. მთაწმინდელისა. 1885 წ. გვ. 5.

რაც უნდა იყოს, მაღლი ამ სასწავლებელს, რომელმაც ქართული ენის სიყვარული დაუნერგა გულში ორს ისეთს მწერალს, როგორც არიან ვრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. ბარათაშვილს ამ დროებაში, თუ დავუჯერებთ ამავე ავტორს, ქართული ტანსაცმელი სცმია, „თეთრი მაუდის ჩერქესკა, თავადური პატარა ლურჯი ქუდი, პატარა ხანჯალი და ვერცხლის ქამარი, ბუზმენტიანი“.)

1827 წელს, სექტემბერს, ბარათაშვილი შეიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში. ეს სასწავლებელი შემდეგში გიმნაზიად გადაკეთებული, იყო მოთავსებული ეხლანდელ დამფუძნებელ კრების ქუჩაზე, იქ, საცა ამართულან ამ ჟამად ვეებერთელა სახლები ლალაევის (ყოფილი ზუბალაშვილისა) და ერისთავის (ყოფილი სარაჯიშვილის). სკოლასთან პანსიონიც იყო, საცა იდგნენ 150-მდის ყმაწვილები და ბარათაშვილი ამათ რიცხვში მიაბარეს.²⁾

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისის მხიარულის ხასიათით, სიმარდით. პირველი მოტანცავე იყო, საკუთრად ლეკურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი,“—სწერს ტელეგრაფულის სტილით, კოსტანტინე მამაცაშვილი³⁾. ამავე სტილით რომ შევავსოთ ეს ცნობა, უნდა დავუმატოთ: იყო დიდი ცელქი, დამცინავი, ჩქარი, გარნა კეთილი, ჭკვიანი, ამხანაგებისა და თვისის მოყვარე.

მასწავლებლები დიდად აფასებდნენ ნიქებულს შეგირდს. ქართულ ენას და დრამატიკას ასწავლიდა იმას ჯერ დოდაშვილი, სანამ ამას არ დააქერდნენ პოლიტიკურ დანაშაულობისათვის და არ გააგზავნიდნენ რუსეთს, და შემდეგ ყორღანოვი, რუსული ენის მასწავლებელი. დოდაშვილმა თვითონ შეადგინა შეგირდებისათვის დრამატიკა—გრეჩის წიგნი გადმოაკეთა—და დაბეჭდა თუ არა, გასცა კლასებში ბრძანება, ეყიდნათ მისი თხზულება. ბრძანება ყველამ აღასრულა ბარათაშვილის

1) idem. გვერდი 6.

2) ტფილ. კეთილშობილთა სასწავლებელი დაარსდა 1802 წ. სექტემბრის 2-ს (14) ქართველ კეთილშობილ ახალგაზდობისათვის. 1803 წ. დაიკეტა და ხელახლა გაიხსნა 1804 წ. მარტში. გიმნაზიად გადაკეთდა 1830 წ. აწინდელ ბინაზე (პირველი გიმნაზიის შენობა) გადავიდა 1833 წ. რედ.

3) იხ „დროება“ № 206. 1881 წ.

ნიკ. ბარათაშვილის დები და დისწულები.



სხედან (პარკხნიდან მარჯვენაკენ): ბარბალე ვეზირიშვილისა, ნინო ბარათაშვილისა, გიორგი, შვილა ბარბალე ვეზირიშვილისა, და სოფიო სუმბათიშვილისა. დგანან: ტასო ჩერქეზიშვილისა და ნინო, ქალი ბარბალე ვეზირიშვილისა, ცოლი ვასილ მჩაბლისა.

გარდა. ამას ფული ვერ ეშოვა. როცა ავტორი — მასწავლებელი შემოვიდა კლასში და კმაყოფით გადახედა შეგირდებს, რომელთაც წინ ეწყაოთ მისი ახალი თხზულება, შენიშნა, რომ ბარათაშვილს წიგნი არ ჰქონდა.

— ბარათაშვილო!

— ბატონო!

— მამა შენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი ქირიმე.

— მაშ რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არა გქონია, კლასში არ შემოგიშობ.

მეტი რა ღონე იყო, ამ ულტიმატუმმა შეაშინა პოეტის მამა და აყიდვინა იპას ერთის ვაი-ვაგლახით დოდაშვილის სწორ-მეტყველება.¹⁾ დოდაშვილის შემდეგ ღრამატიკას იმისვე წიგნით ასწავლიდა ყორღანოვი, კაცი დიდად უნიჭო. ამისი უბედურება ის იყო, რომ ღრამატიკა მარტო ზმნამდის იცოდა, ამის გამო მთელი წელიწადი სულ ამას იძახდა: „ზმნამდის გაიკვეთეთ“, „ზმნამდის გაიკვეთეთ“ და შეგირდებიც სულ ზმნამდის ზეპირობდენ.²⁾ ეს პატიოსანი კაცი რუსულ ენას ასწავლიდა დაბალ კლასებში, იმ „რაზლოვორების“ საშვალეებით, რომელშიაც მთელი ფრაზები იყო დაბეჭდილი რუსულ-ქართული. განსვენებულ ალექსანდრე საგინაშვილისაგან გამიგონია, ყორღანოვმა ხელის შლა იცოდა და პრტყლად ლაპარაკიო. ის რომ ხმა მალლა იტყოდა: жарко, очень жарко — „ცხელა, ძლიერ ცხელა“, მთელ კლასს უნდა გაგვემეორებია მისი სიტყვები.

რუსულ ღრამატიკას და ენას ასწავლიდა მალალ კლასებში მასწავლებელი დემენტიევი, რომელიც ეხლაც³⁾ ცოცხალია და იმყოფება ქალაქ ტფილისში. ამან კარგად იცოდა თავის ხელობა და მისმა შეგირდებმა — მათ შორის ბარათაშვილმა — ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა. მეტადრე რუსულ კითხვას უქებდენ ამ მასწავლებელს. რასაც გვასწავლიდა, ისე კარგად გვასწავლიდაო, სბქვა ლუკა ისარლიშვილმა, თითქო პირში ლუკმას გვიდებდაო, მაგრამ თუ ვერ გავიგებდით და კითხვაზე ჯეროვან პასუხს ვერ მივცეპდით, გაგვიჩერდებოდა და გვეტყოდა: И

1) ლევან მელიქიშვილისაგან გაგონილი.

2) იასე ანდრონიკაშვილისაგან გაგონილი.

3) 1893 წელს, ამ წერილის დაწერის დროს.

ყო ჰობიო! და გაჯავრებული ხელ-ახლა აგვიხსნიდა საგანს. მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნათარგმნს. ქართულ კატეხიზმოს ასწავლიდა სკოლაში ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა, რომელმაც უფრო განამტკიცა ბარათაშვილში სიყვარული კარგის ქართულისა.

ბარათაშვილი კარგად სწავლობდა ყველა საგნებს. ფიზიკის მასწავლებელმა შესტაკოვმა, რომელიც დროებით სადღაც წავიდა, მიანდო იმას და ლევან მელიქიშვილს, განეგრძოთ მეტეოროლოგიური დაკვირვება, მისგან დაწყებული. ბარათაშვილი კარგად ასრულებდა მონდობილობას, სანამ ერთ უბედურ დღეს ტერმომეტრი არ გაუტყდა. იმას უნდოდა სხვა ტერმომეტრი ეყიდა, მაგრამ ფული საიღამ უნდა ეშოვა და პირშავად დარჩა თავის მასწავლებელთანაო, გვითხრა ლევან მელიქიშვილმა.

სხვაზე უფრო დაწინავეებული იყო ბარათაშვილი ტანცაობითაც. სასწავლებელს ჰყავდა ტანცების მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი ტანც-კლასი. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი აღდადანოვი, რომელიც სხვათაშორის ლექურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოტანცავე იყო და უპირველესი მოლექურე, თუმცა მესამე კლასში იყო, თუ მეოთხეში.


როგორც ამბობს ბ-ი მთაწმინდელი 1832 წ. ორივე ფეხი მოიტეხა და დიდის ვაის-ყოფით მოირჩინა თავი და კოჭლად დარჩა მთელი სიცოცხლე.

მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, მახვილი ბარათაშვილი იყო სული და გული ტალ-ამხანაგებისა. ყველას უყვარდა იგი და ყველა ერიდებოდა მის მახვილს ენას, მის ეპიგრამებს.

გარნა ყველანი არ ურჩებოდნენ მის დაცინვას. ერთხელ, როდესაც ქართულის მწერლობის სიყვარულით გატაცებულნი, გიმნაზიის მოწაფენი სწერდნენ და თარგმნიდნენ ქართულს ენაზე რუსულს ლექსებს, ერთს შეგირდს, გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი ონგენილამ“ რამდენიმე კარი. მოგახსენებათ, ეს პოემა დიდის პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых честных правилъ:

რუსთაველის პროსპექტი ნ. ბარათაშვილის დროს.



მარცხნით სისახლეა, შუაში ადგილი, სადაც დღეს სამხედრო ტაძარია, მარჯვენით გიმნაზია-სურათის დედანი ეკუთვნის ტფილისის ქალაქის მუზეუმს.

Когда не въ шутку занемогъ:

ვარლამოვს თარგმანი არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მალავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები:

— სუთ, ყური დამიგდეთ, ევგენი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ.

ვარლამოვმა ყურები გამოცქვიტა და ბარათაშვილმა დაიწყო ხმა-მალლა:

„ბიძა ჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:

როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახდა.“... თქმა არ გაეთაყვებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს. რომ მასწავლებელი არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კოთხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა ეშმაკ-პოეტს¹⁾.

მეორე ხუმრობისათვის ბარათაშვილი კინალამ არ გამოორიცხეს სასწავლებლიდამ.

ერთხელ კეთილშობილთა სასწავლებელში ქართველ შეგირდობამ კონცერტი გამართა სასწავლებლის ზალაში. კარგი იყო თუ ცუდი ეს კონცერტი, არავინ იცის, მხოლოდ ეს კია, რომ სომხებმა სასაცილოდ აიგდეს წარმოდგენის მონაწილენი ეს რომ ბარათაშვილმა შეიტყო, ჯავრის ამოსაყრელად, სატირა დასწერა სომხებზე, რომელშიაც სხვათა შორის ზოგიერთა ქართველიც შეამკო. ეს ლექსი ასე თურმე იწყებოდა:

„კონცერტებში დაგვაბატიყეს, დაგვათვლევინეს ფულები“...

ბარათაშვილის ამხანაგებმა ჩასდეს კონცერტში და ფანჯრიდამ ქუჩაში გადააგდეს. ერთხანს უცადეს ეფექტს, მაგრამ, რომ არა გამოვიდა რა, ხელახლა გადასწერეს ლექსი—ლეევან მელიქიშვილმა გადასწერა—და როცა სასწავლებელში მოვიდა ფოსტის დამტარებელი, ლექსი „კნილაში“ ჩაუდეს დაბეჭდილის პაკეტით. პეტრე ბაგრატიონმა ჩაწერა ამ „კნილაში“, რომ პაკეტი მირთმევოდა თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ. ფალავანდიშვილს. აღბად დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულები ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურადღება მიაქ-

¹⁾ გაგონილი ლუკა ისარლიშვილისაგან.

ცია იმას. რომ ვერ გაეგოთ, ვისგან იყო გაგზავნილი ლექსი, ბექედზე დაწერილი გვარი დაეხსნოდნენ—ეს ბექედი ბარაჯაშვილის ამხანაგის მონასტირსკისა იყო—და ერთხელ, როდესაც სასწავლებლის მებუფეტეს წიგნი მიეწერა ვილასთვისაც და წიგნი მონასტირსკის ბექედით დაებეჭდა, ფოსტამ—რომელიც გაურთხილებული იყო—ბექედი იცნო, მებუფეტე დაიჭირა და მთავრობას წარუდგინა. იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ უეცრივ: ჟანდარმის აფიცერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი. შეიხმეს ოთახში მონასტირსკი და დაუწყეს კით-

გრიგოლ ორბელიანი.



სურათის დედანი ეკუთვნის ს. და ს. საზოგადოებას.

ხვა. ამხანაგებმა კაცი აფრინეს ტატოსთან (ტატო თუმცა პანსიონში იყო, ღამლამე შინ მიდიოდა). მაგრამ მთავრობამ სულ ყველაფერი შეი-

ტყო და საქმე ასე დაბოლოვდა: მთავარ-მართებლის გოლოვინის²⁾ ბრძანებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამ რიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე და-ადგებოდა ამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ვოლტერს თავის სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდამ არ გამოურიცხეს, მამამ კინალამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა.

ბარათაშვილმა შეასრულა გიმნაზია 1835 წელს. იმასთან ერთად შეასრულეს სწავლა: გასპაროვმა, ხორუყენკომ, ილია ორბელიანმა და ლევან მელიქიშვილმა. „გასპაროვი ჩვენზე მდიდარი იყო და სულ იალლოს გვაქმევდაო“, გვიამბო სხვათა შორის ლევან მელიქიშვილმა, ამ დროების მომგონემ.

II

ბარათაშვილის სამსახურში შესვლა.—*Экспедиция суда и расправы* თანამედროვე ქალაქის ქართველი საზოგადოება.—ბარათაშვილი სულით ობოლი.

გიმნაზიის შესრულების შემდეგ ბარათაშვილმა ჯერ სამხედრო სამსახურში შესვლა დააპირა. ეს ისეთი დრო იყო, რომ მთელი კავკასია და რუსეთი ლეკებთან ბრძოლას ეძებდა და შამილის დაქვერვას ფიქრობდა სიზმარში თუ ცხადად. ამასთან სამხედრო ასპარეზი, რომელშიაც იღვწოდა პოეტის სასიქადულო ბიძა გრიგოლ ორბელიანი, ადრიღვანვე შეადგენდა მის სურვილის საგანს. გარნა ეს სურვილი არ აუსრულდა პოეტს; დედ-მამამ თანხმობა არ მისცეს: „შვილო, კოჭლი ხარ, თუ არ ინვალიდების კამანდაში, შენ სამხედრო სამსახურში რად ივარგებო,“ უთხრეს იმათ. მაშინ ოცის წლის ყმაწვილმა ითხოვა უნივერსიტეტში გაგზავნა, მაგრამ თანხმობა არც ამის მიიღო. ბარათაშვილი დამორჩილდა მაშინ თავის ბედს, დარჩა ქალაქში და სხვა რომ ვერა მოახერხა რა, შევიდა ჩინოვნიკად კავკასიის უზენაეს სასამართლოში, რომელსაც ერქვა *Экспедиция суда и расправы*.

²⁾ გოლოვინი იყო მთავარ-მმართველად 1837—42 წლ. რედ.

76. ბარათაშვილის მეგობრები და ნაცნობები.



1) მიხ. ქილაშვილი (მარცხნიდან)

2) ვახ. ორბელიანი

3) ლევ. მელიქიშვილი

4) ისაკ თუმანიშვილი

5) დიმ. ყიფიანი

6) დავ. ალ. ჭავჭავაძე

სურათი დახატ. 1851 წელს. სურათის დედანი ეკუთვნის წ. კ. გ. საზოგადოებას.

R 10534
2



თვითონ პოეტი აუწერს თავის მდგომარეობას ბიძა მის გრიგოლ ორბელიანს ერთს წერილში თებერვლის თვიდამ 1837 წლისა.

„საყუარელო ძიავ!... აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мнѣ въ радужныхъ мечтаніяхъ, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხუალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოქლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხუაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფერკი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ ჩემებურად კიდევ ვჭბტი და კიდევ ვჭანცაობ. მაგრამ, რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, გჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გავზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო.. არც ეს შემისრულეს. უბედურებისაგამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვლო, ხომ ხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც-კი გავაწიო ამ სწეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამას შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დაგრჩი ისევ ჩემს მამულში. განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხუალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება? რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიცი-აზე კარგს ადგილს ვერ ვიზოვნიდი: უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, ვისაც-კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირუტლი შკოლაა; ეს არის რომ кругъ чиновниковъ не выгодеиъ для образованія нравственности, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.“

„ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ, ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვსაც მეჯავრება. ქეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქენა, რა გავწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას“!..

ბარათაშვილი გამოვიდა ამ გეარად ცხოვრებაში, გახდა ჩინოვნიკად, საზოგადოების მოსამსახურე პირად. ის ჯერ ერთობ ყმაწვილი იყო, პროტოკოლების და აკტების მაგივრად ამას ერჩია ჯერ ისევ სიტყვიერების თეორია სჭეროდა ხელში, მაგრამ, იმის თქმისა არ იყოს, ბედმა ეს მოუტანა და ესეც დამორჩილდა ამ მკაცრს ბედს. იმას სწყუროდა სამხედრო დიდება, უნდოდა ცხოვრება, სავსე ყიყინითა და ძღვევის ხმით, და ნაცვლად ამისა ხვედრმა შეება ყოველდღიურს კანცელარიის მუშაობას, იმ უმადლო და წელის მომწყვეტ მუშაობას, რომლისთვისაც იმას თვეში ხუთი მანეთი ჰქონდა გაჩენილი ჯამაგირად.

ბაღში ტფილისს გარეთ.

სურათი გრ. გაგარინისა.



ამოღებულია Le Caucase pittoresque-იდან

ამაზე უარესს პირობაში არ ჩავარდნილა არასოდეს არავითარი ახალგაზდა პოეტური ტალანტი. კაცს ჯერ თერგი არ დაუღვეია, როგორც ამბობენ ჩვენი მამები, ქუთაისამდის გზა არ გაუვლია, ზღვა

არ ენახა და ბედმა-კი ამ ნიჭიერს ბავშვს ცხვირი კანცელარიაში შეაყოფინა, ტალანტი ხაფანგში მოუშწყვდია. იმ მხეცებისა არ იყოს, რომლებიც ზამთარში თავისი ფეხების წოვით ირჩენენ თავს, ბარათაშვილსაც თავისი სულიერის საუნჯისაგან უნდა ესაზრდოებინა თავისი ნიჭი და სარწმუნო ყოფილიყო იმ მცირედით, რასაც აძლევდა იმას ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ რა იყო ამ დროს ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება? რის მიცემა შეეძლო იმას ჭაბუკ პოეტის მწყურვალე გულისთვის? საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რამე ბარათაშვილისათვის, რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. — გრ. ორბელიანი, ვიორგი ერისთავი. ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი ამ დროს რუსეთში ნანობდნენ იმ ფარულ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც დაწესდა ტფილისში 1829 წელს. ეს კაცები წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა სავარძობელი იყო ჩვენის ერისთვის.

„იმ დროს ტფილისში, — განაგრძობს თავისებურად ბ. ნი კოსტანტინე მამაცაშვილი — არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები, — ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში.“

„ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა და სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა, ქალაქს თამაშობდა, ნარდს, ქადრაკს, ქალაქის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობრული ვახშაში და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც.“

სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ ეს ჩვენება, ისეთი სანდო მოწმისა, როგორც არის ბ. ნი მამაცაშვილი, ჩვენ დავინახავთ, რომ რიგიანი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელმაც ცხოვრებაში გამოსულს

კაცს ისეთივე სამსახური უნდა გაუწიოს, რა სამსახურსაც უწევს მოსწავლე ყმაწვილს სკოლა, ამ დროს არ არსებობდა ტფილისში. არც იყო აქ ერთი მჭიდრო ორგანიზებული ქართული საზოგადოება, ქართული საზოგადოებრივი ჰაზრი, არ იყო თეატრი, არ იყო კლუბი, არ იყო გაზეთი, არ იყო საზოგადო ყრილობა, არ იყო მაღალი სასწავლებელი, — ერთი სიტყვით არ იყო არაფერი, რისგანაც დღეს შემდგარა თვით ჰაზრი განათლებულ საზოგადოებრივს ცხოვრებაზე. ის ცხოვრება, რომელსაც აგვიწერს მამაცაშვილი, იგივე სკოლის ცხოვრება იყო. ყმაწვილი კაცების სკოლის ამჟანაგები შეიკრიფებოდნენ ერთად, სადილვახშამს შეექცეოდნენ, ილაპარაკებდნენ სხვათა შორის სალიტერატურო საგანზედაც, ერთხანს ნარდს გაუთამაშებდნენ ან ჭადრაკს და შემდეგ მთვარიან ღამეში სასეირნოდ წავიდოდნენ ქუჩებში და ბაღებში. მაგრამ ასე ხომ სკოლაშიაც უტარებიათ ამათ დრო, ასე ხომ დღესაც ატარებენ დროს შეგირდები, და ისიც თუ იკადრებენ ამისთანა უბრალო დროს გატარებას, თუ არ არიან ხოლმე ოპერებში, ბაღებში ან სხვა რამე იმ დროისთვის უცნობ განცხრომაში. სად იყო ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება?..

თუ კერძო ოჯახი საზოგადოების ცოცხალ წევრად იჩენდა თავს, ეს იყო ან დღეობაში, ან ქორწილში, ან სხვაგან სადმე ღიზინში, საცა საღამოლამ ცისკრამდე მხოლოდ „დალიე“ ისმოდა და მრავალ-ჟამიერის სიმღერისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

თვით პოეტი აგვიწერს ამ გვარის საზოგადოების ფუქს ცხოვრებას, ერთს წიგნში გრიგოლ ორბელიანთან.

„თუ ქალაქის აშხავი გინდა, — სწერს ის: ჰსწორე გითხრა ბევრი ქორიანობა და ჭირიანობაა, ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ კელად და ჭორი კი მართალი, — დიდი დამკერებაებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი; დიდი ღამის-თევანები; დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით“...¹⁾

მეორე წიგნში იმავე ორბელიანთან ბარათაშვილი უფრო მოკლედ და კატეგორიულად სწერს: „ტფილისი ისევ ის ქალაქია უსარგებლო გონებისა და გულისათვის.“²⁾

1) წერილი 28 მაისის (9 ივნისის) 1841 წ.

2) წერილი 18 (30) ოქტომბ. 1841 წ.

ამ გვარ უსარგებლო ქალაქში, საშვალ აბატიურის საზოგადოებისა, არგუნა ბედმა ცხოვრება ბარათაშვილს. არც ოჯახში, სადაც მტარვალობა და მამა, არც სამსახურში, სადაც თავიანთის მუდამ მოღვრემილის და ჩამოშვებულის ცხვირ-პირით ჩინოვნიკობა უმწარებდა სიცოცხლეს, არც საზოგადოებაში, საცა მისი ტოლ-ამხანაგი არ იყო, საცა სატრფო. ან როგორც ის ამბობდა „საგანი“ არ უნათლებდა და არ უთბობდა გულს. სადაც კაცად—კაცადი ფიქრობდა მხოლოდ სპა-ჭამაზედ და გამდიდრებაზედ, ახალგაზდა პოეტი ვერ ჰპოვნიდა თვის ხვედრს, რომელსაც ეძიებდა სიურმიდან. იმასაც სწამდა თავისი ვარსკვლავი, იმაშიც სცხოვრობდა დემონი და ღაღადებდა ილუმალი ხმა. რომელიც ეტყოდა მას:

ეძიე, ყმაო, შენ მხვედრა შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!

(ეს მისი სიტყვებია), მაგრამ ცხოვრებამ იმედები გაუმტყუნა და ის ეტყვის ნაღვლიანად ამ ილუმალ ხმას:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!

ოჰ, რა დიდი მზღვარი დასდვა ბედმა პოეტის იდეალებსა და ცხოვრებას შორის. ის ცას იქით ეძიებდა სამყოფს:

გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...

ეუბნებოდა ის სამყაროს და ამის წილ მხვედრმა ის კანცელიარიას მიაკრა მავარის ჯაჭვით. უნებლიედ ის შეიქმნა ცხოვრების უკმაყოფილო კაცი, სულით ობოლი, სულით მარტო. ყოველს მის საქციელს, ყოველს მის ნაწერ ნალაპარაკვეს ამას შემდეგ ცხოვრების უკმაყოფილების ბეჭედი ამჩნევია.

„კიდევ მაშნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ,—სწერს პოეტი ერთს ნათესავ ქალს: ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და

ნ. ბარათაშვილის დროინდელი ტიპები.



სურათი გრ. გაგარინისა. დედანი ეკუთვნის ს. ს. და. ს. საზოგადოებას.

ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიქად, მას არცა თუ გან-
 ჰსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალეულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბი-
 ერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა? სად მიიდრიკო თავი? ¹⁾)

ერთი სიტყვით ის შეიქნა:

ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი...

რომელიც თუმცა კაცების საზოგადოებაში იყო, მაგრამ მეგობრებს კაცს-გარეშე ეძებდა: არშიყობდა მთვარიან ღამეს, ამცნობდა გულის საიდუმლოს მხოლოდ ვარსკვლავთა... შეეტრფოდა, ვით მეგობარს, მთაწმიდის წყნარ საღამოს და გაირთობდა სევდას მტკვრის ნაპირებზე...

აი, ამ დროს ბარათაშვილი კარგს წრეში რომ ჩავარდნილიყო, რომ რამე მანქანებით მის გარშემო საზოგადოებაც გაჩენილიყო განათლებული, მწერლობაც განვითარებული, იმისგან მეტად შესანიშნავი პოეტი შეიძლებოდა დამდგარიყო. მაგრამ სად იყო იმ დროს ან მწერლობა, ან მკითხველი საზოგადოება, ან ზნეობითა და გონებით გაჩაღებული, განათლებული წრე საზოგადოებისა? ქვეყანამ, ცხოვრებამ, ნაცნობ-ნათესაობამ, ყოველდღიურმა პროზამ, რომელთაც ბარათაშვილზე უფრო ძლიერი ხასიათი შეუმუსრავთ, პოეტი გაიტაცეს, ჩაითრიეს ამ სოფლის დაუდგრომელს ბრუნვაში და ეს ბუნებისაგან უჩვეულოდ დაჯილდოვებული არსება, შეიქნა ჩვეულებრივ კაცად, რომელიც, რუსული ანდაზისა არ იყო, ქვეყნად იყო და ქვეყნიურს ამბებს ჩადიოდა.

III

ბარათაშვილი სოფლის ამაოებაში ვართული.—მისი დაგეროტიპი.—პირის-სახე.—მისი „საგნები“.—ღუელი ილია ორბელიანთან.—სამსახურის ბეჯითობა.

ბარათაშვილი გაერთო ამ სოფლის ამაოებას. არა ქორწილი, არა ღამისთევა, არა ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველ საზოგადო-

¹⁾ წერილი 31 ოქტომბ. (12 ნოემბრის) 1842 წ.

ებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ-მომლხენლად და შემაქცევარად. ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე, მოსწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მოლექურე, მეჩონგურე, მეთარე, ქალაღის გატაცებით მოთამაშე, ყოველგან მომსწრობი, ყოველგან შინაური კაცი, ბარათაშვილი შეიქნა საზოგადოების საყვარელ კაცად. საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხს ოჯახს არ სწევოდა ის, ამბები და ქორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა... დროჟის ფულები არ ჰქონდა (ფაეტონები მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოქლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზეპირად იცოდა (ეს ლ. მელიქიშვილისაგან გამიგონია). ოჯახებში ხშირ-ხშირმა სიარულმა იქამდე მიიყვანა ის, რომ—ვთქვაა?—ორ სამ ალაგას, იმ ანდაზისა არ იყოს, რომელიც დილის ოქროს საღამოს ვერცხლად ჰხდის, ბარათაშვილს ხანდახან „შინ არ ბრძანდებიან“-საც ეუბნებოდენ¹⁾.

მაგრამ საზოგადოთ კი მისთვის ყველგან ფართოდ გაღებული იყო კარები. ორბელიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მადამ რეკამიესთან, რომლის სალონში იკრიბებოდა, რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში, რომელიც იყო მეფედ ქართული ზრდილობისა და გემოვნებისა ათას რვაას ორმოც წლებში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათაშვილში. ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში, ბარათაშვილი მუდამი სტუმარი იყო, შემტანი მოძრავის გონებისა და მხიარულების. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა, ოხუნჯობდა, არშიყობდა.

სიყვარულისა და ცოლის შერთვის დროც დაუდგა პოეტს, მაგრამ წარმატება არსად იყო...

ბარათაშვილის პორტრეტი არსად იპოვება, ერთად ერთი მისი დაგეროტიპი, რომელიც შერჩენია მის დას ნინო ბარათაშვილს, დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა, არ მახსოვს რომელ წელში, გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტის სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფია (ეს დაგეროტიპი გადაეცა ფოტოგრაფისთვის ილია ჭავჭავაძეს).

გაგონებით ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავის ცოცხალის თვლებით, წაბლისფერის თმით, საშუალო ტანისა და სის-

¹⁾ ბიძინა ჩოლოყაშვილისაგან გაგონილი.

ქისა. მისი ხშირი წარბები, ერთმანეთთან გადაღობილი და თვალები
 ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ ამხილებდენ მასში ოდესმე ჩინეთიდან
 გადმოსახლებულ წინაპართ ჩამომავალს. წვერ უღვაშს არ ატარებ-
 და, რის გამო მისი სახე, შორიდან ლაზათიანი, ახლოდან კოტა და-

აღექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე.



სურათის დედანი ეკუთვნის ს. და ს. საზოგადოებას.

ქყანული იყო. პოეტი პალატაში მსახურებდა და მის დროს, ნიკო-
 ლოზ ხელმწიფის დროს, მთელს რუსეთის ჩინოვნიკობას პირზე სამარ-
 თებელი დასტრიალებდა. ჩვენ შიაც ისე ფიცხლად ასრულებდენ ამ ბრძა-
 ნებას, რომ (ბოდიშს ვიხდო გზის გადახვევისთვის), როცა 1837 წელს

ხელმწიფე ჩამოვიდა საქართველოში, იპათაკი დაიპარსეს წვერ-ულვაში, ვინც საზოგადოების არჩევანით მსახურობდა, ასე რომ თვით ყაფლან ორბელიანს ჩამოაცალეს წვერ ულვაში: საწყალი ზასედატელი თურმე იყო! გაგვიგონებათ სვიმონ მაჩაბლის ნაღვლიანი ჩივილი ამ საგანზე: ღმერთო, ე რა დღეს მოვესწარით, ჩვენი დედ-მამები ამბობდნენ: თუ ეს ღეჩაქი მხურავს, თუ ეს ულვაშები მასხიაო. . . და ჩვენ ერთიც დაგვეკარგა და მეორეცაო.

ზემოთ ნათქვამს თუ ისიც დაუმატეთ, რომ ბარათაშვილი კოჭლი იყო, თქვენ სრულად დარწმუნდებით, რომ პოეტს არ ჰქონდა აპოლონის მშვენიერება.

სუყველა ეს ისეთი მიზეზებია, რომელთა გამო ბარათაშვილს არ უნდა ჰქონოდა დიდი წარმატება ქალებს შორის. პირველი მისი სიყვარული იყო ნ. ო. — ის ქალი, რომელსაც უძღვნა ლექსი:

სიყვარს თვალები, მიბნედილები...

მაგრამ მიიღო თუ არა იმან ნაცვალთა გრძობა ამ ქალისაგან, არავინ იცის. მეორე მისი სიყვარული იყო მებულკე ფრანგის ლაბიერის ქალი დელოფინა. ამას უძღვნა ლექსი „ჩემს ვარსკვლავს,“ მაგრამ ამ ლექსშიაც უფრო მრისხანებაზე და წყრომაზეა ლაპარაკი ვიდრე სიყვარულზე. ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრულ აფიცრების დეზებზე...

მაგრამ არსიყობასა და ქალებთან დროს გატარებას ის მაინც არ იშლიდა. როგორც ბიძა მისი გრიგოლ ორბელიანი, ბარათაშვილიც დიდად მოყვარე იყო ქალების საზოგადოებისა. ის იმათ აჯავრებდა და ხუმრობით თუ ბოროტ-განზრახვით წაჰკიდებდა ერთმანეთს, იმათთან უყვარდა ყოფნა, მუსიკა, ხუმრობა, ცელქობა, ბუტიაობა. იმან ყველაზე წინ იცოდა, ვინ ვის ეარსიყებოდა, ვის ვინ მოსწონდა, ვის ვინ უნდა შეერთო. და ან მხარს მისცემდა მათ ან წაჰკიდებდა. ერთს ქართველს თავადიშვილს, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა იგ... ის ცოლის სიყვარულისაგან, პოეტი ეუბნება ერთს საღამოს:

— ზაქარია, ზაქარია! კატოს თვალი უჭირავს შენზე, კაბა გაისწორე და მარჯვედ დაჯექი.

საბრალო ტრფიალი რომ დაიმშვენებს თავს, ის მიუბრუნდება ივ...ის ცოლს:

— კატო, კატო! ზაქარიას შენ ზე თვალი უჭირავს.

— თვალეზი იმას დასდგომია! რა უნდა ჩეჟან, რას გადამკიდებია, უთხარი თავი დამანებოს¹⁾.

და ამგვარად დაახლოვების მაგიერ იმან დააშორა კაცი და ქალი ერთმანეთს.

„ღედაკაცები ისევ ისინი, — სწერს პოეტი გრ. ორბელიანს — ჩვენი ყმაწვილები და ხახვების²⁾ ფრანტები სულ შამილის დასაქერად წამოვიდნენ. ქალაქი მე დამჩნა. მოუსვი ბიქო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია³⁾.“

1845 წელს, როცა ბარათაშვილი სამსახურმა დააშორა ქალაქის საზოგადოებას, ის სწერდა ერთს ნაცნობ ქალს ნახჩევანიდამ:

„აი, სამი თთვეა აქა ვარ და ძალღად არა ვინ მახსენა; ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ, აღარც მე მცალიან ვის თვის მე... დიახ, ნუ რა ვის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთს ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვეწყინდნენ და გავყარეთო!“

ვეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს, ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდაექვსისა შევსრულდით⁴⁾ და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევეს! ვაი იმის ბრალი ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოვლის!⁵⁾

ქალაქა გარედამვე სწერს ამავე ქალს იმავე კილოთი: „ახალს დანიშნულს, თუ პატარძალს, სოფიოს მოახსენე, თუ შეგხვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზონარს მომიქსოვს აგრე ჩქარა გათხოვდება⁶⁾.“

ერთს წერილში მიხეილ თუმანიშვილთან ის სწერს:

„Скажу тебѣ новость, თუ არ გაჯავრდები. Я ѣду сегодня вечеромъ въ д. Мцкнети — зачѣмъ? — А зачѣмъ, что она тамъ. Мать ея про-

1) ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილი.

2) ხახვებს ჩრდილოელებს ეძახოდნენ.

3) წერილი 23 მაის. (4 ივნისის) 1844 წ.

4) ოცდა რვა უნდა იყოს, ნაკლებს განგებ ამბობს.

5) წერილი 9 თებერვ. (21) 1845 წ.

6) წერილი 10 (22) აგვისტოს 1845 წ.

сила меня провести съ ними нѣсколько дней. Каковы должны быть эти дни? Ахъ? маშ მოჰკედი, ბზ!¹⁾)

როგორც სკოლაში ისე ცხოვრებაში ბარათაშვილი დარჩა მოუსვენარი, ცელქი, დამცინველი. სრული მისი ხასიათი იხატება იმ ბუზის ბზუილში, რომელიც მოჰყავს პოეტს თუმანიშვილთან მიწერილს წიგნში.

მანანა ორბელიანი



სურათის დედანი ეკუთვნის ს. და ს. საზოგადოებას

მხოლოდ ხშირად ეს ბზუილი ფუტკრის ბზუილს ემსგავსებოდა და ერთჯერ მისმა შხამიანმა სიტყვამ კინალამ არ შეამთხვია მას უბედურება.

თავისთავად სულ უმნიშვნელოა ეს შემთხვევა, მაგრამ რაკი ჩემამდი მოაწია, არ შემიძლია ბიოგრაფის მოვალეობას ვუმტყუნო და არ გიამბოთ, რაც მოხდა.

¹⁾ წერილი 6 (18) აგვისტოს 1838 წ.

იმ ხშირ სალამოებს, რომლებსაც ოჯახებში ატარებდა იმ დროს ქალაქელი უთეატრო და უენიტო საზოგადოება, ბარათაშვილი ხედებოდა ხშირად ერთს თავის ამხანაგს მალალაშვილს. ეს მალალაშვილი ენა მახვილი კაცი თურმე იყო და ხშირად დასცინოდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს. დაცინვაში ხან და ხან ბარათაშვილიც წაეხმარებოდა მალალაშვილს. ორბელიანმა დიდხანს ითმინა დაცინვა, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა გადასწყვიტა პირველსავე კრებაში ჩხუბი აეტეხნა იმათთვის და მალალაშვილი გამოეთხოვა ხმალში. საუბედუროთ პირველს კრებაზე მალალაშვილი არ მოვიდა და ორბელიანმა ეინი ბარათაშვილზე ამოიყარა. ის დისწულობით არ დაერიდა ამ უკანასკნელს და დუელში გამოითხოვა. იქ მყოფ ამხანაგებს, სხვათა შორის ლევან მელიქიშვილს, უნდოდათ ხუმრობაში გადაეტარებინათ ეს გამოთხოვა, მაგრამ რომ ვერ მოხერხდა შერიგება, სეკუნდანტები აიჩიეს. ილია ორბელიანმა ყაბარდოელი ატაჟუკინი და ბარათაშვილმა მალალაშვილი. დანიშნეს დრო, ადგილი და გაემგზავრენ ორივე დუელიანტი და მათი სეკუნდანტები ერთად, ფეხით. პირობა დასდევს, ვინც ცოცხალი და უვნებელი გადარჩებოდა, იმას უნდა დაზიანებული მიეყვანა ქირისუფლებსათვის ან მკვდარი ან ცოცხალი. გზაზე ლევან მელიქიშვილმა დაუწყა გაძნელება ბარათაშვილს. ეს რომ ორბელიანმა გაიგონა, იწყინა და უთხრა მეგობარს:

— მე კი არ გებრალეები, ლევან?

— არა, არ მებრალეები, იმიტომ რომ შენ ხარ მიზეზი ამ დუელისა. უპასუხა მელიქიშვილმა.

მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, გაზომეს ნაბიჯები. გატენეს დამბაჩები და დააყენეს მოპირდაპირენი.

ილია ორბელიანი მალალი, მალალს ადგილზე, ბარათაშვილი დაბალი, — დაბალს ადგილზე და სეკუნდანტის ხმაზე ერთი, ორი, სამი — მოწინააღმდეგეთ ჩამოუშვეს ჩახმახი. იგრილა ბარათაშვილის დამბაჩამ, ორბელიანის ფალიაში მხოლოდ წამალი ამოიწვა. ორბელიანს ეგონა, რომ მოატყუეს და ჩაჰბერა სული დამბაჩას. მაგრამ რა ნახა გატენილი იყო, მოითხოვა ხელახლა გაეტენათ. მეორეჯერ გავარდა დამბაჩა და ბარათაშვილი წაიქცა... ორბელიანს ეგონა, რომ მოკლა და სასო-

წარკვეთილი მივარდა თავის დისწულს, დასწვდა და შიშით წაღებულმა მოავლო ხელი მწოლარეს ჯიბის ახლო.

— აი! ქიშიში მაქვს, ქიშიში! ჯიბიდან არ ამომაკალო! დაიძახა უეცრივ განგებ წაქცეულმა ბარათაშვილმა.

— უი, შენ დაგწყევლოს... შე შეჩვენებულო, გული რად გამიხეთქეო, — იყო ხმა ორბელიანისა¹⁾.

თურმე სეკუნდან ტებს, როცა ორბელიანმა თავისი არ დაიშალა, ერჩიათ დამბახები უტყვივით გაეტუნათ და პირველის სროლის შემდეგ, რომ საიდუმლო არ გამოაშკარავენბულიყო, მაღალაშვილმა წასჩურჩულა ბარათაშვილს: მოხვდებოდა თუ არა ტყვია, უთუოდ წაქცეულიყო. ორბელიანმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ასე ბედნიერად გადურჩნენ სიკვდილს ორნივე ბიძა დის-წული.

მეორეჯერ თავისი მახვილი სიტყვა სტყორცნა ბარათაშვილმა პლატონ იოსელიანს. ერთს საზოგადოებაში ვიღამაც თურმე იკითხა:

— ე, ბერძენ — რომაელებს რომ ყოველისფერის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოდ-ასლოვიო, —²⁾ მიუგო რუსულის ზმით ბარათაშვილმა და მაუშკირა ხელი იოსელიანს.

როცა ქალების საზოგადოებაში არ იყო ბარათაშვილი, ტოლამხანაგებში ატარებდა დროს სადმე ორთაქალას ან ვერაზე, სადაც გაისმოდა სათარას ტკბილი ხმა. სათარა პირველი მომღერალი იყო მისის დროისა, ბარათაშვილი მისი პირველი თაყვანის მცემელი. დიმიტრი ვეზირიშვილისაგან გამიგონია, პოეტს ქართლში სადღაც ეკლესიის კარზედ დაუწერია ამ მომღერალის ქებაო. როდესაც ახალი მომღერალი გამოჩნდა ტფილისში, ჯაფარად წოდებული და საზოგადოებამ იმისი ქება დაიწყო, ბარათაშვილი დიდის წყენით სწერს ერთ ნაცნობს ქალს:

„ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა... ეგ რომელი ამბობს რომ სათარასა ჰსჯობსო? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია. მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზე,

1) გაგონილი ლევ. მელიქიშვილისაგან და ნიკო ერისთავისაგან.

2) ბოლასლოვი არის ქართულად ღვთისმეტყველი, ზმით გამოდის „ვირების ღმერთი“.

მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ
მაგისტანა ხმა აღარავის ექნებაო! ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კა-

პლატონ იოსელიანი.



სურათის დედანი ეკუთვნის ს. და ს. საზოგადოებას

ცია, მეორე ჯოჯობეთის მამხალაა¹⁾. — ეს პოქეიფე და დარდიმანდი ყმა-
წვილი კაცი, ეს მოუსვენარი ქიანქველა, როგორც ის უწოდებს თა-
ვის თავს ერთს წიგნში გრიგოლ ორბელიანთან, სამსახურში ზედგამო-
ჭრილი გერმანელი იყო. 1842 წ., როდესაც სამხედრო მინისტრმა
(ჩერნიშოვმა) რევიზია უყო ტფილისის სამოქალაქო დაწესებულებათა,
პოზენმა²⁾ ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ, იმის

¹⁾ წერილი 9 (21) თებ. 1845 წ.

²⁾ ჩერნიშოვს ახლდა პოზენი, რევიზია მოახდინეს 1842 წ. რედ.

მეოხებით, ბრძანება გამოსცა ქართველობას უპირატესობა მისცემოდა სამსახურში¹⁾.

მეორე მაგალითი ბარათაშვილის ბეჯითობისა გვიამბო გრ. ორბელიანმა.

პლატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა, რომ მისი სტოლონაჩაღნი ასე ბევრს დარბოდა, და ერთხელ რევიზია უყო. მაგრამ, რა დაინახა ყველაფერი სწორედ ჰქონდა, უთხრა:

— Въ такомъ случаѣ продолжайте бѣгать, сколько вашей душѣ угодно.

ეს კაცი ისეთის დიდის ჰაზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭზე და მეტადრე თავის თანამდებობაზე, რომ ამბობდა თურმე:

— Баратовъ на моемъ мѣстѣ будетъ сидѣть...

ამას უნდა პლატონ იოსელიანის ჰაზრიც დაუმატოთ. იმ ოლიმპიურის სიმალლიდამ, საცა განისვენებდა ეს უებრო ღვთის-მეტყველი, ის იტყოდა ქაბუკ პოეტზე:

— ეს კარგი გამოვალ²⁾.

VI.

ბარათაშვილი მაზრის უმფროსის თანაშემწე ნახიჩევანში და განჯას.— გარდაივალება და დასაფლავება შგოსნისა განჯაში.— ილია ორბელიანის და ლევან მელიქიშვილის წერილები პოეტის გარდაცვალებაზე.— განჯის ეკლესიის სასაფლაო.— პოეტის საფლავზე დადგმულ ქვაზე ზედწარწერა.

ასე ამ გვარად მიმდინარეობდა ბარათაშვილის ყოველ დღიური ცხოვრება. ის ყელამდის ჩაფლული იყო ისეთ სფეროში, რომელსაც არ შეეძლო მისი განსხვავება არც ზნეობრივად, არც გონებრივად, მაგრამ ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომლითაც ის დაჯილდოვებული იყო ზეგარდმო, მაინც არ გაჰქრობოდა მას სრულებით. მაინც ცოცხლად გრძნობდა, რომ სულ სხვა ცხოვრებისათვის იყო შექმნილი, სულ სხვა საზოგადოების ღირსი, და სწერდა თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, ხელი მიეცა მისთვის, გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან. ეს სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ის არ დაერიდა თავის ბიძას, რომელიც უყვარდა, კრძალვით მიეწერა საყვედურით სავსე წიგნი.

¹⁾ ლევან მელიქიშვილისაგან განაგონი.

²⁾ გრ. დადიანისაგან გაგონილი.

„საკურველია — სწერდა იგი გრ. ორბელიანს — რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორს-მხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვებრდებო, ჰპოვოს თავის შემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შეძლებლობა და კმაერსა შორის შემკვიდრის შუაშეღობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი კმა მიწვევს საუკეთესო ხედრისაკენ, გული მეუბნება რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რენენკამჭთან დამანიშნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგებდინა ჩემთვის. ვიცი, დაგვიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება.“¹⁾

რენენკამჭი დაღესტანში მსახურებდა. მაშინ დიდების და განსხვავების გზა კავკასიაში დაღესტანზე მიდიოდა, არღუთინსკის, გრიგოლ ორბელიანს, ლევან მელიქიშვილს, დიმიტრი ჯორჯაძეს, ვასილი სარაჯიშვილს, ნიკო ქავკაძეს დაღესტანში უმოგნიათ დაწინაურება. იქითკენ მიიღწეოდნენ ყველა ნარიშკინები, ყველა სალტიკოვები, ყველა იუსუფები, რომ მოეპოვათ სახელი და დიდება. სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანმა ვერა მოუხერხა რა თავის დისწულს. დაუდევნელობით მოუვიდა, უეჭველია, ეს საქმე, თორემ ისეთი მალალი ადგილი ექირა, რომ ადვილად შეიძლებდა იმის შემწეობას. ტყუილად არა სწერს პოეტი, ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო.

გრ. ორბელიანთან რომ ვერა გააწყო — რა ბარათაშვილმა, ხელი მოსჭიდა ლევან მელიქიშვილს, რომელიც დროებით მაზრის უფროსად უნდა წასულიყო ნახჩევანს. პოეტს არ უნდოდა ამ ქალაქში ყოფნა, მაგრამ სამსახურში დაწინაურებისათვის იძულებული შეიქნა მიეღო მაზრის უფროსის თანაშემწეობა და 1844 წელს გაემგზავრა ნახჩე-

¹⁾ წერილი 21 აგვისტოს (2 სექტ.) 1843 წ.

ვანს. აქ ის დიდხანს არ დარჩენილა. 1845 წელს ლევან მელიქიშვილი წამოვიდა ქალაქს და ამასთან ბარათაშვილც. ორასი მანათი თურმე წაეგო ქალაქში და მელიქიშვილს, რომელმაც იცოდა მეგობრის ვნება, ეთქვა მისთვის: ტატო, ჩქარა ქალაქს, თორემ მერე გზის ფულსაც ვერ იშოვიო, და ჩამოეყვანა ტფილისში. ქალაქიდან ბარათაშვილი ცდილობდა თელავში გადასვლას იმავე თანაშემწის ადგილზე. მისი თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა კიდევ და ის იყო, პოეტი უნდა წასულიყო კახეთს, ტროიკაც მოეყვანათ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს იმასთან მოსულა მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯის მაზრის უფროსად იყო და თელავის მაგიერ წაეყვანა განჯას იმავე 1845 წელში.

ეს იყო უკანასკნელი წელი პოეტის ცხოვრებისა. დიდების მაგიერ სამწუხაროდ ბარათაშვილმა ჰპოვა აქ უდროო სიკვდილი, ის მოკვდა 2 (14) ოქტომბერს 1845 წელსა ქ. განჯას და დასაფლავდა აქვე მართლმადიდებლთა ეკლესიის გალავანში „დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული“. თითქო თავის თავზე დაუწერიაო მას წინასწარმეტყველური სიტყვები:


ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
 ნუ დამიტუროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.

ამბობენ, პოეტი მთაში სადღაც წასულა ყაჩაღების დასაქერად და იქ გაციებულა. ერთხანს მორჩენილა, მაგრამ ხელახლა გამხდარა ავად, რადგანაც უდროო დროს ერთობ ბევრი ცივი ლუდი დაელია. ეს ამბავი გაუგონია განჯის ეკლესიის მღვდელს მძინარაშვილს ბარათაშვილის განჯელ მეგობრისაგან, რომელსაც იმისთვის ის ადგილიც უჩვენებია, საცა იყო დასაფლავებული პოეტი.

პოეტის სიკვდილმა დიდად შეაწუხა ქალაქის მაღალი საზოგადოება, რომელშიაც უმეტესი ნაწილი ან ნათესავი იყო მისი, ან ნაცნობი და მეგობარი. ილია ორბელიანი ამ სიტყვებით ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს ტატოს სიკვდილს:

„ამ საწყლების—მელიტონის და იმის ცოლის—ყურებისათვის ვერ გაშიძლია, გულს ცეცხლი მეკიდება და აღარა მესმის რა; ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯასა და იფიქრე ჩვენი ცხოვრება; ნეტაი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არ ხედავ! შენი ჭირიმე გრი-

გოლჯან, ესე ამბავი ქრისტიანებრივი მოთმინებით მიიღე და ნუ შეიწყუბებ მაგ ავადმყოფობაში¹⁾ თავსა“¹⁾.



ადგილი განჯაში, სადაც დასაფლავებული იყო ნ. ბარათაშვილი (ადგილი ჯვართაა აღნიშნული)

ლევან მელიქიშვილი, მეორე მისი ამხანაგი, სწერდა გრიგოლ ორბელიანს.

„Любезный Григорій, не знаю какъ описатьъ тебѣ то ужасное чувство, которымъ исполнено сердце мое смертію бѣднаго Баратова. Въ немъ потерялъ я не одного школьнаго товарища, но друга, которому съ самаго дѣтства открывалъ я все изгибы сердца своего и дружественною взаимностью котораго я пользовался. Тяжело, мой Григорій, тяжело потерять чѣловѣка, который теплымъ сердцемъ и теплою душою мирилъ насъ съ людьми, съ этими созданіями ничтожными, слабыми, черными и злыми. Тяжело осиротѣть душою! и не одинъ

¹⁾ წერილი 29 ნოემბერ. (11 დეკემ.) 1845 წ.

я понесъ эту ужасную потерю, Грузія потеряла въ немъ челоѣка любящаго ее всею поэтическою душою и ставившаго эту любовь выше всѣхъ обязанностей своихъ; молодаго чѣловѣка съ прекрасными и блестящими способностями, отъ котораго ожидала болѣе, чѣмъ отъ кого либо изъ нынѣшнихъ своихъ молодыхъ сыновъ. Родители лишились въ немъ единственной подмоги своей старости и всего ихъ семейства, родственники его, добраго родственника; грузины однаго изъ своихъ лучшихъ соотечественниковъ.—

Можетъ быть я грѣшу, но не могу не сказать, гдѣ эта справедливость свыше, о которой ежедневно толкуютъ,—зачемъ было отнимать преждевременно у людей друга,—у родины вѣрнаго и любящаго ее сына и съ блестящими способностями, у родителей—сына въ двѣтущихъ лѣтахъ и послѣднюю подпору,—скажи же мнѣ, гдѣ тутъ видна справедливость?¹⁾

დასასრულ ერთს წიგნში გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც დაწერილია ბარათაშვილის დედისაგან, ჩვენ ვპოულობთ პოეტის დედის გოდებას:

„მე უბედური, უბედურად ქმნილი, მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს, და რა შვილს? რომლისაგანაც მოველოდი ყოველს სიხარულს. ვაი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალის დაბნელებას!“²⁾

რამდენად უყვარდა ქართველ საზოგადოებას ბარათაშვილი და იყო პატივისცემელი მისი ნიქისა, ამას გვიჩვენებს შემდეგი აღვლილი ზემოხსენებული მელიქიშვილის წერილისა.

„Теперь обрадую я тебя—სწერდა მელიქიშვილი გრ. ორბელიანს—признательностью всѣхъ знакомыхъ покойника къ нему и къ способностямъ его.—14 января, въ день именинь Нины, насъ нѣсколько молодыхъ грузинъ обѣдало у Реваза Андроникова; въ числѣ насъ былъ Каплянъ, котораго просили процѣть сѣлоа ბორბტო; но можешь себѣ представить, что ни онъ, ни одинъ изъ насъ не только не зналъ наизусть эти прекрасные стихи, но даже не имѣли ихъ у себя и всѣ душевно

¹⁾ წერილი 19 (31) იანვ. 1846 წ.

²⁾ წერილი ივნისის 3 (15). ეს წერილი დაწერილია ზაქ. ორბელიანის სიკვდილის გამო.

сожгли, что прекрасныя произведенія покойника пропадаютъ. Тогда же предложено было напечатать всѣ стихи покойника на нашъ счетъ. На другой день составили подписку, которою просили родственниковъ и знакомыхъ покойника пожертвовать на напечатаніе какъ собственныхъ его произведеній такъ и переводовъ его на тотъ конецъ, дабы сохранить для потомства произведенія покойника; изъ части вырученныхъ за проданныя книги, денегъ поставить ему памятникъ, а остальную отдать въ пользу семейства. Въ пять дней 17 человекъ пожертвовало 1000 рублей сереб.; изъ этого можешь видѣть, какъ сильна была любовь къ нему его знакомыхъ¹⁾.

ეს ფული, როგორც მიაშობა ლევან მელიქიშვილმა, გადაეცათ განსვენებულის მამისათვის. ალბად ამას დაუდგია პოეტის საფლავზე ის უბრალო ფიქალი. რომლის ერთი ნაწილიც დღემდის შენახულა. დანარჩენის ფულით, გარემოებათა გამო, იმას შვილის თხოვლება ვერ გამოუცია...²⁾

1884 წელს მე წავედი განჯას, იმ განზრახვით, რომ შენახა პოეტის საფლავი და შემეკრიბა, რაც შეიძლებოდა, ცნობა იმის ცხოვრებაზე ან მასრის სამშართველოს არქივში ან კერძო პირთაგან.

მასრის არქივში, რომელიც გუბერნიისაში გადუტანიათ, — თუმცა ბევრს არაფერს მოველოდი იქიდან, — მე არ შემიშვეს, რადგანაც გუბერნიის მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვა მომთხოვა და მე ის ნებართვა არა მქონდა.

კერძო პირთაგან ვნახე მხოლოდ განჯის ეკლესიის მღვდელი, მამა მძინარაშვილი.

ის ეკლესია, რომლის გალავანშიაც იყო დასაფლავებული ბართაშვილი, მალალს ადგილზეა, ქალაქის ბოლოს, საიდანაც თითქმის მთელი განჯა ინახება. თითონ ეკლესია არის პატარა, სულ 26 ნაბიჯი სიგრძით.

1) წერილი 19 (31) იანვ. 1846 წ.

2) არის შენახული პატარა ბარათი პოეტის მამი: ა მღვდელთან მინაწერი. 1845 წ. ოქტომ. 16 (28) თარიღით, შემდეგი შინაარსის: „მალალ ლირსო მამეო დეკანოზ დიმიტრი! უმდაბლესი ქთხოვთ ახლათ გარდაცვალებულისა ჩემი შვილის ნიკოლოზის პანაშვიდი წირვა ქთხოვთ გარდაუხადოთ შესრულების შემდგომად.“ რედ.

ბარათაშვილი იყო დასაფლავებული ეკლესიის კართან, ჩრდილოეთისკენ, იმის საფლავზე არაფითარი ნიშანი არ იყო. თუმცა კი აღრე იმის საფლავზე ქვა ყოფილა დადებული. ეკლესიის მთავრობას, როგორც ეტყობა, აუღებინებია ეს ძეგლი, რადგანაც უშლიდა თავისუფ-

5. ბარათაშვილის ნათესავები და მეგობრები.



სხედან (მარცხნიდან): ბარბარე, ილია ბატონიშვილის ქალი, ცოლი ილია ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილი, დგანან ალექსანდრა, მაკარ ორბელიანის ქალი, ცოლი ლევან მელიქიშვილის და ტასო გავარინისა, მანანა ორბელიანის ქალი.

ფლად შესვლა-გასვლას ეკლესიის კარებიდან. ძეგლს გადარჩომია მხოლოდ მის მარმარილოს ფიციარი, რომელიც ქვაში ყოფილა ჩადგმული. ეს ფიციარი სიგრძით რვა გოჯი, სიგანით ექვსი დღესაც შენახულია ეკლესიაში. იმაზე სწერია:

„აქა მდებარებს გვამი საქართველოს თავადის გუბერნსკის სეკრე-

ტრის, ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილისა, გარდაცვალებულისა 29 წლისა ჰასაკნა თვისისა 2 ოკტომბერს 1845 წელსა“.

V

ბარათაშვილის პირველი ნაწერები.—ЦВѢТОКЪ ГИМНАЗИИ.—ჯგუფი თანამედროვე მწერლობის მოყვარეთა.—პოემები „ივერიელნი“ და „ბედი ქართლისა“.—რამდენი უწერია ბარათაშვილს.—მისი თარგმანი ტრაგედიისა „Юлій Тарентскій“.—წყარო მისის პოეზიისა.—რა გარემოში უწერია ბარათაშვილს.


ბარათაშვილის სამწერლო ბიოგრაფია ისეთივე მოკლეა, როგორც საზოგადოთ მისი ცხოვრების აღწერა.

პოეტმა, როგორც ვნახეთ, სკოლაშივე დაიწყო ლექსების წერა. ორი მისი სკოლის დროული ლექსი დაბეჭდილია მის თხზულებათა კრებულში; უმეტესი ნაწილი კი თითონ პოეტს არ უცვნია ღირსად ბეჭედისა და არც ერთს ჩემგან ნახულს მისგანვე გადაწერილს ლექსთა კრებულში არ ჩაუტანია (მე მინახავს ორი ამგვარი ლექსთა კრება: ერთი განსვენებულის სამეგრელოს დედოფლის ეკატერინესი, მეორე კნენია ვეზირიშვილისა). აქ ლექსების რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ის დიდი პოემაც „ივერიელნი“, რომელზედაც ამბობს კ. მამაცაშვილი და რომელშიაც იყო აღწერილი ჩვენი აყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნოებისა“. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა პოეტს, „თუმცა ასეც მშვენიერი იყო“, ამბობს მისი მეგობარი.

სკოლაში ლექსებს გარდა ბარათაშვილი პროზასაც ეწყობოდა. გიმნაზიის შევირდებმა მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით და რედაქტორობით დაიწყეს ხელით წერილის ჟურნალის გამოცემა 1833-ს წელსა. ამ ჟურნალში, რომელსაც სახელად ერქვა „ЦВѢТОКЪ ГИМНАЗИИ“, ბარათაშვილიც იღებდა მონაწილეობას. ჟურნალს ჰქონდა „Библиотека для чтенія-ს ფორმა, რადგანაც ეს ჟურნალი მოდის ჟურნალი იყო იმ დროს.

მწერლობის სიყვარული პოეტს ცხოვრებაშიაც გამოჰყვა. სკოლის ამხანაგების მაგიერობას აქ უწევდნენ ის რამდენიმე მწერლობის მოყვარე პირნი. რომელნიც ხვდებოდნენ სხვა და სხვა დროს. ესენი იყვნენ: ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი. მიხეილ თუმანიშვილი, გი-

ორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსან-
დრე ორბელიანი, ზაქარია ორბელიანი, სოლომონ მალაღაშვილი, სა-
პერის ოფიცერი მატინოვი, საპერის ოფიცერი ქავჭავაძე, კოსტანტინე



ნ. ბარათაშვილის დროინდელი ქართული ჟურნალი: სალიტერატურო ნაწილნი
ტფილისის უწყებდანი.

მამაცაშვილი, ზაქარია ერისთავი, იასე ანდრონიკაშვილი, ივანე სარა-
ჯიშვილი, ზოგიერთა ქართული მწერლობის მოყვარე პოლონელი, რო-

გორიც იყო ზაბლოცკი, სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისრაელიშვილი და სხვ. და სხვა. ესენი არ შეადგენდნენ ერთ მჭიდრო წრეს, არც წარმოადგენდნენ ერთს განსაზღვრულს სამწერლო იდეას, მაგრამ ამათში ქართული მწერლობის სიყვარული დიდი იყო და ქუჩნალის გამოცემის ჰაზრი თუხს იკიდებდა.

ბარათაშვილი მოთავე იყო ამ საზოგადოებისა. ყოველთვის, როდესაც ან შემთხვევა მოიტანდა და ზემოთახსენები პირნი ერთად სადმე შეიყრებოდნენ, ან საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ, საზოგადო მსჯელობა ამ ქართველ ყმაწვილ-კაცებისა იყო ქართულ მწერლობაზე და ისტორიაზე. ასე ამბობს ორივე ბარათაშვილის ცხოვრების ამწერი, ესევე გამიჯონია პოეტის ნაცნობ-ნათესავთაგან. და არა მგონია, რომ ეს სიტყვები დანაყბედი იყოს. ამ დროს ჯერ კიდევ ზურგი მაგარი ჰქონდა ქართველ საზოგადოებას და რუსულის ცხოვრების და მწერლობის უპირატესობას ქართველი ისე მაგრად და დამჩაგრულად არ გრძნობდა, როგორც შემდეგში, როგორც გიორგი მუხრან-ბატონის დროს, როგორც ეხლა (1893 წ.). მაშინ საზოგადოებას სწამდა და სარწმუნოებამან მისმან აცხოვნა იგი, მისცა ისეთი მწერლები, როგორნიც იყვნენ გრ. ორბელიანი, ნიკოლ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი.

„ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზდა ამხანაგები—სწერს კ. მამაცაშვილი, ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს ძე მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში... ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე. ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არ გვაქვს ქართული, რიგიანი ისტორია, გავიყოთ V-ს საუკუნიდან დაწყობილი, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნის ისტორიისა, ქრისტეს წინად და შემდეგ მე-V-ე საუკუნემდის“.¹⁾

პოემა „ივერიელნი“ და ბედი ქართლისა“ არის ჩავონებული ამ ქართლის ცხოვრების სიყვარულისაგან. საქართველოს დიდებული წარსული, მაშინდელი მისი სისუსტე, მოშავალი იმედები, ერთი სიტყვით ბედი ქართლისა—აი რა იყო ახალგაზდა პოეტის მუდამი ფიქრი და ოხვრა.

¹⁾ „დროება“ 4 ოქტომბ. 1881 წ.

„მახსოვს, ერთს ივლისის ღამეს 1838 წელს—სწერს მამაცაშვილი: მე და ტატო წავედიოთ სასაირონოდ გარეთუბანს (ეხლანდელი რუსთაველის პროსპექტი). ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზეც და ტრაგიულს დასასრულზედ 18-საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობისა გამო უღონობაზედ, ჩვენის ტფილისას წახდენაზე, 1795 წელს, 14 სექტემბ. და სხვა...

ამ ლაპარაკის დროს, ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მზიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— „ჩვენმა უხვირობამ დაგვლუპა! და ოხვრით დაუმატა: ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“¹⁾

ბედმა არ მისცა ბარათაშვილს ფართო ასპარეზი. ბარათაშვილი უცნობი, შეუნიშნავი, ქვეყნისაგან დავიწყებული კანცელარიის სიბნელებში აქრობდა ღვთაებრივს ცეცხლს, რომელიც ლამპარივით უნათებდა მას სულს. ბედმა უდღედინაცვლა იმას და დაღურსმა იგი სტოლონაჩაღნიკის სკამზე, სანამ არ მოიღო მასზე მოწყალება და პრისტავის ფარჯით შემოსილი არ ჩაუშვა უღროოდ სამარეში.

სამწერლო ბალაქი ბარათაშვილისა ერთობ შიატეა. სკოლის შესრულებილამ სიკვდილამდე—ათს წელში— იმას დაუწერია სულ 39 პატარა ლექსი და ერთი პატარა პოემა. მიზეზი ამისი იგივე არის, რის გამოც ასე ცოტა უწერიათ გრ. ორბელიანს, ვახ. ორბელიანს, რის გამოთაც ასე ცოტას სწერენ საზოგადოთ ყველა ჩვენი პოეტები და მწერლები. მიზეზი ის არის, რომ ჩვენში მწერლობა, როგორც ხელობა არ არსებობს. ორ-სამ კაცს გარდა, რომელნიც სვეტად შესდგომიან ქართულ ჟურნალ გაზეთებს, ქართველი მწერლის ცხოვრება მწერლობის გარეშე მიმდინარეობს. წელიწადში ჩვენმა მწერალმა ორი თვე რომ სწეროს, სამი-ისიც ბევრია. არა მგონია, რომ ყველაზე უფრო ნაყოფიერი ჩვენი ბელეტრისტი აკაკი, წელიწადში იმაზე მეტს სწერდეს, დანარჩენ დროს... დანარჩენ დროს ჩვენი მწერალი არაფერს აკეთებს მწერლობისათვის.

ბარათაშვილიც ასე იყო. სწერდა ის ათასში ერთხელ, როცა ქალა-

¹⁾ idem.

ნადიმი ქალაქს გარეთ.



სურათის დედანი ეკუთვნის ს. და ს. საზოგადოებას.

ლდების მორევში ჩაღუბული სტოლონაჩალონიკი, დროს და მოცალეობას იშოვიდა, როცა რამე შემთხვევა შეიცავდა მას და გაიტაცებდა.

ამიტომაც არის, რომ პოზენისგან სამაგალითოდ ქებულს სტოლონაჩალონიკს ასე ცოტათ მონაწილეობა მიუღია ქართულს მწერლობაში. ამიტომაც „ავარიის მთავარსაც“ (გრ. ორბელიანს) ასე მცირე წიგნაკი დაუტოვებია შთამომავლობისათვის.

სული და გული კი მაინც მწერლობისაკენა ჰქონდა ბარათაშვილს. საბეჭდი ორგანო არსად იყო, მაგრამ ის ლექსებს სწერდა, თეატრი არსად იყო, მაგრამ ის დრამას ამზადებდა. სთარგმნიდა და ბავშურის აღტაცებით ტაშს უკრავდა ტოლ-ამხანაგთა მონაწილეობას ქართულ მწერლობაში. 18 (30) ოქტ. 1841 წელს პოეტი სწერდა გრ. ორბელიანს, რომელსაც ყოველთვის ანგარიშს აძლევდა სამწერლო საქმეში:

„ლიტერატურა ჩვენი, ღვით, ღღე და ღღე შოულობს ახალ მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითი ენის ტრფიალებისა, ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ ჰსძინავთ გონებით!“

იმევე წელს ისა სწერს ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბიანმა¹⁾ გადმოთარგმნა Ромео и Джулиетта შექსპირის ტრადედია და მე ვთარგმნე Юлий Тарентский, ტრადედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გაშინჯე, იტირეს.“

ეს თარგმანი დაკარგულია. საკვირველია რომ ამ ტრადედიაზე არაფერი იხსენიება იმ რეპერტუარში, რომელიც გიორგი ერისთავმა წარუდგინა თ. ბებუთაოვს 9 ნოემბერს (21) 1855 წელს, ეტყობა ეს თარგმანი მაშინაც დაკარგული ყოფილა.

სამწერლო ბიოგრაფიის შესავსებლად მოვიხსენოთ აქ ისიც, თუ როგორ იღვიძებდა შემოქმედებითი ძალა პოეტისა და სად იზადებოდა სიუჟეტი მისის ლექსებისა.

უმეტესი ნაწილი ბარათაშვილის ლექსებისა, როგორც მოგვითხრობენ მისი ამხანაგები, არის დაწერილი სახლს გარეშე. სახლში იმას ჯო-

¹⁾ დ. ყიფიანმა. რედ.

ჯობეთი ჰქონდა ჩამდგარი, რომელიც სიკოცხლეს უმწარებდა და ყოველგვარ სულის სიმშვიდეს უმღვრევდა. მხოლოდ სახლს გარეშე, ნათესავეებთან, ტოლ-აზნაგებთან და უფრო ვერის წყლის პირას, მთაწმინდაზე, გაჩეთუბანში საღამო-საღამოებით სეირნობის დროს, მთვარიან

ნინო გრიბოედოვისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი.



ამოღებულია რუსეთის აკადემიის გამოცემულ გრიბოედოვის თხზულებიდან.

ლაშევებში გადაეშლებოდა პოეტს გროვა პოეტურის სახეებისა და აზრებისა. მისის წიგნების და მოწმობათა თანახმად ბარათაშვილი გვეხატება ჩვენ ოცნებისაგან გატაცებულ ახალგაზდა რომანტიკოსად, რომელიც შეყვარებულია მთვარიან ღამისა და აჩრდილების.

„Я оживляюсь только по вечерам лунным — სწერს იგი მიხეილ თუმანიშვილს — так прекрасным в Тифлисе! Вчера, в один из этих вечеров пошел я бродить к Московской заставе; вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взгля-

нуль на это онѣменіе: 11 часовъ ночи. Ни души. Кругомъ пустота вѣчная; луна тускло освѣщаетъ могилы какъ догорающая лампада усопшаго. Тихо и медленно протекаетъ Кура, какъ будто боясь нару-

ეკატერინე, სამეგრელოს მთავრის ცოლი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი.



სურათის დედანი ეკუთვნის ს. და ს. საზოგადოებას.

шить покой въ этомъ уныломъ мірѣ!... Ты теперь въ раздолѣ, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которыя навело мнѣ на ду-

шу это зрѣлище, небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобрѣ-
тение кладбище, а это необходимо, чтобы смертный порою читываль
бы по нему свою жизнь: утѣшеніе несчастнаго конецъ счастію!

— ერთი მესამედი ბარათაშვილის ლექსებისა არის ნაყოფი სიყვარუ-
ლისა და მშვენებების. ეკატერინე ქავჭავაძისა, ნინო ორბელიანისა,
ნინო გრიბოედოვისა, მისი დელოვინა და სხვანი ერთი ერთმანეთზე უკე-
თესნი — შეადგენდნენ მისთვის დაუღვეველს წყაროს პოეზიისას.

ლევან მელიქიშვილმა გვიამბო, სხვათა შორის, გენეზისი ერთის
მისი ლექსისა.

ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან
სალამოზე და იქიდან შემოვარდა ყაჟღან ორბელიანთან, საცა დაუხ-
ვდა იმას ლევან მელიქიშვილი.

„ლევან, ლევან! გავგიჟდი! მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და
მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს
ვერაფერს უკეთესს“. და იმ სალამოს სახსოვრად დასწერა ლექსი „სა-
ყურე“...

VI

ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან ტფილისს. — მისი დასა-
ფლავება. — დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვები ილია ქავჭავაძის და
აკაკი წერეთლის. — ვაჟა-ფშაველას ლექსი. —

„მერანის“ დამწერს იგივე ბედი ეწია, რაც ბედი ეწია „ფარის“ — ის
დამწერს: ორნივე სამშობლოს გარე მოკვდნენ და სამშობლოს გარეშე
დაიმარხნენ. გარნა დრონი იცვალნენ და სამშობლომ თვისი მოითხოვა
და ორნივე სასიქადულო მამულიშვილნი იქმნენ გადმოსვენებულნი —
ჩვენი მგოსანი განჯიდან ტფილისს და პოლონეთის დიდება პარიზიდან
კრაკოვს და დასაფლავებულ იქმნენ ჩვენი — დიდუბეს, თამარ მეფისგან
განწმედლილ ადგილს, და მიცკევიჩი — კრაკოვის ტაძარში, საცა იმარხე-
ბოდნენ პოლონეთის მეფეები და შესანიშნავნი კაცნი.

1893 წელს ბარათაშვილის ნათესავებმა, დებმა: ბარბარე ვეზირი-
შვილისამ, სოფიო სუმბათაშვილისამ და ნინო ბარათაშვილისამ, ბიძა-
შვილმა თ. გიორგი ილიას ძე ორბელიანმა და დისწულმა ნიკო¹⁾ რევა-
ზის ძე ერისთავმა აღძრეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ნება

¹⁾ პოეტის მეოთხე დის ეკატერინეს შვილია. რედ.

დაერთოთ მათთვის გადმოესვენებინათ განჯიდან ტფილისს მათი ოჯახის დამამშვენებელი მგოსანი.

ნებართვა რომ მიიღეს, მგოსნის გადმოსასვენებლად გაემგზავრნენ განჯას: გ. ი. ორბელიანი და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრი გ. ნ. იოსელიანი და ა. მ. ჭყონია.

თუ როგორ იპოვეს ამათ ბარათაშვილის ნეშტი, აი რას მოგვითხრობს მაშინდელი „ივერიის“ მოამბე.¹⁾

„მეკუბოვე შეუდგა მიწის მიყრა-მოყრას, კუბო თითქმის აღარ შენახულიყო. იპოვეს მხოლოდ მისი მოსართავის ბუზმენტის რამდენიმე ნაწიყვეტი. მისივე გაყოლებით ჩონჩხიც ესვენა უმთავრესი ნაწილებით ანუ სახსრებით დაუმიწვებელი. ტანთ-საცმელისა აღმოჩნდა სერთუკის ოთხი თითბრის ფოლაქი მძიმედ შენგ მოღებული და დამპალის მაუდის ნაგლეჯებზე დაკიდებული. უცხო და საინტერესო იყო ერთი მაუდის ნაფლეთთაგანი, როგორც ჰსჩანდა, სახელოსი, ზედ სამოქალაქო უწყების მუნდირის ოქრომკედის კანტი და მაზედ კიდე ფოლაქი. ფეხ-საცმელისა კი იპოვეს ცალი ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალი საპირე ყელითურთ, როგორც ჰსჩანდა, ძველებურის ქართულის სამოგვის წადისა, რადგან შესაკვრელი თასმები ზედვე ჰქონდა...“

კუბო, ტანთსაცმელი და ჩონჩხის წვრილი სახსრები სრულიად გახრწნილიყო, ამის მიზეზად ამბობენ აკაკის ხეს, რომელიც იქვე ყოფილა დარგული და რომლის ძირზედაც დღეს პატარა ყლორტებილა ამოხეთქილი. აი ამ ხეს რწყავდნენ თურმე და წყალი-კი კუბოს თავს იწურებოდა, რის გამოც კუბოსა და გვამის გახრწნა მოსწრაჟებულა, ოცდა ორის წლის წინედ მიცვლილის ნათესავის გვამთან შედარებით, და ხეს-კი ფესვები დაუყრია. მოიტანეს კუბო და ფრთხილად შეუდგნენ ნაწილების ამოკრეფას. თავის ქალა დაუშლელი იყო. უმთავრესი სახსრები, როგორც ზედა ისე ქვედა ტანისა გაუხრწნელი და შეუშუაგრელი იყო და განსვენებული მგოსანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექიმმა სთქვა, მოსული ვაჟკაცი ყოფილა. თავის ქალაც ამასთანავე საკმაოდ დიდი იყო. წვრილის სახსრებისა ზოგიერთი ნამტვრევი-ლა აღმოჩნდა. ძვლები რომ ამოკრიფეს, მერმე ის მიწაც ამოიღეს, ჩონჩხის გაყოლებით რომ იყო. ყოველივე აღმოჩენილი ნაშთი გვამისა, ტანსაცმელისა, თუ

¹⁾ „ივერია“ 1893 წ. № 88.

კუბოსი დაიკრძალა კუბოს შუა უჯრაში, მხოლოდ ორიოდ უბრალო ფოლაქი და აგრეთვე ის ფოლაქიც, რომელსაც სახელოს ოქრომკედის კანტი შერჩენოდა, ბ-ნ ალექსანდრე ჭყონიამ ჩაიბარა“.

ძვირფასი ნეშტი მგოსნისა წამოასვენეს განჯიდან ქალაქს 25 აპრილს, 1893 წ.

გაზეთი „ივერია“ აი როგორ აგვიწერს მგოსნის ქალაქში ჩამოსვენებას¹⁾: „კვირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე... ვაგზლის ან-მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ქედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე სამღვდლოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელნი ქართველ ინტელიგენციისა და მაღალის საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დებუტაციები სხვა და სხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებითა პოეტის კუბოს შესამკობად. 9¹/₂ საათზე მოვიდა მატარებელი და ვაგანიდან გადმოსვენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ: პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი თ. გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც ვაგზავნილი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვაგზლიდამ სამგლოვიარო „წმიდაო ღმერთო“-ს გალობითა. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრია და პატივი-სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამჟიონი შემკული იყო ძვირფასი სხვა და სხვა გვარის გვირგვინებით და კუბო ხელში ეჭირათ ხან ქალებსა, ხან ახალგაზღობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისა, სასულიერო სემინარიის შევირდებისა, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ბ-ნ ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურს-დასრულებულ შევირდებისაგან მღვდელს მამა ვ. კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრია მუხლი, მისმა ყოვლადუნსამღვდლოესობამ წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტ-

¹⁾ „ივერია“ 1893 წ. № 86.

ყვა. თვით ეკლესიაში სიტყვა სთქვა ზიარების დროს მღვდელმა კ. ცინ-
ცაძემ.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება.



ტფილისის ვოგზალთან.

ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაიღო სურათი პროცესიისა. წირ-
ვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილ იქმნა კვლავ მცირე პანა-
შვიდი და წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. სიტყვები და ლექსები წარ-
მოთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ნ. ორბელიანისამ, ქუ-
თაისის ქალაქის მოურავმა ლოლოუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრა-
ძემ, გ. წერეთელმა, სომეხთა ახალგაზდა პოეტმა ბ-ნმა თუმანიანცმა,
თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვათა“.

ყველა აქ წარმოთქმული სიტყვებიდან მომყავს აქ ორი სიტყვა:

ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის და ერთი „კლდიდამ გარდმომ-
ქუხარი“ ლექსი ვაჟა-ფშაველასი.

სიტყვა ილია ქავჭავაძისა*)

„თვითვეული ცემა გულის ძარღვისა გვქრის და გვაწყლულებს ჩვენ,
და ჩვენი სიცოცხლე ქრილობით ამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნე-
ბოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, სიტყვა ერთმა ბრძენმა.
ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალთ გადახედავს, მოუ-
ვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს
მსურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას
იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს
ერისას მართა ამ საწყაოთი სწყავეს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა
ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის
წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა,
ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგან-
ნაც იგი მოვლენილია, რომ ქრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა
კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალღონე უნდა სულისა და ხორცი-
სა და ამიტომაც როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავ-
მოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველები-
სათვის; თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუ-
ქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა, წადი და
კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო.
კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ხედავთ, იგი დიდი
ტვირთიც არის.


დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას
ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ეზიდო, ოღონდ
ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევსწირავ განწირულის სულის
კვეთებამდეო. ამ განწირულებამ გარდაცვალების ერთის წლის წინაჲ

*) „ივერია“ 1893 № 86.

ეს სიტყვები ამოაკენესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაეჭა ბოლოს:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში ჩემთა წინაბართ საფლავებს შორის; ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნუ-ლა დამეცეს ცრემლი მწუხარის!.. შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის, და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის! „სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა, დამეცემიან ციურნი ცვარნი, ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სეაფნი მყივარნი“.

6. ბარათაშვილის ნეშტი ვაგონში, ვანჯიდან გადმოსვენების დროს.



სურათი ამოღებულია 1893 წ. „კვალიდან“.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარხო თავის მამულში, მას არ დაეღინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა. ეს ჯაფრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა და დღეს ჩვენ,

ჩვენ-და სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნაშთი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი ნაში ცრემლად ზედ აღინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი-შიიბაროს მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოცდა შვიდ წელიწადს შემდეგ და იქნება სთქვან გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოც და შვიდი წელიწადი უკლავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის, არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე აღრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენელობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმალლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუა გახსნილმა და გულ გაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდ-ბუნებოვან კაცისა.

დიდ-ბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვართყივართ დღეს და აქი იწინასწარმეტყველა კიდევც:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კუბთება! და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დაჩჩება.“

დარჩა კიდევც. ეგ გზა უვალი თვითვეული ქართველის გულია, საცა მისმა მკრანმა ღრმად ჩააქდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას, ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდ ფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდ-ბუნებოვანობამ ჩვენს გულში აღაგო.

მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითვეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია. „სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვანნი მყივარნი მივალალებენო“. ასრულდა ეს წინასწარ-თქმული მისი მაშინ და დღეს-კი მის მტვერს, მის ნაშთს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან წინსი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დაზღის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი.

სიტყვა აკაკი წერეთლისა*)

მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი,
 განთიადისა მორბედი,
 რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ
 ტყეთა ფრინველნი და ვარდი.
 მინდა მზე ვიყო, რომ სხივი
 ჩემთ დღეთა გარსა მოგველო,
 საღამოს მისთვის შთავიდე,
 რომ დილა უფრო ვაცხოველო.

ეს ინატრა ახალგაზდა მგოსანმა ამ ნახევარ საუკუნის წინეთ და ეს ნატვრა წინასწარმეტყველებად გადაექცა: გახდა წინამორბედად ჩვენის ახალის ცხოვრების განთიადისა და იქ შორს, სამშობლოდან უცხოის მხარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულყო. ამას ვხედავთ და დღევანდელი ჩვენი მიგებება, გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიად, არავის გეგონოსთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორც თვით მგოსანის მთელ საქართველოსადმი სიყვარულით ავსებული გულის-ძკერა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი ჰფინოს და მართლაც რომ უკეთეს ადგილს ვერ გამოვძებნიდით.

მართალია, ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს ადგილი, ეს დიდუბე წმინდა წმინდათაა. აქ დაიდგა პირველად ძლიერის გვირგვინი უპირველესმა ჩვენმა საისტორიო მნათობმა თამარ მეფემ. მართალია, დღეს დიდუბეს ის ფერი აღარ ადევს, აღარც ის ტაძარი, აღარც ის სასახლე, აღარც ის წაღკოტია. ჟამთა მსვლელობამ, დროთა ვითარებამ ის გადაასხვაფერა, მაგრამ დიდებული ხატი-კი მაშინდელი შეუცვლელად დარჩა საქართველოს ხსოვნაში. აქამომდე ჩვენ წარმოვიდგენდით თამარს თავზე ძლიერა-მოსილ გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩანგით საკადრისი მისი მწერალი რუსთველი. დღეიდან უფრო დასრულებული იქნება ეს ხატი, მეორე გვერდით ედ-

*) „ივერია“ 1893 წ. № 92.

გომება ბარათაშვილი. როგორც ამ შვიდასის წლის წინეთ დასავლეთ საქართველოდან, ესე იგი იმერეთიდან, მოვიდა ხალხი, რომ თავყანი ეცა დიდებულ თამარისათვის და საზოგადო საერო ლიტანიაში მონაწილეობა მიეღო. დღესაც მოვსულვართ იმერეთით, რომ ნიშნად სამარადისო ძმობისა და განუყრელ ერთობისა დავადვით გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს, გვირგვინი შეკონილი პურის თავთავისაგან, საგულისხმოდ მისა, რომ მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივის ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა, — მთელი საქართველოსი. ნაყოფიერი იყოს ეს ხორბალი, როგორც დღემდე, ამიერიდანაც, რომელთანაც ერთად დაუვიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

ლექსი ვაჟა-ფშაველასი*)).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს.

მშვილობა შენს ნეშტს, მგოსანო,
ქართლისა წყლულთა მოზარე,
მშვიდობა, სულო ძლიერო,
თავის სამშობლოს მოყვარე,
დიდება შენს ჩანგს რომ ბევრჯელ
თვალზე ცრემლები მომგვარე.
არ დაივიწყა სამშობლომ
შენი მის ბედზე ტირილი,
მედგარი სულის კვეთება,
შევ ბედობაზე ჩივილი,
დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულის ტკივილი.
მადლი შენს თანა-მომძვითა, —
მიწა გახილეს მშობელი,
შენი სატრფო და სადარდო,
გულს ლახვარ-დამასობელი.
შენი მერანი კვლავაც რბის

*) გაზ. „ივერია“ 1893 № 119.

ქართული მწერლობა. წიგნი პირველი

ლექსნი

იქმუნსი

თ. ნ. მარათაძის საგან

თფილისი

ეძეთიმე ხელაძის სტამბა

1876

მისი ნაველიც შეთენილა,
 უმადლოდ არ დაკარგულა,
 თუ ოდეს ცრემლი დენილა.
 მიიღე ჩემი სალამიც,
 გამოგზავნილი მთიდანა.
 „ჩვენი არაგვიც“ მუხლს გიყრის,
 გადმომქუხარი კლდიდანა;
 თვის „ატეხილი ქალები“
 ცრემლით ატირა ცხარითა,
 სმენად გადიქცენ ისინიც,
 გრგვინვა რომ ესმათ ბარითა.
 ქედებმა თავი იდრიკეს,
 ფიქრით მოიცნენ მწარითა,
 ამწვანებულნი მწვანედა
 განათლებულნი მთვარითა.

ნ. ბარათაშვილი დასაფლავებულია დიდუბის ეკლესიის გალავანში, საშვალ იმ ადგილისა, საცა განისვენებენ კოსტანტინე მაჩაცაშვილი, გიორგი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ოქრომქედლიშვილი, მიხეილ ყიფიანი და სხვანი საქართველოს მოღვაწენი.

მის სადა ძეგლზე, რომელიც დადგმულ იქნა 1905 წელს, აწერია: „ნიკ. ბარათაშვილი 1816—1845“, და გარშემო მისი ლექსებია, ერთს მხარეზე: „გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო. გარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქომომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!“

მეორეზე: „რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული!
 და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
 ჭირსაც ვით ლხინსა ერთგვარ დაქლერის!
 ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდებე,
 თუ მოაკლდება თავისუფლება!“

მესამეზე: „არც კაცა ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს: იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს.“

და მეოთხეზე: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სუ-
ლის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
დარჩება.

მე რომ დავსწრებოდი იმ რჩევას, საცა გადაწყდა, რა უნდა დაეწერათ
ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვაზე, ჰაზრს შევიტანდი, დაეწერათ ჩაილდ-
ჰაროლდიდამ სიტყვები:

И даже послѣ погребенія
Останусь жить съ своею тоскою*).

*) ეს წერილი განსვენებულმა ი. მეუნარგიამ დასწერა 1893 წ. და დაბე-
ჭდა ფელეტონებად გაზ. „ივერიაში“. ხოლო მაშინ დამთავრებული არ ჰქონდა.
დაამთავრა, შეავსო და შეასწორა სავანგებოთ ჩვენი გამოცემისთვის სიკვდი-
ლის წინ.

რედ.

მ დ დ ს დ ბ ი.

ა. ბულბული ვარდზედ.

ბულბული ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი:
 „ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტვინავი,
 მალირსე, თუ როგორ-არს გაშლა შენი მლინავი,
 4. მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი!“

ასე ჰყეფდა ბულბული, ოდესცა ლამე ბნელი
 მოიცვამდა ჭლებსა; ჰქრიდა ნიავი ნელი;
 და როს ჰსდუმდა ბულბული, მაშინ აღმოჰხდა მთვარე,
 8. ვარდმანც მაშინ მოჰფინა სუნნელება მის არე.*)

მაგრამ მგოსანსა თურმე მოერია გლახ რული!
 აღმობრწყინდა მთიებიც და ფრთოსანთ მზიარული
 გალობა ჰყვეს ჰაერში, განაღვიძეს ბულბული, —
 12. ნახა ვარდი ფურცვნილი და მყის მოუკვდა გული!

თვალნი ემოსა კრემლით, გული სევდის საცლმითა,
 ფრთა ფრთას ჰკრა და აღშალდა, მსტვინავი ლმობის ხმითა,
 უხმო ყოველთა სირთა: „მოდით და შემოკრბითა,
 16. მისმინეთ, შემიბრალეთ, ვის მივმართო წყლულითა?“

„განთიადით ღამედმდე შევფრფინვიდი კოკრობას,
 არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, ვალობას;
 მქონდა მცირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას:
 20. მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვჰფიქრობდი დაქკრობას!“

წელსა 1834.

*) დედანშია: მისარე.

ბ. ქ ე თ ე ვ ა ნ .

4. ზვირთები მოდუღუნებენ,
ქალები ბუჩქნარებენ,
ხშირნი ლამაზთა კიდეთა,
მჩქეფრად მდინარის ქსნისათა.

8. მიმქრალეებული მთოვარე მოწყენით ნათობს მუნ ქალსა;
მდინარის პირზედ ჰზის იგი, კელთა ჩონგურის მპყრობელი:
გიშრისა თმანი ნაშაღნი, ჰშვენიან სპეტაკს საცქელსა,
და დამღერს იგი საკვდავად, ცხარეთა ცრემლთა მდენელი:

12. „აჲ-ენანნო, ოდეს დაჰსცხრეთ,
მოასვენოთ ეზდენ ხული?
რა გარგოთ რომ შეიშურეთ
უბიწოა სიყვარული?“

16. „გულის-ჰსწორო, ერთის ცილით
აგრე როგორ შეიცვალე,
რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით
მას აგრე მჰსწრაფლ ანაცვალე?“

20. „თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი:
„მე შენი ვარ საუკუნოდ!“
სიყმაწვილეს რად მიღხენდი,
თუ მოჰკლავდი ასე უდროდ!“

24. „რად შემიპყარ მე გლახ გული,
უმანკო და უზრუნველი;
რად დამიქცნე მე ყვაველი
ყმაწვილობის, ჯერ უშლელი!“

28. „ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,
რომე არის სხვა სოფელი;
ოდეს ჰსცნა, რომ ვარ უბრალო,
მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!“

32. ჰსდუმდა — და მეცა ვიცანი
ქეთევან ჰაეროვანი,
ქეთევან ნაქები გულით,
ნაქები მშვენიერებით.*)

36. ნეტა რა ქარმან დააზრო მისის სიცოცხლის ყვავილი?
მეც ამატირა მის მხედრმა, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში:
ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო, დელვილი;
მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთებში!


1885.

*) დედანში წერტილი არაა.

8. უმოდამება მთაწმიდაზედ.

4. ში მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,
 დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
 ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
 ოდეს სალამოს, დაჰშთენ ამოს, ციაგნი ნელნი!

მთაწმიდა ნ. ბარათაშვილის დროს.



სურათის დედანი ეკუთვნის ტფ. ქალაქის მუზეუმს.

ვითარი მაშინ იღუმილობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ
მდგომარეს!

ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი, მოჰყენენ ვითა ტაბლას
წმიდასა,

8. და ვით გუნდრუკსა, სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

12.

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ღე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოის-
წრაფიან,

16. მაგრამ შენამდინ ვერ მოალწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე შენსა მქვრეტელს მავიწყდება საწუთროება,*)
გულის—თქმა ჩემი შენს იქითა.... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება,....

20.

მაგრამ ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდევ სერზედა, და ცათა მიმართ მზირალს
ტრფობითა,

შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიჰენი, ღელეთა შორის აღმოკვენესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენნი, ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

24.

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან კრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შევება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

28.

*) დედანში არაა მძიმე.

მსდუმდა ყოველი მუნ არემარე; ბინდი გადგრა ცისა კამარას.
 მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას;

6. ბარათაშვილის ავტოგრაფი.

ქ. შ. იამბუა შახმურაძე.

ბო შახმურაძე, მთა წმინდა ივერის უბანი
 კამბუჩეშვილი, ფანანა ქ. უბანში,
 ვინა მუხან, რს მხმინ ავირს ფანს,
 აქეს სკოლას, კამბოხ ანას, ცოვნი რეა

ფილი მხინ იქმობი კარსეუჩეს შინ ამბოხი

ბო სინაძე წმინდუფელ ივერს მხინ ზის მუიქს მთაშე მუიქს

ბოლ უბანი, კამბს ვიქსს ყველას მხეუშ ქო ქო

ქო ყველას სანაქ ვიქს შხეა ვექმეენ სინა

მხეუშ იქ კან, სანა ქო რს ივერის

ვექს მხეუშენ ვხინ ამბოხი მამა

ქ ივერს სკოლას ვიქ მხეუშენ ვექმეენ

ბო ქოლას მხეუშენ ვექმეენ სინა

გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცე-
ბული?

32. მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შუქმიბინ-
დული!

ამ გვარი იყო მთაწმიდაზედ შემოლამება!

ჟი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი

მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი;

36. მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი ჰსძღვენით მას შეება!

ჟი სალამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!

როს მჰმუნვარება შემომესევს, შენდა მოვილტვი განსაქარებლად!

მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,

40. რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

დ. კმა იღუმალი.

ვისი კმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?

4. რა ვჰსცან პირველად წუთი სოფელი,
დავჰშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
ჰსწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, —
მას აქეთ კმა რამ თანჰსდევს ყოველთა

8. ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად,
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ქირად:
„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
12. ვინძლო იპოვო შენი საშენი!“
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!

16. ნუთუ კმა ესე არს კმა დევნისა
შეუწყალისა სინიღისისა?...
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა?

20. ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მატური ჩემი,
ვინცა ხარ, მარქვი, რას ჰონისწავებ?
სიკოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვჰსცნა მე შენი საიდუმლობა,
24. როს მხვედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?...

მ. ძინა გ...სთან.

- ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
4 გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!
მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;*)
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო, უცხო თემად იარე,
8 მრავალი კარგი ნახე ამბავი. —
მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა ის ღამე, ოდეს სატრფონი
აღამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
12 შენის სიყრმისა თან-ზრდილნი ჰსწორნი. —

*) დედანშია: მისარე.

3. ლამე ქაბახზედ.

მიყვარს ყაბახის არე მარე, თვალად საამო,
 მაისის ლამე, მიბუნდვილი, გრილი და აშო;
 მაგრამ უმეტეს მიყვარს ლამე, როს მთვარე შუქით
 4. მოჰტენს ყაბახსა და კოჯორი დაჰქრის ნიავით,
 და მომდინარე ხან ზვირთთცემით, ხან ნელად მტკვარი,
 მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ეამთ მოჩივარი!

ამგჳარი იყო ის ლამეცა, ოდესცა გარე
 8. ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
 აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქ იქა*) ქალნი,
 პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც-მოსილნი,
 და მათ გარემო შეჰფრფინვიდენ ყრმაწვილნი კაცნი,
 12. ზოგნი დამძინილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი;
 თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა:
 როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.—

„ჰსთქვი რამ, ეტყვიან ყაბლანს ზოგნი ერთი ქალები
 16. „თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანქვას ნუ კი მოჰყვები“.
 ყაფლანც სულდგმული აშიკობით დაილილინებს
 გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიდერებს.
 ვის არ ჰსმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები—
 20. არა აშლოდეს ჩვენსა ქალსა—ტრფობის ქირები!

უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი
 და—მეყვსეულად მან მიმილო ჩემნი ცნობანი.
 არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?
 24. სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!
 ვნახე სადღაცა**) ქალთ კრებაში როდისღაც ერთაი,

*) დედანშია: აქ იქ.

**) დედანშია: სადღაც.

- მას აქეთ თვალი ვეღარ მოჰკარ და ახლა ერთი
 38. ჰსდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,
 ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი გულთა ჭირისა!
- თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;
 ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვჰსდგევი წინა
 და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მგღირსა კვალად
 32. სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად“. —
 „ჰგმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ
 კიდევ:
 ახლა მოდაჲ, ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ. —“
- „ღარშუმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
 36. ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“.
- ამა სიტყვაზე ვარდი ლაწვთზედ მყის აეფურცლა,
 ამ დროს ნიაფმანც თეთრი კაბა მიმოუჭროლა
 და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
 40. რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა;
 ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტება ბროლსა,
 რომელმან შეება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
 მაგრამ სხვა მუნით მიიკომბდა სატრფოსა ქალსა,
 44. რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა! —

3—ა. ღამე ყაბახზედ.

მიყუარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,
თაღხად ბნელისა მაისის დროს წყნარის და ტფილის
ბევრჯერ მინახავს სახე შენი შტუნეირებია—

4. ძუძულის ახალთან, ახლის ძველთან შენობაებით;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოჭფენს შენს არეს, თვით ბუნებით სავსეს სიამით,
და მომდინარე მქველებითა ხუვილით მტკვარი
8. ზეირთთა ალატყუცელს*) შორით სმენად დასამტკობობარი!

ამ გუარო იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩუტულებრივ ყაბახს ვიარე,
სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი

12. პირად-პირად სვირნობდენ კეკლუც მოსილნი,
და მათ გარემო შეჭფრფინვიდენ ყრმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დამძინილნი. ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
16. რომ ჭყჭყნას მთვარეო შეეტრფოდენ და მას კი არა!—

„ხსთქვ რამ“ იტყვიან, „ყაფლან, ყაფლან“, ზოგნი ქალები,
„თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანქვას ნუ კი მოჰყევი“. —
ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დაილიდინებს

20. გულის საკუდავად და თან-და-თან ყელს მოიღერებს. —
ვის არ გსმენიათ მის ლომობით თქმა, რომ მყის სევდები,
კეკლუცნო ქალნო, არ აგშლიათ გულად მკვდრები?
კილოს და კილოს კორკში ამოდ დაირაკრაკებს.
24. და მას ნიაფი არე-მარეს შეამუსიკებს.

*) ალბად უნდა იყოს: ალატყუცელს.

- უცრად მარჯუნივ დავინახე თეთრ-კაბიანი,
 მათ შორის მდგომი, ვინ მიმკადა მსწრაფლად ცნობანი,—
 არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უკროს ცეცხლისა;
28. სად არს გაბედვა, სად არს ძალი გრილის გულისა?
 ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
 მას აქედ თვალი ველარ მოვკარ, და ახლა ერთი
 სდგას აქა წყაზრად, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა;
32. ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსწრაფლ გონებისა!


- თვალი შემასწრო მან ამ დროს მე და შემომლინა:
 ამან გამამხნო—და გულს ძგერით წარვჰსდევდი წინა
 და ასე ვუთხარ: „ნეტარ რომ მე მეღირსა კვალად
 36. სანატრი, ჩემთვის ნახვა თქუნი აწ მხიარულად.“
 „გმიდლობთ, მითხრა მან, რომ თქუნი მაინც გახსოვვართ კიდევ;
 ახლა მოდაა; „ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ“.
 „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
 40. ვერ მამიშლიან თქუნიხსა ხსოვნას და ვერც დროები“

- ამა სიტყუაზე ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა,
 ამ დროს ნიაემანც თეთრი კაბა მიმოუქროლა
 და—ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
 44. რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმხადეს თვსდა;
 ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა,
 რომელმან ჩემს გულს სანდომობით შუტბა მოჰფინა;
 მაგრამ სხუა მუნით მიიჰკობდა სატრფოსა ქალსა,
 48. რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი—თვალსა!

ზ. ფიქრნი მტკვრის პირას.

- წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
 აქ ვეძიებდი ნაცნობს აღგილს განსასვენებლად;
 აქ ლბილს მდელაზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
 4. აქა ყოველი არემარე იყო მოწყენით:
 ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა
 და მის ზვირთებში ჰკრთის ლაქვარდი ცისა კამარა.
- იდაყვ დაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისსა ჩბრიალსა
 8. და თვალნი ჰრბიან შორად, შორად ცის დასავალსა!

ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფი.



ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“, ე. თაყაიშვილის ვარიანტისა.

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვის თვს რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება

12. რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?...
მაინც რა არის ჩვენი ყოფა—წუთი სოფელი,

თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,

16. და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით, ისი ეკპაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს

ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,

ჰმფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: „როდის იქნება

20. ის სამეფოცა ჩვენი იყოს“, და აღიძვრიან

იმავე მიწის თვს, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...

თუნდ კეთილ მეფე, როდის არის მოსვენებული?

მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;

24. მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს

თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს

არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამამავლობას!...

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს. *)

28. მაშინ ვილამ ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

.

მაგრამ რადგანაც კაცი გვქვიან — შეიღნი სოფლისა,

უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;

32. იყოს სოფელში და სოფლის თვს არა იზრუნვოს!

1887.

*) ამ პწკარში ერთი მარცვალი მეტია.

ც. ჩოხიძის.

შენნი მოთქმანი, კაეშნის უმანი,
ხანცა ოხვრანი, ხანცა ამოსკენანი,
წარსრულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!

4. მი ჩონგურო, ნეტავი ოდეს
კმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

8. მაგრამ სად ვნახო, შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!

1837.

თ. ჩემს ვარსკვლავს.

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?
 მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო:
 შენთვისა სული შენსა მოლორუბლვას,


4. შეეჩვია გული სვედითა კრთოლვას!

ნუ გგონია ბედსა მით დამიმწარებ,
 რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ;
 შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,

8. როს მიბეჭუტვით ნისლით გამო მონათებ.

რა სახითაც გინდა შენ მე შეჩვენო,
 მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:

6. ბარათაშვილის ავტოგრაფი.



ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“, ვ. გუნიას ვარიანტისა.

- ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
12. მალხინებელ დაბინდულის გულისა!

- მოციმციმდი, მოდი გამომედარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე;
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
16. ნაბერწკალნი ეშხისა მომაყარე.

ი. ნ ა პ ო ლ ე ო ნ.

ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ჭრანციას,
და ჰსთქვა: „აბაო კელმწიფებამ რა შემიძინა?“
და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა,
4. მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რაღაც გარდაეფინა.

„ახლა კი კმარა, ჰსთქვა მან გულში; სურვა აღმიხდა:
სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად,
შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენად
8. და დაუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად.“

„მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!
მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხნა შარავანდედი;
12. ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმელი!“

„მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვჰსწყინდე,¹⁾
და სხვა მან ჩემის სახელითა დაავიჯინოს!...
არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:
16. მენ მან გამზარდა და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს?“

„ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!
რა გინდ ძლიერად, ზეცნიერად, ვინ კელმწიფებდეს,
მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,
20. თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“

ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!
თვითონ სიკვდილიც მას უბროდ აღმოგვიჩინებს:
დამქრალი ცეცხლი და ზღვის დეღვა წარმოგვიდგინებს
24. მისს²⁾ ცეცხლსა სულსა და ზღვა-გულსა განსაკვირველებს!

1838.

1) დედანშია: მოვჰსწყინდე.

2) დედანშია: მისსა.

ია. თავადის ჰ . . . ძის ასულს,
ეკ...ნას.

4. კმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჭაეროვანო სულს ელბინები;
თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულეებ
და ღიმილითა ესალბუნები!
8. სადც ხარ, იმ არეს.
მოჰყენ სიამეს, —
უშენოდ მოჰსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ღებენითა.
12. ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!
მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის კმით,
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე;*)
პირმცინარითა,
სინარნარითა,
16. მგონის ყარბს გულს ესხვიმფენარე!

1889.

*) ბულბული და ვარდი ლექსია სამღერალო ნათარგმნი რუსულიდან თ-ის. ჭავჭავაძისაგან. (შენიშვნა ნ. ბარათაშვილისა).

იბ. ს ა ყ უ რ ე .

4. ვითა პეპელა
 არხევს ნელნელა
 სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
 ასე საყურე,
 უცხო საყურე,
 ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

8. ნეტავი იმას,
 ვინც თავისს სუნთქვას
 შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
 შენის შერხევით,
 სიო მობერვით
 12. გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

16. ზი საყურეო,
 გრძნებით ამრევო,
 ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
 მუნ უკვდავების
 შარბათი ვინ სვის?
 ვინ სული თვისი ზედდაგაკონოს?

იზ. ჩ ჩ ვ ი ლ ი.

4. მიყვარს, მიყვარს, მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურისა მის კმის,
ოდეს იგი ენითა სასუფეველის
ულერსებს წიაღთა თავის მშობლის!

8. მის სოფელი უზრუნველობით ჰშენობს;
გარდა დედის აღერსისას, არ რას ჰგრძნობს;
ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს;
ყოველსავე შეუბოვრად მჭვრეტელობს.

12. არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;
იგი თავის სასუფეველითა შობით
ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.

16. იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგზარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!

იღ. სული ობოლი.

4. ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
 ნუ ვინ ჰსჩივის თაეისს უთვისტომობას, —
 საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი:
 ძნელა ჰპოვოს, რა დაკარგოს, მან ტოლი!

8. მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
 ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
 მაგრამ ერთხელ დაობლებული სული,
 მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

12. არღა რა აქვს მას ნდობა ამა სოფლის:
 ემინიან, იკრძაღვის, არღა იცის,
 ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
 ეფიქრება კელმეორედ მას ნდობა!

16. ძნელი არის მარტოობა სულისა:
 მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
 მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
 ოხვრა არის შვება უბედურისა!

იე.

სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
 მშვენიერი ცრემლით ჰკრთოდენ,
 და ბაგენი მღუმარენი
 4. ხვაშიადსა მიმალვიდენ!

მაგრამ სულო, იგი ცრემლი
 არ ჰსტიროდა ამ სოფელსა;
 სახე შენი მოწყენილი
 8. არა ჰგავდა ხორციელსა!


აწ მივხვდი მე, უბედური,
 თვალთა შენთა მეტყველებას:
 თურმე ცრემლი უცნაური
 12. მოელოდა ჩემს ობლობას!

ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე
 ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,*)
 გულ-ამოსკენით ვიგონებ მე
 16. დღეთა ჩემთა ბედნიერთა!

1840.

*) დედანში მძიმე არაა.

6. ბარათა შვილის ავტოგრაფი.



ლექსთა სათაური, ვ. გუნიას ვარიანტისა.

ივ. ჩემი ლოცვა.

4. ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ ღელვილი!
ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულისტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

8. ზი სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვით აღდამშაც ჰსცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება, —
გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება.

12. ცხოვრების წყაროვ, მასე წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

- გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
 შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე
 და—ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთთ შენდა სათქმელად?
 16. მაშა დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად!

1840.

ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფია.

ლექსნი,

თქმულნი

თავად ნაყარობ პირთავსებზე.

1843.

ლექსთა სათაური, ე. თაყაიშვილის ვარიანტისა.

0ზ.

4. აღმოჰბდა მნათი აღმოსავალს, მზეებზე ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საადარო და მეც გლახ გული
მჰსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დაღამებული!
8. ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მათობლად;
ნუ თუ შენ*) ჰფინო შეგების სხივი ჩემს გულსა კვალად;
კვლავ აღმიტეხო გულის ჭირნი, მიყრუებულნი,
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსრულნი?
12. მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარი!
მეცა კელი ვჰყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევეერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!
16. დავმღერდე მას დროს, როს ვარსკვლავი მშვენეიერის ცით
მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;
მოვჰსთქვამდე თუ ვით მიმეფარა იგი მჰსწრაფლ ღრუბელს,
ბოლოს ვუმღერდე შუქსა შენსა შეგების მოპფენელს!
20. ვჰფუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ზი მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო.
შყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენ თვს დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება!

1840.

*) დედანშია: ნუთუშენ.

ივ. ჩემო მეგობარო.

4. ქაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ
და სიყვარული გულის ჭირთაც გისიამოვნებთ,
არ დაიწინოთ შავის ბედის მჰსწრაფლნი ლახვარნი
და შეუბოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი.
8. აჰყევით სოფელს შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა აღსა!
სასაცილოა ბერი კაცი, რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ქაბუკი ბერიკაცობდეს!
12. მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა.
კისრად ტვირთება წუთის სოფლის მიმე ზრუნვათა,
16. ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი-სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!
მხოლოდ ერთს გიორჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ჭირი:
20. არ შეემჰსჯვალოთ, მოკისკასეს, კეკელა ქალსა
სულის დამტყვევენელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა!
აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულოდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!

ივ—ა. ჩემს მებოძვარს.

- ქაბუკო, ვიდრე დილა გინათებს ცხოვრების დღეთა
და სიყვარულის მტანჯსა ჭირებსაც ჰფენს სიამეთა, —
4. არ დაიჩნია შავის ბედისა გულზედ ლახვარნი,
ლხინსა და ტრფობას გაატანინე ცრემლნიცა მწარნი.
- არ მოარიდო გული მღერალი ცეცხლს სიყვარულის,*
არ ათაკილო სიყმაწვილეს აყოლა სოფლის!
8. სასაცილოა, რომ ბერიკაცი კვლავ ყმაწვილობდეს,
გაუძლებელ — არს, ოდეს ქაბუკი ბერიკაცობდეს.
- მას ვაქებ ვინცა, თავისს სიცოცხლე ესთ განატარა,
რომ ყოვლი ჟამი, ხანის მიხედვით მიმოიხმარა!
12. მაშინცა კმარა შეაღვირება გულისა თქმათა,
კისრად ტვირთება ამა სოფლისა***) მძიმე ზრუნვათა,
ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილასა მას ნელს
და ცრუ სოფელი თვით სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!
16. მხოლოდ გირჩევ მას, და დაიხსოვე ესე თათბირი,
თუმცა ჯერეთ მეც ამ საწუთროსი ვარ მკოდნე მცირი,
მაგრამ მერწმუნე გამოცდილი აქვს ეს ჩემსა გულსა:
არ შეემსჯვალო, ძმაო უეცრად კეკელა ქალსა!
20. აშვიკის ენა მას განახარებს,***) მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს მის გული ცკლადი ვერ მიიკარებს.

*, დედანში არაა მძიმე.

***) დედანშია: სოფლის.

****) დედანშია: განახარებს. — არც მძიმეა ამ სიტყვის შემდეგ.

0 0.

არ უკეთინო სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!

4. მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსამოვავლო,
სალამოს მის თვს შთაეიდევ, რომ დილა უფრო ვაცხოველო;

მინდა რომ ვიქო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი;

8. მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელი სიცხითა დამქენარი;

რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იზრობდეს,
და ერთად შესხივებულნი, შევბას მოჭვენდნენ სიცოცხლეს;

12. არეს ავსებდენ სიამით, მცენარეთ განმაცხოველებლად,
იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად!

ნუ თუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?
მაშინ მზეც უხსივ. უცეკხლოდ, შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;

16. მაშინ ვარდიცა განთადს ვერღარა გარდაიშალოს
და ცისა ცვარმან მდელიც არღარა გააბიბინოს;

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემგავსები!
მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედაჩუბი?...

20. მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დაჰსდვან კაცთა სახელი!

ბ.

- ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი.
4. და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!
- მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა დეღვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრავით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
8. ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!
- მუნ გუნდრუკის წილ, შევქსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესოეთ აღვსებულს,
12. მეგონა ვჰხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!
- მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდ-ხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი—და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
16. მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!
- მოისპო მჰსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი,—
არა! მოჰსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
20. დამშთა მე მხოლოდ მისს ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!
- ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვლად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
24. და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

კბ.

- მიყვარს თვალები, მიბნედილები,
 ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;
 მაგრამ როს ვუქვრეტ, ზამზახ-ვარდთ ველად
 განეწონვიან მათი ისრები.
4. მიეხვდი თვალებო, ჩემო მკვლევებო, მაგ თქვენსა ქცევას,
 მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის თქვენგან გაქცევას?
- *
* *
8. ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგრძნობელსა,
 უწყალოდ ჰსტანჯვენ უნო მსხვერპლსა,
 მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,
 მათშივე ჰპოვენს საკურნებელსა!
12. თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,
 თუ არა ჰსქვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებს?

6. ბარათაშვილის ავტობიოგრაფია.

ლოქსთა

ფეხიანი

საქართველოს წ. პრეზიდიუმისთვის.

ლოქსთა სათაური, ბ. ვეზირიშვილის ვარიანტისა.

კბ. სუმბული და მწირო.

მ წ ი რ ი.

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მჭვრეტელს არ გააჩნდა დილა, საღამო?
მარჯვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,

4. რომლით ათრობდა სიცოცხლის ჟამთ ლამაზი ველი?

ს უ მ ბ უ ლ ი.

მწირო, ხომ ჰხედავ, მოვკლები ვარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ ჰსწორთა ყვაფილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბუღბუღს:
აგერ მაისი აყვავებს ტურფად ბუნებას,

8. მოვა ბუღბუღი და დაუშტვენს სიცოცხლისა ხმას,*).

*) დედანში ყოფილა „სიცოცხლისა ხმას“, ხოლო მერე გაუსწორებია „სიცოცხლის ხმასა“.

ხოლო მე ხშილი ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!

მ წ ი რ ი.

12. ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;
სადაცა კაცი შენს შეწევნებას ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გიქცნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

ს უ მ ბ უ ლ ი.

16. მაგრამ მარტვე, რა არს ჩემ თვს სახლი დიდ-მშვენიერი,
ვით გააღიმებს ჩემს შეწევნებას ხშილი ჰაერი:
არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი;
არღა მეცემას დილით გულსა სიკოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს
20. და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა მიჩრდილებს?

მ წ ი რ ი.

- სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი.
მასგან შენ ახლა იქმნებოდი უწყალოდ მკედარი;
ნახე, რა ძალუძს შენ თვს მზრუნველს კაცისა კელსა,
24. რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

ს უ მ ბ უ ლ ი.

- ცე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო,
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო!
ზაპირით ბუნება არა ჰკვდება, — სევდით იმოსვის,
28. რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!
და მყის ვითარის შეწევნითა კვლავ შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსელას საყვარლის!
ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
32. რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

მწიბრი.

მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა;
ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა!


36. ვაჟ თუ მასაც უღროდ აქნობს უწყალო კელი,
და არღა მომხედეს სუნი მისი, ქირთ-უკუმყრელი!

1842,

ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფი.

ქაშაჲ ქაშა სსეყმან, თანამოგანა ყვივარ,
მუხაჯიქეჯი სუიქარა, ზუნეკუთია ჯეგსარან
იგი ნაჲივ კაჲთა კაჲთაგან იუ- ნაშორ;
ქაშა უეძუხონ. ან სეჲრთი შეჲგანა მისი ჯეჲრ!

იხი. თუ ხაჲმ ვსიჲვ მას უაჲყუეს, მასე კანაჲგან-მს,
მუხაჯიქეჯი სუიქარა მუჲსეჲ უნაჲიჲი კაშაჲგან-მს
ნაჲმ მანსაჲგანე ვაშაჲგან მანსაჲგანე კაშა-მს,
ს. ჯეჲსა ნაშაჲგანეჲთ კაჲთაგან სსეჲ-მს.



ლექსი „ღამქროლა ქარმან“, მ. ორბელიანის ვარიანტისა.

კბ.

4. შენნი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშის თვს, ხან დასაწველად!

*
**

8. ოდეს ნიავი ლამაზს დალაღებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვალებს ალაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა ის ავალაღებს!

1842.

კლ.

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
 თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას:
 რომ არ გემჰსქვალვის საუკუნო ტრფიალებითა, —

4. ჰგავს არ პასუხს ჰსცემ შენ მას სულით მშვენნიერთა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
 და ვით ყვავილი თავისს დროზე მჰსწრაფლად დაქცების;
 აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამჰსქვალვები,
 8. ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!

მშვენნიერება ნათელია, ზეცით მოსული,
 რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული,
 და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
 12. რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

თვით უკვდავება მშვენნიერსა სულში მდგომარებს,
 მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
 მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
 16. ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,
 რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!
 მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენნიერება
 20. და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!

ქმ.

- მირზის, მიმატრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
 უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
 გაჰსწი, მერანო, შენს ქენებას არ აქვს სამძღვარი,
 და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
- 4.
- გაჰკვეთე ქარი, გააბე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
 გაჰსწი, გაკურცხლე და შეჰიმოკლე მოუთმენელსა სავალნი ღდენი!
 ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიტყვსა, ნუცა ბედარსა,
 8. ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!
- რაა, მოგშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა;
 ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ-
 მოუბარსა, —
- საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
 12. მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე სა-
 იდუმლო!
- კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
 და შენს მშვენერს, აღტაცებულს, გიეურსა ლტოლვას!
 გაჰსწი, მერანო, შენს ქენებას არ აქვს სამძღვარი,
 16. და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
- ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
 ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი
 მწუხარის, —
- შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის
 მინდერის,
 20. და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას
 მამაყრის!

სატრფოას კრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა, დამეცემიან ციურნი
 ცვარნი,
 ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალაღებენ სვანნი მყივარნი!
 გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი;
 24. თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე მოგჰკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
 ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
 გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
 28. და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

კუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!
 და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
 და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
 32. და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუჭროლდეს!

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
 უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
 გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
 36. და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

5. ბატიათაშვილის ავტოგრაფი.

მამას, მიმაფრენს, აგლა-აგლა, ღმრ. შიშნი,
ჯერ მაშნებ თერძეთით თუ ყა-რანი!
ვასნი, შინა, შინ ჩუბრას ამ აქსი სპირაღი,
ქ ბიჭი შიშ ვქნ ღმრ, შიშე მყოფაღი!

შესეთ ჩინი, ვინა ხუთი, ზღვათუ ვეფრი ქ თუნი,
შინნი, ვეუ-ღმრ ქ შინა-ღმრ მათშებელს სიფრი ცოდი!
ღე შიშე-ღმრ, ღმრ შინი-ღმრ, ღმრ სიშესა, ღმრ აგლა შინ,
ღე შინი-ღმრ რაჭხე-ღმრ თუ ვასნი-ღმრ შინ შიშე-ღმრ!

ღე, შინა-ღმრ ღმრ შინა-ღმრ, შინა-ღმრ სინა-ღმრ ქ შინა-ღმრ,
ღმრ ვეფრი ღმრ შინა-ღმრ, ქ ღმრ სიშესა, (ღმრ) შინა-ღმრ,
ღმრ მყოფაღი, იქ შინა-ღმრ, იქ თუნი ღმრ შინა-ღმრ;
ღმრ-ღმრ აგლა-ღმრ, თინა-ღმრ, ღმრ-ღმრ ვეფრი-ღმრ სიშე-ღმრ!

აგლა-ღმრ, ვეფრი-ღმრ, ვეფრი-ღმრ, ვეფრი-ღმრ, ვეფრი-ღმრ,
ქ შინა-ღმრ, ვეფრი-ღმრ, ვეფრი-ღმრ, ვეფრი-ღმრ,
ვასნი, შინა, შინ ჩუბრას ამ აქსი სპირაღი,
ქ ბიჭი შიშ ვქნ ღმრ, შიშე მყოფაღი!

ღე ვეფრი-ღმრ ღმრ შინა-ღმრ, ღმრ სინა-ღმრ სიშესა-ღმრ;
ღმრ-ღმრ სიშესა-ღმრ ვეფრი, ღმრ-ღმრ ვეფრი-ღმრ შინა-ღმრ,
ღმრ ყა-რანი ვეფრი-ღმრ სიშესა-ღმრ ვეფრი-ღმრ (ღმრ) შინა-ღმრ,
ქ ღმრ-ღმრ ვეფრი-ღმრ ვეფრი-ღმრ, ღმრ-ღმრ, შინა-ღმრ-ღმრ!

Երկրիս անկողնի վրա, զորոս իմ ապրիս, բարեպաշտութեան ստանալով
 կրօնս ճարտարա զբնիս Երկրիս, զորոս Երկրիս կրօնս զորոս զորոս!
 զանկա, զորոս Երկրիս, կրօն Երկրիս, զորոս Երկրիս զորոս կրօնս զորոս,
 որ զորոս Երկրիս զորոս Երկրիս, զորոս Երկրիս զորոս զորոս զորոս!

Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս!
 Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս, Երկրիս Երկրիս!
 զանկա, զորոս, զորոս Երկրիս զորոս Երկրիս զորոս,
 էրկրիս Երկրիս Երկրիս, Երկրիս Երկրիս!

Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս զորոս զորոս!
 էրկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս, Երկրիս Երկրիս, Երկրիս Երկրիս,
 էրկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս զորոս զորոս,
 էրկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս զորոս զորոս!


Երկրիս Երկրիս, Երկրիս Երկրիս, կրօն Երկրիս,
 Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս Երկրիս
 զանկա, զորոս, զորոս Երկրիս զորոս Երկրիս զորոս,
 էրկրիս Երկրիս Երկրիս կրօն Երկրիս զորոս զորոս!

Երկրիս Երկրիս
 1842.

აგ. საფლავი მემვის ირაკლისა.

(კნიაზს მ... პ... ძეს ბარატაევს)

- მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გვირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხვე შენს სახელზე, მეფევ კმოვანო!
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
4. რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!
- თაყვანსვსცემ შენსა ნაადრძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?
აჰა აღსრულდა კელმწიფური აწ ჰაზრი შენი,
8. და ვჰსჯამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენნი ძენი!
- ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი. ტრფიალებით აღსაგსე სული.
12. უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული,
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
16. მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ კელი!
- აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ლელვა;
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
20. აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძქეთა!
- მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გვირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძამაგსა,
24. და თაყვანსა ჰსცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!



მეფე ირაკლის საფლავი მცხეთის ტაძარში.

პ. კნიაზ ბარათაშვილის აზარფეუაზედ.

ამავსებ ლვინით
აგავსებ ლხინით.
შესვი? გაამოს!

1842.

სმ.

- სულლო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიკოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
4. რის თვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?
- ამას უქადლი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას!
თითქოს მაძღვედი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
5. და თვით ჯოჯოხეთს საქოთხედა გარდამიქცევედი!
- მარქვი, რა იქმნენ საკურველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლეს, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იპალები,
12. რატომ ვაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?
- წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად ეუმსხვერპლიდი, მივანდობდი, ჩემთ გულისთქმათა!
მას აქ თ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა,
16. და ვერც ლელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!
- განვედი ჩემგან, ზი მაცთურო, სულლო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
კკუთით ურწმუნო, გულოთ უნდო, სულით მახვრალი?
20. ვაჲ მას, ვისაცა მოხვდეს კელი შენი მსახვრალი!

ქო.

4. შევიშრობ ცრემლსა, ქირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევჰსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

8. მისთ თვალთა ჰხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი!

12. ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჰნი ქვეყნად
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად!

ლ. ომი საქართველოს თავად-აზნაურ — გლეხთა პირისპირ
დაღისტენისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მკვანელოზისა
ქვეშე ღუბაჩინის მარზლის, თავადის დ....ო....

ძროდღე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!
შეთქმულან შენზედ ერთ-პირად ძენი ქართლისა სრულისა:
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
4. და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!

ქართლითგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი,
წინ ერისთავი მოუძღვის, მიწასა გააქვს ზანზარი!
კავკასო, ქართლოს საფლავზედ არიან გაფიცებულნი,
8. და მათ წინ ვერლა დაუდგნენ ვერც შენნი პირველ რჩეულნი!

სომხითით მოჰსჭექს, სასარდლო ძველადგან სახელოგანთქმული!
მის შორის ჰბრუნავს ცხოველად დავით სარდრისა კვლავ სული!
ცე დაღისტენლო, სომხითის კედელნი თქვეგან ნგრეულნი,
12. მის ძეთა თქვენის თავებით ჰყონ ახლად აღშენებულნი!

კავკასო, აჰა კახნიცა, შენზედ გულ-ამღვრეულები,
მეფის ირაკლის გაწრთვნილნი, გმირებად დასახულები!
ნუ ჰგონებ, აღხოცილ იყვნენ მათ შორის ძველნი მამაცნი:
16. ყოველსა დაჰშთა შვილები, საშვილიშვილოდ ვაჟკაცნი!

ნაუნჯნი ყმანიც მეფისა, თუშები მოულაღავნი,
ჰსდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი ცხვართა მლაღავნი!
თქვენი ჭირიმე თუშებო, ბიჭობა თქვენი ქებულა,
20. მახვილი თქვენი მარადის დაღისტენლთ ქედზედ ღვსულა!

ამ გმირულს ჯარსა ერთობრივ ჰყავს ღირსი წინამძღოემელი;
მან თავი დაჰსდვა სპათათვის, სახელითა ჰქმნა სახელი,
და საკადრისად გვარისა გამოჩნდა ნამდვილ ქართველად;
24. მტერთ სიხარულით შეებმის მჭვრეტელთა საოცნებელად!

კავკასო, ძრწოდე! შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი!
ვის არა აღეტაცების სული ამ ამბვის მცნობელი?

ჲე ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მალლით?

28. გიხმობთ: „ქართველნო ჰეი, შაბაშ! კურთხევა თქვენდა ზემაღლით!“

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა!

იმპერატორსა ემსხვერბლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა!

აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,

32. და გვიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსაღხინოსა!

სექტემბრის 20-ს დღესა

წელსა 1844-სა.

დიმ. ორბელიანი



ლ. ჩ ი ნ ა რ ი.

განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი
ახალი,

მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მალალი.
საამო არის მის ჩრდილში ოცვნა და მისთა ფოთოლთ შრიალთა
სმენა,

4. და წყალთ ღუღუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ქირთა დათმენა!

მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიაფი და შრიალითა არბევს ჩინარსა,
და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!

მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ
შორის,

8. და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!
ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა
ველების,

და აღმოარბევს უფსკრულებიდამ, და აღელვილი კლდესა ეხლების!
მაგრამ ჩინარი, მალლად მჩინარი, დგას მედიდურად და სიამაყით,

12. და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდიღებს სევდიანისა შერხევის სახით.

რამდენ-ჯერ ქარი შეარბევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს
ოხრავს,

თითქოს სიშურიით შემფოთებული და კლდის პირებზე ზვირთთა
შემუსრავს.

ესრედ იღუმალ, მაგრამ ძლიერად, დაიტანჯების მარად მიჯნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი ციური.

16.

ლბ.

- მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალეზიანო,
 დღისით მზევ, ღამე მთოვარევე, წყნარო და ამოდ ხმიანო!
 შენის ლოდინით ვჰსულდგმულვარ, თაყვანს-ვჰსცემ შენსა სახელსა;
 4. დედის ერთა ვარ ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!

- ღარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
 ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად—ბასრი ხანჯალი,
 მე სხვა სიმღიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის:
 8. მის ფასი კიდევ საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

10 იანვარს.
 1845.

ლზ. ნა..., ფოკლორული მომღერალი.

4. კმა საკრავისა
 ნელ ნარნარისა
 სულს განახარებს
 და მშვენიერის
 ენა ამიშლის
 გულისა ჭირებს!

8. ვკვრეტდი ლამაზსა,
 სევდითა ნაზსა,
 და შევეტრფოდი;
 ყოველთ გრძნობათა,
 ყოველთ გონებათა
 12 მას მივაპყრობდი.
 ლაწვნი ნაცრემლნი,
 ტრფიალთ დამწველნი,
 უფროს შვენოდენ,
 16. თჳანი ნაშალნი,
 მკერდზედ დაყრილნი,
 ემუქმებოდენ.

20. ჟუჟუნა თვალნი,
 გულთა მომკვლელნი,
 მოცინარობენ,
 პაწაწა ტუნნი
 ვარდებრ ნაფურცლნი
 24. ლხენას მოჰბერვენ!

ლდ.

დამქროლა ქარმან სასტიკმან, თანწარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღესილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;

4. დრომ უჟამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი!

აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაქნობს,
მოძულეებული სიცოცხლე მყისვე კუალადცა დამატკობს.

8. მაგრამ მჰსწრაფლადვე*) გახშირდნენ მწარენი ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

*) დედანშია: მჰსწრაფლადვე.

ლი.

- როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
 ღიმილით გვეხარ მაისის დღესა,
 მე შენს თვალებში ვსჭვრეტ სამოთხესა
 4. და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
 არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, თუ ვით სატრ-
 ფო ხარ!
- როს უბედურ მყოფს მე მოშორება
 8. გონებაშტაცის მშვენიერების,
 ვჰსთვლი მოწყინებით ჟამთ მკმუნვარების
 და სევდა გლახ გულს დამეთარება!
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!
12. ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,
 ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,
 ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
 ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!
 16. არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

ლვ.

4. ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტროდი.

8. და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ფფიცავ—არ ვეტრო
არ ოდეს ფერსა სხვას.

12. თვალეში მშვენიერს
ვეტრთი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოჰკრთის სიამით.

16. ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.

20. მოვჰკვდები—ვერ ფნახავ
კრემლსა მე მშობლიურს,—
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!

24. სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას—
იგიცა შესწიროს
ციღმან ლურჯსა ცას!

ლგ.

- ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი:
სამღერალო ვარ ტურთა ხელთ და მოსაღბინო მართასი!
მოვედით სევდით მაშვრალნო, ვასვათ სასმელი ღმერთასი
4. და მყის გიქარვოთ გულისა, ვით ერთი, ქირი ათასი!

ლგ. ელენეს და მაროს.

- მე რად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძედა,
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დაჰსცინით ხანზედა;
თუნდა კნენა სოფიოს ჰკითხეთ — რამდენის წლისაც ხართ;
4. მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!

* *


- თუარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;
გაგთეთრებიათ თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;
პაპუნა შვილი თქვენი ყმა თქვენი ლალაცა ყოფილა,
8. იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა ყოფილა!

ნ. ბარათაშვილი და ქართველი მხატვრები.



მურანი, მ. თოიძისა.

ნ. ბარათაშვილი და ქართველი მხატვრები.



მერანი, ვლ. სიდ.—ერისთავისა.

ნ. ბარათაშვილი და ქართველი მხატვრები.




მერანი, ლადო გუდიაშვილისა.

ნ. ბარათაშვილი და ქართველი მხატვრები.



„ნ. ბარათაშვილი,“ ლადო გუდიაშვილისა.

ბარათაშვილის ავტოგრაფი.



სათაური „ბედი ქართლისა“, ე. თაყაიშვილის ვარიანტისა.

ბედი ქართლისა.

თქმულა წელსა 1839-სა, ტფილისს.

ქ ა ხ თ ა მ ი მ ა რ თ .

4. ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო მოლხინე სულით, თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ*) და გმირად; თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით, როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!

8. და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის, — მეც ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმაღანად, ერთ-სულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.

12. როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ, ხელთ ჯამის მპყრობნი წარსრულსა დროებს მოიხსენებდეთ და მორიგისად სმიდეთ წინაბართ შესანდობარსა, მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მზობარსა!

*) ორსავე ვარიანტშია: მეფად.

ბედი ქართლისა.

ქ ა რ ი შ ი ზ ე ლ ი .

- მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილაფო, შენ უწყი, რაც ღღეს
16. საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე ჩვენო კელთ-აღმპურობელო,
20. და აღადგინე ღღეს საქართველო! -

- ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაკსა თვისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიღია მსხვერპლი
24. მამულისა თჳს მეფისა ცრემლი!
ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად—
დაებანაკა სპარსთთან საომრად;
პატარა კახი აღამაჰმად-ხანს
28. უპირებს შებმას ძლიერ რისხვიანს.

- ამ დროს აღმოჩნდა სამხრეთით მტერი. —
ცა მოწმენდილი, ცა შშვენიერი
ზედანათლიდა ბრძოლისა ველსა
32. და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა მამობრივის კმით:
„ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
36. საქართველოს ღღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
ღღეს ეჭირება მამულს მხნეობა!

მეფე ირაკლი მეორე.



გადმოღებულია 1832 წ. პეტერბურგში გამოცემულ სურათიდან.

40. დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
 ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:
 დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
 ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“

44. „შენი გამჩენის ქირიმე, შენი,
 რომ გავვაგონე კვლავ ხმა*) სალხენი!“
 შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის კმით.
 „ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,
 48. ოღონდ შენ იყავ, შეფევე, დღეგრძელი!
 მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
 ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს;
 მის თვს სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!“

52. ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
 ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
 განუცხადებენ თავისს სიყვარულს!

58. დაჰკრეს ნალარა, გულნი შეზარა
 და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
 კმა ნალარისა, კმა ეს ბრძოლისა
 ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
 მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს
 და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!

60. შეეკმნათ მწარე, ძლიერი ომი;
 ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
 ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,
 და მტევარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
 64. ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
 ორნივ ომებში გაქვზებულნი;
 თამაზ, ენისენტ მოურავის ძე,

*) თ ვარიანტში ეს სიტყვა არაა.

68. და იოანე კახთ აბაშიძე
განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა

აღა-მაჰმად-ხანი.



სურათის დედანი ეკუთვნის ს. ს. და ს. საზოგადოებას

- შთაუდგამს სულსა ვაჟეაცობისას, —
 მაინც ვერ ჰხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
72. რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,
 მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,*)
 კრმალს კელი იკრეს მამაპაპურად
 და დაერივნენ თავისებურად!
76. ბინდმა განჰყარა მებრძოლნი მტერნი.
 გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
 მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
 მას გამარჯვება არღა ახარებს:
80. ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
 მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
 დასდევს აქ თავი მამულისა თვს!;
 აწ საფლავიცა არსად ჰსჩანს მათ თვს;
84. ჰაერში განჰქრა მათი სახელი
 და არ სად ჯაჰთა მოწამე ძეგლი
 არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
 დუმილნი ჰჰუარვენ ერთგულთა ძეთა!...
88. მაგრამ, ჭი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
 თქვენ სასოვარი გაქვთ თვით განგებით:
 რაც ერთეულ ცხოვლად სულს დააჩნდების,
 საშვილიშვილოდ გარდაეცემის;
92. ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
 ალა მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!
96. მეფემ უბრალო თვისთა მოკვლევთ:
 *გვიჯობს რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
 და ცხე ჩვენი მჰსწრაფლ გავამაგროთ,
 თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყობ,**)
 ალა-მაჰმად-ხან რა აქა გენახავს;
 ხომ იცით ჯარი დიდ-ძალი ახლავს,


*) დედანში არაა მძიმე.

***) დედანში არაა მძიმე.

100. და იქნება, რომ ციხეში დაგვდეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ. — “
ყველა ეთანკმა ამაში მეფეს;
ქალაქს მოიქცენენ იმავე ღამეს,
104. და მძსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა!
108. გათენდა დილა მზისა აღმოსვლად;
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს:
ალა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს!
სამი დღე და ღამ აღგა მას ჯარით
მაგრამ ვერა რა აენო ვერ საით. —
112. დალონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და თურმე ყოველით იმედ მიხდლი
ქართლითგან წარსვლას დააპირებდა;.....
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
116. აჰა მან იგი აწ მოიკელთა
და მუხთაღისა ანგართა კელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი! —
120. ჰსცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლოზა,
მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცროზა,
მყისვე აღენტო კელმწიფე გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
124. მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
ალა-მაჰმად-ხან, კვლავ თავმოწონე,
შემოებარა ციხისა კართა,
და მოევლინა მძსწრაფლ ქართველთ ჯართა.
128. გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა თერანის ტახტს კელმწიფეზას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა

32. მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი ღღენი!

მეფე ირაკლის თოფი.




თოფს აწერია: „მე ვარ თოფი მუსაიფი
კახთ ბატონის ერეკლესი.“
თოფი შენახულია ს. ს. და ს. ს. მუზეუმში.

მეფე ირაკლის ხმალი.



ხმალი შენახულია ს. ს. და ს. ს. მუზეუმში.

ს. ლეონიძის ხმალი.



ხმალი შენახულია ს. ს. და ს. ს. მუზეუმში.

ქ ა რ ი შ ე ო რ ე .


136. მორბის არაგვი არაგვიანი,
თანმოჰსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჟი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შეგებით მომზირნო,
140. ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შევენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
144. როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გარდაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
148. ერთს ქართველურად კიდევ შეჰსძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმის თვის აღარ დალონდეს!
152. მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედგარდმოჰყურებს. —
156. მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გარდმომზირალი;
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალთა.
160. თანახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიქთა კეთილთა უხვად მორქმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,

- მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
 164. სადღა არიან აწ ესე კაცნი,
 რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი!
- დიდხანს უჭვრეტდა მეფე მღუპარედ
 არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ;
 168. ბოლოს მახვრალმან უბრძანა მსაჯულს:
 „შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
 შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
 მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;
 172. ბევრ-ჯერ რჩევანი შენნი ვითა წყლულს,
 მსალბუნებიან მე შეწუხებულს;
 აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
 შენ გაგიმჟღავნებ, ვით საყვარელს შვილს!
- „არ შითვისებდა ქართველთა გული,
 რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
 ჩემი მეფობა ზედაეასრულე,
 რომ ძლიეს იგინი გავიერთგულე!
 180. და ახლა, ოდეს ჩემს კელმწიფობას
 განვუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
 აი მის ნაცვლად რაჲ მომპაყრეს
 მე ჩემთა ძეთა—და ვინ ახარეს!...
- „ამიერითგან გაქვზებული
 მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
 არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
 მას ჟამი შეჰსწევს ყოვლის ღონითა;
 188. ეს კმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
 ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
 და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
 როს ყმანი ჩემნი ურთიერთს მპარვენ!
192. მეც თუშკა კვლავ ვჭვრძნობ სულის სიპტკიცეს,
 გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;

შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
 პატარა კახად რომ გინახვი-ვარ!
 აბა რომელს შვილს ვჰხედავ ღირსეულს,

196.

ტფილისი მე 18 ს. ბოლოს.



სურათის დედანი მკუთენის ტფ. ქალაქის მუზეუმს.

რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?...
 #ი ღმერთო, ღმერთო, ამაზედ შეტად
 ნულარ განჰსწირავ ქართველთა ტანჯვად!

200. „აბა რას მიჩქევ, ჩემო მსაჯულო?
 კარგად იფიქრე, შეილო ერთგულო:
 აწ განთქმულია რუსთა სახელი,
 კელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
 204. დიდიხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
 მტკიცე კავშირი—სარწმუნოება,—
 მას მსურს, რომ მივცე შემკვიდრობა,
 და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“
208. ამის გამგონი, ჩვენი მსაჯული
 უქვრეტდა მეფეს განცვიჴრებული:
 მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გულს
 ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.
 212. „რასა მიბრძანებ! ჰკადრა მან მეფეა,
 ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
 ნუ გააგონებ მაგ კმას ქართველთა,
 ეზდენ შენ ზედა მსასოებელთა!
 216. ჯერ სამაგისო რა გვემართება,
 რომ განვისყიდოთ თავისუფლება!*)


- „იცი, მეფეო, რომე ივერნი
 იქმნებიან რუსთ კელთ ბედნიერნი?
 220. საკელმწიფოსა ერთობა ჰსჯულის
 არა რას არგებს, ოდეს მისს შორის
 თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.
 ვინ იცის მაშინ როგორ მოუხდეს
 224. რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
 ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,

*) დედანშია: დავისუფლება.

228.

ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
 რაც მოისურვოს ქართველობამა?
 მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
 მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუმალთ!
 მაშინ ირაკლის სახსენებელი

ირაკლი მეფის სასახლე თელავში.



გალაფნის მთავარი კარები.

232.

ვინლა ახსენოს, აწ საქებელი?
 ნუ, კელმწიფეო, მას ნუ ინებებ:
 შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
 და მერმე ვინც ვერ განაგოს ქართლი,

236. მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,*)
უბედურებაც ბედნიერ აქენდით! — “
„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,*)
მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
240. მაგრამ კეთილთა დღეთა თვს ქართლის,
რა მოვაგვარო უმჯობეს**)) ამის?
მე არა ვჰფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდების თვს სისხლთა აღმჩქეფე;
244. არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა ჰსურს რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივე დაასახლკაროს.
ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
248. უჰვრტედეს იგი ომსა დღე დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ჰქმნა ამ ერთხან დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ ალა-მაჰმად-ხან
252. ქალაქს დაჰსჯერდა განძვინებული,*)
სხვით არ აღივსო მან საწყაული!
- „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
256. მან საფარს-ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯაფრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ კმა მარად ისმოდეს
260. საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!“ —

ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:

*) დედანში არაა მძიმე.

**) დედანშია: უბჯობეს.

264. „განზრახვა შენი, მეფევე, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება
თუ აქვთ თვისთ ქერთ ქვეშ თავისუფლება! —“
268. „სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ აბა ჰსთქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
272. მშვიდობისა თჳს საყვარელთ ყმათა?...
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დავიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
276. რომ დღეს იქმნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიკავს რუსთ კელმწიფება!“

- ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისა თჳს გულ-მტკივნეული,
ქართლისა ბედსა განსამართლებდნენ,
ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდენ!*)

- ამ დროს აღმოჰკდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე.
281. ცამ მოჭრილმა ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმან, საფსემ შევებითა
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
288. გულს აუშალეს დარდები ბატონს,
ოკვრა დამართეს ვით კაცსა ლიტონს:
მას მოაგონდა დრო ყრმაწვილობის,
განტარებული თვისთა კახთ შორის,
292. როს ჯერ არ ელო ტვირთი მეფობის,

*) ეს სტრიქონი არაა დედანში და ამოვიღეთ მეორე ვარიანტიდან.

როს ჰქონდა ჟამი უზრუნველობის,
და საყვარელი კახეთის გმირი
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!


296.

დიდხანს დაჰყოფდა ბატონი ჩემად
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად,
შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:

300.

„ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩაეხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი
მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,
შევიტყო კახთა საქიროება,
ვჰსცნა ჰაზრთა მათთა აწ ვითარება;

ირაკლი მეფის სასახლე თელავში.



გალავენის მეორე კარები.

304. შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამზადი.“

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული:

308. ვიდრემდის იყო შიშინაობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა.

მეფის ჰაზრთაგან სულით დღეფილი,
ჰზრახვიდა გულში მამულის შვილი:

312. „მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,

316. და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
ვითა აწღვრდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევე, ვინ მოგცა ნება—
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,

320. მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,

324. და რად იგიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!....

„იქნება მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?

328. იქნება ამან აჰყარა გული
ბატონს ქართლზედა, შეუორგული?...
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,

თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.

332. მაშ რამ შეშფოთნა მას გული მყარი,
ქართველების თვს ესთ თანამკვდარი?...
მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვექირება:

336. ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების!“

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.

340. წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი;
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
შენიერება, გულკეთილობა.

344. რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე შეცვლილი, მონაწყინარი,
ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა,—
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

348. ვექობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა; რომ მისი სული
ძლიერად არის აღფლავებული!

— 352. მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შეილების ამა ურჩებას:
ვექობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა კელმწიფის.

356. მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,
როს საცხოვრებლად დიდკაცთა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ:

360. კელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფუნეულება,
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!


364. ვერ გაიგონებთ შუნ კმასა მტერის.
შრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთა თვს გულგასართობლად.

368.

მაშინ ვისალა მოესურება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება! — “

„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,

ოთახი თელავის სასახლეში, სადაც გარდაიცვალა ირაკლი მეფე.



372. სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა კელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვეებული?
376. და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჭირსაც ვით ღზინსა ერთგუარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
380. თავის მამულში მას გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად შიანის
და გულსა გულის პასუხი ესმის!

384. „რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი
გყვანან კეთილნი და ღირსეულნი,
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
388. ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
მწუხარებათა სანუგეშებლად,
რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?
..... *)“

392. მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
და აწ რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალეებით.—

396. ზი დედანო, მარად ნეტარნო,
კუთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი,

*) დედანშია წერტილები.

400. მამულს ასული, ახლა თქვენგუარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შეილსაც, მამულს,
404. ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?....

- რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
408. დიდხანს უჭვრეტდა ცრემლთა აღმჩქევე!
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,
სახლნი სამშობლო დანაცრებულან;
მიდამო ჰხედავს უპატრონობას,
412. აღობრებასა და ნატამლობას!
დუმილი ჰსუფევს მის არემარე!
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
416. იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!

- აღავსო კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანება ჰსცნა ირაკლისი.
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
420. თუმცა აღრინდელს მრავალი აკლდა.*)

- წარვიდენ წელნი მოსვენებისა
და კვლავ ირაკლიმ კრძალი ბრძოლისა
აღილო ლეკთა შესამუსვრელად!
424. არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად.
სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;

*) დედანში არაა წერტილი.

428. კვლავ ასახელა თავის სახელი;
 მაგრამ ამაო იყო ყოველი:
 დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
 გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის!

დასასრული.

მეფე ირაკლის ჯამი.



შენახულია ს. ს. და ს. საზოგადოებაში.

წიგნი ლევი.

I

ტფილისი. გარეთუბანი. 1837-სა წელსა თებერვლის...

საყუარელო ძიავ!

გთხოვთ მომიტევეთ ესდენ ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარე-
მოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან
საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო (я чиновникъ экспедиціи суда
и расправы) და ამოობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხუალმე, რო-
დესაც მანდაური ფოჩტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომიტევებ.

აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე
და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც
მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს,
когда будущность моя представлялась мнѣ въ радужныхъ мечтаніяхъ,
და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქ-
რად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრ-
დიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხუალმე
გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ
დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო
და თუ არ ინვალიდის კომანდაში სხუაგან არ მიგიღებენო, მაშინ,
როდესაც ფერკი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებუ-
რად კიდევ ვჭბტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანც შევიტყე
უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგ-
ზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბე-
დურებისაგამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვ-
ნაზე, ასე მეტყოდა: „შჯლო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო,
იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპა-
ტრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა
მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვჰწესდი სამსახურ-
ში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავა-
პირებ ხუალმე მასთან შეგმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის
აღსრულება? რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს
ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმაწვილის

კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირუტლი უკოლაა; ეს არის რომ *крутъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственности*, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვსაც შეჯავრება. ქეშირიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!...

ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შუტნიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუტნიებამ, *სატრფოა მარაქამ*, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკეპეს სახედუტლი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქუტნ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „გაცეცხლებულთა ღვიანისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, და კიდევ აღვასრულე; მით უფრო ჩქარად რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყუარს იგი, და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის;—აი:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის კნისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
განდახვეწილსა დაგიზო ეტლმან!

მაგრამ გაჩნს კიდევ გულში მის არე;
გიყუარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო და შორს თემად იარე,
მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.

მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა ის ღამე, ოდეს სატრფონი
აღამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თან ზრდილნი ჰსწორნი!

ღამე ყაბახზედ.

მიყუარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,
და სხვა*).

ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ფოჩ-
ტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი როგორ მომხდარიყო, იქნება დაკარ-
გულიყო, და მერმე: ჰ.

*არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“.

სხუტბრ, გთხოვთ თქუენის წიგნით მასიამოვნოთ რაიმე; იგი ჩემ-
თვის ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კუალად მამულში
გიხილოთ.

თქუენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი.

II

6-го августа 1898.
г. Тифлисъ.

Милый другъ! Не пеняй меня за молчаніе. Право, въ нашемъ
скучномъ отъ жаровъ, душномъ отъ пыли, городѣ нѣтъ ничего любо-
пытнаго. Я оживляюсь только по вечерамъ луннымъ, такъ прекра-
снымъ въ Тифлисъ! Вчера, въ одинъ изъ этихъ вечеровъ, пошелъ я
бродить къ Московской заставѣ; вдругъ я очутился на кладбищѣ.
Признаюсь, немного смутился, когда я взглянулъ на это онѣменіе:
11-ть часовъ ночи. Ни души. Кругомъ пустота вѣчная; луна тускло
освѣщаетъ могилы, какъ догорающая лампада усоншаго. Тихо и мед-
ленно протекаетъ Кура, какъ будто боясь нарушить покой въ этомъ

*) იხ. გვ. 14, სადაც დაბეჭდილია ეს ლექსი სავსებით იმ სახით, რო-
გორც ამ წერილშია.

6. ბარათაშვილის მეგობრები.



მიხეილ თუშანიშვილი.

უწყლომ ვირვ... თუ თუთუ ვუ რუდოლფ, ი ი ნუ ხოუ სმუუუთუ თუბუ
 მრუუუნი დუმი, კოტორუი ნუვო მუწუ ნუ დუშუ ეტო ვრვლიუცე ნუბე-
 სნო-ვუმიო! ნო სუკუ, კოტო პრუკრუსო ივობრვთენი კლადბიუცე, ა ეტო
 ნუბოხოდუმი, კოტო სმუტნი ვოროი კითვალუ ბუ ნო ნუმუ სვოუ კივნი:
 უტვშენი ნესუუტნუგო, კონეუ სუუტნიუ!

ნუ, ბორთუმი ვუ თუბუ.

სუასიბო, ბრუთ, ვუ ნიუსუ—ვუ უდოვოლსუვი. პოსლფდნე ივ
 ნიუ კითალი მუ სუ ზუხარიემუ ბრბელიანოვუმი. ეტო ბულო კრიტუკა,

или лучше, посланіе къ сочинителю „асტრა“. Прекрасно! Только, кажется, онъ не достигнетъ цѣли, то есть, ты не узнаешь, кто это невѣдомое ასტრა. Это тайна сочинителя. Онъ писалъ ни для тебя, ни для свѣта; писалъ для *нея* одной; *она* его понимаетъ и онъ этимъ доволенъ. Чтожъ ему больше? Нужды нѣтъ, понялъ ли ты его, или нѣтъ? Мы всё знаемъ только, что предметъ украшаетъ стихи. А если хочешь знать одно только значеніе слова „асტრა“, то это очень просто: оно взято съ французскаго *astre*, которое по нашему, ძმაო თავყაბა, значить: მთიები.—ასე, ჩემო ბატონო!

Скажу тебѣ новость, თუ არ გაჯავრდები. Я ѣду сегодня вечеромъ въ д. Мцкнети.—Зачѣмъ?—А затѣмъ, что *она* тамъ. Мать *ея* просила меня провестъ съ ними нѣсколько дней. Каковы должны быть эти дни? Ахъ? მაშ მოჰყვდი, ბზ!

Однакожъ кончимъ бесѣду, а то прозѣваю на почту. Ты знаешь, я не люблю заготовлять заранѣе письма.

Прощай, пустынный Алазанской долины! Повѣдай мнѣ что нибудь о *дѣвѣ* твоей долины.

Весь твой Н. Баратовъ.

P. S. Не успѣлъ написать особо къ Варламову. Если увидишься съ нимъ, скажи ему, что дѣло его обработано, какъ онъ хотѣлъ, и представленъ къ чину. Пусть теперь примирится съ свѣтомъ.

III

საყუარელო ძმაო გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი; მაგრამ შენ რო? ჩემს ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ,—დიმიტრიევსკის ლექსები გეთხოვნა,—მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერ სად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა.—შევიტყეთ, რომ თურმე ფრანციცოლს ჰსწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“. რაზლოვორსა და ღრამატიკას დამ-

პირდა ერთი ჩემი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია; ამას უცდი, თურემ აქამდისინ გამოგიგზავნიდი.—თუ ქალაქის ამბავი გინდა, ჰსწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყულია ამ კელად და ჭორი კი მართალი,—დიდი დაძვრებებია ქალებისა; დიდი აყალ-მაცალი; დიდი ღამის თევები; დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით. დაწვლილებით მოგწერდი ყოველს ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვაქნები. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა. ამ წიგნსაც საჩქაროთა ვწერ პალატაში.—ჩვენი ახალს სახლებში გადავედით, ანჩის ხატის უბანში, უწინ რომ აბხაზი იდგა.—ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმინი იშოვა: კიბიაშა გადმოთარგმნა Ромео и Джулиета, შექსპირის ტრადედია და მე ვთარგუნე Юлий Цезарь, ტრადედია ლეიხენვიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენ ა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს.—

მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი რა მოგიწერია.—ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლამფობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა.—

სხვა? სხვა ამ ხელად ეს იყოს.—ნუ კი შემომწყურები.—

შენი მარად და მარად და მარადის იქითაც

ნიკოლაი.

წელსა 1841-სა.

მაისის 28-სა დღესა.

ქ. ტფილისი.

IV

საყუარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ. დიდად მახა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველებს ქებამ.— მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილიცამ, როგორც იტყვიან, ასახილა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის კმა დაიგდო მრთელს მხედრობაში; თუარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით.— მითამ როდის და რაში არა ვყოფილ-ვართ კარგნი, მაგრამ ჩიმიქუნამ!

მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, საგინოვისა და გურამოვისა, რადგანც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენი დიპლომატობა ხომ აღრევე ვიცოდნი: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას; შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მაგთენი არა ფერია. ცოტას ხანს დაჰყვეს აქ ადღერბერლის შვილებმა და, რაღა განგიმარტო, შენ მიხედები, რაც ადღერბერლის შვილები აქ იქნებოდენ.—პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე გამოიძიებდენ ჩილაევის სიმათლეს, რომელიც ვჰგონებ არ დადუმდეს.—ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანურად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან.—ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ რომ მოიბარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს! სხვა ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისა თვს. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია.

ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰსძინავთ გონებით!

ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დაეწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი, შენი ჰაზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა.

(აქ მოყვანილია ლექსი: ვჰპოვე ტაძარი)

გიორგი მომიკითხე, ვასილ და სხუანი ჩუცნნი ნაცნობნი.—მამა ეგნატიმ შემოგითვალა: „ქრისტემ გა-კურ-თხოს“. ჩვენიანებმა ყველამ მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა.

შენი ნ. ბარათოვი.

წელსა 1841

ოქტომბრის 18-სა

ქ. ტფილისით.

ნ. ბარათაშვილის ნათესავები.



ილია ორბელიანი.

V

საყუარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილ-თან! — ეს ამბავი აღრევე მინდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი ვეკონდა, რომ ან ეს კმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზი-ყუმბეღლები შეინახავდენ დამშვიდებამდე. — По официальному донесению Фезе известно только то, что алыютантъ его, князь Орбелиани,

20-го марта былъ посланъ въ Андалалъ съ порученіемъ и что его взяли тамъ въ плѣнъ. —ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაქვრაში, აი რა ილაპარაკა. — ილიკო რომ დაუქვრიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმიჩის ხანი დაქვრი-ლები ყოფილან. მეორეს დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწყებული ყმაწვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისაგან გამოტანებულები; შამილს ოცისავესთვს ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევინებია; ახტე-ლელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებულნი თურმეა, და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის; „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ქეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენებია შენს კელში ყოფნას! —“ ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის, ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე კელში იყფ ჩემს შვილს არ მამცემსო. —ახლა ილიკო დარლოშია, სადაც შამილის ცოლშვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გასინჯე, გალავინის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვს იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა ჰასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მიჩვენებია შენს კელში ყოფნასო. მანლას ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Онъ теперь предметомъ разныхъ анекдотовъ. ზოგჯერ ამის-თანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის რომ იქნება ჩვენც დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თუარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა.*)

*) აქ დედანში წაშლილია ორი სტრიქონი, ალბად გრ. ორბელიანის მიერ, როცა დასაბუქდად გადაუცია.

Вотъ что поэтъ думаетъ за Илико:

„მირბის, მიმატრენს უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი!“

(მოყვანილია მთელი ლექსი)

არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკურველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე.—ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, ჰსწორე გითხრა ძალიან შეგწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შეება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიცილებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა.

ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს; იასეც იქ არის ელიოს მლიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას. მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახლა, როდესაც შანილ ჯერ არ სად ამბობს და ილიაც თავის სახლში ჰყავს. ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ოთის ნებაა, და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის.—

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას. მინისტრს შეიღოს მაისს მოველით ერევანზედ. სხვებრ ჩვენიანები ყველანი კარგათ არიან; მხოლოდ ფეფოს მწუხარება გააწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.—

მარად შენი ერთგული ნ. ბარათოვი.

მაისის 2-სა დღესა

1842 წელსა.—

ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისა თვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველ თვის ნაფისი სდევს; ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი

წელსა 1842-სა
ოქტომბრის 31-სა
ქ. ტფილისით.


საყვარელო დაო მაიკო, მადლობელი ვარ, რომ რახელს წიგნი დაჰსტყუე, გუშინ იასემ მამიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ წინა დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანანასათვის. ასე ეგონა, რომ მე მაქვს. მაშ რადგანაც ეს პირობა აღასრულე, იმედი მაქვს ახლა, რომ მეორეც არ დაგავიწყდება.—

გალავინის ცოლი წავიდა და დარჩენენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინჰსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მზიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს. მე, ჰსწორე გითხრა, მეტად გავმზიარულდი, სრულიად უმიზეზოდ,*) უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოგეკლოდი.—ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ....

მაგრამ სულ ამაოა ჩემ თვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ.—არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სინწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომეოსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მალაღის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწადა ზეგარდმო ნიქად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლა-

*) უნდა იყოს: უმიზეზოდ.

ნ. ბარათაშვილის მეგობრები.



მაიკო ორბელიანი.

ვისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლახარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განჰსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ისე-

თი მტკიცე გული, რომ სამოციის წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. — მოიგონე ცოტასხანს დრონი წარსრულნი და მაშინ შემობრალე. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელად-ლა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა:
 მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
 მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
 ოხვრა არის შვება უბედურისა!

შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემატა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. — დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ქეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად; ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! აქამცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი, და იმედი იმედი მაქვს, რომ გარგოს.

გემდურები, რომ წიგნს არა მწერ, ხომ იცი მიამება, თუ მეტადრე ბევრ ამბებსაც მომწერ. — თუ ნინუკას, ანუ, (რადგანაც ჯაფრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო. ილიას მალე ვნახავთ.

შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

(პირველი გვერდის არშიაზე მიწერილია):

შენ გაზღას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ რა ღმერთი გაგიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალქისაკენა თქო. როგორ აღარა აგონდება რა ხასიათოვნო შენს პოეტურს სულსა.

6. ბარათაშვილის მეგობრები.



გიორგი ერისთავი (გლუხარიჩი).

VII.

საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!

ჭეშმარიტად არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხურობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ ფარატინი გამოგვეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკი.

კის გაცრუება. საკურველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვებრღებო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებელობა და კმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი კმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისა თვს დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამოიყვანოს, და დადგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა კელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისაგამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება.....*) მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰსჯას გამიტრიზავებ: ეპირობა მასხარად აიგდე, და მომავლის დიდების. ფიქრს რას უზავ? სხვებრ შენიცი.—ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.

გუშინ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი, ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი,—მაზეგ, რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართველი. მაგრამ ვინც შენ გეგულებს, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან.—Но и тутъ онѣ выигриваютъ; будь вмѣсто Мирза-Сали графъ Чичероне, онѣ тотчасъ бы пріѣхали на балъ.—ბალის ამბავს შეგატყობინებ.—

ჩვენი ლევან ქუთაისში გაადგეს პორუჩენით.— მე და შენში დარჩეს, (ისე კი არა, ბაკლანას რომ ხომალდი დაეღუპა) ... გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება, და მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ხარჯად, და დაიბარა.

*) ამ ადგილს ნამდვილში ექვსი წერტილია.

იმასაც ეს უნდოდა. რასაკურველია რომ უარი აღარა მსტქვა. დახე, ქვეყნის ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან შე გავხსენ და წავიკითხე, ბევრი ვიციხე.

ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არშიაში. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.

არ ვიცი ბუმბუნიკი და ქული მოგივიდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ გიმზადებდენ.

კნიაზი ჭავჭავაძე, თავისი კნენინათი მარტყოზს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ სვარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან ვადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქრმოდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნენინა და სვარსამიძის ცოლი ერთად უკან. Довольно подробно!

მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან. — ერთი თთვეა რაც გარდაიცვალა. — საწყალი! Вот человекъ, который, по своему положенію въ свѣтъ, болѣе всѣхъ страдалъ. Минувшее проходило передъ нимъ и волновалось, какъ море-океанъ.

სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები, и вообще здѣсь,

И грустно, и скучно, и нѣкому руку подать въ минуту душевной невзгоды.

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

(აქ მოყვანილია ლექსი: სულთ ბოროტო).

ამით გავათაოთ ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს, და შემდეგ ბევრს მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ, და რაც ვიცი, და არ ვიცი, სულ გავაჭრელებ. ახლა ფაცაფუცით არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც შენ მოიწერები. —

სირცხვილია რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბძანე რომ დაწერონ.

შენი მარადის ნ. ბარათოვი.

21 Августа 1843 г.

Тифлисъ.

(პირველ გვერდის არშიაზე აწერია:)

მამამ, ფეფომ კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს. —

არ გებრალემა, რომ მია ქვეშაგებად ჩავარდა! — გიორგი ზაქათა-ლას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ. —

VIII.

Любезный братъ Захарій! Отчего мы не переписываемся? При-
знаюсь, вопросъ этотъ заставилъ задуматься. Что я тебя люблю—это
аксіома; что и не лѣнь писать—это доказываютъ занятія мои по службѣ.
Какая же причина? А вотъ наконецъ напалъ; безпечность, врожден-
ная слабость вообще грузинъ. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ
განმიმარტე... ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?

Письмо твое, исполненное грусти и томленія отъ бурнаго потока
жизни, глубоко отозвалось въ душѣ моей, хотя причины у насъ къ
тому разныя. Я былъ боленъ сильно, чуть не переселился въ Ели-
сейскія поля. Не зная до того времени никакой болѣзни, я
почувствовалъ странное вліяніе ея, быть можетъ, на всю мою жизнь.
Непостижимость цѣли нашего назначенія, безграничность желаній
человѣческихъ и суета всего подлуннаго наполнили душу ужасною
пустотою. Дай мнѣ маленькое, независимое состояніе, я бы сей-
часъ оставилъ и свѣтъ и людей съ ихъ ненасытностью, и мирно и

покойно провежъ бы патриархальную жизнь въ лонѣ простой природы, столь величественной и прекрасной въ нашемъ отечествѣ. При этихъ грустныхъ думкахъ застало твое письмо меня, только что выздоравливающагося. Вотъ почему я сочувствовалъ къ тебѣ. —

Духъ человѣческій, достигнувъ полнаго своего развитія, совершивъ дѣла ему свыше опредѣленныя, склоняется наконецъ, утомленный къ покою въ тихой семейной жизни. Я бы отнесъ причину твоей скуки къ этой гипотезѣ, если бы зналъ, что поприще твое совершилось. Но для тебя не наступало еще этого періода жизни. — Управление Самурскимъ округомъ сдѣлалось для тебя уже вещью обыкновенною, однажды заведеннымъ механизмомъ. Душа твоя ищетъ пищи новой, духъ твой стремится къ болшей дѣятельности, спенамъ болѣе сильнымъ, болѣе патетическимъ. И пока онъ достигнетъ своего назначенія, ему скучно, грустно! Согласись, Захарій, что еще одинъ случай, подобный Ричинскому, и ты снова въ волненіи пріятномъ, снова забудешь мирный покой семянина. Углубись въ себя и, тогда, — увѣрившись, что громъ славы и звукъ оружія не имѣютъ уже для твоего слуха магическаго значенія, — оставь службу, займись имѣніемъ. И это другая слава — сдѣлать счастливыми своихъ крестьянъ, оставленныхъ до сихъ поръ безъ господина — попечителя. — Иначе, Захарій, помни, что и въ жизни счастливаго земледѣльца, нѣтъ для тебя покою. Затрубить въ военную трубу и снова ты не земледѣлецъ. — Можетъ быть я ошибаюсь въ причинѣ твоей грусти, но я все таки ожидаю отъ тебя дѣяній громкихъ! —

კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას რევაზ ერისთავსედ, და ქორწილსაც სამალღებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარობან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება, და ამისათვის, ჩემი შაზრი ეს არის რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოდ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა წახედეს, ახალთან კიდევ შოვა! — დავით ერისთავმა სამაჟანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა ჰსცემ. — Прошу передать это извѣстіе Георгію. Я хотѣлъ писать къ нему, но побоялся, что можетъ быть письмо



სურათი ნიკო ფიროსმანიშვილისა.

не дойдеть до него по теперешному движенію войскъ. А это очень непріятно. —

Жаль, что я не знаю статистики Самурскаго округа; а то бы я попросилъ тебя какой нибудь знакъ памяти. Предоставляю твоему выбору. —

სხვა ამ ხელად არა ვიცირა და საქმეებიც ბევრი მაქვს, სასამართლოში ვწერ ამ წიგნსა.

შენი მარად და მარად ნ. ბარათოვი.

წელსა 1844-სა
 აპრილის 15-სა
 ქ. ტფილისით.

(ამ წერილის პირველ გვერდის არშიაზე სწერია)

Я получил и отъ Григорія письмо вслѣдъ за твоимъ. რას მოიწერებოდა? Дай ему престоль Августъ, онъ бы всю римскую имперію обратилъ въ комическую шутку.—ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის.

IX.

Любезный братъ Захарій! Съ восторгомъ поздравляю тебя съ побѣдою, совершеніемъ дѣла блистательнаго. Меня радуеть въ особенности то, что мои ожиданія начинаютъ уже оправдываться. Я часто сказывалъ тебѣ, что я вижу на челѣ твоимъ печать величія и славы.

Благодарю за ружье. Оно стоитъ называться подаркомъ Начальника Самурскаго округа. Но для меня оно значитъ болѣе, какъ подарокъ отъ уважаемаго и любимаго брата.—

Письма твоего, отправленнаго по почтѣ я еще не получалъ. Ожидаю съ нетерпѣніемъ.—ჩვენსი ყმაწვილკაცები, ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმაწვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი, სულ წამოვიდნენ შამილის დასაქვრად; ესენი სულ სარღლები არიან ქართველთ ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამამავლობით გიჟები არიანო.

ეს შენი ლეკი სადილად დავბატყე კარგად; და ერთი ოქროც ვაჩუქე დუშალიკში.—

კატოს ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება.—არღუთინსკის ღენერალ-ადუტანტობას ამბობენ; თუმცა გამოცხადებით არ არის, მაგრამ წიგნი მოსულა პეტერბურლიდგან,—საკურველიც არ არის. ვინც რამ უნდა ილაპარაკოს და აცა თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტას ხანში.—

ნ. ბარათაშვილის ნათესავები.



ყაფლან ორბელიანი.

გიორგი თუ მანდ იყოს კარგის სიყვარულით მომიკითხე.
სხვებრ ღმერთსა ვთხოვ უენს მარად და მარად მშვიდობას და
გამარჯვებას ყოველს საქმეში.

შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი.

წელსა 1844-სა
მაისის 10-სა
ქ. ტფილისით.

(დამატებულია ბოლოში)

მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს. — კატომ მოგიკითხა. ისევ შენ თორემ, სხვანი ჩუსუმები არიანო.

დავით ერისთავმა, სიძის ძმამ, სამაქანკლოში ქორი გთხოვა. ზაქარია, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად მიაჩნიათ.—

შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა.—ამისთანა წუწკმა ხანდისხან ასეც იცის.

X.

საყუარელო ძმაო, გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას.—დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო. კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ; ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკილო.—ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასატერად წამოვიდნენ. ქალები მე დამრჩა. მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია.

ვიცი გეწყინება, ქ. ყ—ის ცოლი ჭკუაზე შეჰსცდა, საწყალი! ტირილი მოგივიდოდა ამის ნახვაზედ. მგონია დიდხანს ვერ იცოცხლოს.

ვიცი გიამება, ქ. დავნიშნეთ რ. ე—ზედ. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი) сужженного конемъ не объѣдешь. ქორწილი საპეტრებავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე.—ექვს კვირა უკან, то-есть: 29 июня.

ზ—ას და გ—ის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ—ია იწერება, რომ გ—ლმა სულ ბლუჯეულად იცისო.—კ—მ შემოგითვალა, ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ-ერთია, თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო.—მე კი ეს ვიცი, რომ ე—ანთ რძალთან არა დაგვეკარგება—რა, კარგს ჭიზგას გვაჩუქებენ.—მანც საჭიროა.—ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა.

ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია რიცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მი-

ზეზი, მაგრამ უფრო გულ-მავიწყობა; ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენტან ფოჩტა.

ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამოძახდნენ, ყაფლან მაგათ-ზედ იცინის; ასე ამბობს სულ ჩამომავლობით ქირვეულნი არიანო.

ახალი ამბავი ანუ ქორი ხომ გიყუარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალ—ნა ოღესაში მიდის მ. ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი.

სხვებრ ვეცდები, რომ საკუთლად კარგი გატენილი წიგნი გამოგიგზავნო.

შენი მარად ნ. ბარათაშვილი.

წელსა 1844.

მაისის 23-სა.

ქ. ტფილისით.

ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნა-ვებათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი აქას მკითხავენ.—შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაჰ შენს მტერსა-მეთქი.


XI.

უსაყვარელესო ძმაო ზაქარიავ! მომილოცავს პოლკოვნიკობა! შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორე დღეს ინვალიდებში ეწერა.—მე ახლა ჩქარად ღენარლობის იმედიცა მაქვს.—მაგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დაღესტანში იმსახურო*), თუნდ მაგ ადგილშიაც არა; და მერმე იცი რა ვიფიქრე შენთვის, კასპიის ობლასტის ნაჩაღნიკობა. ვინ იცის! მე კი კარგადა მაქვს დაცდილი წინაჰსწარ თქმა.—*Что Budgetъ гораздо существеннѣе.*—

კატოს ერთი თთვეც არის ჯვარი დავწერეთ.—კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორეს დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ლამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგათ დაგვიხვდა.—იქიდგან ახალგორს წავედით.—ოძის რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა

*) ალბად უნდა იყოს: იმსახურო.

6. ბარათაშვილის ნათესავები.




ნიკ. რევაზ. ერისთავი, შვილი პოეტის
დის ეკატერინასი.

ერისთავი სდგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება; ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო, ალექსანდრე სუმბათოვი—მეჯვარე. რომ დაბინდდა — შევედით ახალგორს. — სასახლე ქრაქებით იყო გაჩახჩახებული, შეიღანი მაშხალებით; ამ დროს ახალი არქიერი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვართ მოგვეგება გალაენი*) კარებში; დაჰკრეს ზურნას, სარათას**) სიმღერა (თანა გვყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ქდვა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა; ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა. — სასახლეში რომ შევედით და ყაფლანა***) ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულთ წამოიძახა: *фү, е—м—, это дворецъ!* ბევრი გვიცინია. —

*) უნდა იყოს: გალაენის.

**) უნდა იყოს: სათარას.

***) უნდა იყოს: ყაფლანმა.



სტატიკური ნაგებობის დასახლება

რასაკურველია მეორეს დღეს, პატარძლის ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშაგებში იწვა. — მესამე დღეს ადგა. მზითევი გაშინჯეს, მაგრამ, ზაქარიავ, მრთელს ქართლში გაიტქვა; თუარემ მანანა გეტყვის, როცა ნახავ. — მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედათილმა, მაზღებმა, მუღებმა და რძალმა, კარგი ნიშნებიც იყო. — არქიერი ეზოში იდგა კარავში ქანდრებს ქვეშ. — იმ დღეს ამობძანდა კატოს სანახავად, დალო-

ცა და ერთი ოქროთ მოჭედლილი ღვთის მშობლის ხატი აჩუქა.—ხუთი დღე და ღამე სულ შეგცევაში ვიყავით.—მამუკაც აქ იყო და ძალიან გამხიარულდა.—მერმე მე და მამუკა გორს გადავედით, იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რომელიც ორის დღის წინათ ჩვენზედ წავიდა, მელანა და ბევრნი სხვანი; ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში, ესტატე ერისთავის შვილისა.—იქიდგან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ უშუშურები გვასვა,—ერთის ლექსით კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა.

მე და მამა აღევლობას, რომ ამ თთვის თხუთმეტს იყო, ვეწვივნით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვარობა იყო. ახალგორიდგან თორმეტი ვერს ჭია, მაღალს მთაზედ.—ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი.—ძალიან მხიარულობა იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტად დაგვიშალა მხიარულება.—ზაქარიავ, ჰსწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია.—ძმების უმაგალითობა*) თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა.—ამასთან რევაზ ზედ აკვდება, ლევანისა ხომ სულია კატო და დავით ხომ იმის ნებივრობაშია.—მე ეს მამა, რომ მტერი ვერ გაიხარეს.**)—თუ ღმერთი გვადირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ. მართალია სანადირო არ არის, ყოვლის გვარისა.—

ბევრი ვიცინეთ გრიგოლის წიგნზედ; მანანას წაუკითხე.—ილიას წიგნი მოვიდა. ჩერვლონში არიან სულ ყველანი და ამ თვის გასვლამდინ მგონია მოვიდნენ.—მთავარმმართველსაც ამ სამ დღეზედ მოვლიან! ლუარსაბის ცოლი ანნა ძალიან ავად არის, საწყალი! სხვა ამბავი აქ ახალი და საშენო არა არის რა.—

მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ შენს კვალად და კვალად ბედნიერებას.—

შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათოვი..

*) უნდა იყოს: უმაგალითო.

**) უნდა იყოს: გაიხარებს.

P. S. ზაქარიაე! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დაჰმაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავეთ დარჩენილია და ამისათვის კაბინეტში ვერ გამიძართავს. —

დამავიწყდა. — ივან კარლიჩი გარდაიცვალა. — სალომე კარგი ქვრივი დარჩა. — სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უანდერძა *ЗАКОННЫМЪ АКТОМЪ*. — თუ გიორგი ნახო, ჩემ მაგიერად დიდი მოკითხვა. —

(წერილის შესამე გვერდის არშიაზე სწერია:)

იაკინტემ, ამ წიგნის წერაში, ასე მითხრა ჩემ მაგიერ მოკითხვა მიჰსწერეო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისათვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული.

(პირველ გვერდზე ჩამატებულია):

მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა. შენი ელის... (ვერ გაირჩევა).


XII

9-ს თებერვალს 1845

ქ. ნახეჩევანით.

საყვარელო დაო, მაიკო! შენი წიგნი მამრვიდა; დიდად მაღლობელი ვარ; ვიცი, რომ გიყვარ-ვარ, მაგრამ, შენმა გაზდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს). — ნეტა, ვის ნათესავეებს ემდური? თითქოს არა ვის იცნობდე; განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? — არა, რომ შეპატიუები მანდ, რას შეპატიუები; ახლა ყველანი კარგად გიცანით; აი სამი თთვეა აქა ვარ და ძალლად არა ვინ მახსენა; ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ! აღარც მე მცალიან ვის თვს — მე; ახლა მე ჩემი თავი კელმწიფობას და საზოგადოობას შევჰსძღვენ; სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა; თქვენც გეყოფათ ბუზების ზოცვა. — დიახ, ნუ რა ვის მოვაგონდები! იმისი არის იყოს, როგორც ერთს ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო! ეგვეც აგრე იყოს. მაგარმ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით, და წინაც ჯერ ბევრი ნუგე-

ერისთავების ეზო ახალგორში.



ჭაღრებს ქვეშ.

ში და სიამოვნება გვიძევეს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოეღოს!...

კრიანოსნები გეთხოვნათ; მე დიდიხანია თავრიზიდგან ხუთი კრიანოსანი დავიბარე; აქამდისინ კიდევ უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოცდა ათი ვერსია აქედგან); მაგრამ ჯერ კი არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ, ამიტომ, რომ მაგისთანა კრიანოსანი ერთი

უნდა იყოს და რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა, ხომ გაგიგონიათ:

რაკი ტურფა გაიფუტეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!

და რადგანაც პირველად ტასოს გამოუგზავნე, ამისათვის, რომ არ ეწყინოს, მაგის თანამობით უნდა იქონიოთ მაგისთანა კრიანოსანი. — თუმცა გაჯავრდებით ამაზედ, მაგრამ, მაინც მე კიდევ ასე მოგახსენებთ. —

ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. — ნეტა ყველასა თვის აგრე მალე როგორ გაგიუღებით? — მაგის ამბავი ჩვენა გვკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდგან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა ჰსჯობსო? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია. — მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასა თვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარა ვის ექნებო! ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მაშხალაა. —

ახლა ნახეჩვენაში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქპრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. — ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რამანია. — ამ ლექსში თავის თავს ჰსტირის: ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბაღაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. — ამ ლექს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით: რომ, ეი, მუსუღმან ნამაჩი ხანჯაღსანი, იმღეროს. —

ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს, ივანეს კიდევ არ დავემღურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც



სპარსელი მომღერალი საპთარა.

ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია! მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში.—ახლა ცა ახალია, ჭვეყანა ახალია და მოლაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!

ტასო მოიკითხე და მადლობა უთხარ მოგონებისთვის. კატო მომიკათხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მამწერს და: ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზედ დაჰსწერს?—

მაიკო, ეს რისაგან არის, რა კი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჰორაობა უნდა გაჩნდეს?

სხვებზე ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერებას.—ნუ დაჰივიწყებ.—შენი მარადის ერთგული:

თ. ნ. ბარათ (აშვილი).

(პირველის და მეოთხე გვერდის არშიებზე მიწერილია პოეტის ხელით):

აი ამ ქართულს ლექსს*) გიგზავნი მდაბიურულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა.—მე ვარ და ჩემი ნაბაღი, იმის ხმაზედ.— არა, ის რა ფერი ლაქით**) დაგებეჭდა შენი წიგნი; იქნება ახლა მაგ ფერიც მოდა იყოს და, მოსწონდეს ვისმე?—

(მეორე და მესამე გვერდის არშიებზე მიწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით):

უფალმა ნაჩაღნიკმა მოკითხვა შემოგითვალათ.

ტატო დღე და ღამე იხვეწება თუ ღმერთი გწამს გააშვებინე ქმარიო, მე როგორც დამჯდარი კაცი არა ვშვრები.—

XIII

საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხ ვარ, რომ ვერ გამოიცან ვენი მოქმედება.—მე კიდევ შევარიგე ცოლქმარნი და! კრიანოსნები ჯერ არ მამსვლია, და როცა მამივა, უთუოდ გამოგიგზავნი, თქმა აღარ მინდა.—ჩვენი აქ ცხოვრება, ჰსწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა! ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნიედგარდს ჰსწყევლის, აქ გამოგზავნისა თვს, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს.—ეს ერთი კაცი გვყვანდა პოლკოვნიკი ფორსტენი, ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დაგრჩით!

მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი შევნახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?

ვისაც ვახსოვდე, მამიკითხე, და ვისაც არა.*)
რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!

შენი მარადის უცვალეზელი ქმა ტატო.

*) ეს ლექსია: მადლი შენს გამჩენს ლამაზო.

**) დაწერილია „ბეჭდით“, მერე წაშლილია და ზევით აწერია „ლაქით“.

***) ნამდვილშია ეს წერტილები.

10-სა აგვისტოს 1845, მურუტს.

საყვარლო დაო, მაიკო! მართლა, შენ თუ თვითონ ავი ვნა არა გაქვს, აბა რა მოგაკონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდი ვარ. ზედ გეტყობა, რომ ჰსტყუი, თუარემ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომებო.—აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვჰსთქვა—და შენ კი მაშინვე გაჯავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვჰსთქვათ, ჩვენს უმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?... აი, აკი გითხარ, გაჯავრდები მეთქი. არა შენ რა გაჯავრებს? ეგ ჰსწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღვთისწყალობა უთხრან და გაჯავრდეს; შენ რა? აგრე გაწითლებაც იქნება. მანანას ეგონება სიანჩხლით გაწითლდი, ივანე კი ჩაიცინებს. აბა, ნახე, შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მამრალე, მე რა ვჰსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ...რამ დამავიწყა?... ოჰ, მამაგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩველი შენა ხარ! აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?

კარგი, შევრიგდეთ! კელთ-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაჰ შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს მრავლობითად რომ ვეუბნები).—რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იპისთვს მოგახსენებთ.—მე კი არა გთხოვთ, და თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა, და თუ არა და ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ

აბა რა გამოგიგზავნო? ბროწეული, ყურძენი, ატამი, ხოხობი, ღურეჯი, ჯერანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ წაბრიკებში და მალაზიებში, ამის მეტი არა არის რა.—

ახალ დანიშნულს, თუ პატარძალს, სოფიოს მოახსენე, თუ შეგხვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზონარს მამიქსოვს აგრე ჩქარა გათხოვდება.—

ნიკოლაი ალაპიჩი და კატო ქალაქშივე არიან, თუ წავიდნენ?—ამ თთვის გასულს მეც ვაპირებ ყაზახში წასვლას და თამართან შევალ დილიჯანში რამდენიმე დღე.—კარგად არ ვიცი, რომ დასევდიანებული იქნება.

კარგი, დავიდალეთ ამდენი ლაპარაკით. არა მცალიან.—

შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ.

XV

(ნაწყვეტი წერილისა გრ. ორბელიანთან*).

... აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე, მისის თხოვნით,—ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში сь большимъ запасомъ свѣдѣній оъ исторической Грузи.

საფლავი ივერიისა**)

* 3. უმიკაშვილს გადმოუწერია გრ. ორბელიანის გადმოცემული ოთხი წერილი ნ. ბარათაშვილისა: ა) 1841 წ. მაისის 28, ბ) 1841 წ. ოქტომბრის 18, გ) 1842 წ. მაისის 2 და დ) 1843 წ. აგვისტოს 21, ხოლო მეხუთე ნუმრად გადმოწერილი აქვს აქ დაბეჭდილი ნაწყვეტი, რომელსაც თავში შემდეგ შენიშვნას უკეთებს: „ეს ცალ ფურცელზედ იყო ნაწერი. წელიწადი არ არის დანიშნული (უნდა ვკითხო გრ. ორბელიანს).“

***) ამ სათაურს მოსდევს 3. უმიკაშვილის შენიშვნა ბრჭალებში: „აქ ისლექსია დაწერილი ცოტაოდნე შეცვლით, რომელიც „ცისკარში“ 1860 წ. ივლისის ნომერშია 210 გვერდზე, სახელად საფლავი მეფის ირაკლისა. ნახე ჩემი ექზემპლიარი. აქ უნდა მოვიხსენო, რომ „ცისკარში“ რაც ბარათაშვილის ლექსებია დაბეჭდილი 1860 წლის დაწყებიდან, ეს ლექსები ჩემის ნაწერებიდგან არის. 1860 წლის წინათ კი არ ვიცი, საიდან დაუბეჭდიათ. მე გადმოვწერე ალექსანდრე ჩიქოვანის ხელით დაწერილ რვეულიდან, რომელშიაც მახსოვს მოხსენებული იყო რომ სარდიონ ალექსიევი-მესხიევის რვეულითგან გადმოვწერეო. ის რვეული გიორგი ჩიქოვანს ჰქონდა და ილია ქავკავაძეს ვგონებ დაუქარგავს. ამ რვეულში ყველა ლექსები იყო რაც მინახავს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი ერთს გარდა. იქვე იყო „ჩინარი“, რომელიც ნ. ბარათაშვილის ხელით ნაწერი არ მინახავს და რომელიც დაბეჭდილია „ცისკარში“ 1862 წ. ოქტომბრის ნომერში.—მე აღარ დამრჩენია მაშინდელი ნაწერი, რადგან ერთიანად მაშინვე კერესელიძეს გადავეცი, რომ მალე დაბეჭდილიყო და არ დაკარგულიყო. „ივერიის საფლავს“ ცისკარში დაბეჭდილს, 1842 წელი უწერია“.

გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდეც დააწკარუნო ამდენის ხნის
დადუმებული შენი სანთური.—***)

***) ამის შემდგომაც ასეთი შენიშვნაა პ. უმიკაშვილის: „ამ ფურცელზე
ნამდვილი ბარათაშვილის ნაწერია“.

ნ ა წ ი ს ი ს

ქრონოლოგიური-ბიბლიოგრაფიული განხილვა.

I. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები.

დღემდის აღმოჩენილია შვიდი ავტოგრაფი ნ. ბარათაშვილის ლექსებისა: ექვთ. თაყაიშვილისა, ბარბ. ვეზირიშვილისა, ბარბ. ერისთავის, ვალ. გუნიასი, მაიკო ორბელიანის, გრიგ. ორბელიანის და სამეგრელოს დედოფლის.

ე. თაყაიშვილის ვარიანტი წარმოადგენს ორს განცალკევებულს წიგნს. პირველი წიგნი 19, 5 + 19,5 სანტიმეტრი, შეიცავს ლექსების კრებას, 1843 წლამდის დაწერილს. წიგნს შემდეგი სათაური აქვს: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნაკაფლას ბარათაშვილისაგან. 1843“. პირველ ლექსად მოყვანილია „ბუღბუღი ვარდზედ“ და უკანასკნელად „სულო ბოროტო“. სულ 26 ლექსია. ყველა ლექსის ბოლოს ნაჩვენებია დაწერის წელიწადი. ლექსები საზოგადოთ ქრონოლოგიურის წესით არის დაწყობილი, ხოლო ორს შემთხვევაში ეს ქრონოლოგიური წესი ირღვევა: 1839 წ. ლექსი „თავადის ჭ... ძის ასულს, კე... ნას“ მოთავსებულია ლექსის „ჩანგუჭს“ შემდეგ, რომელიც დაწერილია 1837 წ. ლექსი „ადმკზნდა მნათი“, დაწერილი 1840 წ., მოთავსებულია ლექსის „ჩემთ მეკაბათ“ შემდეგ, რომელიც 1841 წ. არის დაწერილი. წიგნი შეიცავს სულ 45 ფურცელს, რომელთა შორის დაწერილია მხოლოდ 28 ფურცელი, დანარჩენი ცალიერია. წერა აქ სათაურის გარდა ნუსხური მხედრულია, ჩვეულებრივად ლამაზი და საზოგადოდ წერილი. წიგნი ლამაზის ყდით არის შეკრული.

მეორე ხელნაწერი ე. თაყაიშვილისა, 15,5 + 12,5 სანტიმეტრი, შეიცავს მხოლოდ თხზულებას „ბედი ქართლისა“, ლამაზის ყდით შეკრულს. „ბედი ქართლისა“ პირველ ხელნაწერში არ მოიპოვება. საზოგადოთ პოეტს ეს თხზულება არ შეაქვს ლექსთა კრებაში, არამედ ყოველთვის ცალკე წიგნად სწერს, როგორც ამასვე ვხედავთ ჩვენ ვეზირიშვილის ვარიანტში. სათაური „ბედი ქართლისა“ დაწერილია ხელჩართულათ, ანუ გრეხილით. შასავალი „კასთა მიმართ“ ნაწერია მრგვალის მხედრულის ხელით, ხოლო დანარჩენი ნაწილი თხზულებისა ერთობ წვრილის და ლამაზის ხელით. ამგვარად ეს ავტოგრაფი წარმოგვიდგენს ყოველგვარს წერას პოეტისას და დიდის მოწიწებითაც არის გადაწერილი. შემოხსენებული ავტოგრაფები პოეტისა ე. თაყაიშვილმა წერა-კით-

ხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს შესწირა (№№ 2516, 2597). შემომწირველს ისინი შეუძენია 1887 წ. პეტერბურღში ბუკინისტისაგან სხვა ქართულს წიგნებთან ერთად. ორსავე ხელნაწერს ექ. თაყაიშვილის ხელით შენიშვნა უწერია: ვიყიდე 1887 წელს პეტერბურღში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნვეის პროსპექტზედ, № 54. ექ. თაყაიშვილი.

ბარბარე მელიტონის ასულის ვეზირიშვილის ვარიანტიც ორ წიგნად განიყოფება. ერთი 21+13 სანტიმეტრი, შეიცავს პოეტის ლექსებს, გარდა „ბედი ქართლისა“. ეს ლექსთა კრებული უნდა იყოს გადაწერილი 1843 წ., თუმცა ეს სათაურიდგან არა სჩანს. სათაურში მხოლოდ სწერია: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნ. ბაჩათოვისაგან“. ამის შემდეგ ხაზია გასმული და ხაზს ქვემოთ უნდა ყოფილიყოს წელიწადი ლექსების გადაწერისა, მაგრამ ეს ვილასაც ამოუფხვკია. რომ ეს ლექსთ კრება პოეტს გადაუწერია 1843 წ., როგორც ე. თაყაიშვილის ვარიანტი, ეს იქიდგან მტკიცდება, რომ ამ კრებულში არ მოიპოვება არც ერთი ლექსი შემდეგს წლებში დაწერილი. განსხვავება ამ ხელნაწერისა ე. თაყაიშვილის ვარიანტისაგან მხოლოდ იმაშია, რომ ვეზირიშვილის ვარიანტში ერთის ლექსით მეტია: ბოლოში მოთავსებულია ლექსი უთარილოთ „შევიშრობ ცრემლსა“, რომელიც იმავე 1843 წ. უნდა იყოს დაწერილი. სულ ბოლოს არა პოეტის ხელით მოყვანილია ლექსი „დილა“ (აჰ! დილაჟ, დილაჟ კუღაჟ სანატრელა*). შემდეგ 25 ფურცელი ცალიერია. ქსულ ხელ-ნაწერში 57 ფურცელია. წიგნი ყლით არის შეკრული.

მეორე წიგნი ვეზირიშვილისა, 18+12,5 სანტიმეტრი, შეიცავს თხზულებას „ბედი ქართლისა“, ლიბერ ქალაღზე დაწერილს ნუსხა მხედრულის ხელით, გარდა სათაურისა, რომელიც ხელჩართულია. ტექსტს უჭირავს 28 ფურცელი, შემდეგ ცამეტი ფურცელი დაუწერელია. წიგნი ყლიანია. ეს ორი ხელ-ნაწერი, როგორც მოვიხსენეთ, ეკუთვნის ბარბარე მელიტონის ასულს ვეზირიშვილისას, მკვიდრ დას პოეტისას. დღეს ორივე ხელნაწერი საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების საკუთრებაა.

ვალერიან გუნისას ვარიანტი, 17+12 სანტიმეტრი, წარმოადგენს პატარა უყდო რვეულს. თავში პირველ გვერღზე სწერია მრგვალის მხედრულის ხელით: „1841 წ. ტფილისი.“ მეორე გვერღზე ვკითხულობთ:

*) ბოლოს უწერია: თ. გ. ორბელიანისა.

„ღაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად.—ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შეიბრალებ შენსა ყარბსა ძმასა: თ-ი ნ. ბარათაზე (ილი)“.

შემდეგ მოყვანილია ლექსები: 1) ბულბული ვარდზედ, 2) ქეთევან, 3) ძია გ...სთან, 4) ღამე ყაბახზედ, 5) შემოლამება მთაწმიდაზედ, 6) ფიქრნი მტკვრის პირას, 7) ნაპოლეონ, 8) ჩემს ვარსკვლავს, 9) ჩონგურს, 10) საყურე და 11 ჩვილი. არც ერთის ლექსის დაწერის დრო, გარდა პირველისა, ნაჩვენები არ არის. სულ ხელნაწერში 17 ფურცელია, რომელთა შორის ოთხი უკანასკნელი დაუწერავია. ხელნაწერი ვ. გუნიას ტფილისის ბაზარში უყიდია და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს შესწირა (№2701). ეს ვარიანტი იმით არის საყურადღებო, რომ აქა ორი ლექსი: „ძია გ...თან“ და „ღამე ყაბახზედ“, რომელიც ე. თაყაიშვილის და ბ. ვეზირიშვილის ვარიანტებში არ მოიპოვება.*) ეს გარემოება გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ თვით პოეტს ღირსეულად არ დაუნახავს ამ ლექსების შეტანა თავისს კრებულში დი თუ მაიკოს კრებულში შეუტანია ეს ლექსები, სწორეთ იმიტომ, რომ მის ახლო პირს და ნათესავს ეხებიან.

ბარბაღე იაკობის ასულის ერისთავის ვარიანტი, რომელიც ეხლა ეკუთვნის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, № 1115, წარმოადგენს სრულ თაბახიან ქალაქის რვეულს ზონარით გაკერილს შუაზედ. რვეულში ცხრა ფურცელი ყოფილა, ანუ 36 გვერდი. ფურცლებს სათვალავი არ ჰქონია. უკანასკნელი ორი გვერდი ეხლა დაკარგულია, მაგრამ ეს გვერდები ცარიელი უნდა ყოფილიყოს, ისე როგორც ცარიელია ამჟამად დაცული 33—34 გვერდები. ხელნაწერი ავტოგრაფია ნ. ბარათაშვილისა ჩვეულებრივად წვრილის ხელით ნაწერი. რვეულის მეორე გვერდზედ მოყვანილია ავტორისავე ხელით ნუსხა 27 მისის ლექსისა შემდეგის რიგით:

1) ბულბული და ვარდი, 2) ქეთევან, 3) შემოლამება მთაწმიდაზედ, 4) კმა იღუმალი, 5) ფიქრი მტკვრის პირზე, 6) ჩონგური, 7) ჩემს ვარსკვლავს,*) 8) ეკატერინას, 9) ნაპოლეონ, 10) საყურე, 11) ჩვილი,

*) მეორე ვარიანტი ამ ლექსებისა დაცულია გრ. ორბელიანის წერილში.

*) წინათ დაუწერია: „ეკატერინას“, მერმე წაუშლია და ხაზს ზემოთ დაუწერია: „ჩემს ვარსკვლავს“.

12) სული ობოლი, 13) სატრფოვ, შახსოვს, 14) ჩემი ლოცვა, 15) ჩემთ
მეგობართ, 16) აღმოაჩნდა მნათი, 17) არ უკიჭინო, 18) ვაჰოვე ტაძარი,
19) სუმბული და მწირი, 20) მირბის, მიმაფრენს, 21) რად ჰყვედრი
კაცსა, 22) საფლავი მეფის ირაკლისა, 22) მიყვარს თვალები, 24) შენნი
დალაღნი, 25) ბარატაევის აზარტეშაზედ, 26) სულო ბოროტო, 27)
შევიშრობ ცრემლსა.

ყველა ლექსს გარდა ერთისა „ქეთევანს“ თარიღი ახლავს დაწერისა.
მაგრამ საკვირველია, რომ ნუსხა არ უდრის არც რიგს და არც
რიცხვს რვეულში წარმოდგენილს ლექსებისას: რვეულში სულ 21 ლექ-
სია და უკანასკნელი ექვსი ლექსი აკლია, არც ყოფილა დაწერილი,
ვინაიდან შემდეგი ორი გვერდი რვეულისა, ეხლაც დაცული, დაუწე-
რელია. რიგი ლექსებისა რვეულში შედარებით ზემოთ მოყვანილი ნომ-
რებისა ასეთია: 1, 2, 4, 3, 5, 8, 11, 12, 13, 6, 7, 10, 9, 14,
15, 16, 17, 18, 19, 20, 21.

ეს ის რიგია, რომელიც დაცულია ბარბარე ვეზირიშვილის წარი-
ანტში იმ გამოკლებით, რომ ამ უკანასკნელში სრულად არის 27 ლექ-
სი ჩაწერილი და არა მარტო 21 და კიდევ მით, რომ მეშვიდე ლექ-
სად მოყვანილია „ეკატერინას“ (უფრო ვრცელის სათაურით: თავადის
ქ...ძის ასულს, ეკ...ას) და მერვედ: „ჩემს ვარსკვლას“. ექ. თაყაი-
შვილის ვარიანტი მე-17 ნომრამდის ეთანხმება ვეზირიშვილის ვარი-
ანტს, ხოლო შემდეგ ნომრები ამ რიგად მიჰყება: 18, 23, 19, 24, 21, 20,
22, 25, 26. ვინაიდან ჩვენ ვიცით ე. თაყაიშვილის ვარიანტიდან,
რომ მე-26 ლექსი „სულო ბოროტო“ და ალბად უკანასკნელიცა
„შევიშრობ ცრემლსა“ დაწერილია 1843 წელს და ამ ლექსების სათა-
ურები პოეტის ხელით მოყვანილია ერისთავის ხელნაწერში, ჩვენ ნება
გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერისთავის ვარიანტიც გადაწერილია არა უად-
როეს 1843 წლის, მაგრამ შესაძლოა ლექსები ავტორს დაეწეროს
1842 წელს, იმ დროს როდესაც დაწერილი იყო ამ წლით დათარიღე-
ბული უკანასკნელი ლექსი რვეულისა: „რად ჰყვედრი კაცსა“, და
შემდეგ 1843 წელს ჩაეწეროს ის ნუსხა სათაურად, რომელიც ზემოთ
მოვიყვანეთ. ნუსხაში მან აღნიშნა ყველა ის ლექსები, რომელნიც
1843 წელს უკვე დაწერილი ჰქონდა. ამ მოსაზრებას შემდეგი გარე-
მოებაც ასაბუთებს: ექ. თაყაიშვილის ვარიანტი, როგორც თარიღი

უჩვენებს, გადაწერილია 1843 წელს. ამავე წელს არის გადაწერილი ვეზირიშვილის ვარიანტიც. ხოლო ის გარემოება, რომ ორი უკანასკნელი ლექსი ამ ვარიანტისა ეკუთვნის 1843 წელს, მოწმობს, რომ ხელნაწერი 1843 წელს არის გადაწერილი. თაყაიშვილის, ვეზირიშვილის და გუნიას ვარიანტებში არც ერთი სტრიქონი და სიტყვა არ არის ნასწორები პოეტის ხელით. ყველა სუფთად და წაუბლაღავათ ნაწერია. ხოლო ერისთავის ვარიანტში შესწორებანი აქა იქ მოიპოვება და ზოგჯერ ძრიელ თვალსაჩინო, მაგალითად ლექსი: „ჩემთ მეგობართ“ ორად არის მოყვანილი პარალელურად: ერთი შავად მრავალი სტრიქონის წაშლით, მეორე თეთრად, მაგრამ აქაც ზოგიერთი სიტყვა წაშლილი და შესწორებულია. ბევრია შესწორება აგრეთვე ლექსში: „შემოღამება მთაწმიდაზედ“. არის კიდევ შესწორება ლექსებში: „კმა იღუმლი“, „ფიქრი მტკერის პირას“. ამას გარდა მელანიც უკანასკნელი ლექსებისა ამ ვარიანტში სხვა ვიდრე წინა ლექსებისა. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ რვეულში ლექსები სხვა და სხვა დროს არც პოეტის ხელით ნაწერი, აქვე არის მისივე ხელით ზოგიერთი ლექსები შესწორებული და ზოგიერთიც შავად დაცული. ამიტომ მისი ლექსის თხზვის დასახასიათებლად ეს ავტოგრაფი ყველაზედ უფრო საყურადღებოა.

ლექსთა ნუსხის შემდეგ ერისთავის ხელნაწერში სამი ფურცელი დაუწერელია და ყველა გვერდებზე (3, 4, 5, 6 7 და 8) შუაში რაღაც ყოფილა დაწებებული, რომელიც შემდეგ მოუცილებიათ. ხოლო მე 6 გვერდზედ პოეტის ხელით ორ სტრიქონიანი ლექსია, რომელიც სხვა ვარიანტებში არ გვხვდება:

„მოახლებულა აღსასრული შენიც კავკასო

თვალ ხარბო გმირო, გულ უმაძროვ, ბერო კაპასო“

წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში მოიპოვება 5. ბარათ-შვილის ხელით დაწერილი ხუთი ლექსი: 1) სატრფოვ მახსოვს 2) არ უკიყინო, 3) ვჰპოვე ტაძარი, 4) ქილის ყვავილი და მწირი 5) დამქროლა ქარმან სასტიკმან. ეს ლექსები პოეტს სხვა და სხვა დროს მაიკო ორბელიანისთვის გაუგზავნია.

გარდა ამისა არსებობდა ავტოგრაფები ლექსებისა 1) ვჰპოვე ტაძარი, 2) მირბის, მიმაფრენს 3) საფლავი ივერიისა და 4) სულო ბოროტო, — რომლებიც პოეტს გრ. ორბელიანისათვის გაუგზავნია. — 1842 წ. გენ-

სვენებულმა იონა მეუნარგიამ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინას ქალღმერთებში აღმოაჩინა ხუთი ლექსი ნ. ბარათაშვილის ხელით დაწერილი: 1) ძია გ...რს, 2) ღამე ყაბახზედ, 3) ნა...ფორტოპიანოზედ მომღერალი, 4) როს ბელნიერ ვარ და 5) ცისა ფერს.

არ ვიცი, ამ უამად ვისთანაა გრ. ორბელიანის და სამეგრელოს დედოფლის ვარიანტები.

ნ. ბარათაშვილის წერილების მხოლოდ ხუთი დედანია შენახული წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოტეკაში (№ 2484): ოთხი მაიკო ორბელიანთან და ერთიც მიხ. თუმანიშვილთან მიწერილი, დანარჩენის ცნობა არ მოგვეპოვება.—

1920 წ. ნოემბერი.

ექ. თაყაიშვილი.

II. ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი.

ლექსები.

ა. ბულბული ვარდზედ.

ამ ლექსის ოთხი ავტოგრაფია*): თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ-ის ვარიანტით.

1. ბულბული ვარდზედ შეჯდა და იტყოდა მსტვინავი: გ. 3. მალირსე თუ როგორ არს ვ. მალირსე თუ როგორ—არს ე. 6. მოიცვამდა ქალებს, გ. 7. აღმოჰკდა მთვარე, გ. 8. სუნნელება. მისარე გ. 11. განაღვიძეს ბულბული, გ. 12. ნახა ვარდი ფურცვნილი, და მყის ვ. 14. აღმალდა მსტვინავი გ. ღმობის კმითა, გ. და ე. 15. უკმო ყოველთა გ. 16. ვის მივმართო წყლულითა? ვ და ე. 17. შევეფრფინვიდი კოკრობას; ვ, ე და გ. 20. არ ვფიქრობდი ე. — 21, ივნისის 18-სა 1833 გ. 1834 (ჯერ ყოფილა 1842 და მერე გაუსწორებია) ე.

*) ავტოგრაფები აღნიშნული გვაქვს შემოკლებით: თ—თაყაიშვილისა, ვ—ვეზირიშვილისა, ე—ერისთავისა, გ—გუნიასი, მო—მაიკო ორბელიანისა, გო—გრ. ორბელიანის, სდ—სამეგრელოს დედოფლის ეკატერინასი. არაბულის ციფრებით ნაჩვენებია სტრიქონი ლექსისა.

ბ. ქეთევან.

ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ-ის ვარიანტით.

5. ჰნათობს ვ. მუნ ქალსა, გ. 6. რომელიცა ჰზის ნაპირსა, კელთა ჩონ-გურის მპყრობელი; გ. 7. გიშრისა თმანი ნაშალნი ჰშენიან გ. 9. ავენანნო, ვ. არც ამ სიტყვის წინ და არც შემდეგ ფრჩხილები არაა. ვ, ე და გ. 10. ეზდენ სული! ვ, ე და გ. 12. უბიწოო სიყვარული! გ. 13. გულის ჰსწორო, გ. 16. ანაცვალე. ვ. ანაცვალე ე. 17. რად მეტყობდი: გ. 19. სიყმაწვილეს, რად მილხენდი, ვ. 21. რად შეიპყარ ჩემი გული, ე და გ. 24. ამ სტრიქონის შედეგ ასეთი ტაეპია:

საყვარელო, ნეტა ოდეს
გეცნას ჩემი კვლავ სიმართლე,
რომ მშვიდობით მე სამარეს
შთაშესვენა გლახ სიცოცხლე! გ.

ესევე ტაეპი ე ვარიანტშიც არის, მაგრამ წაშლილია.

25. ეს ნუგეშმცემს ვ. ეს ნუგეშ მცემს ე. 32. ნაქები მწვენიერებით! ვ და ე. ნაქები შვენიერებით. გ. 34. მხვედრჰან ვ, ე და გ. 35. მარად შეერთო ღელვილი; ე და გ. 36. სახელი ელიზბარისა გ. ჯერ დაწერილია „ელიზბარისა“ და მერე გადასწორებულია „ამილბარისა“. ვ. — წელი არაა აღნიშნული ე და გ.

გ. უემოღამება მთაწმიდაზედ.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ-ის ვარიანტით.

1. ზი მთაწმიდავ, მთაო წმინდავ, ვ.—ჯერ დაწერილია: „აბ! მთაწმიდაო, მთავ წმინდაო,“ ხოლო მერე გასწორებულია: „ზი მთაწმიდავ, მთაო წმინდავ,“ ე.—აბ, მთაწმიდაო, მთავ წმინდაო, გ. 4. ჯერ სწერია „დაჰშთვენ“, მერე გასწორებულია „დაჰშთენ“. ე.—დაჰშთვენ გ. 5. ჯერ სწერია „იღუშალობა“, მერე გასწორებულია „იღუმელობა“. ე.—იღუმელობა გ. 7. ლამაზს ველსა გ.—ველსა ყვავალნი მოჰტენენ, ვ.—რეცა ტაბლას წმიდასა, ვ, ე და გ. 8. და ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, ვ და ე.—სუნნელებასა. ვ. 9. ჯერ სწერია „სედიანი“, მერე გასწორებულია „ნაღელიანი“ ე. 10. შენს ბილიკად მიმოვიდოდი გ. 13. სწერია „აბ, ვით“, მერე გასწორებულია „ოჰ, ვით“ ე.—აბ, ვით ყოველი გ.—14. ტე! ცაო, ცაო, გ. 16. ვერ მოალწევენ, და ჰაერშივე ვ. ჯერ სწერია: „და მიუმწედარსა შენსა წიაღში, მიმოობითა განიბნევიან!“ მერე გასწორებულია: „მაგრამ შენამდის ვერ მოალწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!“ ე.—და

მიუმწვდარსა შენსა წილში მიმოობითა განიბნევიან! **გ. 17.** მავიწყდების **ვ** და **ე.**—საწუთროება! **ვ, ე** და **გ. 18—20.**

გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ზესკნელსა სადგურს
ეძიებს რათა დაჰშთოს აქა ამაოება.....

მაგრამ ჰაერშიგ განჰქარვდების ვერ ჰსცნობს ჟცნაურს! **გ.**

ასევე სწერია, მაგრამ მერე გასწორებულია:

გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაჰშთოს აქა ამაოება,....

მაგრამ ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს! **ე.**

19. ზენაართ სამყოფთ, **ვ. 21.** ვიდევ სერზედა და ცათა **გ. 23.** მქროლნი ნია-
ვნი ღელეთა შორის **ვ.**

23—24. მხოლოდ ნიავენი, ნელღად მქროლნი, ღელეთა შორის აღმოკენესოდენ.
და მღუმარენი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანკებოდენ! **გ.**

ჯერ დაწერილია: „მხოლოდ ნიავენი, ნელღად მქროლნი, ღელეთა შორის აღმო-
კენესოდენ

და მღუმარენი შემოგარენი ამით ჩემსა გულს ეთანხმებოდენ.

მერე გასწორებულია: „ხანდისხან ნელღად მქროლნი ნიავენი, ღელეთა შორის
აღმოკენესოდენ

და ზოგჯერ ჩუმი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთან-
ხმებოდენ!“ **ე.**

27. არა იპოვოს **გ.** არ დაჰსნას **გ. 29.** ჰსდუმენ ყოველნი არემარენი **გ.** დაწე-
რილია: „ჰსდუმენ ყოველნი არემარენი“, გასწორებულია: „ჰსდუმდა ყოველი
მუნ არემარე“ **ე.** ბინდი გადეკრა ცისა კამარას; **გ. 30.** მისსა ამარას; **გ.**

31—32. ვითა უბიწო და მშვენიერი სული ლოცვითა მიიქანცება,

და სახე მისი ამ ქვეყნიერი, მით უფრო მშვენი გაციურდება,—

მას ჰგავდა მთვარე შუქმიბინდული,

დისკოგავსილი, მინახებული! **გ**

ჯერ სწერია: „ვითა უბიწო და მშვენიერი სული ლოცვითა მიიქანცება,

და სახე მისი, ამ ქვეყნიერი, მით უფრო მშვენი გაციურდება,—

მას ჰგავდა მთვარე შუქმიბინდული,

დისკო გავსილი, მინახებული!

ხოლო ეს წაშლილია და გვერდზე მიწერილია:

„გინახავსთ სული, ჯერეთ უმანკო, წრფელითა (გასწ. „მხურვალეს“, უკანასკნელი
ასო წაშლილია) მიქანცებული?

მას ჰგავდა მთვარე, ნახად მოვარე (ჯერ ყოფილა „სახე მიხრილი“ მაგრამ წაუ-
შლია), დისკო გადახრით შუქმიბინდული!“ **ე**

33. ამგჳარი **გ.**—შემოღამება. **გ. 35.** რასაც აღმოვიტყოდი! **ვ, ე** და **გ. 36.**
მხოლოდ სული ჰგრძნობს, **ვ.** ჯერ სწერია „გული“, მერე გასწორებულია

„სული“.—ჰსდღენით მას შვება. ვ. 37. ზი სალამო, მყუდრო, საამო, გ. 38 განსაქარებლად; ვ. 39. შენგან მიიღებს: გ. 40. რომ გათენდების ე.

დ. კმა იღუმალი.

არის სამი ავტოგრაფი: თ, ვ და ე. ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ-ის ვარიანტით.

1. ვისი ხმა ე.—ეს საკურველი? ვ და ე. 3. სწერია: „რად ვჰსცან პირველად ესე სოფელი“, მერე გასწორებულია: „რა ვჰსცან პირველად წუთი სოფელი“, ე. 6. თან-ზრდილთა, ე. 9. იგი მე მარად, ვ და ე. 13. ვერ ვჰპოვებ ვ. 16. სინილისისა! ვ და. ე. 19. ანგელოზი ხარ—მფარველი ჩემი ან თუ ეშმაკი—მაცთური ჩემი; ე. 23. ჯერ დაუწერია: „როს მივხვდე შენსა იღუმნალობას“, მერე გაუსწორებია „ოდეს ვჰსცნა შენი საიდუმლობა“ და შემდეგ კიდევ: „როს ვჰსცნა მე შენი საიდუმლობა“ ე. 24. ჯერ ყოფილა: „როს ვჰსცნა ამ სოფლად ჩემი წილობა“, გაუსწორებია: „როს მხვდეს“, მერე კიდევ: „როს შევეყარო ჩემსა წილობას“ და ბოლოს ასეთი რედაქცია დაუტოვებია: „როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა!“.. ე.

ე. ძია გ...სთან.

იყო სამი ავტოგრაფი: გ, გო და სდ. ჩვენ ხელთ გვქონდა მხოლოდ გ და ტექსტი დავბეჭდეთ ამის მიხედვით.

1882 წ. ჟურნალ „ივერიის“ 4—5 №, გვ. 55—61, დაბეჭდილია „ხუთი ჯერ არ დაბეჭდილი ლექსი ნ. ბარათაშვილისა“, რომელთაც რედაქცია შემდეგს საერთო შენიშვნას უკეთებს: „ეს ძვირფასი ლექსები ნ. ბარათაშვილისა მოგვივიდა ჩვენ ბ. იონა მეუნარგიასაგან, რომელსაც სამეგრელოს დედოფლის უგონათლებ. კნ. ეკატერინეს ქალაქებში უპოვნია. ხუთივე ლექსი ნ. ბარათაშვილის ხელით არის თურმე დაწერილი და მათს სინამდვილეს დედოფალიც ამტკიცებს. თითონ ლექსის კილოზედ ეტყობა, რომ სწორედ ნ. ბარათაშვილის კალამს უნდა ვკუთვნოდეს, თუმცა ორს გარდა „ღამე ყაბახზედ“ და „ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი“—დასრულება აკლია“.

ეს ხუთი ლექსია: ა) ძია გ...რს, ბ) ღამე ყაბახზედ, გ) ნა...ფორტოპიანოზედ მომღერალი, დ) როს ბედნიერ ვარ და ე) ცისა ფერს, ლურჯსა ფერს. პირველი სამი ლექსის შემდეგ PS-ში ი. მეუნარგია ამბობს: „ეს სამი ლექსი არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მის ლექსთა კრებაში, ერთს პატარა რვეულში, ფერად ქალაქზე. რვეული არის გადაწერილი 1841 წ.“ ხოლო მეოთხე და მეხუთე ლექსს ი. მეუნარგია ასეთს შენიშვნას დაურთავს: „ეს ორი

ლექსი ბარათაშვილის ხელით არის დაწერილი $\frac{1}{4}$ ფურცელ ქალაღზე. მისგან ხელმოწევილი არ არის. სინამდვილეს, ხელს გარდა, თითონ დედოფალიც ამტკიცებს. — ლექსს „ძია გ...რს“ ბოლოში ორი სტრიქონი წერტილები აქვს დასმული ა. მეუნარგიას მიერ, რასაც ასე განმარტავს: „ეს წერტილები დედანში არ არის. მე დავსვი იმისთვის, რომ როგორც აზრით ეტყობა, ისე რვეული-დამაც სჩანს, რომ ლექსი არ არის გათავებული.“

ამას ჩვენის მხრით უნდა დავსძინოთ, როს გ ვარიანტში ლექსს გარეგნულად არავითარი დაუსრულებლობა არ ეტყობა.

ლექსები „ძია გ...სთან“ და „ღამე ყაბახზედ“ პოეტმა 1837 წ. თებერვალში გრ. ორბელიანს მისწერა წერილში და თუმცა გ ვარიანტში ლექსების წელი არაა აღნიშნული, მაგრამ უნდა ვაფიქროთ, რომ პოეტს დაუწერია 1836 წ. ზაფხულში, ამას მოწმობს ხსენებული წერილს შემდეგი ადგარი: „ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შუბნიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუბნებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედუპლი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება!... და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორს მეთქი, და კიდევ აღვასრულე.“

(2. სიტყვები „ავისა ენისა“ ხაზგასმულია გვ. 4. სიტყვა „გარდახვეწილისა“ ხაზგასმულია გვ. 6. გიყუარს გვ.)

3. ღამე ყაბახზედ.

იყო სამი ავტოგრაფი: გ, გვ და სდ. ჩვენ ხელთ გვქონდა მხოლოდ გ ვარიანტი და ეს ტექსტი დაბეჭდილია იმის მიხედვით. აღვნიშნავთ განსხვავებას, რომელსაც წარმოადგენს ჟურნ. „ივერიაში“ (1882, № 4—5) დაბეჭდილი სდ ვარიანტი, ხოლო გვ ვარიანტი ცალკეა სავსებით დაბეჭდილი.

4. მოჰყენს ყაბახსა, 5. ზვირთთ ცემით 7. ამ გვარი 9. აქ იქ ქალნი 10. პირად პირადად სეირნობდენ კეკლუც მოსილნი, 15. ზოგნი ერთი ქალები, 16. „თუნდ თავსა უფლად; 19. ლექსი ესე რომ მყის სეცდები 23. ამ დროს, 25. ერთი 30. წარვდევი 33. გმადლობთ, 37. ღაწვზედ

3—ა. ღამე ყაბახზედ.

რადგან გრ. ორბელიანთან მიწერილ წიგნში მოთავსებული „ღამე ყაბახზედ“ ბევრს განსხვავებას წარმოადგენს, ამიტომ მოვითავსეთ იგი

ცალკე საესებით. ამის ავტოგრაფი არ გვექონია ხელთ, გადმოვბეჭდეთ 1885 წ. „ღრეობის“ 114 ნუმერიდან.

ჴ. ფიქრნი მტკვრის პირას.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

სათაური: ფიქრნი მტკვრის პირზედ. ვ. 2. მუნ ვეძიებდი ვ. 3. მუნ ლბილს მდელოზედ გ. 4. აქაც ყოველი ვ. ყოფილა „აქაც“, გაუსწორებია „აქა“ ე.—მუნცა ყოველი გ.—იყო მოწყენით; ვ. 5. მტკვარი ანკარა, ვ.—დაწერილია: „ლურჯად მოღელავს და დუღუნებს მტკვარი ანკარა,

ფერ-მკრთლად მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა.“

მაგრამ ეს წაშლია და გვერდზე მიუწერია:

„ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაქვარდი ცისა კამარა.“

ამის ქვემოთ დაწერილია და წაშლილი:

„მშვენიერებით ჰკრთის ლაქვარდი ცისა კამარა
და..

ლურჯად მოღელავს და დუღუნებს მტკვარი ანკარა,
ფერ მკრთლად მონათობს მასთა ზვირთთა ცისა კამარა. გ.

7. იდაყვ დაყრდნობილ, ყურსუგდებ ვ და ე.—მისსა ჩკრიალსა გ.—მისსა ჩხრი-
ალსა, ე. 8. რბიან ე და გ.—ცისა დასავალსა! გ. (შეცდომაა კალმის, უნდა იყოს „ცისა დასავალს“.

10. მრავალთა დროთა გ.—უტყვი! 13. ჩვენი ყოფა, წუთი სოფელი, გ. 15. ვის თვისს გული გ.—ერთეულ აღვესოს, ვ და გ.—16. და რაც მიეღოს ერთეულ ნატვრით, ვ და გ.—და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ე.—17. დაწერილია „მებრძოლნი“, გასწორებულია „უძლეველნი“ ე.—მებრძოლნი გ. 18. დიდება,— გ. 19. იგინიც დრტვინვენ და იტყვიან: გ. 21- მიწის თვს ვ და ე. 24. მისია ფაქრია გ (აღზად კალმის შეცდომაა). 25. თავის მამულსა გ. 26. არ მიჰსცეს წყევით გ. 27. მაგრამ თუ ერთეულ ვ და გ. 28. ამ სტრიქონს ყველა ავტო-
გრაფში მოსდევს ერთი სტრიქონი წერტილები.—30. გვესმას მშობლისა.—გ. 31. მკვდარსა ემსგავსოს, ვ და გ.—32. იყოს სოფელში, და სოფლის თვს ვ.—არა უზრუნვოს! ე.—სოფელს კი არარა არგოს! (1864 წ. დაბეჭდილი კრე-
ბული „ჩონგური“, გვ. 25—27).

ც. ჩონგურს.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

1. კეშნის გ. 2. ოკვრანი, გ.—ამოსკენანი, გ. 5. ხმა ე.

თ. ჩემს ვარსკვლავს.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ.—ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ ვარიანტით.

10. შვენიერის გ.—16. მამაყარე ვ.

ი. ნაკოლეონ.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ.—ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ ვარიანტით.

1. ფრანციას, გ. 5. ჰსტქვა მან გულში, სურვა აღმიხდა: ვ და ე.—აღმიკდა: გ. 8. დავუმონე ვ.—სადიდებლად. გ.—9. გუამში გ. 10. თვითონ ბედი; ე.—11. მოვასხა ვ.—12. მე ვარ იმედი! გ.—13. მოვსწყინდე, გ. 14 და მან სხვა ჩემის დიდებითა დაავგირგვინოს!.. გ.—15. რომელ ბედმა გ.—16. მე მან გამზარდა, ვ, ე და გ.—რალა მიხერხოს? გ.—19. ჩემოდნობდეს გ.—21. ვერ ვჰსცნათ ვ და გ.—24. ზღვა გულსა ვ და ე.—ზღვა გულსა, გ.

ია. თავადის ჭ...ძის ასულს, ეკ...ნას.

არის სამი ავტოგრაფი: თ, ვ და ე. ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ ვარიანტით.

ვ ვარიანტში სათაურად აქვს: თავადის ქავ...ის ასულს ეკა...ნას; ე—სა ში: თავადის ქავ...ის ასულს ეკა...ას. ხოლო ე-ის სარჩევში: ეკატერინას. ეს ეკატერინა არის ალექსანდრე ქავჭავაძის ქალი (1816—82), შემდეგ. ცოლი სამეგრელოს მთავრის დავით სა, სამეგრელოს დედოფალი. 3. ჰაეროვანო, სულს ელხინები; ვ და ე. 4. თვალთ არონინებ-—ვ და ე.—7. სად ხარ, იმ აუეს ვ და ე.—9. მხიარულობა! ე.—15. მოელხინარე, ვ. შენიშვნა ვ ვარიანტში: ვარდი და ბულბული ლექსია, რუსულიდამ ნათარგმნი თის ქავჭავაძისაგან. ე-საში ჯერ დაუწერია: ვარდი და ბულბული ლექსია რუსული თადივა ქავჭავაძისაგან ნათარგმნი ქართულად.—ხოლო ეს წაუშლია და ქვემოთ დაუწერია: ვარდი და ბულბული რუსულიდამ ნათარგმნი ლექსია სამღერალო-თავადის ქავჭავაძისაგან.—

იბ. ს ა შ უ რ ე.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია თ ვარიანტით.

კ. ლორთქიანიძის „ჩონგურში“ (პეტერბ. 1864) ამ ლექსს სათაურად აქვს „პეველა“. 3. სპეტაკს შროშანას ლამაზად აღკრილს, გ. 6. აჩრდილს ე.—თავისა აჩრდილს. გ.—8. ვინ თავის სუნთქვას გ.—12. გულის სიცხესა გ. 13. ვი! საყურეო, ე. 14. აპრეო, ვ, ე და გ.—17. ვინ სეის, გ.

იზ. ჩ ჩ ვ ი ლ ი.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

1. მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი გ.—2. უცნაურის მისს კმის, *) გ. 4 თავისს მშობლის! გ.—6. გარდა დედის აღერსისას არ რას ჰგრძნობს; ვ.—7. ჰსულდგმულობს; გ.—8. მქვრეტელობს.—გ. 11. სანუკველისა შობით გ.—12. ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.—ე და გ.

იდ. ს უ ლ ი ო ბ ო ლ ი.

არის სამი ავტოგრაფი: თ, ვ და ე. ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

4. რა დაკარგოს მან ტოლი! ვ. 7. ერთველ ვ და ე.—10. არლა იცის ვ.—11. დაფარული მან გრძნობა; ვ და ე.

იე. ს ა ტ რ ფ ო ზ, მ ა ხ ს ო ზ ს.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და მლ.—ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

2. შეენიერნი მლ.—ჰკრთოდენ მლ. 5. მაგრამ სულო, ე.—8. კორციელსა. მლ.—არ ჰგავდა მლ (აღზად კალმის შეცდომაა). 9. უბედური მლ.—14. მშვენიერთა, ვ და ე. შეენიერთა, მლ. 15. გულამოსკენით ვ.

ივ. ჩ ე მ ი ლ ო ც ვ ა.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და გ. ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

2. ბოროტდელვილი! ვ და ე.—6. ადამმაც ვ და ე.—8. ნეტარება! ვ და ე. 13. გულთამხილავო, ვ.—16. ლოცვად, გ.

იზ. ა ღ მ ო ჰ ჰ ლ ა მ ნ ა თ ი.

არის სამი ავტოგრაფი: თ, ვ და ე.—ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

2. ჯერ სწერია: „მცირედის“, ხოლო შემდეგ გასწორებულია: „მცირითა“ ე.—3. დიდსამქუხარო, ვ და ე.—4. შავ ბედისგან ვ და ე.—7. გულის

*) ყოფილა „კმისა“, მაგრამ დანით ამოფხეკილია და გასწორ. „კმის“.

ქირნი მიყრუებულნი, ე.—10. ცა ჩემი ესრეთ საზარი! ვ.—12. შენს კმას ვ და ე.—15. მოვხსთქვამდე, თუ ვით ვ.—16. შუქსა შენსა, ვ.

ივ. ჩემთ მეგობართ.

არის სამი ავტოგრაფი: თ, ვ და ე. უკანასკნელი შეიცავს ორს ვარიანტს და ერთი ცალკე გვაქვს დაბეჭდილი (იპ-ა). აქ დაბეჭდილია ტექსტი თ - ვარიანტით.

1. ამ სტრ ქონამდე დაწერილია შემდეგი სამი სტრიქონი:

„ჭაბუკო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებს,
და გულის ქირთაც სიყვარულა გისიამოვნებს
არ დაიჩნიო შავის ბედის გულზედ ლახვარნი“

მეორე სტრიქონში წაშლილია სიტყვები „და გულის ქირთაც სიყვარული“ და იმის ნაცვლად პოეტს ჯერ წაუწერია „და ჩვენს სიამეთ“, მაგრამ ესეც წაშლია და დაუწერია: „თავისუფლება შა“. შემდეგ ყველაფერი ერთიან წაშლია და ხელახლად დაუწერია: ჭაბუკო, ვიდრე ცხოვრების დღეთ და სხ. ე.—აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე-ის იმ ვარიანტში, რომელსაც აქ ვაღარებთ თ ვარიანტს, მიმართვა ყველგან ჯერ მხოლოდითი რიცხვისაა: „ჭაბუკო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებს“, „გისიამოვნებს“, „წარინოცე“, „აპყვევ შენც“, „ნუ ზოარიდებ“ და სხ., მაგრამ შემდეგ გადასწორებულია მრავლობით რაცხვად—2. ჯერ სწერია: „და გულის ქირთაც სიყვარული გისიამოვნებთ“, მერე გასწორებულია: „და სიყვარული გულის ქირთაც გისიამოვნებთ“, ე.—4. ჯერ სწერია: „ლხინად და ტრფობად დაითრე“, მერე წაშლია და დაუწერია: „გარდიცვალე“, ესეც წაშლია და ქვეშ დაუწერია: „და შეუპოვრად მოიწმინდე“, ხოლო უკანასკნელი სიტყვის მაგიერ შემდეგ დაუწერია: „წარინოცე (თ)“ და მთელი სტრიქონისათვის ასეთი სახე მიუცია: „და შეუპოვრად წარინოცეთ ცრემლნიცა მწარნი“—7. ჯერ დაუწერია: „სასაცილოა ოდეს ბერი კვლავ ყმ...“ მერე გაუსწორებია: „სასაცილოა ბერი კაცი რომ ყმაწვილობდეს“. ე.—8. ჯერ დაუწერია: „მაგრამ გლახ (ამ სიტყვის ნაცვლად შემდეგ ზევით სწერია „ვაია“) ჭაბუკს, ოდეს იგი ბერიკაცობდეს!“ ე.—და საბრალოა როს. ვ.—10. რომ ყოველი ღრო, შესაფერად ვ და ე.—11. ჯერ სწერია: „მაშინცა კმარა შეკავება გულისა თქმათა“, მერე გასწორებულია: „მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა“, ე.—მაშინცა კმარა შეკავება გულისა თქმათა, ვ.—13. დილას მას ნელს, ვ.—15—16. სწერია:

„მხოლოდ გახსოვდეს ჩემგან, ძმაო, ერთი თათბირი:
აგრეთვე ძნელ არს
მე უმისოდ
მე მისი უჩიი ჯერ აქამდინ ისევა ვტარი!“

გამომიცილია და ძვირად

არ შეემსჯელო კეკელა ქალს, მოკისკასესა“

ყველაფერი ეს წაშლალა და ქვეშ დაწერილია:

„მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი,

მერწმუნეთ ჩემს გულს ნაცადი აქვს ეს გულის ქირი:“ ხოლო უკანასკნელი სტრიქონი კიდევ შეუცვლია ჯერ ასე: „მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ქირი:“ და მერე ასე: „მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ქირი:“ ე.—მერწმუნეთ ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ქირი: ვ —17. არ შეემსჯელოთ, ვ და ე.—კეკელა—ქალსა, ვ.—ჯერ ყოფილა „ქალსა—კეკელას“, მერე გაუსწორებია „კეკელა—ქალსა“, ე.

ივ—ა. ჩემს მეგობარს.

ეს ლექსი წარმოადგენს ე ავტოგრაფის მეორე ვარიანტს.—ე შეიცავს საწერი ქალღალღისაგან შეკერილს რვეულს. ქალღალღი გადაკეცილია შუაზე და პოეტი ლექსებს სწერს მარჯვენა ნახევარზე. ეს ლექსიც „ჩემს მეგობარს“ მარჯვენა ნახევარზეა დაწერილი. მაგრამ ეტყობა პოეტს არ მოსწონებია ეს რედაქცია, სათაური მელნით წაუშლია, ტექსტი კი კარანდაშით რამდენჯერმე გადაუხაზ-გადმოუხაზავს და დაუწერია მარცხენა მხარეზე ახალი ვარიანტი იმ სახით, რომელსაც ვიცნობთ თ და ვ ავტოგრაფებით და რომლის თავისებურობა აღენიშნეთ ზევით შენიშვნებში (იხ. ჩემთ მეგობართ); სათაურიც ახალი მიუცია ლექსისთვის, სახელდობრ „ჩემთ მეგობართ“.

3—4 ჯერ ყოფილა: არ დააჩნო შავის ბედისა გულსა ლახვარნი,

ლხინით და ტრფობით გაატანინე ცრემლნიცა მწარნი.

მერე გაუსწორებია: არ დაიჩნო შავის ბედისა გულზედ ლახვარნი,

ლხინსა და ტრფობას გაატანინე ცრემლნიცა მწარნი.

7. ყოფილა „ოდესცა ბერი“ და გაუსწორებია „რომ ბერიკაცი“. 12. ყოფილა „ამა ცხოვრებას“ და გაუსწორებია „ამა სოფლის“. 14. ყოფილა „შეჰსძღვნის სარგებელს“ და გაუსწორებია „შეჰყრის“. 15. ყოფილა „გახსოვდეს“, გაუსწორებია „დაიხსოვე“.

ით. არ უკიჟინო სატრფოო.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და მო.—ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

2. გულის თქმა ვ და ე.—3. გარსა მოვავლო, ვ.—გარსა მოვავლო; მო. 5. განთიადისა მორბედი: მო.—3. ელოდენ ვ.—8. მდელი დამისა დამჰყნარი; მო. 11. განმაცხოვლებლად; მო.—12. იყვნენ მარადის, მარადის, ვ, ე და მო.—სოფლისა გასათაველად ვ.—13. ამ სულის წადილსაც ჰრქო მო.—14. ვარ-

სკვლავებრ! ში.—15. მაშინ ვარდისა ში (აღბად კალმის შეცდომა:). 16. აღარა გააბიბინოს; ში.—18. ციურთ დაედარები? ში.—20. დასდევან ში.

კ. ვჰკოვე ტაძარი.

იყო სუთი ავტოგრაფი: თ, ვ, ე, ში და გო. ჩვენ ხელთ გვქონდა მხოლოდ პირველი ოთხი და ტექსტი დავბეჭდეთ თ ვარიანტით.

კ. ლორთქმანიძის „ჩონგურში“ (პეტ. 1864) ლექსს სათაურად აქვს „თანტაზია“.

1. ყოფილა „შესაწყნარი“ და გადუსწორებია „შესაფარი“ ე.—ვჰკოვე ტაძარი, შესაწყნარი, ში.—ასევე ყოფილა გო ვარიანტში. 6. განსუწნებას ში. 7. გულსა მოკლულსა ე.—კაცთ ბოროტით ე და ში (ასევე ყოფილა გო). 9. სიყუარულს, ში.—10. საკურთხზედ ე.—საკუპრთხზედ ში. (ასევე ყოფილა გო). —დავჰსდებდი ვ.—გულსა და სულს ში.—11. ნეტარებით ესრეთ აღვსებულს, ვ და ე.—13. დიდხანს ვ და ე.—ვისმე დიდხანს ში (დიდხან ვისმე გო).—16 წყუდიადი ვ და ში.—(17. მჰსწრაფლად მოისპო გო). 18. მას ავი თვალის ვ, ე და ში.—19. არა, მოჰსძავდა ვ.—ყოფილა: „არა,“ მერე გაუსწორებია: „არა!“ ე.—მოჰსძულდა ში.—20. მის ლამპრისგან ვ.—დამშოა მე²მისგან მხოლოდ (ეცხლი იგი, დამქრალი! ე და ში (აგრეთვე გო). 21. ველარ აღმიგო სიყუარულმა ში.—23. ნუგეშის კარი ე.

კა. მიჰვარს თვალები.

არის ორი ავტოგრაფი: თ და ვ. ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით, რომელიც არაფერში განსხვავდება ვ ვარიანტისაგან.

კბ. სუმბული და მწირი.

არის ოთხი ავტოგრაფი: თ, ვ, ე და ში. ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

სათაურად აქვს „ქილის ყვავილი და მწირი“ ე და ში.—5. მოკლები ვარ ე.—6 ყუავილთ ვ.—8. სიყვარულის ხმას; ვ და ე.—სიყვარულის კმას; ში.—9. სევდიანსა ში.—15. ჩემთვის ვ და ე.—17. აღარ მევლება ე.—რომ არ მევლება წყარო ცივი, ში.—18. ჯერ ყოფილა „არ დავეცემის“ და მერე გაუსწორებია „აღარ მეცემის“ ე.—არ დამეცემის ში.—20. არლა უჩრდილებს? ვ.—აღარ უჩრდილებს? ში.—21 ზამთარი, ში.—22. რომლისგან ახლა ე და ში.—23. ნახრა ძალუქს ე.—შენ თვს მზრუნველს ვ და ე.—24. ფურცელსა ვ.—ფურცელსა! ე.—25. სე მწირო, ვ, ე და ში.—26. ამას ვჰწუხ, ში. 27. არ მოკვდება, ში.—28. თავის სატრფოს გაზაფხულსა ში.—29. ჯერ ყოფილა „მაგრამ“ და მერე გაუსწორებია „და მყის“ ე.—მაგრამ ვითარის ში.—31. ახ

როდის ე და შო. — 33. წავალ მეც მოგძებნი ე და შო. — 34. ისიც შენებრივ ე და შო. — სამშობლოს ველსა! შო. — 36. და აღარ მომხედეს ე და შო. — ჭირთ უკუყრელი! შო. —

კბ. შენნი დალალნი.

არის ორი ავტოგრაფი: თ და ვ. ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით. 4. ნუკეშის თვს ვ. — 6. მივიშლ მოგიშლის ვ.

კდ. რად ჰჰვედრი კაცსა.

არის სამი ავტოგრაფი: თ, ვ და ე. ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით.

1. პირუშტიცობას! ე. — 3. გემსკვალვის ე. 4. პასუხს — 3სცემ ვ და ე. 8. ჯერ სწერია „უბოლოო“, მერე გასწორებულია „წარმავალი“ — ე. — 10. გული და სული! ე. — 14. მას ვერც შემიხვევა, და ვერც ხანი ე. — 15. ჯერ ყოფილა „დაკავშირება“, მერე გაუსწორებია „მხოლოდ კავშირა“ ე.

კე. მირბის მიმავრენს.

არის სამი ავტოგრაფი: თ, ვ და ე. ჩვენი ტექსტი იბეჭდება თ ვარიანტით. ყოფილა კიდევ გო ავტოგრაფი, რომელიც ჩვენ ხელთ არ გვქონდა.

სათაურად აქვს „თავგანწირული მხედარი“ ე. ხოლო ამავე ავტოგრაფის სარჩევში ლექსი აღნიშნულია „მირბის, მიმავრენს“ — ის სახელით. 2. თვალბედიანი ვ და ე. — 9. რაა? მოვშორდე ე. 11. მუნ იყოს ჩემი ე (და გო). — (17. ნუ დავიმარხო მშობელს მიწაში, გო) — 10. ყოფილა „ნულარ ვიხილავ“, გაუსწორებია „ნულა ვიხილავ“ ე. — (18. ნუ დამატირებს სატრფო სულისა, ნუ დამეცემის ცრემლი მწუხარის, — გო) 20. შეენილთა ზარით, ვ და ე. — 21. ციურნი ცვარნი; ე. — 26. ყოფილა „არ შემაშინოს“, გაუსწორებია „ვერ შემაშინოს“ ე. (არ შემაშინოს გო). — 29. კუტება! ვ. ყოფილა: „(კუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ესე განწირვა სულის კვეთება! გაუსწორებია: „(კუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება!“ ე. — სულის კუტება! ვ. — (კუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ჩემის სულისა ესე კვეთება! გო). 31 მეძმესა ჩემსა ე. — გაუადვილდეს ვ და ე. 34. თვალბედითი ვ და ე.

ლექსს ქვეშ აწერია: მაისის 9-სა 1842. ვ და ე.

კვ. საფლავი მფვის ირაკლისა.

იყო სამი ავტოგრაფი: თ, ვ და გო. უკანასკნელი ჩვენ ხელთ არ გვქონია. აქ ტექსტი იბეჭდება თ-ის ვარიანტით.

(ლექსს სათაურად ჰქონია „საფლავი ივერიისა“ გო).—კნიაზს მ...პ...-ძეს ბარათაევს ვ.—2. მეფეც ხმოვანო! ვ.—24. თაყვანსა—ჰსცეს ვ.

მეფე ერეკლე მეორე ასაფლავია მცხეთის ტაძარში აღსავლის კარებთან მარჯვნივ. საფლავს შემდეგ ვარწერა აქვს რუსულად: „Здѣсь покоится Царь Ираклій родившійся въ 1716 году который взошелъ на престоль Кахетинскій въ 1744-мъ на Карталинскій въ 1762-мъ и который скончался въ 1798 году Дабы предать потомству память о семъ Государѣ царствовавшемъ со славою въ теченіи 54-хъ лѣтъ именовемъ Его Императорскаго Величества Александра 1-го Главнокомандующій въ Грузіи Маркизь Пауличчи соорудилъ ему сей памятникъ 1819 Года“

ამის ქვევით წვირილად მიწერილი: „Проектировали и строили инженеръ подполковникъ Кондратьевъ“.

კვ. კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ.

არის ორი ავტოგრაფი: თ და ვ. ტექსტი დაბეჭდილია თ ვარიანტით.

კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ ვ.—1. ამავსებ ღვინით, ვ.

ამ ლექსში მოხსენებული ბარათაევი არის მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაევი, შვილის შვილი იმ მელქისედექ (მიხეილი) ბარათაშვილის, რომელიც ვახტანგ მეფესთან ერთად გადასახლდა რუსეთში. მიხ. პ. ბარათაევი (1784—1856) ჯერ სამხედრო სამსახურში იყო, მერე სიმპირსკის თ. აზნაურობის მარშლად. მარშლობის დროს დაარსა მასონთა ლოჟა „სათნოების გასაღები“. ახლო ნაცნობობა ჰქონდა დეკაბრისტებთან, რისთვისაც რამდენიმე კვირის განმავლობაში დატუსაღებული იყო. 1839 წ. დაინიშნა საბაჟოების გამგედ საქართველოში. აქ ხელი მოკიდა ქართული ფულების ნიშუმების შევროვებას და შეადგინა მდიდარი კოლექცია. 1844 წ. სამსახურს თავი დაანება და გამოსცა Нумизматическіе факты Грузинскаго царства: სპბ. 1844.4⁰, რომელსაც ევროპაში დიდის ყურადღებით შეჴედნენ. — მიხ. ბარათაევის ახლობელი დამოკიდებულება ჰქონდა პოეტის მამის ოჯახობასთან. თავისი წიგნი გამოუგზავნა მელიტონს პეტერბურგიდამ და წერილიც მოსწერა 1846 წ. სექტ. 30 (ოქტ. 12). სთხოვდა, თქვენი შენიშვნები მომწერეთ ჩემი წიგნის შესახებო, წერილში რამდენიმე სტრიქონი პოეტსაც შეეხება, რომლის გარდაცვალება არ სცოდნია ბარათაევს: „მეტის მეტად გამაზერებდა ჩვენი საერთო საყვარელი თ. ნიკოლოზ მელიტონის ძე, თუ თავის უხვის ცოდ-

ნითა და ნიქით შეავსებდა თავის მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს, განსაკუთრებით ისეთის ამბების მოთხრობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბარათაშვილების მაცოვან ოჯახის წინაპრები“.

კვ. ს უ ლ ო ბ ო რ ო ტ ო .

იყო სამი ავტოგრაფი: თ, ვ და გო. უკანასკნელი ჩვენ ხელთ არ გვექონდა. ტექსტი დაბეჭდილია თ ვარიანტით.

(2. სიცოცხლის შენ გასამწაად? გო). 4. რის—თვის მამიკალ ვ.—ნ. ყუაწვილკაცობას? ვ.—ნ. თითქოს ზამცემდი ვ. 8 გარდამაქცევდი? და ვ.—(მ. საკურველნი შენნი აღთქმანი? გო).—11. სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები, ვ.—14. ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი, ჩემს გულისთქმათა! ვ. წელი არაა აღნიშნული ვ.

კთ. უ ვ ვ ი შ რ ო ბ ც რ ე მ ლ ს ა .

არის მხოლოდ ერთი ავტოგრაფი ვ და ტექსტი იბეჭდება ამის მიხედვით.

წელი არაა აღნიშნული, ხოლო მოსდევს 1843 წ. დაწერილს ლექსსა.

ლ. ო მ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ა ვ ა დ - ა ზ ნ ა უ რ თ - გ ლ ე ხ თ ა .

ამის ავტოგრაფი არ მოიპოვება. წ. კ. ს. ბიბლიოთეკაში არის სხვა და სხვა პოეტის ლექსთა ხელნაწერი კრებული (№ 1512). აქ 859—60 გვ. დაწერილია ჩვენი ლექსი, ხელი წააგავს ნ. ბარათაშვილისას, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მართლა მისია. ე ავტოგრაფის ერთ-ერთ სუფთა დუწერავ გვერდზე პოეტის ხელით დაწერილია შემდეგი ორი სტრიქონი, რომელიც ჩვენი ლექსის ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს: „მოახლებულა აღსასრული შენიც კავკასო

თვალხარბო გვირო, გულუმაქლოვ, ბერო კაპასო“

ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია ამ ხელნაწერის (№ 1512) მიხედვით და შენიშვნებში აღნიშნულია ქურნალ „ცისკრის“ (1858 წ. № 2) განსხვავება, სდაც ეს ლექსი დაიბეჭდა პირველად.

სათაურად აქვს „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ ც.—დ... ო... არის დიმიტრი ორბელიანი, ძმა მამუკასი და ივანესი. ცოლად ჰყავდა ბაგრატი ბატო-

ნიშვილის ქალი ბარბალე.—2. შეთქმულან შენ-ზე ც.—5. ქართლიდგან ც.—6. გააქუს ც.—7. საფლავზე ც.—8. ვერც მხნენი პირველ რჩეულნი! ც.—9. სომხეთით ც. 10. მას-შორის ც.—კულავ სული! ც.—აქ მოხსენებული დავით სარდარი ერეკლე მეორის დროის სარდალია, რომელმაც თავი ისახელა ასპინძის ბრძოლაში და რომელსაც ბესიკმა უძღვნა ოდა „ასპინძის ომზედ“.—11. ტე დალისტნელნო! სომხეთის კედელნი თქუწნგან ნგრეულნი, ც.—12 თქუწნის თავებით.—13. აჰა, კახნი—ცა, ც.—შენ-ზე გულ ამღვრეულები, ც.—15. აღ-ხოცილ—იყვენ ც.—16. დაშთა ც. საშვილის-შვილოდ ც.—19. თქუწნი ჭი-რიმე, ც.—ზიქობა თქუწნი ც.—20 მაკვილი თქუწნი 22. დაჰსდვა სპათა—თვის ც.—27. არ გესმისთ ც.—28. გიკხმობთ ც. ქართველნო, ჰეი, შაბაშ! ც.—თქუწნდა ზე—მალლით! ც. 29. თქუწნ ჰქმენით ც.—თქუწათა წინაპარა! ც.—30. ვაჲ დამართეთ ც.—ვე. ჩუწნთა მამათა ც.

ლ. ჩ ი ნ ა რ ი.

ავტოგრაფი არ მოიპოვება. ტექსტს ვებეჭადეთ ნ. ბარათაშვილის ლექსთა ხელნაწერ კრებულითგან, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს სარდ. მესხიშვილის და შენახულია წ. კ. ს. ბიბლიოთეკაში № 1555.

განსხვავებას აღენიშნავეთ ჟურნალ „ცისკარში“ (1862 წ. № 10, გვ. 144—45) პირველად დაბეჭდილი ტექსტისა და აგრეთვე პ. უმიკა-შვილის გადმონაწერის *) მიხედვით.

1. აღვის ხის ც.—2. მრავალ—შოვანი, უ, მრავალ შტოვანი ც.—3. ოცვნა, და მისთა უ. ფოთელთ უ.—5. მოჰქრისწუ.—6. გამოჰსცემენ უ.—ოცნე-ბით—დამაძინარსა! უ.—7. მრწამს, რომ ც.—რამ—საიდუმლო უ.—8. და უცხოველეს სსუათა ც.—10. და აღმოარჩევს უფსკრულებიდან ც.—11. მედი-დურათ უ.—13 რამდენჯერ ც. მტკუარი ც.—14. შეშფოთებული, და კლდის უ.

ლ. მ ა ლ ლ ი უ მ ე ს ბ ა მ ჩ ე ნ ს .

ავტოგრაფი არ მოიპოვება. ჩვენი ტექსტი გადმობეჭდილია ჟურნალ „საქართველოს მოამბიდან“ (1863 წ. № 2, გვ. 189), სადაც დაი-ბეჭდა პირველად. ლექსს არავითარი შენიშვნა არა აქვს დართული, თუ ვისგან მიუღია რედაქციას იგი.

*) წ. კ. ს. ბიბლიოთეკაში № 4911.

ვეფქრობთ, რომ „მადლი შენს გამჩენს“ უნდა იყოს ის ლექსი, რომლის შესახებ პოეტი სწერს მაიკო ორბელიანს 1845 წ. თებერვლის 9 მიწერილ წიგნში ნახეჩევანით: „აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა, — მე ვარ და ჩემი ნაბადი, — იმის ხმაზედ“.

ლზ. ნა..., ფორტოკიანოზედ მომღვრალი.

ავტოგრაფი არ მოიპოვება. ჩვენი ტექსტი გადმობეჭდილია ჟურნალ „ივერიილამ“ (1882 წ. №№ 4—5, გვ. 55—61), სადაც მოთავსებულია ხუთი ლექსი პოეტისა, სამეგრელოს დედოფლის ეკატერინას ავტოგრაფილამ გადმოწერილი ი. მეუნარგიას მიერ. იხ. ამის შესახებ შენიშვნები ლექსის „ძია გ...სთან“ (ჩვენი გამოცემის გვ. 135).

ლდ. დამქროლა ქარმან.

არის ერთი ავტოგრაფი მ.ო და ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია ამის მიხედვით.

ლექსის დაწერის წელი არაა აღნიშნული.

ლე. როს ბედნიერ ვარ.

ავტოგრაფი არ არის. ჩვენი ტექსტი გადმობეჭდილია ჟურნ. „ივერიილამ“ (1882 წ. № 4—5). იხ. შენიშვნები ლექსის „ძია გ...სთან“ (გვ. 135).

ამ ლექსისა და შემდგვის „ცისა ფერს“ შესახებ ნ. ბარათაშვილის მესამე გამოცემის (ტფ. 1886, სტამ. გრ. ჩარკვიანის) წინასიტყვაობაში შემდგვი აზრია გამოთქმული: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ და „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ არიან მიბაძვა რუსულისა, თუმცა შენიშნულნი კი არ არიან ამგვარად. ბარათაშვილის დროს ეს ლექსები იყო სამღერალი ფორტეპიანოზე და რუსულად ასე იწყებია: 1) Какъ счастливъ я коль съ тобой бываю... (ბოლოს) Ты не повѣришь, ты не повѣришь და სხ. 2) Черный цвѣтъ, мрачный цвѣтъ, ты мнѣ милъ... ცულილება იქნება იმაში იყოს მხოლოდ, რომ შავი თვალები ცის ფერ თვალებად გადაუკეთებია პოეტს“. ეს წინასიტყვაობა პ. უმიკაშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

ლვ. ცისა ჴერს.

ავტოგრაფი არ მოიპოვება. ტექსტი გადმობეჭდილია ჟურნ. „ივერიილამ“ (1882 წ. № 4 — 5). იხ. წინა ლექსის შენიშვნა და აგრეთვე შენიშვნა ლექსის „ძია გ...სთან (გვ. 135). ეს ლექსი რუსულილამ პირდაპირ სთარგმნა ალ. ქავჭავაძემ, ვბეჭდავთ აქ ამ თარგმანს:

რუსული სიმღერა

(რუსულით)

ფერსა ბნელს, ფერსა შავს
 მე ვეტრფი მარად ჟამს:
 არას ღროს ფერსა სხვას
 არ ვეტრფო, ვფიცავ ცას.
 არას ძალს, არას გვამს
 არ აქვს ეს უფლება,
 აშორვოს ფერსა შავს
 ჩემი ტრფიალება.
 თუ მკითხავთ, ფერსა შავს
 რათ ვეტრფიალები?
 ჰგიშრობენ, — და რა ვჰყო,
 საყვარლის თვალეზი!
 გინდ მე მან სასურვმან
 მივიწყოს აჰავ წამს,
 მით ვტრფოდე უღრეკლათ
 ფერსა ბნელს, ფერსა შავს.
 ფერებში ვილოც შავს,
 ცხოველში მის საგანს, —
 მას შევრთამ ჩემსა სულს,
 მარად მის შეწირულს.
 სოფლითაც განსვლის ჟამს
 ვისულრებ ფერსა შავს,
 და ვიდრემდის ვცოცხლებ,
 თვალს არ მოვაშორებ.

ლზ. ვლოცავ დღეს ჩემის.

გადმობეჭდილია ნ. ბარათაშვილის ლექსების მეოთხე გამოცემიდან. გამომცემლის ზ. ჭიჭინაძის სიტყვით ეს ლექსი დაწერილი ყოფილა მართა ერისთავის თასზე.

ლვ. ელენეს და მაროს.

ავტოგრაფი არ მოიპოვება. გადმობეჭდილია წ. კ. ს. ხელნაწერ კრებულიდან (№ 5190). ეს ლექსი აღმოაჩინა დ. კარიჭაშვილმა და დაბეჭდა გაზეთებში 1916 წ. (სახალხო ფურ. № 728 და საქართველო 260). ბ. კარიჭაშვილმა ასეთი შენიშვნა დაურთო ლექსს: ეტყობა ეს ლექსი ხელად არის დაწერილი სამასხაროდ. ვინ არის ელენე, არსაიდგან სჩანს, ხოლო მარიამის გვარი კი ცხადდება იმავე კრებულიდან, სადაც მოთავსებულია ოთხი კუბლეტი, რომელთა ქვეშ მოწერილია მარიამ ფალავანდოვისა. მარიამ ფალავანდოვისას ეს კუბლეტები დაუწერია მის შესახებ დაწერილის ლექსების პასუხად. აქ პირდიპირ სჩანს, რომ იგი პასუხს აძლევს მიხეილს და ტატოს, რომელნიც თავიანთ ლექსებში შეხებიან მის ხნოვანებას. თქმა არ უნდა, რომ ამ კუბლეტებში მოხსენებული ტატო ბარათაშვილია, ზადგან მისი შინაური სახელი სწორედ ტატო იყო და მის ლექსშიაც სწორედ მარიამის ხნოვანებაა მოხსენებული“. ლექსი ვისი გადმოწერილია კრებულში, არა სჩანს. შეიძლება ლექსი „ელენეს და მაროს“ მიზეილის (თუქანიშვილი?) და ნ. ბარათაშვილის დაწერილია ერთად და შეიძლება მ. ფალავანდოვის ლექსიც „მიხეილს“ შეეხება მიხ. მირთ. თუქანიშვილის.

ვბეჭდავთ აქვე მარიამ ფალავანდოვის ლექსებს:

მ ი ხ ე ი ლ ს .

ლექსი თქვენი გვებოძა დიდათ არეულია,
აწანკასგან შეთხზული თქვენი საკადრისია,
ჩვენ არ გვშვენის მაგვარი სიბერისა თქმანია,
ხანი თქვენც არ ვაკლიათ, თუნდ გაჯავრდნენ ვარშავკლინი ქალნია.

ტ ა ტ ო ს

პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია,
 წყოდორის ყურებით სევდა გაგხშირებია,
 სათვალეცა თქვენ გშვენისთ, ყავარჯენიც ხელშია,
 ჩვენ არ ვწუხვართ ამ ხანსა, ვაი თქვენი ბრალია.

—

ამ ალბომში ოღრო-ჩოღროებია,
 ამ თქვენ სატრფოთ აზრი შემოჰკლებიათ;
 ამის მთქმელი უნდა იყოს ქალუა და მათუა,
 საყვარელი მათი იყოს გალუა და თათუა.

—

თქვენ ვერ გკადრებთ ამგვარ შეთხზულებასა,
 რადგან ჩემობთ ვარშავის ჭრანტობასა;
 დავანებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტ ტატოსა;
 მისი შემწე აჭანასე იქნება!

ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა .

არის ორი ავტოგრაფი: **თ** და **ვ**. ჩვენი ტექსტი დაბეჭდილია **თ** ვარიანტით.

შენიშვნებში აღნიშნულია განსხვავება **ვ** ვარიანტის.

1. ქართველნი მოლხინე სულით, —2 როგორც **თ**, ისე **ვ** ვარიანტში სწერია „მეფად“. —4. მლხენი. —სიტყვებსა „თქვენებრ“ და „მლხენი“ შუადანით ამოუხეკილია რაღაც ასო. —7. მეც ძმანო კახნო, —8. ერთსულობისა, —10. დროებს მოიგონებდეთ. —მიმართავს ქვეშ პოეტის ინიციალების ნაცვლად სამი ვარსკვლავი (XXX) უზის. 15. შენ უწყი რაც დღეს. —19. გვეჰს—წრაფე, —კელთ აღმპყრობელო, —28. უპირებს შებმას, ძლიერს, რისხვიანს. —29. ამ დროს გაძოჩნდა. —29. მტერი. **ვ**. —35. უჰსჯულოება! 37. უბედობა; —38. მხნეობა; —40. მხედარი; 45. ხვით. —46. ერთს დღეს. —49. ნუგეშად ჰხედავს, —50. მის თვს. —დაზოგავს?“ —56. ხმა ნალარისა, ხმა ეს ბრძოლისა 58—59. მხდალო განგამხნევს, მხნევ, განგალვიძებს და შენც მიჯნურო, სულს შევიშფოთებს! 66—67. სომხეთის გმირნი, ყაფლანისშვილნი, და მათ მომარცხნედ ბართაშვილნი, 74. ხრმაღს 76. ბინღშია გაჰყარა 81. მრავალთ ყმაწვილთ კაცთ

82. დაჰსდეს 82. მამულისა თვჯ!.. 83. აწ საფლავეცა არსად არს მათოვს; 85. და ჟამთ მოწამე სადამე ძეგელი 90. ერთხელ 91. საშვილისშვილოდ გარდაიცემის; ეტყობა ჯერ ყოფილა საშვილიშვილოდ, მერე გაუსწორებია. 93. აღამაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!... 94. მოხელეთ: 96. გავამაგროთ, 97. თუარემ 98. აღამაჰმად-ხან 101. ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.

ძველთაგან ასე ნააზობია,
რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს ჰსჯობია!

102. ყველა ეთანხმა ამაზედ მეფეს; 107. შუქისა ნაცვლად, 111. ვერ საით. 112. ბორგენილი 114. წასვლას დააპირებდა; 118. ბქენი; 119. მოძმენი! 120. ესე სიმუხთლე, 121. ეზდენ სიმდაბლე 124. 'ცულ-იყო 127. და მოველინა ქართველთა ჯართა! 129. ვინცა ჰერანის 134. მორბის არაგვი, არაგვიანი, 135. თან მოჰსძახიან 138. ზი ადგილნო, 144. როგორ იქნება, არ განისვენოს? 151. იგი იმისთვის 155. ზედ გარდმოჰყურებს. 156. მუნ ბძანდებოდა 158 დაფიქრებული, თვისთა 159. კრიელესონის ართობს ქარვათა. 165. რომ არ გვალხენენ, სულით მამაცნი! 171. ყოფა-ცხოვრება; 175. შენ გავიმელანებ ვით საყვარელს შვილს!" 178. ზედ დავასრულე, 182—3:

აი მის ნაცვლად მე რა მამაჰყრეს
ჩემმა შვილებმა, და ვინ ახარეს!"

184. ამიერიტგან გაქეზებული, 185. მოსისხლე სული, 186. არ დაგვაწყნარებს ამაცობითა: 186. ხმა 189. დროს შემოჰყურებს, 191. როს ყმანი ჩემნი ერთმანეთსა ჰკვლენ; 192. მე თუმც კიდევ ვჰგრძნობ სულის სიბტკიცეს, 194. არლარა ვარ, 195. პატარა კახად რაც გინახეი—ვარ! 196. მარქვი, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს, 197—8:

ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ
ნულა მოუფლენ საწყალთა ქართვეთ!..."

206. მას მინდა მივცე მეგვიღრეობა, 207. მოჰსცეს 208. ამის გამგონი ჩვენი მსაჯული 209. მეფეს, განცვიფრებული: 214. ხმას 220—22:

სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს;

223. ვინ-იცის, მაშინ 224. აწინდელი, 230. სახსენებელი, 232. ნუ, კელმწიფეო, მას ნუ ინებებ, 234—5:

და მემრე ქართლი ვინც ვერ განავოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს;

236. ქართველთ, 238. უბრძანა, 241. ორივე ვარიანტშია: უბჯობეს 249. მაგალითი: 250. ერთმა 251. აღამაჰმადხან 253. საწყაული!" 256. საფარს ქვეშე. 259. ხმა 274. და დავიდუმებ მე ჩემს გულის-თქმას; 280. განსამარ"

თლებდენ, 284. ცამ, მოქედლიმა 285 მთისა ჰაერმა, საციემ შეეზითა, 286. შუქხედ 289. ოხვრა დამართეს, ვით 290. ყმაწვილობის, 294. კახეთის გმირი, 297. ღრმად. 300. ჯერ ერთი, 301. ვიხილო კვალად 309. ამ სტრიქონს მოსდევს ორი სტრიქონი, რომელიც არ მოიპოვება თ ვარიანტში:

და მომავალმა აწ ქალაქისკენ,
გამოიარა თავის სახლისკენ.

313. მოჰმადლებ 316. ისე განაგებს, 323. ყოფაცხოვრება, 325. მეფის გულის-
თქმა ერსა ეკუთვნის!... 332. მაშ რამ უცვალა მას გული მყარი, 343. მშვენი-
ერება, 345. სახე შეცვლილი, 352. დაჰსჯას, 854. ვეჭობ რომ იგი 359. რაღა
გინდათ თქვენ? 365. ხმასა 367. გულგასართობლად; 368. ყოფილა „მოესურ-
ნება“ და გაუსწორებია „მოესურება“ 374. რა ხელ-ჰყრის 375. დატყვევებუ-
ლი! 376. ამხანაგთ შორის 377. ერთგვარ 379. თავისუფლება; 383, პასუხი ეს-
მის!“ 393. და აწ, რა ნ.ხა 394. მხურვალეობით. 396. ტკბილ სახ!ოვარნო! 399.
შემატკივარი 400. თქვენგვარი 406. მითომ რა 411. უპატრონობას 417
—18.

აღივსო კვალად ერთ თფილისი,
რა მობჰანება ჰსენს ირაკლისი.

420. მრავალი აკლდა! 422. ხრმალი 424. დაუმარცხლებლად,

429—20: დიდხანია გულს ირაკლისა,
გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!

ბოლოში სწერია: დასრულდა.

წ ე რ ი ლ ე ბ ი .

1. პირველი წერილი გრ. ორბელიანთან 1837 წ. თებერვლის.

პოეტტი გრ. ორბელიანი, ბიძა ნ. ბარათაშვილისა (დედის ძმა), იმ დროს მსახურობდა რუსეთში, სადაც გადაასახლეს შეთქმულობაში მონაწილეობის გამო. გრ. ორბელიანი დაიბადა 1800 წ. 1831 წელს ვაგზაენეს პეტერბურგს, საცა წაასხა კავკასიის კორპუსილამ დარჩეული სალდათები საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკისთვის. ნოემბერში მივიდა ნოვეგოროდს, სადაც ამ პოლკს ბინა ჰქონდა და იქ მსახურობდა პრაპორშიკად. 1833 წ. დასწამეს პოლიტიკური ორგულობა და შეიპყრეს. ჯერ პეტერბურგს წაიყვანეს და მერე ტფილისში გამოგზავნეს, სადაც უნდა გარჩეულიყო შეთქმულობის საქმე. 1829 წ, ტფილისში დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელსაც უნდოდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთისაგან. საზოგადოების მოთავენი იყვნენ: ბატონიშვილები ოქროპირ და დიმიტრი, ალექს. ორბელიანი, ელიზბარ შანშესძე

ერისთავი, გიორგი ერისთავი დრამატურგი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ბერი თილაძელოფოს კიკნაძე და მრავალი სხვა. 1833 წ. საზოგადოებამ გადასწყვიტა აზიების დაწყება. შეთქმულნი გასცა ერთმა მონაწილეთაგანმა ია თულავანდიშვილმა.— გრ, ორბელიანი საპყრობილეში ჩასვეს. როცა გამოძიება დამთავრდა, აღმოჩნდა, რომ გრ. ორბელიანს მცირე მონაწილეობა მიეღო შეთქმულებაში და იგი ჩარიცხეს. მეშვიდე რიგის დამნაშავეებში, რომელთა შორის იყო ალ. ჭავჭავაძეც. გრ. ორბელიანი გავზავნეს სამსახურში კავკასიის ლინიაზე, ხოლო აქედან განაწესეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელიც ბინადრობდა ვილნოს გუბერნიაში. თავის პოლკში მივიდა 1834 მაისის 2-ს (14). 1835 წ. იმყოფებოდა რიგაში. საქართველოში დაბრუნების ნება მისცეს 1837 წ. აქ ჩაირიცხა ქართველ გრენადიორთა პოლკში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ომში შამილის წინააღმდეგ. 1843 წ. დაინიშნა ავარიის მართველად... გარდაიცვალა 1883 წელს.

ნ. ბარათაშვილი რომ ლექსს იხსენიებს, ესაა გრ. ორბელიანის „იარაღისადმი“. ვბეჭდავთ აქ ამ ლექსის დასაწყისსა და უკანასკნელს სტრიქონებს:

ჩემო იარაღი! ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვისხდეთ ველს მწვანეს.

ჩვენებურათა,

ძველებურათა

გსვამდეთ, ვიძახდეთ:

„იარი, იარაღი!“..

ჯეირნის მწვადი შიშინით

ცეცხლზედან დასტრიალებდეს;

ყნოსვა, დამტკბარი მის სუნიით,

მადასა განგვიღვიძებდეს!..

კახურის ღვინით აღვსილი

აზარფეშა ხელში გვებყრას;

მოთაღი, თევზი, მწვანელი

ავვიქრელებდეს წინ სუფრას.

ცა მშვენიერი, ცა მშობლიური,

მარად ბრწყინვალე ზედ დაგვნათლიდეს;

გაცხელებულთა ღვინისგან შუბლთა
 კოჯრის ნიავე გაგვიგრილებდეს.
 შენ მომითხრობდე მე ყრმა ვისმენდე,
 გამოუცდელი მოხუცებულსა:
 თუ ვითა გმირნი, ნამდვილ ივერნი
 ბრძოდნენ, ცხოვრობდნენ დროსა წარსულსა...
 და სხვა.

(ლექსი თავდება ასე)

მაგრამ ამაო, ჩემო ღირალი,
 არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა:
 სად აზარტეშა, სად არს მწვანელი?
 ღვინის წილ კვასი, მზისა წილ ყინვა!
 გარდმოხვეწილმან ჩრდილსა წყვდიადსა
 სადღა იხილოს ცა მშობლიური!
 შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვგოროდსა,
 გარედ მკლავს ყინვა და შინ უგარი!
 გულს ეწუხების, რა აგონდების
 დღენი წარსულნი ნეტარებისა,
 მაგრამ მოთქმითა ნუგეშეცემის
 და ქმუნვა მითაც შემცირდებისა!..

1832 ნოვგოროდი.

ყაზახი იყო იქ, საცა ახლა ალექსანდრეს ბაღია. სიტყვა ყაზახი
 ნიშნავს სარბიელს, ასპარეზს.

ეს წერილი და აგრეთვე მეორე (1841 წ. მაისის 28 (ივნისის 9)
 გრ. ორბელიანთანვე მიწერილი გადმობეჭდილია 1885 წ. „დროების“
 114 ნომრიდამ. ამ წერილების გამო გაზეთის შინაურ ქრონიკაში შემ-
 დეგია დაბეჭდილი: „იონა მეუნარგია შესდგომია თ. გრიგოლ ორბელიან-
 ნის ქალაქლების გასინჯვას და როგორც გადმოგვცეს, ბევრი რამ სა-
 ყურადღებო უპოვია ამ ქალაქებში, როგორც ლიტერატურისა ისე
 ჩვენის ქვეყნის უკანასკნელ ხანების ისტორიისათვის. სხვათა შორის ბ.
 მეუნარგიას უნახავს ორი წერილი ნ. ბარათაშვილისა გრ. ორბელიანთან
 მიწერილი. მისის ბიოგრაფიისათვის საყურადღებოს ამ ორსავე წერილს
 დღეს ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში“. სადაა ახლა ეს ავტოგრაფები, არ ვი-

ციოთ. განსვენებული ი. მუნარგიას ქალაქებში არ აღმოჩნდა. ეს ავტოგრაფები არ ჰქონიათ ხელთ წ. კ. საზ. გამოცემის (1895 წ.) რედაქტორებსაც.

II. წერილი მიხეილ თუმანიშვილთან 1838 წ. აგვისტოს 6 (18).

მიხეილ ბირთველისძე თუმანიშვილი იყო ახლობელი ამხანაგი და მეგობარი ნ. ბარათაშვილისა. იგი დაიბადა 1818 წ. მაისის 19-სა (31) სოფ. ხელთუბანს და იყო უმცროსი შვილი ბირთველისა, გიორგი მეფის მდივნისა. ჯერ სწავლობდა გორში მღვდელთან და შემდეგ ტფილისში ახლად დაარსებულ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1836 წ. (ერთის წლით გვიან ნ. ბარათაშვილისა). იმავე წელს შევიდა საქოქალაქო სამსახურში. 1864 წ. დაინიშნა გლეხთა განთავისუფლების კანცელარის უფროსად, 1874 წ. მეფის მოადგილის საბქოს წევრად. გარდაიცვალა 1875 წ. თებერვლის 2-სა (14). მიხ. ბირ. თუმანიშვილი მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ორიგინალური და ნათარგმნი ლექსი. ეს ლექსები დაწერილია 1836—38 წლ. 1852 წ. დასწერა რუსულად წერილი ქართული თეატრისთვის, ხოლო 1857 წ. დაიწყო თანამშრომლობა „ცისკარში“, სადაც დაბეჭდა ფელეტონები „სალაყბო ფურცლის“ სახელით.

მ. თუმანიშვილი არის მამა ანასტასია თუმანიშ. — წერეთლისა და გ. თუმანიშვილის. მისი რჩეული ლექსები და სხვა თხზულება გამოცემული იყო 1881 წ. მოგვყავს აქ ორი ლექსი მ. თუმანიშვილისა, რომელთაც ახასიათებს სევდიანი კილო. შეიძლება ეს ლექსები დაწერილია ნ. ბარათაშვილის ნაღვლიანის წერილის გავლენით? შეიძლება ჩვენი პოეტი ხშირად უზიარებდა მეგობარს თავის მწარე ფიქრებს? შეიძლება მ. თუმანიშვილს ესმოდა პოეტის გულის ტკივილი, თვითონაც ჰგრძნობდა ერთგვარ უკმაყოფილებას და ეს უმეტესად აახლოვებდა მათ?..

უ დ ა ბ ნ ო

ვის არ გიხილავსთ უდაბნო ბნელი,
სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სჭვრეტენ,
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?

ვის არ გისილავსთ იქა ხე მწარედ
 გულ ჩამომწვარი ციურის ცეცხლით
 და მალალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ
 გარდმოკიდული დამქნარ შტოვებით!

ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!
 მეც ვგრეთ ვიქვენ დღევანამწარი:
 ვერღა მენახლოს ტკბილი იმედი,
 ვერღა აღყვავდეს მით გული მქნარი!

ს ა ლ ა მ უ რ ი

იყო დრო, ოდეს სალამური ჩუმად მომლხენი,
 შეეხებოდნენ რა ბაგენი მას უნალღვლელად,
 არაკრაკებდა სინარულით და ხმანი მისნი
 განიბნევოდნენ ყრუსა არეს მოუთმენელად, —
 და მხოლოდ ბნელი და დუმილი წყნარისა ლამის
 იყვნენ მოწამედ საიდუმლოთ აღტაცებათა,
 და მხოლოდ ტკბილი იადონი წალკოტთა შორის
 ნარნარ შტვენიაა მოჰსძახიდა გულის კვნესათა.

იყო დრო, ოდეს მშვენიერი ესე ბუნება
 მიმღვესა მისსა გრძნეულებით გამაოცებდა,
 და დამატკობდა სიყვარული, თავისუფლება,
 და გული ჯერეთ ზრუნვათათვის არ გამღებოდა.

იყო დრო... მაგრამ, ცე მაცთურო ამაოცებაე,
 რად დამიღეწე ოქროვანი ხატი ოცნების?
 რად დამდევ ჯაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ
 აღღვვებაში ამა სოფელის დაუდგრომელის,
 სადაც გრილდება მგოსანისა მზურვალე გული,
 სადაც ჰსქენებიან უწმინდესნი სულის გრძნობანი,
 სად სალამური მექნა ჟღერით დაყრუებული
 და უპასუხოდ განიფანტნენ ტკბილნი შტვენანი.

წერილში მოხსენებული სასაფლაო არის ეხლანდელი ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაო.

ზაქარია ორბელიანი პოეტის ბიძა; ამისთვის იხ. ქვემოთ. — სიტყვა ნესეძე ჯერ ლაუწერია ნჩეძე და მერე გაუსწორებია. წერილს თავში მ. თუმანიშვილის წარწერა აქვს: „10 августа. Цар. Колонны“.

ამ წერილის ავტოგრაფი ინახება წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკაში მაიკო ორბელიანთან მიწერილ წერილებთან ერთად (№ 2484).

III. მეორე წერილი გრ. ორბელიანთან 1841 წ. მაისის 28-ის (ივნისის 9).

ავტოგრაფი ხელთ არ გვოქონდა. გადმოვბეჭდეთ პ. უმიკაშვილის გადმოწერილიდამ (იხ. წ. კ. საზ. ბიბლ. ხელნაწერი № 4911). წერილს მეოთხე გვერდზე აწერია აღრესი: Его Сіятельству

Милостивому Государю

Григорію Дмитріевичу

Князю Орбеліанъ

Г-ну Капитану Грузинскаго гренадерскаго полка и Кавалеру. —

Въ Горіи.

წინად პოეტის მამას ოჯახობა სცხოვრობდა კათალიკოზის სახლის იქით სიონისკენ, ორბელიანთა ნაპოთივე სახლში, შემდეგ გადმოსახლდნენ ანჩისხატის მახლობლად. — კიპიანი — დიმიტრი ყიფიანია. — ლეიზევიცი გერმანელი დრამატურგია (1752—1810). პიესა „იულიოს ტერენტელი“ დასწერა ჰამბურგის თეატრის დირექტორის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარსადგენად. პრემია მას არ ერგო, მიუსაჯეს მეორე მწერალს კლინგერს, რომლის პიესა უფრო შეეფერებოდა იმ დროინდელ ბრძოლის სულს, თუმცა „იულიოს ტერენტელშიაც“ ბევრია ელემენტი შეუპოვრობისა და სოციალურ ბრძოლისა. ლეიზევიცის ტრადედია იმდენად კარგი ლიტერატურული ნაწარმოებია, რომ ლესინგმა მაშინვე ყურადღება მიაქცია და გიოტეს დაწერილი ეგონა. შილერმა ამ პიესის გავლენით დასწერა თავისი „ყაჩაღები“.

„ბოზლიოთეკა“ ჟურნალი Библиотека для чтения არის, პირველი თეიური ჟურნალი რუსეთში, დაარსდა 1834 წ. სენკოვსკის რედაქტორობით. მონაწილეობას იღებდენ იმ დროის საუკეთესო ძალები.

IV. მესამე წერილი გრ. ორბელიანთან 1841 წ. ოკტომბრის 18 (30).

არც ამის ავტოგრაფი გვქონდა, ვადმოვბეჭდეთ პ. უმიკაშვილის ვადმოწერილიდამ. წერილი მიწერილია, როცა გრ. ორბელიანი მონაწილეობას იღებდა უკვე ომში შამილის წინააღმდეგ.—

დიმიტრი დავით. ჯორჯაძე (1822—83) მსახურობდა დაღესტანში საოლქო კანცელარიის მართველად, მერე იყო მეფის მოადგილის საბჭოს წევრი და მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა საკანონმდებლო პროექტების შედგენაში.—ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზისძე (+1868 წ.), თავი ისახელა იმით, რომ ოსეთი გაწმინდა ყაზალებისაგან (1840 წ.); შემდეგ წლიდამ მონაწილეობას იღებს მთიელთა ომში, ფრიად გამჭირახი სარდალი იყო. დიდი ნიჭი გამოიჩინა 1853 წ. ახალციხესთან და 1854 წ. ჩოლოქზე. 1849—55 იყო ტფილისის სამხედრო გუბერნატორად.—არლუთინსკი მოსე ზაქარიასძე (1798—1855), ქართვე. ბათალიონების 1 ბრიგადის კომანდირად დაინიშნა 1840 წ., ხოლო 1844 წ. ჯარების უფროსად სამხრეთ დაღესტანში და ყუბისა და დერბენტის მაზრებში. გენერალ-ადიუტანტობა მიიღო გერგებილის ალემისათვის.—საგინოვი—საგინაშვილი ოპობდა მთიელთა წინააღმდეგ, სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა არლუთინსკის ჯარში დიუვეკის ალემის დროს (1844 წ. მარტის 4—16). ცოლად ყავდა ილია ქავჭავაძის და ელისაბედი.—

აღლერბერლი შემდეგში იყო კარის მინისტრად ჭებეტერბურგში. მისი ქალი შეირთო ნიკ. მინგრელსკიმ.—ჩილავეი—მიხეილ ჭილაშვილი, ცოლის ძმა დიმიტრი ყიფიანისა.—ყაფლანი—ყაფლან ორბელიანი.—პლატონი—პლატონ იოსელიანი.—გენატი—ყოფილი კარის ეკლესიის მღვდელი ეგნატე იოსელიანი, მამა პლატონისა.

V. მეოთხე წერილი გრ. ორბელიანთან 1842 წ. მაისის 2-ის (14).

დედანი არ გვქონდა, გადმოვბეჭდეთ პ. უმიკაშვილის გადმოწერილიდამ. წერილში რუსული სიტყვები „онъ теперь предметомъ“ და სხ. ჯერ ყოფილა დაწერილი „онъ теперь предметомъ всеобщихъ толковъ и разказовъ“, ხოლო მერე გაუსწორებია.

წერილში აწერილი ამბავი ილია ორბელიანის (პოეტის ბიძის, გრ. ორბელიანის ძმის) დატყვევებისა მოხდა 1842 წ. მარტის 20. ილია ორბელიანთან ერთად ყაზიყუმუხში შამილის მეომრებმა დატყვევეს პოლკ. სინაქსაროვი და პრაპ. ანანოვი. მარტის 31 (აპრილის 12) ჩაიყვანეს დარღოში (დარღო—სოფელია თერგის ოლქში, მდ. აქსაის სათავესთან, აქ იყო რეზიდენცია შამილისა 1845 წლამდის, როცა იგი რუსებმა აიღეს). ერთ ღამეს (ივნისის 22-იელისის 4) ილია ერთ ჯარის კაცთან ერთად გამოიპარა, მაგრამ გზაში ჩენებმა ხელახლა დაიჭირეს და უკან დააბრუნეს დარღოში. იქ ბორკილები დაადვეს და ტყვედ ყავდათ ნოემბრის 22 მდის (დეკემბრის 4), როცა ტყვეებში გაუცვალეს რუსებს. ილია ორბელიანი (დაიბადა 1814 წ.) ჰკვიანი, მეტად სიმპატიური და ყველას საყვარელი პიროვნება იყო. შემდეგში დაინიშნა ქართ. გრენადერთა პოლკის უფროსად. დაიღუპა ქრილობისაგან ოსმალეთის ომში ბაშ-კადი კლართან (დეკემბრის 8—20) 1853 წელს. ცოლად ყავდა ბატონიშვილის ილიას ქალი, ბარბალე, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა შამილს 1854 წ., ლეკები კახეთს რომ შემოესივნენ.—ანდალალი—სოფელია ავარიაში, ყარა—კოისუს მდინარეზე.

შამილი (1797—1870)—მესამე იმამი დაღესტნისა, ჩამომავლობით ავარიელი, შიილო საკმაო კარგი განათლება არაბულ ენაზე. იმამად აირჩიეს 1834 წ. ჰამზად-ბეგის გარდაცვალების შემდეგ. პირველად მარცხდებოდა, მაგრამ 1843 წლიდამ, როცა შეაერთა ყველა მთიელი, დიდი წინამძღვრობა გაუწია რუსებს და შაოლოდ 1855 წ. იძულებულ გახდა დაეყარა იარაღი. იყო არა მარტო შესანიშნავი შეომარი, არამედ დიდი ადმინისტრატორი და პოლიტიკოსიც.—ფეზე კარპე კარპესძე 1842 წ. უფროსობდა პირველ ქვეითა დივიზიას.—ახმეტ-ხანი, გენერ. მაიორი, ავარიის ხანი თავის მილიციით ეხმარებოდა რუსის ჯარს.—გალაფინის

ცოლი, ფონ-ვიზინის ქალი; გალავინი იყო მთავარმართებლად ჩვენში 1838—1842 წლებში.—ზაქარია—ზაქ. ორბელიანი, გრიგოლას ძმა.—ასტა—გამაგრებული სოფელი დაღესტანში, სამურას ოლქში.—მიხეილ ივანესძე პოზენი და სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი 1842 წ. ამიერკავკასიაში გამოგზავნეს რევიზიისათვის. 1840 წ. აპრილის 10-სა (22) პეტერბურგის მთავრობამ ამიერკავკასიისთვის გამოსცა დებულება, რომლის ძალით დაწესდა ერთი გუბერნია ქართლ-იმერეთისა თერთმეტის მაზრით (ტფილისის, გორის, თელავის, ბელაქანის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ალექსანდროპოლის, ნახიჭევანის, ერევნის, ახალციხის და გურიის) და ერთი ოლქი კასპიისა; სამეგრელოს, სვანეთს და აფხაზეთს ცალკე სამართველო ჰქონდათ. მაგრამ დებულებამ ვერ გაამართლა იმედები და მოინდომეს მისი შეცვლა, ხოლო წინასწარ საქმის შესასწავლად გამოგზავნეს სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი, რომელსაც უნდა მოეხდინა დაწვრილებითი რევიზია. ჩერნიშოვი აპრილის 25 (მაისის 7) მოვიდა რედუტ-კალეში და აქედან დაიწყო მოგზაურობა. პოზენი რამდენსამე წელიწადს დარჩა საქართველოში.—ფეფო—პოეტის დედა ეფემია.—ელიზბარი—ელისბარ ერისთავი? ელიზბარ შანშესძე ერისთავი იზრდებოდა პეტერბურგში კერძო პანსიონში, მერე საარტილერიო სასწავლებელში. ერთი მეთაურთავანი იყო 1832 წლის შეთქმულობისა ტფილისში, რისთვისაც უბრალო სალდათად გაგზავნეს ფინლანდიაში.

VI. ზირველი წერილი მაიკო ორბელიანთან 1842 წ. ოქტომბრის 31-სა (ნოემბრის 12).

მოიპოვება ოთხი წერილი მაიკო ორბელიანთან მიწერილი და ავტოგრაფები შენახულია წ. კ. საზ. ბიბლიოთეკაში (№2484). ოთხისავე წერილის ტექსტი დაბეჭდილი გვაქს ამ ავტოგრაფების მიხედვით.

მაიკო ორბელიანი—გულითადი მეგობარი ჩვენის პოეტისა, რომელსაც ყველაზე მეტად უზიარებდა თავის სულიერს განცდებს, იყო დანიშნული ლევ. მელიქიშვილის. ამისგან შვილიც (ივანე) ყავდა, რომელიც მოკლულ იქნა ყარსის აღების დროს 1877 წელს.—გლუხარიჩი—დრამა ტურგი გიორგი ერისთავი (1811—1864).

VII. მესუთე წერილი გრ. ორბელიანთან 1843 წ. აგვისტოს ტოს 21 (სექტემ. 2).

გადმობეჭდილია პ. უმიკაშვილის გადმოწერილიდამ, ავტოგრაფი არ გვქონდა. წერილი დაწერილია, როცა გრ. ორბელიანი ავარიის მართველად იყო დანიშნული.

რენენკამპში პავლე იაკობისძე გენ. მაიორი, 1842 წ. დანიშნული იყო მთიელთა წინააღმდეგ ჯარში დივიზიის უფროსად. 1844 წ. გადაყენეს და პასუხის გებაში მისცეს, რადგან ცრუ ცნობები მისცა მთავრობას ზოგიერთი აფიცრის დაჯილდოვებისათვის. — მირზა სალი — მირზა სალექ, ფეტ-ალი — შაჰის შვილის აბას-მირზას სტატსეკრეტარი. — მთავარმართებელი ალექსანდრე ივან. ნეიდგარდტი (ამ თანამდებობაზე იყო 1842—44 წ.) — ლევანი — ლევან მელიქიშვილი, დაიბადა 1817 წ. სწავლობდა ტფილ. გიმნაზიაში. იღებდა მონაწილეობას მთიელთა ომში. 1859 წ. დაინიშნა კასპის ოლქის და შემდეგ დაუესტნის მართველად, 1880 წ. მთავარ — მართებლის თანაშემწედ.

— კიაზი ჭავჭავაძე — დავით ჭავჭავაძე, შვილი ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მისი ცოლი იყო ანა, ილია ბატონიშვილის ქალი, ილია ორბელიანის ცოლის და. — სავარსამიძე ლეონტი იაკობისძე, გენ. მაიორი. — ბეზაკის ცოლი — სოფიო, ყაფლან ორბელიანის ქალი, დანიშნული გრ. ორბელიანის, უკანასკნელის რუსეთში ყოფნის დროს მიათხოვეს აპიერკავკასიის მთავარ სამართველს საბჭოს წევრს ნიკოლოზ პავლ. ბეზაკს. — ეგნატი — მლ. ეგნატე იოსელიანი. — ლექსი „И грустно, и скучно“ ლერმონტოვისაა, დაწერილი 1840 წელს. მოგვყავს აქ სავსებით:

И скучно, и грустно, и нѣкому руку подать

Въ минуту душевной невзгоды...

Желанья!.. что пользы напрасно и вѣчно желать?..

А годы проходить — всё лучшие годы!

Любить... но кого же?.. на время — не стоит труда,

А вѣчно любить невозможно.

Въ себя ли затлянешь, — тамъ прошлаго нѣтъ и слѣда;

И радость, и муки, и все тамъ ничтожно...

Что страсти?—вѣдь рано или поздно ихъ сладкій недугъ

Исчезнетъ при словѣ разсудка...

И жизнь, какъ посмотришь съ холоднымъ вниманьемъ вокругъ,—

Такая пустая и глупая шутка!..

ფეფო—პოეტის ღელა, კატო, ბაბაღე და ნინუცა—ღები.

VIII. ზირველი წერილი ზაქ. ორბელიანთან 1844 წ. აპრილის 15-ის (27).

გადმობეჭდილია პ. უმიკაშვილის გადმოწერილიდამ, ავტოგრაფი არ გვქონდა. ზაქ. ორბელიანი (1806—1846) ძმა გრიგოლ და ილია ორბელიანებისა, იღებდა მონაწილეობას მთიელთა ომში. იყო სხვათა შორის სამურის ოლქის (დაღესტანში) მართველად. პ. უმიკაშვილის დახასიათებით, ზ. ორბ. იყო ცოცხალი, მაღალ—მაღალი, მკვირცხლი გონების, ქვიანი.

რიჟა მდებარეობს ქიურის და კაზიყუმუხის მაზრების საზღვარზე (დაღესტ.). აქ 1842 წ. მაისის 1-სა (13) გაიმარჯვეს ზაქ. ორბელიანმა, ყორღანოვმა და მაღალაშვილმა.—კატო და პოეტისა, რევაზ ერისთავი—მამა ნიკოლოზისა. დავით ერისთავი ძმა რევაზისა. გიორგი—გიორგი ერისთავი, ატამანად წიდებული?

IX. მეორე წერილი ზაქ. ორბელიანთან 1844 წ. მაისის 10-ის (22).

ავტოგრაფი არ გვქონდა, გადმობეჭდილია პ. უმიკაშვილის გადმოწერილიდამ.

ილია — ილია ორბელიანი, ლევან — ლევან მელიქიშვილი, დავით — დავით ალექსანდ. ჭავჭავაძე, ბაკლანა — ბაკლან ორბელიანი.

მაშინდელი ყმაწვილკაცობა მეტად გატაცებული იყო ომით და ყველა ბრძოლის ველისკენ მიისწრაფოდა. ეს გატაცება ჩვენს პოეტსაც ემჩნევა წერილებში. ამის მიზეზი იყო არა მხოლოდ სამხედრო ქსაქმის სიყვარული და პირადი დაწინაურების ინტერესი, არამედ ის სიძულვილი, რომელიც დასთესა ქართველობაზე ლეკების მრავალგზის შემოსევამ

და მთელი ქართლკახეთის სამეფოს დარბევამ და აწიოკებამ. არც ერთს მტერს არ მოუტანია ჩვენი ქვეყნისთვის ამდენი ზიანი მეთვრამეტე საუ-
ნუნის მეორე ნახევარში და ეს იყო ერთი მთავარ მიზეზთაგანი, რომ
ირაკლიმ გადაჭრით მიმართა რუსეთს. ამის გრძნობა წარუშლელი იყო
ნ. ბარათაშვილის დროინდელ ქართველებში. ამ გრძნობას ასე მწარედ
გამოსთქვამს გრ. ორბელიანი ერთს წერილში, რომელიც ქუთაისიდან
გაუგზავნა თავის ძმას ზაქარიას: „რატომ მეც მანდ (ომში) არა ვარ,
რომ ერთი მათგანის (ლექების) სისხლი დავლიო და შეუბრალებლად
ვტანჯიდე ცოცხლად“.

X. ბექსვე წერილი გრ. ორბელიანთან 1844 წ. მაისის 23-ის (ივნისის 4).

ავტოგრაფი არ გვექონდა, გადმოვბეჭდეთ 1885 წ. „დროების“ 114
ნომრიდამ.

კ.—კატო და პოეტისა, რ. ე.—რევაზ ერისთავი, ქმარი პოეტის
დის. ზ—ა.—ზაქ. ორბელიანი, გ—ი—გიორგი (ერისთავი?).—ნ. ალ
—ნა—ნინო ალექსანდრე ქავჭავაძის ქალი, ქვრივი გრიბოედოვისა.

XI. მესამე წერილი ზაქ. ორბელიანთან.

გადმოვბეჭდეთ პ. უმიკაშვილის გადმოწერილიდამ, დედანი ხელთ
არ გვექონდა. წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ დაწერილი უნდა იყოს
1844 წ. რადგან პოეტის დის კატოს გათხოვება მოხდა იმ წელს. მა-
ნანა—მანანა ორბელიანია. ერთი რუსის მწერალი ზისერმანი, რომელიც
იმ დრ.ის ჩვენში მსახურობდა, ასე ახასიათებს მანანას: დიდათ კმაყო-
ფილი იყო გრაფი ვარანცოვი, *) როდესაც მის მახლობლად ისხდნენ
— ყველაზე ჭკვიანი მარიამ ივანეს ასული ორბელიანისა (შემდეგში
სიდედრი ფელდმარშალ თავ. ბარიათინსკისა), მანანა ორბელიანისა ან
ელენე ერისთავისა. კნეინა მანანა, თუმცა მაშინ უკვე ახალგაზდა არ
იყო, არა ნაკლებ 45 წლისა იქნებოდა, ერთი ულამაზეს ქალთაგანი
იყო და ზოგიერთები ოხუნჯობდნენ—თავის ქალიშვილს ვერასოდეს
გაათხოვებსო: ქალი ყველგან დაჰყვებოდა დედას, მაგრამ იმას ყურად-

*) ვარანცოვი მეფის მოადგილეთ იყო ჩვენში 1844—54 წლ.

ლებას არავინ აქცევდა... მართლაც მისი ქალი ანასტასია (შემდეგში შეირთო ალექსან. ივ. გაგარინმა) არ იყო მაინცა და მაინც ლამაზი“. („25 ЛѢТЬ НА Кавказѣ“).

მაიკო—მაიკო ორბელიანი, ყაფლან—ყაფლან ორბელიანი.—მამუკა—მამუკა ორბელიანი, პორუჩიკი. ელენე—ზაქ. გიორ. ერისთავის ცოლი, ორბელიანთ ქალი?—„სენატორს გიორგი ერისთავს ქართლში გიორგი კნიაზს ან უფრო შემოკლებით „კნიაზს“ უწოდებდნენ, მისი ქალი, ქეთევან, მამუკა ორბელიანის ცოლი იყო“ (პ. უმიკ.).—ალევობა არის აგვისტოს 15-სა. (27).—ჩერვლონი—სტანიცა ჩერვლენაია—თერგის ნაპორზეა.—ლუარსაბი—რევაზ ერისთავის მამა.—ივან კარლიჩი—ექიმო დეზნერი, მისი ცოლი სალომე თარხანიანთ ქალი იყო.

XII. მეორე წერილი მაიკო ორბელიანთან 1845 წ. თებერვლის 9-ის (21).

„რაკი ტურთა გაიფედეს“ ვეფხის ტყაოსნიდამა, მოგვყავს მთელი ტაეპი:

ვარდსა ჰკითხვის: „ვეზომ ტურთა რამან შეგქმნა ტანად, პირად?

მიკვირს რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჰირად?“

მან სთქვა: „ტკბილსა მწაჩით ჰპოვებ; სჯობს, იქნების რაცა ძვირად:

ოდეს ტურთა გაიფედეს, აღარა ღიჯს არცა ჩირად“. წ. კ. ს.

გამოც. 1903 ტფ. 858 ტაეპი.

ჯათარა და სათარა მომღერლები არიან.—ორლოვი დონის ყაზახთა ატამანად იყო დანიშნული კავკასიის კორპუსთან.—ივანე—მანანა ორბელიანის შვილი. ნაზონიკმა—ე. ი. ლ. მელიქიშვილმა, რომელიც იმ დროს ნახიჩევანის მაზრის უფროსად იყო.

XIII. მესამე წერილი მაიკო ორბელიანთან.

წერილს წელიწადი არ უზის, მაგრამ უეჭველად დაწერილია ნახიჩევანში 1845 წელს, თებერვლის 9-ის შემდეგ, პოეტის ტფილისში დაბრუნებამდე.

ლევანი—ლევან მელიქიშვილი.—ნეიდგარდტი—მთავარმართებელი 1842—44 წლ.

XIV. მეოთხე წერილი მაიკო ორბელიანთან 1845 წ. აგვისტოს 10-ის (22).

მურუტი—სოფელია განჯის მახლობლად.—ერთი სოფიო პოეტის და უნდა იყოს, მეორე შეიძლება აღექსანდრე ჭავჭავაძის ქალია, რომელიც შემდეგ ბარონ ა. ნიკოლაის მითხოვდა.—ნიკოლაი აღაპიჩი — ივანოვი, ცოლად ჰყავდა ეკატერინე, იაკობ ორბელიანის ქალი.

XV. ნაწვევტი მეშვიდე წერილისა გრ. ორბელიანთან.

გადმოხეჭილია პ. უმიკაშვილის გადმონაწერიდამ, დედანი ხელთ არ გვექონდა. არა სჩანს, თუ როდისაა დაწერილი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ რომ 1842 წელს, რადგან ამ წელსაა დაწერილი ლექსი „საფლავი ივერიისა“.

III. ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი

ჩვენს მწერლობაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, როგორც ყველას საზოგადოთ, თავისი წინამორბედნი ჰყვანდა ჩვენს მწერლობაში. მისი პოეზიის თითქმის ყოველ ჰანგს უკვე წინაღვე შეეხნენ ასე თუ ისე სხვა მგოსნები. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა არამც თუ შეინარჩუნა თავისი ვინაობა, არამედ თავისი წინამორბედნი სრულიად დაჩრდილა და თვი თონ ამალღდა შთამომავლობის თვალში. მისი მნიშვნელობა ჩვენს მწერლობაში დამყარებულია არა მისი ნაწერების გარეგან ღირსებაზედ, რადგან ზოგს საკითხში წინამორბედად ჰყვანდა იმისთანა ხელოვანი ქართულის ლექსისა, როგორც არის ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი. ბარათაშვილი თავისებურია თავის პიროვნებით და იმ ელფერით, რომლითაც თუნდაც სხვის გადაღეჭილსა და გაცვეთილს აზრს, თავისებურად შეღებავდა და გააშუქებდა.

ბარათაშვილი გამოვიდა ჩვენის მწერლობის სარბიელზე სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი მწერლების ერთი თაობა, თუმცა ახალგაზრდათა

თაობა—აღ. ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოზ კიკნაძე, აღ. ქავჭავაძე—უკვე განთავსებულ იყვნენ რუსის მთავრობის მიერ მთელი რუსეთის იმპერიის სამხუროვნებედ და აქ კი საზოგადოებრივი აზრის საშინელი სიჩუმე და მაჯის ცემის მოღუწება მეფობდა. აი ასეთ სუსხიანს დროს, როდესაც სწორედ მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობის გამო ჩაკლულ იქმნა საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელი ჯგუფი, მოუხდა გამოსვლა ნ. ბარათაშვილს. უეჭვლია მასთვის უცხო არ იქნებოდა დასჯილთა აზრი და მისწრაფება. მაშინ უკვე პატარა არ იყო და როგორც ცნობებია, ორი კვირა დაქვრივდა ყოფილა. იგი იმყოფებოდა შეთქმულთა გავლენის ქვეშ და, რაც უმთავრესია, თვითონაც იმავე აზრს ემსახურებოდა თვისის ნაწერების პირველ ნაწილში. მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს ნებას ვუწოდოთ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას თავისებურობის სახელი, რადგან გაგრძობა აზრისა და გრძნობისა არის ნიშანი მსგავსებისა, ერთობისა და არა თავისებურობისა. ბარათაშვილის თავისებურობა სხვაა. იგი არის მწუხარე და სევდიანი და თუ ეს მწუხარება ზოგიერთ ლექსში პირდაპირ დაკავშირებულია მაშინდელ საქართველოში გამეფებულ რეაქციასთან, შემდეგ თავის ბუნებრივ განვითარებაში მიიღებს იმ მსოფლიო კაცობრიულსა სახეს, რომელიც ასე განასხვავებს ბარათაშვილს წინამორბედთან. უკანასკნელი თუ სწუხდნენ და სევდას გამოსთქვამდნენ,—ან პირადად მწუხარების გამო, სიყვარულის ნიადაგზედ, ან სამშობლოს დამონების გამო რუსთავან: ასეთნი იყვნენ დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, ქეთევან მუხრან-ბატონისა, თეკლე ორბელიანისა, გიორგი ავალიშვილი, აღ. ქავჭავაძე, გრიგოლ და აღ. ორბელიანები, ფილადელფოზ კიკნაძე და სხვანი. ბარათაშვილში კი სამშობლოს უბედურებით გამოწვეული სევდა და ნაღველი გრძნობა, ნამეტნავად შეთქმულობის ჩაქრობის გამო გაცდილი მარცხი და აღშფოთება—იწვევს მეტად რთულს განვითარებას. პოეტი არკვევს მიზეზებს, უნდა გამოსავალი იპოვოს, მაგრამ არა როგორც სხვანი რაიმე გარეგნულს საშუალებაში, არამედ აღრმავებს ამ სევდის გრძნობას და მის მიზეზებს მსოფლიო სევდაში ეძიებს. ამას საუკეთესოდ გამოხატავს მისი „ფიქრნი მტკვრის პირას“. თუ მტკვარი, ეს მრავალი დროების უტყვი მოწამე მასში იწვევს მწვავე სულიერს განწყობილებას იმისთვის, რომ ქართველთა

საზოგადოებრივი ცხოვრების ამოძრავება დამარცხდა და შეთქმულთა ცდამ ჩაიარა ფუჭად, რაც ნათლად სჩანს მის სიტყვებში:

„არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება“. —

მეორეს მხრით იგი ამ კერძო მიზეზსა თვისის მწუხარებისას თვის შემეცნებაში მყარვე გალესავს საზოგადო მსოფლიო მიზეზებით და ამ კითხვის შემდეგ უცბად იკითხავს:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთი სოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი?“

ჩვენ ვხედავთ, რომ ბარათაშვილი უკვე გამოვიდა სამშობლოს ფარგლებიდან და მისი ოცნება და გონება გადაეფინა მთელს სამყაროს. აქ გავლენა იქონია იმ გარემოებამაც, რომ სწორედ ამ დროს ნ. ბარათაშვილმა გაიცნო დიდებული მწერალნი მიცკევეჩი, ბაირონი და შელლი პოლონელ ემიგრანტთა წყალობით.

I

მაგრამ განვიხილოთ დაწვრილებით, თუ ვინ ჰყავდა ბარათაშვილს წინამორბედნი თავის ჰანგის უმთავრეს საკითხებში და რით განირჩევა მათში ბარათაშვილი. ავიღოთ თუ ვინდაც პირველად მისი საარშვილო ლექსები. თავის—თავად ცხადია, რომ ბარათაშვილს არავითარი კავშირი არც ჰქონდა და არც შეეძლო ჰქონოდა იმ ძველ მწერლებთან, როგორც იყვენენ ძმანი გიორგი და დავით თუმანიშვილები, დიმიტრი თუმანიშვილი, იოსებ მელიქიშვილი, ოთარ და თამაზ ქობულაშვილები და მიღვე სახლიკაცები ზაალ და სამ ბარათაშვილები ან და ბარათაშვილის დროსაც ძალიან მიღებულნი მესაზანდრენი. არ შეეძლო მიტომ, რომ ბარათაშვილის ბუნება სრულიად სხვას ითხოვდა, სხვას ჰგრძნობდა სიყვარულის ჰგრძნობაში, ვიდრე ზემოდ ხსენებულნი, დღეს სრულიად დავიწყებულნი მგოსანნი, მაშინ კი ლხინსა და ქეიფში ძალიან მიღებულნი და საყვარელნი. ბარათაშვილი მათ ლექსებს ძალიან კარგად იცნობდა, მაგრამ მაინც არა მათკენ იწევდა მისი გული. არა, სულ სხვა სფეროში დასცურავდა მისი სიყვარულის გრძნობა. თუ ზემოხსენებულნი მკოსნი — ტუჩთა, ბროლ-მკედრთა, თმა-გიშერთა, გიშრის ტბათა მოისართა, ჯარსავით გამშკრივებულს წამწამების და შვილდსავით მოკაკულის

წარბების, ალვის ხესავით და ლერწამსავით აყვანილის საროს ტანის ქებაში იყვნენ, საყვარლის მიერ დაკოდილნი ველად გაიქრებოდნენ, გახელდებოდნენ, დანას იკრავდნენ გულში და სხვა—ნ. ბარათაშვილს ამისთანა სიყვარულს ვერ ააწერინებთ. ძველი მიმართულების მწერალი სიყვარულს ასწერდა არა სულიერ თვისების და ხასიათის მიხედვით, არამედ დახატავდა მის ფიზიკურს სილამაზეს, ბარათაშვილი კი იშვიათად აგვიწერს ხორციელს სილამაზეს.

ძველი მიმართულების მწერლებში ყველაზე უფრო ტიპიურია დიმიტრი იოსების ძე თუმანიშვილი, რომლის ერთს ლექსს აქ მოვიყვანთ. ამ ლექსში არის სიმწუხრის გრძნობაც, რომ მგოსანსა სატრფო დამალა და არა სწყალობს, და თან ქალის სილამაზის აღწერაცა; საკმაოა შეადაროთ ეს ლექსი როგორც გრძნობის გამოთქმის, ისე ნამეტნავად საყვარლის სილამაზის აღწერის მხრივ, ნ. ბარათაშვილის რომელიმე ლექსსა შესაფერის ზინაარსისას (არ უკიჟინო სატრფოო, ბუღბუღი ვარდზედ, თავადის ქ-ძის ასულს ეკნას, საყურე, სატრფოვ მახსოვს თვალი შენნი, აღმოჰსდა მნათი, მიყვარს თვალები მიხნედილები, შენნი დალაღნი ჰყრილობენ გველად, სუმბული და მწირი, რად ჰყვედრი კაცსა ბანოვანო, შევიშრობ ცრემლსა, ღამე ყაბახზედ, ნ....ფორტოპიანოზედ მომლერალი, ჩინარი, მადლი შენს გამჩენს, როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა, —რათა კაცმა იგრძნოს დიდი განსხვავება ძველსა და ახალს მიმართულებას შუა სიყვარულის გრძნობის გამოთქმაში და საყვარლის აღწერაში. ძველების ლექსში პირველი ადგილი უჭირავს გარეგნული სილამაზის აღწერასა. მართალია, ვერც ბარათაშვილი შესძლებს ისე აგვიწეროს სატრფო, რომ ხორციელი სილამაზეც არ აქოს, მაგალითად: „ლაწენი ნაცრემლნი, ტრფიალთ დამწველნი, უფროს ჰშვენოდნენ, თმანი ნაშალნი, მკერდზედ დაყრილნი, ემუქმებოდნენ, ჟუჟუნა თვალნი გულთა მომკვლელნი, მოცინარობენ, პაწაწა ტუჩნი ვარდებრ ნათურცლნი ლხენას მოჰბერვენ“. აი როგორ აღწერს ქალის სილამაზეს ნ. ბარათაშვილი:

„შენნი დალაღნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშის თვს, ხან დასაწველად“!

ასეთივე გარეგანის სილამაზით, მაგრამ შეერთებულის სულიერ სილამაზესთან ერთად აღძრულია და სავსე მისი სიყვარულის გრძნობა ლექსებში: „თ. ჭავ. ასულს ეკ-ნას“ და „საყურე“. მაგრამ თვით ეს ლექსებიც რომ შედაროთ ქვემოთ მოყვანილ დიპიტრი თუმანიშვილის ლექსს, დაინახავთ დიდს განსხვავებას. აი თუმანიშვილის ლექსი:

ბრწყინვალე პირზადრი ჩემი მთოვარე,

უღრუბლოვ მთიებო სად მიმეფარე?

საჩინო შვება სად უჩინარე?

მნათობი მცხინვარე, მარად ელვარე,

მაშრიყელ აპოლო ვის დაედარე?

მელნის ტბა აეშხე ტურფად მოარე,

ირისე ამშვილდე, სათნი ისარე —

ლაწვნი აუარდე, შეენვა იკმარე,

ასადაფე მანგნი, ვერცხლსა ადარე,

ამარტე ბაგები, ამცინარე.

ყელ-თეთრი მქვირვალე, ფრიად მსხინვარე

ზარიფის მკლავებით, ნაზად მჩინარე,

გულ-მკერდი ბროლო-თლილი, ნათელ მკრთოლვარე

თანასწორ მტევანნი ჰრხევით ნარნარე,

საწუთრო, მუხთალო, რად შემაზარე?

უწყალო ჩარხთ ბრუნვა რისთვის იხმარე?

შურ მაგე უბრალოდ, არ დამაწყნარე?

კეთილი ცხოვრება სულ დამაქწარე.

მნათობი გამყარე, კაეშანს, მყარე.

ქვედანავ უბადოვ, აწ იმწუხარე,

საბავთო გოდებით იმგლოვიარე,

აწყაროვე ცრემლნი, ჰხშირ მომდინარე,

გაშმაგდი, ველს გაწე, მაჯუნთან არე,

მისებრივ ფრინველნი თავს იბუდარე.

ეს ლექსი დანარჩენ მწერალთა და მესაზანდრეთა ნაწარმოებთან შედარებით ზომიერია. ერთი რამ აღსანიშნავია აქ, სახელდობრ ისა, რომ მგოსნის აღწერილი ლამაზი ქალი ნამდვილად ისეთი უებრო სილამაზისა შესაძლებელია არცქი იყო, არამედ ჩვეულებრივი სილამაზისა, შეიძლება გონჯიც, მაგრამ რაკი სატრფო იყო, უქვევლად ასე უნდა

დახატულიყო, როგორც აქაა. ამიტომაც ყველა ამ მიმართულებას მწერალი თითქმის ერთნაირად აგვიწერს ქალის სილამაზეს, თითქოს ყველას ერთნაირი, ერთი და იგივე ქალი ჰყავდეთ სატრფოდ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ როგორის ოსტატობით განასხვავდებოდა ავტორი ამ აღწერასა. არსებობდა ერთგვარი წარმოდგენა, როგორი უნდა ყოფილიყო ლამაზი ქალი და ამ ყალიბით, ამ კანონით ასწერდნენ ხოლმე თვის სატრფოს ძველის მიმართულების მგოსანნი. ეს იყო ცრუ მიმბაძველობა და არა სინამდვილის აღწერა. შემდეგ ახალი მწერლები და მათ შორის ნ. ბარათაშვილიც ხორციელს სილამაზეს მარტო იმდენად ასახელებენ, რამდენადაც ეს საჭიროა თვით გრძნობის დასასაბუთებლად, როგორც ამ გრძნობის აღმძვრელი, თორემ გარეგნულ სილამაზის მაგიერ, ეძებდნენ მის სულიერ ღირსებასა.

თვით სიყვარულის გამოთქმაშიაც სხვა და სხვაობა არსებობს. დიმიტრი თუმანიშვილი მწუხარების გამო ველად გაიჭრება, გიჟდება და გიჟებთან დადის, ფრინველებს იბუღარებს. ნ. ბარათაშვილი კი ამ გრძნობას უბრალოდ და სადათ გამოსთქვამს. იქ, ძველს ცრუ მიმბაძველობის მიმდევრებსა ამ მხრივ ახანიათებს გადაჭარბებული, ყალბი მგრძნობელობა, ხელოვნურად გაზურებული და გაზვიადებული, აქ კი ნაზი სევდაა, ნაქდვილი მწუხარება და არა გადამლაშებული თავში ცემა და ვაი და ვუი. არ იქნება სრული სიმართლე, თუ ამ განსხვავების შემოტანას ჩვენს მწერლობაში მივაწერთ ნ. ბარათაშვილს. არა, ეს მოხდა უკვე წინად და ბარათაშვილმა მიიღო მემკვიდრეობით აღ. ჭავჭავაძისაგანაც, რომელმაც ძველის წესის დაწერილ საარშიყო ლექსებთან ერთად მოგვცა იმისთანა ახალი ჰანგის ლექსი, როგორიც არის მისი:

მაისის ვარდმან ფურჩენილმან,
 ბეზექმან მწვანით მკობილმან,
 ბუღბუღლი ათრო სუნითა, —
 რა ჰქნას აშიკმან თრობილმან?
 მოსთქვამს: ამაყო და ზვაო,
 შეუბრალო, გულ-ქვაო!
 ხელი რად უფრო მახელე,
 ჰო, ქირზე ქირის დამართაო?...
 მარქვ, ეკლოსანობ ასე რად,
 თუ არ გულისა სასერად!

უწყალოვ, რაზომცა ვსტირი,
 ცრემლი ჩემი გჩანს სიმღერად...
 ვარდნან მიუგო ღივილით:
 მებრალვი გულის ტკივილით!
 მაგრამ აშიკი ჰხამს იყოს
 ხან მღერით და ხან ტირილით.

ან კიდევ მისი ლექსი:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ აჩს რომე არ ჰმონებდეს?
 ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
 შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
 და ბუღბუღსა რად ეძრახვის, რომ შენს გამო ვარდს შეჭყედდეს!

აქ უკვე უბრალო აღევგორიაა, ისეთი აღევგორია, რომელიც პოეზიაში არც გაჰქრება არც როდის, და რომელიც მოეპოვევა თვით ნ. ბარათაშვილსაც მის პირველ ლექსში „ბუღბუღი ვარდზედ“. აშკარაა ისიც, რომ თვით ეს ლექსი დაწერილია იმავე მწერალთა, მესაზანდრეთა ზედ-გავლენით, აღევგორიული შედარება ვარდისა და ბუღბუღისა იქიდგანაა ნახესხები, ხოლო თავიდგანვე ეტყობა, რომ ბარათაშვილი უკვე განთავისუფლებულია იმ ცრუ მიმბაძველობისა და გადაქარბებულ გრძნობის გამოთქმისაგან, რამელსაც იყენენ ჩვეულნი მის დროის მესაზანდრენი და ძმანი თუმანიშვილები, მელიქიშვილი და სხვანი მათი ყალიბის მწერალნი. ეს განთავისუფლება ნიკ. ბარათაშვილის საქმე კი არ არის, არამედ ჯერ ისევ სანახევროდ ძველს და ახალს გზაზე მდგარის აღ. ჭავჭავაძის და შემდეგ სრულეებით ახალის მიმართულების პოეტის გრ. ორბელიანისა. აი თვალი გადაავლეთ უკანასკნელის ლექსს:

მნათობო, თვთ შენ აღმისხენ, რა მემართების, რასა ვჰგრძნობ,
 როს გხედავ, რადა ვჰსწითლდები, რად ვჰკრთი, ვშაშობ და ვჰხარობ?
 მაშინ რათ ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვჰსცდილობ?

და რისთვის ნაცუჟლად სიტყუათა, ხოლო ოხვრათა ვჰმეტყველობ?

ანუ წაიკითხეთ მისი მუხამბაზი „ნუ მასვე ღვინოს—“. ერთი სიტყვით ამ საკითხში აქამდე ბარათაშვილის მუხა ჯერ თავისებური არაა. არც ის სიყვარულის მაღალი გრძნობა შეადგენს ნ. ბარათაშვილს კუთვნილებას, რომელიც მისი სიტყვით მდგომარეობს ზეციერ მშვენებრებით განათლებულ სულთა კავშირში. ამნაირის სიყვარულის გრძნობის გავლენა ადამიანზე აქვს გამოთქმული გრ. ორბელიანს თვის „სად-

ღერგძელოში“, რომელიც, როგორც უკვე დაშტკიცდა, დაწერილი იყო 1827 წელსა, თუ არა ადრე. აი რას ამბობს გრიგოლ ორბელიანი ამ „სადღერძელოში“:

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება,
მოიგონეთ სიყუარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგუამალღევს, რომლით სული გვინათლღება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვთ ღმერთს ემსგავსება“.

ან კიდევ მეორე ადგილას აი რას ეუბნება იგი თვის სატრფოს:

„რაა, გინდ მოვკუტდე? მაინც შენდამი სულს სიყუარული
თანა წარპყვება!

არს უკუდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა
ექმნების;

მაშ სახე სულის დამტკობელი, იმიერ სოფელს არ განგვშორ-
ღების,

და სიყუარული, სულის მაშვენი, სიცოცხლესთანა არა და-
ჰშრტების,

თვარა სიყუარულს თუ დაჰკარგვიდე, უკუდავებამან მის წილ
რა მომცეს?

უსიყუარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილღ ჩემთვის
შეიქმნეს“.

მიუხედავათ ამისა, ბარათაშვილმა შესძლო უმაღლესი და უნაზესი სიყვარულის გრძნობის განვითარება. თუ გრიგოლ ორბელიანის სიყვარული მაღალი გრძნობის ხასიათისაა, სამაგიერო მას შეუძლიან არა თავისად, არამედ მიბაძვით წარმოიდგინოს სხვისი (კინტოსი, მესაზანდრეთა) ხორციელი სიყვარული და თვით ამ წარმოდგენაშიაც, ამ მიბაძვაშიაც ჰპოვოს ერთგვარი დაკმაყოფილება. ასეთია მისი ლექსები: „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „ლოპიანას მუხამაზი“, „დამ. ონ-ის დარღები“.

ეს ამტკიცებს იმას, რომ თუ თვით გრ. ორბელიანს თავის თავზე ამნაირ ხორციელს სიყვარულის გრძნობათა გამოთქმა ეხამუშება და ეწოთირება, მის გულის სიღრმეში იყო კიდევ ძველადგან დარჩენილი კუნტული, რომელიც აჟღერღებოდა მაშინ, როცა სხვების ამნაირ სიყვარულსა დაინახავდა და თანაგრძნობით შეხეღავდა მას, თითქმის ნანობდა, რომ თვით მას აღარ შეუძლიან ამნაირ გრძნობათა განცღა... ნ. ბარათაშვილს თითქმის სრულღებით არ მოეღოვება ეს ჰანგი. სხვისი

გრძნობით დატკობა და არამც თუ დატკობა, მისი გადმოცემაც კი ხელოვნურს ნაწარმოებში მას როგორღაც არ ეხერხება, არ ეხერხება კი მიტომ, რომ მის ბუნებას არ ეგუება. გარდა ამისა გრ. ორბელიანი აღნიშნავს სიყვარულს ამჟღავნებელსა გავლენას და ძალას, მაგრამ აღიარებს, რომ სიყვარული არის ეთრგვარი სიტკობება ადამიანისათვის, ურომლისათ თვით სასუფეველი სამოთხე მისთვის საპყრობილეა, ნ. ბარათაშვილმა თვისი სიყვარულის გრძნობა ისე განავითარა, რომ სამაგიერო არა მოითხოვა რა. ეს არის უზაკვა მსხვერპლი, მოტანილი მოტრფიალესაგან სატრფოსათვის, რომელსაც აქვს განმაფაქიზებელი გავლენა, რომელიც აამაღლებს და ასე ათქმევინებს:

„არ უკიჟინო სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაფლო,
საღამოს მის თვს შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;
მინდა რომ ვიყო ვარსკლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი;
მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო, შევარნო, მდელი სიციხითა დამკჳნარი;
რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს,
და ერთად შესხივებულნი, შევბას მოჰფენდნენ სიცოცხლეს;
არეს ავსებდნენ სიამით, მცენარეთ განმაცხოვლებლად,
იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად“!

რომ ეს სულ სხვა გრძნობაა სიყვარულისა, რომლის გავება სხვათ არც კი შეეძლოთ, ამას ჰგრძნობს თვით მგოსანი, როცა ეკითხება თვისს სატრფოს:

„ნუ თუ ამ სულის წადილსაც, ჰრკვა სიყვარული სხვათაებრ“?

მართლაც აქ სიყვარულის გრძნობის გაფაქიზება უმაღლეს მწვერვალამდე აყვანილი აქ არის მოტრფიალეთა ნატვრა ქვეყანას ემსახურონ, ქვეყანა აღამაღლონ და განაცოცხლონ სულიერის, მალა-ლის ცხოვრებით და გრძნობით. მსხვერპლსაც კი არ ერიდება მგოსანი, ოღონდ კი განთიადი, სულიერი განთიადი ჩვენის ცხოვრებისა გამოიწვიოს. აი სწორედ ნ. ბარათაშვილის პიროვნებისა და ჰანგისა თავისებურობა, რომელიც ანიჭებს მას შეუღარებელსა და სხვათა მიუღწეველს შერავანდელსა.

II

არც მეორე საკითხში, სამშობლოს სიყვარულში ნ. ბარათაშვილი იყო უწინამორბედი. აქ მეტიც ჰყვანდა წინამორბედი მიტომ, რომ მთელი შეთქმულობის და წინა დროის მწერალნი—დავით და იოანე ბატონიშვილები, გიორგი ავალიშვილი, შემდეგ თვით შეთქმულთა წარმომადგენელნი აღ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ფილადელფოზ კიკნაძე, გიორგი ერისთავი უმთავრეს ყურადღებას მაშინ სწორედ სამშობლოსა და მის ბედს აქცევდნენ. შეთქმულობის წინად დაიწერა არამც თუ მარტო წვრილ წვრილი ლექსები, არამედ პოემებიც: გიორგი ერისთავმა დასწერა „ოსური მოთხრობა“, სადაც იყო აღწერილი ელიზბარ და შალვა ერისთავთა და ბიძინა ჩოლოყაშვილის თავდადება სამშობლოსათვის, და მოწოდებაც იყო, რომ მაშინდელ ქართველებს მიეზღვათ მათთვის და გაეძევებინათ „თათრები“ (იგულისხმეთ: რუსები). ეს პოემა დაბეჭდილიც იყო „ტფილისის უწყებანში“ 1832 წ. ამაზედ უწინ დაწერილი იყო და ხელთნაწერად დადიოდა გრ. ორბელიანის „ლხინი“, რომელშიაც დახატულნი არიან სამშობლოსათვის თავდადებულნი მოღვაწენი, რომელიც აგვიწერს საქართველოს წარსულს დიდებას და მოითხოვს თანამედროვეთაგან მსხვერპლს. (ეს „ლხინი“ ავტორმა შესცვალა ცენზურის გულისათვის, ჩაუმატა ნიკოლოზ პირველის სადღეგრძელო და დაურთო ადგილები, ვითომდა იგი დაწერილი იყო ერევნის აღებისა (1827 წ.) გამო, გამოუცვალა სახელი და „სადღერძგელოს“ სახით შემდეგ დაბეჭდა). ამავე ხანას ეკუთვნის აღ. ორბელიანის დრამები, სადაც აღწერილია, თუ რა გაქირვებაში იმყოფებოდა საქართველო წანათაც: დავით აღმაშენებლის და მეფის ირაკლის ყმაწვილობის დროსა, და როგორის ხერხით და მხნეობით და თავგანწირვით გაითავისუფლეს ქართველებმა თავი.

ყმაწვილი ბარათაშვილი, მახლობელი ნათესავი შეთქმულთა (გრ. ორბელიანის დისწული) იზრდებოდა და სულიერად იკვებებოდა სამშობლოს სიყვარულისა და რუსეთისადმი მტრულს განწყობილების ატმოსფერაში. შეთქმულთა გავლენით დასწერა, ალბად, ბარათაშვილმა პოემა „ივერიელი“, რომელსაც სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია და რომელსაც მიზნად ჰქონია შეექმნა საამაყო ეროვნული ეპოპეამ გავლენითვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ ბარათაშვილი თვით

გიმნაზიის უფროსების და საზოგადოთ მთავრობისგან შემჩნეული იყო ერთგვარ „არა საიმედო“ მიმართულებაში და გიმნაზიაში შეთქმულობის გამოძიების დროს დაპატიმრებული ყოფილა; გაჩხრეკას ვერა აღმოუჩენია რა, მიტომ რომ ბარათაშვილს მოუსწრია ყველა საექვო ლექსის და შესაძლებელია თვით თავის პოემის „ივერიელი“-ს მოსპობა. დასასრულ ამ გავლენის შედეგია თვით მისი ჩვენამდე მოღწეული „ბედი ქართლისა“, სადაც აღნიშნულია მანვე გავლენა რუსის საზოგადოებისა და თვით რუსულის კულტურისა ჩვენს ეროვნულს სხეულზე. მაგრამ თუ „ბედი ქართლისა“ ნაყოფია ამ სულიერი ზედგავლენისა შეთქმულთა თაობისა ნ. ბარათაშვილზე, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნ. ბარათაშვილის და შეთქმულთა აზრსა და გრძობაში საკმაო განსხვავებაა: როგორც ბარათაშვილი, ისე შეთქმულნი საზოგადოთ რუსეთთან შეერთებას უარყოფით უყურებდნენ, სთვლიდნ მას მავნებლად და ამასთანავე იმასაც აღიარებდნენ, რომ ამ შეერთების წინააღმდეგ საჭიროა ყოველივე ღონის ძიების მიღება, ხოლო ბარათაშვილი და შეთქმულნი ძირითადათ განსხვავდებოდნენ დანარჩენ საკითხში. შეთქმულთა თაობა მოწიწებით იხსენიებდა მეფე ერეკლეს, მისის სახელით აღატრთოვანებდა თავის თავსაც და საქართველოსაც, ბარათაშვილი კი მეფე ერეკლეს საშინელს ბრალსა სდებს: ყოველი ცდა ამოი იყოვო, რადგან:

„დიდიხანია გულს ირაკლისა
გარდუწყვეტია ბედი ქართლისა“!

რასაკვირველია, რაკი ასე დააყენა ბარათაშვილმა საკითხი და ყველა უბედურებაში ვამტყუნა ირაკლი, მიტომ რომ კარი გაუღო რუსეთსა და შემდეგ ვერც თვისის ცდით და ვერც სხვისა მხნეობით და მსხვერპლით საქართველოს თავისუფლება ვერ დაიცვა, ამიტომაც ნიკ. ბარათაშვილმა თვის პოემის მეორე ნაწილში მოგვცა სოლომონ ლეონიძის და მისი ცოლის სოფიოს პირით ირაკლის გასამართლება. აღსანიშნავია რომ ნ. ბარათაშვილმა თითქმის პირველმა ჩვენს მწერლობაში მიაქცია ყურადღება ერთ გარემოებას —საელდობრ: რუსეთის კულტურისა და საზოგადოების გადაგვარებითსა გავლენას ჩვენს ეროვნულ ფსიხიკაზედ. პოეტი აღარებს ძველს დედას სოფიოს თავის დროის დედებს და მწარედ წარმოსთქვამს:

„რა იქნებოდა, რომ ჩვენთ დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ.
ქარმა ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!..
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა“?

როგორც ვხედავთ სათავე ნ. ბარათაშვილს და შეთქმულთა მწერ-
ლებსაც ერთი და იგივე ჰქონდათ, შედეგი კი მათის ხელოვნებითის
მუშაობის სულ სხვა და სხვა იყო. ეს აიხსნება რასაკვირველია შეხე-
დულების სხვა და სხვაობით. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ბარათა-
შვილი საზოგადოთ მეფე ერეკლესა პატივს არ სცემდეს, პირიქით
პირველი ნაწილი „ბედი ქართლისა“ საკმაოდ ამტკიცებს წინააღმდეგსა
და თუ ბარათაშვილი აღმუშოთებულია სოლომონ ლეონიძესთან ერ-
თად, — ეს ირაკლის გულის გატეხით და მით, რომ ის ასეთს მძიმე
საკითხს მთელი ქვეყნის ბედისას თვით გადასწყვეტს ერთი ერის დაუ-
კითხველად. ჰქონდა ასეთი აზრი ბარათაშვილსა წინათაც, როცა
შეთქმულება ჯერ არ იყო ჩაქრობილი (ის მაშინ თექვსმეტი წლისა
იყო), თუ შემდეგ დაებადა ასეთი, არ ვიცით, მაგრამ ის კი აშკა-
რაა, რომ თვით შეთქმულთა დასჯამ და ამის შემდეგ რუსეთის რეაქ-
ციის გამეფებამ უფრო განაძლიერეს მასში ეს მიმართულება, თუ
ახლად არ დაჰბადეს, და მთელი გულის წყრომა გადაატანინეს იმა-
ზედ, ვინც პირველად კარი გაუღო სამშობლოს დამზავრელს რუ-
სეთსა.

რომ სწორედ შეთქმულთა იდეალის და იდეის ჩაფუშვამ გაამწარა
ჩვენი პოეტი, ეს მტკიცდება იმით, რომ გადის ღრო, ნ წელიწადი „ბე-
დი ქართლის“ დაწერის შემდეგ და ავტორი დაუკვირდება რა სინაჟ-
დვილეს, შეურიგდება ირაკლი მეფის აზრს. და არამც თუ გაამართ-
ლებს მას, მოწიწებით მუხლს მოიყრის მისი საფლავის წინაშე.
ურიგდება თითქოს იმ აზრსა, რომ სხვანაირად მეფე ერეკლეს არ
შეეძლო მოქცეულიყო, რადგან სამშობლოს მოსვენება, სიმშვიდე
ეჭვირებოდა და ეს კი მისცაო — რუსეთთან შეერთებამ (იხ. „საფლავი
მეფის ირაკლისა“).

მიუხედავად ამისა ნ. ბარათაშვილი დარჩა ისევ ის ღრმა მოსიყვარულე
სამშობლოსი და მოტრფიალე მისი თავისუფლების. საგულის-

ხმიეროა, რომ ბარათაშვილის მეგობრებსაც და შემდეგ დროინდელსა საზოგადოებას მოსწონდათ არა ამ ლექსში გამოთქმული აზრი, არამედ ის, რაც იყო თქმული „ბედი ქართლისა“-ში. აქვე უნდა ითქვას, რომ არც ერთმა მწერალმა შეთქმულთა თაობისამ არ უღალატა თვის პირვანდელს იდეას და თუმცა შინაგანად თვის ნაწერებში არ შეეხნენ ამ საკითხს, მაგრამ სამაგიეროდ არც დაჰუმეს თვისი რწმენა, პირიქით ამოიღეს შეთქმულობის დროის დაწერილი რუსეთის საწინააღმდეგო პოემები, გამოცვალეს სახელები, გამოისტოვეს იმისთანა ადგილები, რომელიც აშკარა მოწოდებას წარმოადგენდა რუსეთის წინააღმდეგ, და ისე გამოსცეს. ასე მოიქცნენ: გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი და გიორგი ერისთავი.

III.

სამშობლოს სიყვარულთან დაკავშირებულია იდეა მსხვერპლისა, თავგანწირვისა და სამშობლოსათვის თავდადებისა. ეს აზრიც ახასიათებს ბარათაშვილის შემოქმედებას. აქაც ჰყვანდა მას წინამორბედნი ჩვენს მწერლობაში, ხოლო ამ შემთხვევაშიაც მინც განცალკევებით სდგას. შემეცნება მსხვერპლისა გაასაზოგადოვა, გააღრმავა, გაათაქიზა და უბრალო ფიზიკური მსხვერპლი, ომში თავის დადება გადააქცია სულიერ მუშაობის მსხვერპლად.

ცხადია, რომ თუ არა მსხვერპლით, სხვა რით შეეძლოთ მიეღწიათ თავის მიზნისათვის შეთქმულებსა. აკი ამიტომაც საჭიროება, ქადაგება თავდადებისა და მსხვერპლისა აუცილებელი ნაწილია შეთქმულთა თაობის ყველა ნაწერისა. ამისთანა ალაგებით სავსეა ალექსანდრე ორბელიანის დრამები და გიორგი ერისთავის პოემაც. არც გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოა“ მოკლებული ამ იდეალს; ჯერ ერთი იქ გაცხოველებულნი არიან სამშობლოსათვის თავდადებულნი გმირნი, მერე პირდაპირ ნათქვამია:

ჰე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული

არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღუსილი?

ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი,

არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხტპრპლი“!

და ბოლოს მოწოდებაა:

„და მოვკატუდეთ, თუ კი სიკატუდილით ვადიდებთ მისსა სახელსა“!
 მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც აქვს იმავე გრ. ორბელიანს თავის „სადღევრძელოში“ იმ ადგილას, საცა არის ლაპარაკი სიყვარულსა და საყვარელზედ. აქ მხედრებში იბრძვის ორი გრძნობა: სამშობლოს სიყვარულისა და სატრფოს სიყვარულის, და წარმოიდგინეთ, გრ. ორბელიანი აქ საკითხს ისე გადაქრის, როგორც შექდეგ ნ. ბარათაშვილი თავის „მერანში“. გრიგოლი ათქმევინებს მხედრებსა:

ვაი-თუ ჩემმან, უდროდ შავ-ბედმან, აქ განმისაზოტურა მეც
 აღსასრული!
 ვაი-თუ მოვკატუდე, მეც ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს
 სატრფოოჲ ცრემლი;
 არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა, სიკატუდილის ჟამის დამატკობელი?
 არა ვემთხვიო, ბავით ძლივ—ცოცხლით უკანასკნელად მშუტ-
 ნიერ მის გულს,
 რომ სახე მისი, თუალთა დახშულმან, თანა წარვილო იმიერ
 სოფელს,
 მუნ საშუტბელად, მუნ სანუგეშოთ, და რათა მითვე ვჰსცნა
 უკატუდავება!..

რაა გინდ მოვკატუდე“?.. და სხ.

შედარეთ ეს ადგილი ბარათაშვილის „მერანის“ შესაფერ ადგილებსა და თქვენ ნახავთ, რომ მიცკევიჩის „ფარისი“ კი არ ჰქონდა მაგალითად ბარათაშვილსა, არამედ გრიგოლ ორბელიანის ეს ადგილი. ეს შედარება თქვენს წინაშე უტყუარსა ჰყოფს, რომ თუ ბარათაშვილი ლექსის გარეგან ფორმით გრიგოლ ორბელიანზე მაღლა არ იდგა, სამაგიეროდ შინაარსით მისი ლექსი გაცილებით უკეთესია. გრ. ორბელიანის განცდა ორნაირის გრძნობის ბრძოლისა-ოში სიკედლილის მშოლოდინის შიშისა და სატრფოს სიყვარულისა-მან თვის „მერანში“ გარდაქმნა მსოფლიო საკაცობრიო სამსახურის იდეად. თუ გრ. ორბელიანის მხედრის მიზანი იყო სამშობლოს დახსნა თავისი ფიზიკურის თავდადებითა, ბარათაშვილის მიზანია თავისი პიროვნებით, თავისი აზრით და მისწრაფებით, ბრძოლით „მოძქესა გზა გაუადვილოს“. აი ის დიადი ახალი რამ, რაიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეიტანა მსხვერპლის იდეის განვითარებაში: სამშობლოსა და კაცობრიობისთვის სულიერი სამსა-

ხური და გზის გაკაფვა თავისი ცხოვრებით და მოქმედებით უკეთესი მომავლისაკენ. მართალია, ეს დანიშნულება კაცისა გრიგოლსაც ესმოდა, როცა იმავე „სადღეგრძელოში“ ტოლუმბაშს ათქმევინებდა:

„რა არის ჩუპნი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?

თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი, თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი, სხვის კენესა თუ არ გუაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?“

ან კიდევ:

„კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული, მის მხოლოდ ღუაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული“.

მაგრამ ვინ იტყვის, რომ „მერანის“ აზრი და ეს ორბელიანისა ერთი და იგივეა. აი სწორედ ასეთი ამაღლება ადამიანის დანიშნულებისა, იდეა მსხვერპლისა არა მარტო ფიზიკურის, არამედ სულიერისაც არის ის წარმტაცი გამოსახულება ბარათაშვილის შემოქმედებისა, რომელიც ანიჭებს მის ლექსს უპირატესობას წინამორბედებთან შედარებით.

რომ ასე ესმოდა ბარათაშვილსა ადამიანის ცხოვრების დანიშნულება, ეს სჩანს უკვე ზემოდ-მოყვანილ მის ლექსიდან („არ უკიჟინო სატრფოო“), სადაც ფიქრობს, რომ საუკეთესოდ ემსახურება თავის სატრფოს, როცა ემსახურება მთელს კაცობრიობას, მიტომ რომ სულიერი სიმაღლე: „მზედ ყოფნა“, „განათება გზისა“ მომმეთათვის არის იმავე დროს ამაღლება თვით სათაყვანებელ საგნისა. [აკი ამიტომაც ნატრულობს: „რომ იყო ვარსკლავი განთიადისა მორბედი“!..

არც ერთი ჩვენი მწერალი არ იზიდავდა მკითხველს, როგორც ბარათაშვილი. იყო მასში რაღაც იდეალური, მომხიბვლელი ძალა. ეს ძალაა მისი პიროვნება. ბარათაშვილის პიროვნების განვითარება კი იყო შედეგი ჩვენი ცხოვრების ზრდისა და ვითარებისა, შედეგი იმ საშინელის რეაქციისა, რომელიც დაატყდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას შეთქმულთა არამც თუ დასჯით, არამედ ამასთან ერთად თვით მათი ნააზრვეის და ნაგრძნობის დევნით. სამშობლოს ხსენება უკვე აკრძალული იყო და ამ ნიადაგზედ ფეხ-ადგმული ბარათაშვილის მწუხარების და სევდის კილო იზრდება, ფაქიზდება, სცილდება სამშობლოს ვიწრო ფარგლებსა და ჰპოებს გამოძახილს მსოფლიო სევდაში, მსოფლიო პესნიმიზმში. და აი აქ იწყება მესამე თავისებურობა ნ. ბარათაშვილის ჰანგისა, რაც მის წინამორბედთა არა ჰქონდათ, სახელდობრ

ისა, რომ სამშობლოს უბედურებით გამოწვეული მწუხარება, ეგრედ წოდებული პოლიტიკური რომანტიზმი მან გადაქცია წმინდა მსოფლიო რომანტიზმად.

ამ მხრივ ბარათაშვილი თითქმის მარტო სდგას. მიუხედავად იმისა, რომ ჰყვანდა ბევრი მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად იგიც თითქოს ახალგაზრდებთან ერთად სიმბიარულეში ატარებდა დროს, მაინც ამ მხიარულების არაფერი დაგვიტოვა, გარდა მოხსენებისა, და მხოლოდ თვისი სულის ობლობის და სასოწარკვეთილების გრძნობის კვალი ღრმად აღბეჭდა ჩვენს ცხოვრებაზე და ისეთის სიძლიერით, რომ სხვა ჰანგი თითქმის სრულიად დაჩრდილა. ჩვენც დღემდის ბარათაშვილს ვიცნობთ, როგორც მსოფლიო პესიმიზმის წარმომადგენელს. ნ. ბარათაშვილი თითქმის ერთ-ერთი მწერალია იმ დროისა, რომელიც ასე მწვავედ გრძნობდა სულის ობლობას, ამ სულის ობლობასთან ერთად რაცაღ ძახილს საიდუმლო ქვეყნის, უკეთესი მომავლისას. თუ წარმოიდგენთ მაშინდელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, როდესაც ყველა საუკეთესო ძალები ჯერ განფანტულნი, შემდეგ ჩაჩუქებულნი იყვნენ და მთელი ქვეყანა სამარისებურ სიჩუქით იყო მოცული, მეორეს მხრით, როდესაც წარმოიდგენთ ახლის აზრების და იდეალების მექონეს ადამიანს, რომელსაც თან დიდი ნებისყოფაც აქვს თანდაყოლილი უკეთესისაკენ მისწრაფებისა, თქვენ ადვილად გაიგებთ, თუ რაოდენი გულის ტკივილი, სულის ობლობა უნდა ეგრძნო ამ ადამიანს. ვინც უნდა ყოფილიყო ასეთ ვითარებაში, მაინც აღძრავდა თქვენში თანაგრძნობას, მიგიზიდავდათ, თუნდაც უბრალო სიტყვით ემცნო თქვენთვის თავისი სულის ობლობა და მისწრაფება და არ ისეთის მხატვრულის ლექსებით, როგორიც არიან ნ. ბარათაშვილის უკდაენი, ამ მდგომარეობის საფსებით გამომაქმელები ლექსნი: „სული ობოლი“, — „ხმა იღუმალი“, — „მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის“, „ვპოვე ტაძარი“, — „სული ბოროტო“, — „ჩემს ვარსკვლავს“, — „ფიქრნი მტკვრის პირას“, — „მერანი“.

ამ ლექსთა გარდა სხვა რომ არა დაწერა რა ნიკ. ბარათაშვილს, მაინც უკდავი იქნებოდა, მიტომ რომ საფსებით შესძლო გამოეთქვა თავისი დროის ტკივილი და ვითარება მაძიებელი ობოლი სულის, და ამ სულის არსება გვამცნო უდიდესი ხელოვნებით. მაგრამ მიშვიდველობა ბარათაშვილისა სწორედ იმაზედაა დაფუძნებული, რომ მიუხე-

დავად ყოველის მხრივ დამჩაგვრელი პირობებისა, თვისი ღრმა მწუხარებისა და თითქმის სასოწარკვეთილ მდგომარეობისა მოგვეცა იმავე დროს მაგალითი შეუღარებელი მებრძოლისა, რომელიც არ ერიდება თავის თავის მსხვერპლად მოტანას საქვეყნო ბედნიერებისთვის იმის შეგნებით, რომ ეს მსხვერპლი სხვას, მისთანავე ობოლსა სულსა „სავალსა ვზასა“ შეუშოკლებს და გაუადვილებს“ და კაცობრიობის განთიადსა მოახლოებს.

ეს თვისება — განცდა სულიერი ობოლობისა და ამასთანავე არ დაცემა სულიერად, არამედ შეგნება ბრძოლის საჭიროებისა, ისეთის წარუხოცელის შარავანდელით ჰმოსავს ბარათაშვილის სახელსა, რომელსაც ვერც დრო წაშლის და ვერც გარემოება, ვერც სხვათა ნიჭიერება მეტოქეობას გაუწევს.

გიორგი ჯავახიშვილი.

IV. ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ დღეს მკედრეთით აქდგარიყო, მისთვის ბევრი რამ გაუგებარი იქნებოდა ჩვენს ცხოვრებაში. მგოსანსა და ჩვენს შორის რამდენიმე თაობის მუშაობა სძევს, ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ნივთიერი კულტურა გამდიდრდა, ჩვენი სულიერი შინაარსი ვართუღდა. ჩვენთან შედარებით ნიკოლოზ ბარათაშვილი მარტივი აღამიანია.

მაგრამ ის მარტივი არ არის თავისი საკუთარი ეპოქის თვალსაზრისით. ხანმოკლე იყო ამ მგოსნის ცხოვრება, მისი შემოქმედება რამდენივე ლექსითა და კერძო წერილით განისაზღვრება. მაგრამ ეს ხანმოკლე ცხოვრება ნაყოფიერი იყო და ეს ვიწროდ შემოფარგლული შემოქმედება საკმაოდ მრავალფერადი. ქართულს სიტყვა-კაზმულს მწერლობაში ძნელად მოიძებნება მეორე წიგნი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ამ პაწია კრებულს სჭარბობდეს, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ნაწარმოები და მიწერ-მოწერაა მოთავსებული.

მაგრამ ამ აღამიანს ბედი არ სწყალობდა არც სიცოცხლეში, არც სიკვდილს შემდეგ. ჩვენ გვყოლია მგოსნები, რომელნიც მეფეებთან

სცოვრობდნენ ან თვით ჰგავდნენ უგვირგვინო მეფეებს, თუმცა აგრე რიგათ ღირსნი არ იყვნენ გაღმერთებისა. გვყოლია ისეთი მგოსნებიც, რომელნიც სიღარიბესა და მარტოობაში დაიხრცნენ, გამოუცნობელნი ან დავიწყებულნი, თუმცა ნამდვილად ღირსნი იყვნენ სიყვარულისა და ყურადღებისა. ბარათაშვილი ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა. ის გალატაკებული არისტოკრატი იყო წარმოშობით, მხედარი და მგოსანი შინაგანი მოწოდებით. მაგრამ ამასთან ერთად ოდნავ დაშავებული ადამიანი იყო და მისი ფეხები საცეკვაოთ თუ კიდევ ვარგოდნენ, გამოუსადეგნი იყვნენ სამხედრო ვარჯიშობისათვის. ამიტომ იძულებული შეიქნა უბრალო სტოლის უფროსი გამხდარიყო და სიყმაწვილის საუკეთესო დღეები რუსის კანცელარიაში გაეტარებინა.

სიკვდილს შემდეგ კარგა ხანს მიჩქმალულად ითვლებოდა მისი საფლავი, სურათი და ნაწერები. ნაწერების შესაფერი გამოცემა მხოლოდ დღეს გახდა შესაძლებელი; საფლავი ოციოდე წლის წინად აღადგინეს; მგოსნის სურათი (?) კი ანაზღეულად დაბადების ასი წლის თავზე აღმოჩნდა ძველს ქალღლებში. ამ სურათზე, რომელიც მეგობრის დიჯეტანტურ ფანქარს დაუხატავს, ნიკოლოზ ბარათაშვილი სიკვდილს შემდეგ პარველად სდგას ქართველი საზოგადოების წინაშე თავისი ჰუნგრული ტანსაცმელითა, დაფიქრებული სახითა და მონგოლურის თვალებით.

მაგრამ შესაძლებელია, რომ მის თანამედროვე საზოგადოების უყურადღებობა ერთისმხრით კეთილის მყოფელიც იყო ბარათაშვილისათვის. თუ მისი შემოქმედება ასე გულწრფელი, ფაქიზია, ეს შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ მგოსანი არ ჰფიქრობდა არც ჰონორარისა, არც სატიპოგრაფიო დაზვისა და არც მკითხველი საზოგადოებისათვის და უფრო საკუთარი შინაგანი მოთხოვნების მიხედვით სთხზავდა. არც ერთი თავისი ლექსი არ უნახავს დაბეჭდილი, არ უგემებია ლიტერატურული დიდების სიტკობება. ამ მხრივ საშუალო საუკუნეების უსახელო ოსტატებს ჰგავდა, რომელნიც დიდი სიყვარულით და მოწიწებით ეპყრობოდნენ უბრალო ნივთებსაც და მაგიდისა, სკამისა ან ჯაზისაგან ხელოვნების შედეგებს ჰქმნიდნენ.

დამახასიათებელია, რომ ბარათაშვილი დიდხანს ჰქლიბავდა და აშალა-შინებდა თავის ლექსებს, არ ჰგავდა ზოგიერთ თანამედროვე ინდუსტრიულ მწერალს, რომელიც თითქო ცულითა და წალდით მუშაობს

და ნამორების მსგავს ნაწარმოებებს უხვად ისვრის სალიტერატურო ბაზარზე. ხელოვნება მისთვის უფრო ლოცვა და მღვდელთმოქმედება იყო, ვიდრე წარმოება.

ასეთ პიროვნებას სწორედ შევხვდებით, რომ ჩვენც გულწრფელად მოვეპყრათ. პირფერობა მისი ხსოვნის შეურაცყოფა იქნებოდა. მგოსნის თანაქედროვეები უყურადღებონი და უსამართლონი აღმოჩნდნენ. დღეს შეიქმნება მგოსნის დაფასებაში საწინაღმდეგო რეაქცია დაიწყოს და მეორე უკიდურესობაში ჩავვარდეთ. ეს სასურველი არ არის. სასურველი არ არის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებასა და შემოქმედებაში იპაზე მეტი დავინახოთ, რაც არის სინამდევლეში. ერთნაირად მავნებელია როგორც მნიშვნელოვანი პიროვნების უპატივცემლობა, ისე მისი უზომო და ბრმა თაყვანისცემა.

დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენი ლირიკოსი ეროვნული იდეის მოციქულად ან წამებულად მიგვეჩნია. მართალია „ბედი ქართლისა“ და „მეფე ირაკლის საფლავის“ ავტორი ძლიერ პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ მისი პოლიტიკური აზროვნება არ ყოფილა ნათელი და გარკვეული. ძნელი გამოსაცნობია, ვის მხარეზეა მგოსნის სიმპატია „ბედი ქართლისაში“: ბრძენი [მსაჯულისა თუ ბებერი მეფისაკენ. სოლომონ მსაჯული და ირაკლი მეორე პოემაში ერთიპირობის საწინააღმდეგო შეხედულებას იცავენ. პირველს ჰგონია, „რომე ქართველებს არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჳერთ ქვეშ თავისუფლება“. მეორე იმ აზრის არის, რომ „ძნელ არს ცხოვრება საქმეოსი, როს უქვრეტდეს იგი ომსა დღე დღითი... რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ კელომწიფება“. უფრო საფიქრებელია, რომ მგოსნის გული სოლომონ მსაჯულისა, მგოსნის გონება კი პატარა კახისკენ არის. მაგრამ რაც უნდა იყოს მეორე ნაწარმოებში, ირაკლი მეორის სამგლოვიარო ლექსში, ავტორი უკვე გადაჭრით ამ მეფის პოლიტიკურ სიბრძნეს ემბრობა. დამახასიეთებელია ის წვრილმანი ფაქტიც, რომ ეს ლექსი „კნიაზ მ. პ. ბარათაშვილისადმი“ არის მოძღვნილი. კიდევ უფრო საყურადღებო ის გარემოება არის, რომ ჩვენს მგოსანს ტკბილად ეჩვენება ირაკლი მეორის ხელმწიფური აზრის ნაყოფი და გულწრფელად შეჰხარის განათლებისა, მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრებისა და შეუშფოთებელი განსვენების დამყარებას, რაიცა მისი აზრით რუსების შემოსვლასა და დამკვიდრებას მოჰყვა საქართველოში.

ბარათაშვილის პოლიტიკურ შეგნებაში ყველგან სჩანს ერთგვარი გაორება, თავის მილიტარულ ჰიმნში „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ მგოსანი ქართველ მხედრებს დალისტანისა და ჩეჩნის წინააღმდეგ მოუწოდებს „მათი ბოროტი სულის აღმორთმევად“. ეს როდია გასაკვირალი, შურისძიების გრძნობა ბუნებრივი და მისატავებელია იმდროინდელი ქართველისათვის, რომელსაც აღბად ჯერ კიდევ ცხოვლად ახსოვდა ლეკების მიერ ქართლ — კახეთის უწყალო რბევა. მაგრამ ცოტა არ იყოს ნაკლებ მოსალოდნელი ამ ლექსის დასასრულია:

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა!
იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა!

არჩილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,

და გვიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა!

ამ სიტყვებიდან აშკარად სჩანს, რომ ავტორი მარტოდ-მარტო სამშობლოს სახელისა თუ სარგებლობისთვის არ ჰფიქრობდა: წინაპრების არჩილთა გვერდით მის შეგნებაში ჩრდილოელთ სახელმწიფოს მბრძანებლის სილუეტიც იდგა.

ერთს თავის წერილში, რომელიც გრიგოლ ორბელიანისადმი არის მიმართული, მგოსანი დიდს სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ „ლიტერატურა ჩვენი, ღვით, დღე და დღე მოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი მოცლილი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწვიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრიალებისა, ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“. რაოდენი სიყვარული სჩანს ამ სიტყვებში ქართული ენისა და ქართული მწერლობისადმი! ამ სიყვარულის დამამტკიცებელია ის გარემოებაც, რომ თვით ბარათაშვილმა ჩვენი ლარიზი ნათარგმნი ლიტერატურის შესავსებათ ერთი ტრავედიაც კი გადათარგმნა ლეიზევიცისა. მაგრამ ამასთან ერთად დამახასიათებელია ისიც, რომ მგოსანი, როგორც სჩანს, სტილის სისუფთავეს აგრე რიგად არ აფასებდა და რუსულ სიტყვებსა და წინადადებებს მოაურიდებლად ურევდა თავის წერილებში. ამ მხრივ თანამედროვე ქართველობის შეგნებას მაინც და მაინც არ იყო გაცილებული. საერთოდ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი პოლიტიკური მრწამსი ორმაგიც იყო და დროებას შეფერვულიც. და ყვე-

ლაზე უკეთ მისივე სიტყვით ხასიათდებოდა: „ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფებას და საზოგადოებას შევსძლევნო“.

ეს გარემოება შეიძლება ზოგიერთ ჩვენგანს ეუცხოვოს ან არ ესიამოვნოს, შეიძლება ზოგიერთმა ჩვენგანმა პოეტი კიდევ გაჰკიცხოს პოლიტიკური ოპორტუნისმიისთვის. ჩვენ დღეს ფიცხელი ნაციონალისტები ან სეპარატისტები ვართ და გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე თვითცნობიერ ქართველს შეეძლო სხვანაირად აზროვნება. ეს ჩვენი ისტორიული გრძნობის უქონლობით აიხსნება. თვით ჩვენ ნაკლებ რადიკალურად ვაზროვნებდით სამიოდე წლის წინად. გუშინ ჩვენს შორის არა თუ ნაციონალური ოპორტუნისმი, სრული ნილილიზმიც კი ძლიერი იყო. მით უმეტეს არავითარი საფუძველი და არავითარი უფლება არ გვაქვს, მამულიშვილური აღმაფრენა და მამულიშვილური შეუდრეკლობა მოვსთხოვოთ ადამიანებს, რომელნიც ასი წლის წინად სცხოვრობდნენ.

პირიქით უნდა აღვიაროთ, რომ მათი ეროვნული პოლიტიკური ოპორტუნისმი თავის დროისთვის ყველაზე მეტად ბუნებრივი და აზრიანი მიმართულება იყო. დიდი დონკიხოტობა იქნებოდა მათი მხრით, რომ დღევანდელი რადიკალური იდეალები წამოეყენებინათ. მეცხრამეტე საუკუნის პირველი წლების ამბებმა, მთიულეთის და კახეთის ამბოხებამ, თავადაზნაურული ინტელიგენციის შეთქმულებამ ნათლად დაამტკიცეს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მაშინ ნაკლები ნიადაგი ქონდა. რუსის მთავრობა და მხედრობა ფიცხლად გაუსწორდა შეთქმულებს. ჩვენი სამშობლო დაქანცული და სისხლ დაკლილი იყო წინა საუკუნეების ხანგრძლივი ომებისა და მღელვარების გამო. უწინარეს ყოვლისა დასვენება და ძალების მოკრეფა ესაჭიროებოდა. ასეთ პირობებში ბარათაშვილსავით გულწრფელ და შეგნებულ ქართველს მართლაც ეჩვენებოდა, რომ საქართველოს ორთავიანი არწივის ფრთებს ქვეშ ყოფნა უჯობდა აჩდილისებურ თავისუფლებას.

ამიტომ ბარათაშვილი არ უნდა განვსაჯოთ. მგოსანი თვის ეპოქის ნიადაგზე იდგა. და თუ მისი პოლიტიკური შეგნება ვიწრო და განსაზღვრული იყო, ეს იმით აიხსნება, რომ თვით დრო იყო ვიწრო და განსაზღვრული. სამაგიეროდ მგოსნის მკერდი დაუშრეტელი მგრძობიარობით იყო აღსავსე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩვენი სამშობლოს მთრთოლვარე გული იყო და ამაშია მისი ძალაც და მისი სისუსტეც.

ის იმ გასკონელ ჯაბუკს ჰგავდა, რომელსაც ბრძოლისა ეშინოდა, მიტომ რომ ყოველი ჭრილობა მისთვის მომაკვდინებელი იქნებოდა: რადგან მთელი მისი აზრება მხოლოდ გულისაგან შესდგებოდა.

„მომეცი პატარა, დამოუკიდებელი შემოსავალი, სწერდა მგოსანი თვის მეგობარს, და ახლავე ყველაფერს თავს დავანებებ, ქვეყანასაც, უძღვებ ადამიანებსაც და მშვიდობიანად, წყნარად პატრიარქალურად უბრალოდ ბუნების წიაღში ვიცხოვრებ, ესოდენ დიადი და მშვენიერი რომ არის ჩვენს სამშობლოში“. არ მგონია ვინმე ჩვენგანმა მგოსანი ასეთი სურვილისათვის დაძრახოს. ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ ქვეყნად სულიერი შემოქმედებისთვის იყო გაჩენილი და არა პრაქტიკული მოქმედებისთვის: საფიქრებელია, რომ ქართული მწერლობისა და კულტურისათვის ბევრად მეტს გააკეთებდა, თავისთავთან რომ დაჩინილიყო და საკუთარი გემოვნებისა თუ მოთხოვნების მიხედვით ეცხოვრა. მაგრამ რადგან ბედმა საცხოვრებლად უფერული და უკანჩამორჩენილი საზოგადოება მიუჩინა, სამოქმედოთ კი რუსის კანცელარია, მისი გრძნობიარე და თაქიზი სული განმარტოვდა, დაობლდა და გადაირაზა. ეს მისი საკუთარი სიტყვებია მეგობრისადმი მიწერილი: „შენ წარმოადგინე მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენიც და მინც კიდევ ობოლია ამ სავსე ვრცელს სოფელში!“

ასეთი სულიერი ობლობა ძალიან ხშირად მოქმედებისა და აზროვნების მოღუწებას იწვევს და ბარათაშვილის ცხოვრებაც ალბად უკვლოდ ჩაივლიდა, ის რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო. მაგრამ რადგან მკერდ ქვეშ იმ უძლეველ ძალას გრძნობდა, რომელსაც შოთა რუსთაველმა აღმაფრენა უწოდა და რადგან მკერმეტყველობაც შესწევდა თარულ გრძნობების გამოსახატავად, მისმა სოფლიურმა ობლობამ ესთეტური ფორმები მიიღო და მისი კაეშანი კეთილხმოვან ლექსებში ჩამოყალიბდა. მხოლოდ ესაა, რომ უნუგეშო მარტოობის გრძნობამ მის პოეტურ შემოქმედებას გარკვეული ინდივიდუალიზმის ელფერი დასდო. და სწორედ ამაშია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის მთავარი თვალსაჩინო თვისება, მისი სევდა თუ პესიმიზმი უფრო პირადი ხასიათისაა ვიდრე ეროვნულის.

საზოგადოებრივი ჭირვარაში რასაკვირველია ამ მგოსნისთვისაც არსებობდა: მაგრამ არა თავისთავად, არა ობიექტურად, არამედ რაღდე-

ნადაც მის კერძო ბედისწერასთან იყო გადახლართული. გაიხსენეთ მისი ლექსების დასაწყისი: თითქმის ყველას ინდივიდუალური აქცენტი აქვს, თითქმის ყველგან ავტორის მერა პირველს პლანზე. — წარვედ წყალის პირს სვედიანი ფიქრთ გასართველად... ან: რად მრისხანებ ჩემის ბედის ვარსკვლავო... ან კიდევ: ვჰპოვე ტაძარი, უდაბნოდ მდგარი... შემდეგ კიდევ: სულო ბოროტო, ვინ მოგისმო ჩემად წინამძღვრად... ბოლოს კიდევ: მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი ძერანი... და სხვა და სხვა. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ეს მგოსანი უკანასკნელი არისტოკრატი და უბიწველესი ინდივიდუალისტია ჩვენს მწერლობაში, და როგორც თავისებური შეერთება ფაქიზი არისტოკრატისა და ძლიერი ინდივიდუალისტისა თითქმის განმარტოებულ მოვლენას წარმოადგენს.

ჩვენს სამშობლოს წინათაც და შემდეგაც ბევრი მალაონიკიერი მგოსანი ჰყოლია. მაგრამ ძველებს მძაფრი ინდივიდუალიზმი აკლდათ, ახლებს კი სულიერი არისტოკრატობა, ეს მათი თავისებურობაა და არა მათი სისუსტე. ყოველი ერის სიტყვა-კაზმული მწერლობა ზეადამიანური და ღვთაებრივი საგნების გამოხატვით იწყება: ის რელიგიური და კოსმიური პირველს საფეხურზე. შემდეგ მისი სფერო თანდათან ფართოვდება და ახლოვდება, მისი შინაარსი საგნობრივი და საზოგადოებრივი ხდება. ბოლოს, განვითარების უკანასკნელს საფეხურზე პოეტური შემოქმედება ღრმა-ადამიანურ და პიროვნულ ხასიათს იძენს. ეს როდია გასაკვირალი. ადამიანის ყურადღება უწინარეს ყოვლისა შორეულ საგნებისაკენ არის მიპყრობილი. მისი პირვანდელი მეცნიერული დაკვირვება და აზროვნება ზეციურ მნათობებს ეკუთვნის, მისი პირვანდელი ესთეტიკური აღმაფრენა ღმერთებსა და დევ-გმირებსა. ხანგრძლივი გონებრივი ვარჯიშობაა საჭირო, რომ ადამიანმა უუახლოესი და უუმნიშვნელოვანესი საგანი აღმოაჩინოს: სახელდობრ თავისი საკუთარი თავი.

ქართული პიეზიაც ამ საერთო წესს ექვემდებარება, რასაკვირველია. ჩვენი უძველესი დიდი მგოსნები, რომელნიც მერვე, მეცხრე და მათე საუკუნეში სცხოვრობდნენ, თითქმის არაფერს ამხელდნენ თავიანთ თავზე, უმეტეს ნაწილად საეკლესიო ჰიმნებსა და საგალობლებს სთხზავდნენ, სადაც ქრისტიანი სულის რელიგიური განცდა იყო გამოთქმული. რასაკვირველია, აბსოლუტურად უპიროვნო ხასიათი არც მათს შემოქმედებას ჰქონდა. თვით სარწმუნოებრივ ლირიკაშიც კი შეუ-

ძლებელია სავსებით ავტორის პიროვნების მიჩქმალვა. მაგრამ ეს სასულიერო მგოსნები თითქო რაღაც ქალწულებრივი მორცხვობით იყვნენ გამსჭვალულნი: არასოდეს თავის სულში ხელებს არ აფათურებდნენ, არასოდეს გარეთ ურცხვად არ აფენდნენ შინაგან გრძნობებს.

ჩვენი უდიდესი კლასიკოსიც შოთა რუსთაველი თავისთავზე მხოლოდ პოემის წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში ლაპარაკობს და ისიც ჯერ კიდევ საექვოა, მას ეკუთვნის თუ არა ეს სიტყვები. სხვაფრივ მხოლოდ ობიექტური ქვეყანა აინტერესებს, მისი უთვალავი მონაბერი ფერებითა და სახეებით. გარეშე მოვლენები მას ხიბლავს და ათრობს: დრო და ხალისი აღარ რჩება თავის შინაგან განცდაზე იფიქროს. საყურადღებოა აგრედვე, რომ შოთა რუსთაველი სრულიადაც არ სცდილობს ამბავის არჩევასა და გაშლაში ინდივიდუალური თავისებურობა შეიტანოს: სიუჟეტს ისე ექცევა როგორც სხვა მგოსნები და მხატვრები ექცეოდნენ საშუალო საუკუნოებში. მისი პოემის არაკი კერძოთ არც ქართულია და არც სპარსული. არსებითად უფრო ზოგადია და მთელი იმ დროინდელს კულტუროსანს კაცობრიობას ეკუთვნის, არაბეთიდან დაწყებული ირლანდიაძდე და სკანდინავიიდან დაწყებული სიცილიამდე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საუკუნოების მგოსნებისა და ოსტატების თავმოყვარეობის საგანს სრულიადაც გადაქარბებული ორიგინალობა არ შეადგენდა. იმდროინდელი მხატვრები ერთსა და იმავე წმინდანებს ჰხატავდნენ უცვლელს პოზებში. იმდროინდელი მგოსნები ერთსა და იმავე გამარჯვებულს და დამარცხებულ სიყვარულს უგალობდნენ. ტრისტანისა და იზოლდას, ოკასენისა და ნიკოლეტის, ლეილასი და მეჯნუნის, ნესტან დარეჯანის და ტარცილის და სხვა ამ გვარი რომანტიული ტყულების ამბები თავისუფლად ხალხიდან ხალხში დასეირნობდნენ და დაუბრკოლებლივ ერთი მგოსნის ხელიდან მეორე მგოსნის ხელში გადადიოდნენ. დიდი თავისებურობა იქნებოდა, თუ რომელიმე მათგანი ამ მოარულ ამბავს რაიმე უმნიშვნელო წვრილმანს შეჰმატებდა. პიროვნება ნაკლებ განკერძოებული იყო, შემომქმედი ადამიანი უფრო ახლო იდგა დიდს საკაცობრიო გონებრივ აუზთან და იქ ეძებდა შთაგონების წყაროს. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, როცა იმ შორეული ეპოქის მგოსნებისა და ოსტატების პირადს ორიგინალობაზე ვმსჯელობთ, ეს ადამიანები პირადობისა და ორიგინალობისთვის იმდენად ზრუნავდნენ, რომ თავიანთ ნაწარმოებს ხელსაც კი არ აწერდნენ.

მაგრამ ერთი რამ მაინც უცვილობელია ყოველს შემთხვევაში: ამ ტიპიურ საშუალო საკუნოებრივ მწერლებს შორის ყველაზე თავისებური ჩვენი შოთა რუსთაველია თუ განუმეორებელი სიუჟეტის შემთხვევით არა, ყოველ შემთხვევაში ზნეობრივი სოფლმხედველობის სიღრმითა და მხატვრული სახეების სიცხოველით.

რასაკვირველია არ შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩვენში ინდივიდუალიზმის პირველი მოციქული იყო, ინდივიდუალიზმის გრძნობა ქართულს მწერლობაში განახლების დროის მგონებმა შეიტანეს და განსაკუთრებით დავით გურამიშვილი არაჩვეულებრივ გულწრფელად და მჭერმეტყველად ლაპარაკობდა თავის თავზე. პირველად ამ აღამიანმა იგრძნო ნათლად, რომ მისი საკუთარი პიროვნება ღირსია მაღალ პოეზიისა. მაგრამ გურამიშვილის ინდივიდუალიზმი როდღა იყო ცალმხრივი და განკერძოებული. თავის პიროვნების გვერდით საქართველოს დიდს წარსულსა და უბედურ აწმყოს ჰხედავდა, თავის თავზე მაღლა ღვთაებრივ ძალას სქვრეტდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში პირიქით მგონის მეს გაბატონებული ადგილი უჭირავს, — თითქმის ყველაფერი მის საზღვრებშია მოქცეული, თვით ბუნებისა და ისტორიის მოვლენებიც. რელიგია კი მისთვის არ არსებობს როგორც დამოუკიდებელი ობიექტური ძალა: თუმცა მგოსანი მუხლ მოდრეკით ლოკულობს და მისი არსება კეთილმყოფელი ილუზიების წყურვილითაა გამსჭვალული, მაგრამ გონება იქვიანია და მას მოხვედრული აქვს კიდევ ბოროტი სულს მსახვრალი ხელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ინდივიდუალიზმი გააღრმავა, გაათართოვა და ზოგად ფორმაში გამოჰხატა. ამაშია მისი თავისებურება და ღვაწლი, რაიცა ილია ქავჭავაძემ სწორად აღნიშნა. თუ თავისივე თავის აღმოჩენა და გამოხატვა უძნელესი ფსიხოლოგიური და ესთეტიური პრობლემაა, კიდევ უფრო ძნელია მეობის აყვანა მსოფლიო სიმაღლესზე. ბარათაშვილმა შესძლო ამ პრობლემების გადაწყვეტა. მისი პოეზია პირადი სევდისა და მსოფლიო გონების გამოხატულებაა ერთსა და იმავე დროს; მისი გრძნობები მოულოდნელნი და განუმეორებელნიც არიან და ადვილად გასაგებნიც ყოველი მოაზროვნე აღამიანისთვის.

არც ის შეიძლება ითქვას, თითქო ნიკოლოზ ბარათაშვილს პირველად აღმოეჩინოს ბუნების გრძნობა. მართალია ძველ ქართულ სიტ-

ყვაკაზმულ მწერლობაში გარეშე ბუნება იშვიათად წარმოადგენდა დახოუკიდებელ მხატვრულ ელემენტს, მაგრამ თვით ბარათაშვილის უფროს თანამედროვეებს, ალექსანდრე ქავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს ძლიერ კარგად ეხერხებოდათ ლირიკული პეიზაჟის გადმოცემა. ჩვენი მგოსნის თავისებურება იმაშია, რომ მეტი მგრძობიარობა შეიტანა გარეშე ბუნების გადმოცემაში. მისი პეიზაჟი მოკლებულია მკვეთრ კონტურებს და უფრო სულიერი მდგომარეობის მხატვრობას წარმოადგენს ვიდრე ობიექტური საგნების სახეს. მკითხველი ძნელად თუ წარმოიდგენს იმ სურათებს, რომელსაც მგოსანი მთაწმინდისა და მტკვრისათვის იძლევა. სინამდვილე მეტის მეტად გაცხრილული, გაფაქიზებული ან ფერმიხდილია. მაგრამ შეუძლებელია ადამიანი არ დაექვემდებაროს ამ ლირიკულ პეიზაჟების მიერ შექმნილ სულიერ განწყობილებას. ეს ალბათ იმითი აიხსნება, რომ მგოსანი თვით გრძობს ბუნების სუნთქვას და გულწრფელად ჰფიქრობს: „რომ არს ენა რამ საიდუპლო უსაკოთაც და უსულოთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

საერთოდ შიძლება ითქვას, რომ ჩვენს მგოსანს დიდი შთამაგონებელი და დამაჯერებელი ძალა აქვს, მაგრამ უფრო სულიერ განცდათა გამოხატვაში, ვიდრე გარეგნულ მოვლენების შეხებასა და გადმოცემაში. ამ მხრივ ის უფრო რომანტიკოსია ვიდრე კლასიკოსი ან რეალისტი. სწავთრივაც წააგავს ევროპიელ რომანტიკოსებს. მათსავით ყველაზე უფრო ლურჯი ფერი მოსწონს, როგორც დაუსრულებლობისა და უსაზღვრობის სიმბოლო, მათსავით თაყვანს სცემს ნაპოლეონს, მათსავით ბინდუნდი და განმარტოებული ადგილები უყვარს და იმ აზრს ადგია, „რამ სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა“. მას სტანჯავს მოწყენილობა, მარტობა, ქედმაღლობა, გულისთქმათა უსაზღვრობა და მისწრაფებათა უპიზნობა, როგორც მის უფროსს ევროპიელ თანამედროვეებს. მაგრამ ასეთი მსგავსება უფრო იდეათა პარალელიზმით აიხსნება ვიდრე პირდაპირი წაბაძულობით. ყოველ დიდს ეპოქას თავისი ზოგადი სული აქვს, რომელიც შეუგნებლად იმორჩილებს შემომქმედ პიროვნებას. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი მსოფლიო გოდებისა და უსაზღვრო ძიების ეპოქა იყო და მგრძობიარე ადამიანები ჰაერთან ერთად ისუნთქავდნენ რომანტიკულ იდეებსა და სახეებს. მთელი თაობა შავს მერანზე იჯდა და ბედის საზღვრების გადალახვას ლამობდა.

ამიტომ გასაკვირალი არ არის რომ ინგლისელ ბაირონსა, ფრანგ მატობრიანსა, გერმანელ ნოვალისსა, პოლონელ მიცკევიჩსა და ჩვენს ბარათაშვილს შორის რაღაც იდუმალი, ძნელად გამოსათქმელი ნათესაობა არსებობს, თუმცა ეს მგოსნები ნაკლებ ან სრულიად არ იცნობდნენ ერთმანეთს.

მაგრამ შეუძლებელია ცოცხალი ადამიანის მოთავსება ერთს ვიწრო უჯრაში, შეუძლებელია ერთი მზამზარეული და გახუნებული ფორმულის შემწეობით მრავალფერადი შემოქმედების ამოწურვა. ისეთი ცნება როგორც არის რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი და სხ. ყოველთვის უფრო ვიწრო და ღარიბია ვიდრე ცოცხალი სინამდვილის მოვლენა. არც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის დახასიათება შეიძლება ერთი მოარული სიტყვით ან ფორმულით. თუ მისი ძირითადი იდეები რომანტიული ხასიათისაა, სამაგიეროდ მისი სტილი უფრო კლასიკურს წაავებს და მისი ნაწარმოებებს შორის ერთი რეალისტური ლექსიც კი მოიპოვება: ესაა საუცხოვო „ღამე ყაბახზედ“, სადაც ცხოველი ფერადებით ძველი ტფილისის ერთი კუთხეა დახატული. ოდნავ მტვრიანი ჩარჩოებიდან დავიწყებული წინაპრების ფიქრგადაკრული სახეები იცქირებიან. თითქმის ერთმა საუკუნემ განვლო მათსა და ჩვენს შორის, მაგრამ თითქო მათი ხმა გვესმის და მათ მიმოხვრას ვხედავთ.

მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს რეალისტური ნაწარმოები გამონაკლისს წარმოადგენს ბარათაშვილის ნაწერებში. სხვაგან მგოსანი უფროსის შავი დედამიწის სიახლოვეს. მალლობებზე ან მთიების ახლო თავს ლალად გრძნობს, ოდნავ ცივი და ოდნავ გამქვირვალე ჰაერი ურჩევნია მძიმე და თბილ ატმოსფერას. ამიტომ მის პოეზიას ცხოვრების მაჯისცემა აკლია. მისი ისტორიული პოემის მომქმედი პირები-მეფე ერეკლე, სოლომონ მსაჯული, სოფიო უფრო აბსტრაქტულ არსებებს ჰგვანან ვიდრე ხორცშესხმულ ადამიანებს. მკითხველი ისმენს მათს საუბარს, მაგრამ ვერ გრძნობს მათ ვნებათა დელევას.

ეს შეიძლება იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ბარათაშვილს ხშირად ჰხიბლავს საკუთარი მჭერმეტყველობა და მუსიკალობის გულისთვის სიტყვების ფსიხოლოგიური მნიშვნელობა ავიწყდება, ალაგ-ალაგ რიტორიკას ემორჩილება ზოგიერთ ძველ ქართველ მწერალივით. მისი ლექსის გარეგნული ფორმა უფრო ტრადიციულია და მის ლექსიკონსა, სინტაქსისსა და რითმში თითქმის არაფერია ახალი და მოულოდნელი.

ამ მხრივ უფრო კონსერვატორია ვიდრე რევოლუციონერი. თავდაპირველად მგოსანი სპარსულ პოეზიაში ეძებს შთაგონების წყაროს მეფე თეიმურაზისა ან ბესიკივით. პირველი ნაწარმოები „ბულბული ვარდ-ზედ“ სპარსული ალეგორიების გავლენის ქვეშ იმყოფება: ბულბული აქ მგოსანია, ვარდი — სატრფო. შემდეგ ის უცებ თავისუფლდება ამ გაცვეთილ ალეგორიებისაგან, მაგრამ ინარჩუნებს ზოგად აღმოსავლეთურ ეპიტეტებს. შემდეგ თან და თან მისი სტილი უფრო მკვეთრი და მხატვრული ხდება. ბოლოს ისეთ შედეგებში, როგორც არის „ჩემი ლოცვა“, „ჩინარი“, „ჩონგური“, „ფორტუპიანოზე მომღერალი ქალი“, „ლაშე ყაბახზედ“ და სხ. მგოსანი შინაარსისა და ფორმის სრულს ჰარმონიას აღწევს.

გერონტი ქიქოძე.

V. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების

გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა .

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას მხოლოდ ცხრა წლის სალიტერატურო მოღვაწეობა ჰქვარავლავს. მაგრამ ეს ცხრა წელიწადი მისი დასრულებული ინდივიდუალობის ხანას როდი ეკუთვნის; არა, იგი უფრო იმ დროისაა, როდესაც პოეტის სულიერი ინდივიდუალობა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, როდესაც მთავარი ღერძი პოეტის სულიერი ცხოვრების ბორბლისა ჯერ კიდევ თავის ძიების ხანაში იმყოფებოდა; და ბარათაშვილი მოკვდა ისე, რომ მისმა აზრმა და გრძნობამ თავისი გარკვეული თავისებურობის სახის ხილვა ვერ მოასწრეს. ამიტომ მთელი მისი სალიტერატურო შემოქმედება მხოლოდ „ოდისეა“ მისი თვითგამორკვევისადმი მიმსწაფი სულისა; დაუდგრომელობა და მღელვარება ნათლად სჩანს პოეტის შემოქმედების ძეგლებში, მხოლოდ იგი ჯერ კიდევ სუსტი ტორტმანია ზღვის ზედაპირისა, რომელიც ქარიშხალსა და დაუცხრომელ ღელვას უსწრებს ხოლმე წინ. ბარათაშვი-

ლის შემოქმედება ამ ასპექტით უნდა იქნეს განხილული; საინტერესოა იმის გათვალისწინება, თუ რა გრძნობები და აზრები ამოძრავებდნენ ჩვენი მწერლობის ისეთს წარმომადგენელს, როგორც ბარათაშვილი იყო, და რა სულიერი განწყობილების ბალავერი იყრებოდა ამ არაჩვეულებრივი ყრმის ფსიქიურ არსებაში. ეს კი ისტორიულ-ფსიქოლოგიური გზით არის შესაძლებელი, და ჩვენც სწორედ ამ გზას ვირჩევთ, როდესაც ბარათაშვილის სულის „ოდისეაზე“ ვიწყებთ საუბარს.

1. პოეტის გრძნობათა ტონი.

a. 1835—1837.

ბარათაშვილი ჯერ კიდევ გიმნაზიის ატმოსფერას სუნთქავდა, როდესაც მის გულში სევდა და კაეშანი ფესვებს იმაგრებდა, როდესაც ოხვრა და კენესა მისი გრძნობის სამკვიდრებლის სარკმელში გზას იკაფავდა. ცხრამეტი წლის ახალგაზდის გონების თვალს დაუშრეტელი მრავალფერობის სამყაროში მხოლოდ მწუხრის ჩრდილში გახვეული სახეები იტაცებდა, მის გრძნობებს მარტო უბედურობისა და კენესის სურათები ატყვევებდა.

განა ნაკლები მშვენიერების შარავანდედი აკრავს ბუღბუღს, გაშლილ ვარდზე მყეფარეს, რომელიც მხიარულია და ბედნიერი თავისი სატრფოს სურნელოვანი მშვენიერებით, რომელიც მთელი თავისი მკერდით ყნოსავს მდივარე ვარდის სურნელოვანობას და ათასფეროვნად გაშლილ ხმათა ბგერაში ბედნიერი სიყვარულის გრძნობებს შლის? განა ნაკლები მომპიზვლელობა გამოსქვივის თვით ვარდის ღიმილში, რომელიც თავისი სატრფოს სრული სიყვარულით დამთვრალი, მთელს თავის მშვენიერებას ყველა მისი საიდუმლოებით უკლებლად შლის მის წინაშე? მაგრამ არა. ბარათაშვილის გრძნობები ხშულია ასეთი ბედნიერი მშვენიერებისთვის. მის გულს რუფრო უბედური ბუღბუღი ამოძრავებს, რომელმაც შეიძლება მთელი სიყვარულის ბედნიერება შესვა და ახლა ლოდინით სასოწარკვეთილი და მოღლილი ვარდს მარტო ერთს ევედრება:

„ვარდო, ვარდო მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი,
მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,
მწუხრსა აქეუ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი“.

რა იქნებოდა, რომ ტრფიალების გრძნობათა მორევში მთვრალ ვარდს თვისი მგოსნის გულის ეს წყლულიც დაეამებია! ბარათაშვილი რომ სხვა გრძნობების მგოსანი ყოფილიყო, უბედური ბუღბუღლის ისტორიას კი არ გვიამბობდა, რომელიც მარტო მიტომ შეიქმნა უბედური, რომ მას ვარდის გაშლის წამს „მოერია გლახ რული“ და თავისი ასრულვებელი სურვილის მხიარულების ნაცვლად „თვალი ცრემლით ემოსა და გული სევდის საცმლითა“, არამედ იმ „ფრთხილანთ მხიარულთა“ სულის განწყობილებას დაგვიხატავდა, რომელთაც გაშლილი ვარდის განცდაზე „გალობა ჰყვეს ჰაერში“.

ბარათაშვილის ლექსის მუსიკა მინორი ტონით არის მიმართული და თვით უბედურება ბუღბუღლისა სიბრაღულისა და გულის ტკივილის გრძნობათა აღძვრის სურვილით არის ნაკარნახევი.

მეორე ლექსი „ქეთევანის“ უბედურებას დასტირის. მოწყენილი მთვარე „ცხარე ცხრემლთა მდენელ“ ქათევანს თავის უსიცოცხლო სხივთა ქსოვილში ახვევს. სევდიანი ჩონგურის სიმებს მშვენიერი ქალწულის გულმოკლული ჩივილი ეხმაურება. აჟმა ენებმა გულითა და მშვენიერებით ნაქებს ქეთევანს სატრფო მოსტაცეს. მაგრამ ქეთევანი არ იბრძვის, ამ ქვეყნად კი არ ეძებს სატრფოს გულის დაბრუნებას: მას სწამს, რომ არის სხვა სოფელი, სადაც ოდესმე სატრფოს შეუერთდება. ეს სხვა სოფელი საიქიოა. იქ მოუხმობს თავის სატრფოს და იქით იწვევს და ამ ნუგეშით თვითონ მდინარის ტალღებს ერთვის.

რა თქმა უნდა, პოეტის განზრახვა აქ იგივეა, რაც პირველ ლექსში. ქვეყნის უსამართლობა არც მშვენიერ არსებათ ინდობს; და ამის გამო მგოსანს სხვა ვერაფერი მოუხერხებია გარდა ტირილისა. ცოცხალ ქეთევანს რომ გამოლაპარაკებოდა, ვერც მაშინ მოახერხებდა სხვას რასმე, გარდა ცრემლთა დენისა და უნაყოფო ნუგეშის ცემისა.

ამგვარად საერთო სულიერი განწყობილება პოეტისა მისი შემოქმედების პირველ წლებში გარკვეული სახით გვევლინება:

1. იგი დაუშრეტელი მრავალფეროვნების სამყაროში მარტო უბედურთა და განწირულთა გრძნობებს იზიარებს.

2. კმაყოფილია, თუ თავის მკითხველთა გულში სიბრაღულის გრძნობას გამოიწვევს და მათს თვალში თანაგრძნობის ცრემლს.

3. არ ცდილობს, რომ მკითხველის არსებაში უბედურების მიზეზის წინააღმდეგ აღშფოთების გრძნობა და ბრძოლის სურვილი აღძრას.

4. ქეთავანის პირით საიქიოს შესახებ ვვამცნობს, რომ რაც სააქიოს შეუძლებელი აღმოჩნდა, საიქიოს განხორციელებდა.

გადაავლეთ თვალი პოეტის განწყობილების ამ ხაზებს, და დაინახავთ, რომ თქვენი მხედველობის წრის ფარგლებში თქვენთვისვე შეუძნეველად ე. წ. Frühromantism-ის ნათელი სახე გამოიხატება.

რა ცოტა მსგავსება აქვს აქ ბარათაშვილს იმ ბარათაშვილთან, რომლის ქვრეტასაც ჩვენი მხედველობა ასე მივიჩნევთ. კაცი იფიქრებს: ჩვენს პოეტს საკუთარი გული ამოუგლეჯია და მის ნაცვლად თავისი გულის ბუდეში რუსას გული მოუთავსებიაო. მაგრამ არც რუსოს ეკუთვნის სავსებით ეს გული. იგი უფრო გერმანელი რომანტიკოსების გრძნობიანი სისხლით არის შეფერადებული და ოდნავ კაჟაშინისა და შუკაფსკის გულს რიტმით ფეთქას ნაწვევი. განა ყველას არ ახსოვს, რომ რუსას მხურვალე ისრები ადამიანის გონების შესამუსრავადა და გრძნობიერობის კვარცხლბეკზე ასამაღლებლად იყო ნაჭედი? განა ყველამ არ იცის, რომ ცრემლით ნამვა და საიქიოს იმედი ტიკის, ნოჯადისის, კაჟაშინისა და შუკაფსკის სულის განწყობილების ბუნებრივი დისპოზიცია იყო?

ერთი სიტყვით, ნაკალაშ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების პირველი საფეხურები სანტიმენტალური გრძნობების სამკვიდრებელისა-კენ არის მიმართული, მისი პირველი გრძნობები „წინა რომანტიკის“ გრძნობების საფერავშია ამოვლებული. იგი ჯერკიდევ სანტიმენტალისტია.

b. 1837—1843.

ბარათაშვილმა სკოლის ცხოვრების ვიწრო ზღუდეებს გადააბიჯა და ცხოვრების ფართო სარბიელზე ერთი ადგილი თავისთვისაც ამოიჩინა. მოსალოდნელი იყო, რომ ახლა მაინც მეტის სიტუბილით დაუკვირდებოდა და განიცდიდა სინამდვილის რაობას, ახლა უფრო მეტი მრავალ-მხრივობით მოფენდა თავისი ცნობიერების სხივებს ცხოვრების ფართო მოედანს და ჩვენც დაგვანახვებდა არსებობის იმ ფარულ საფუძველს, რომელიც ხელოვანის შორსმჭვრეტი თვალებისათვის მუდამ მკერდგაშლილია, ხოლო ჩვეულებრივი მხედველობის პატრონთათვის განუჭვრეტელი საბურველით არის დაფარული.

მაგრამ ბარათაშვილის სულიერი არსება გრძნობიერი სასწორი იყო, რომელსაც თანასწორობის მდგომარეობას უბრალო, უხილავი და შეუ-

გრძნები ძაფიც კი უკარგავდა. წარმოიდგინეთ ასეთი სასწორი სულიერ არსებად და იმ წამსვე მიხვდებით, რომ მისი სული იმ საოცარი მღელვარე ზღვის მდგომარეობაში იქნებოდა, რომელსაც უბრალო სულის შეებერვაც კი აზვირთებს და ატორტმანებს. რაღა საბაბი ექნებოდა ასეთს სულს-თავისი ცნობიერების შუაგულში ადგილი გარეშე მოვლენების განცდისთვისაც დაეთმო! ყურადღების თსიქოლოგიის კანონის მიხედვით ცნობიერების ველის ცენტრალურ წერტილს ყოველთვის ინტენსიური განცდა იპყრობს, და ამ შემთხვევაში განსულიერებული სასწორის ყურადღებაც უფრო თავისი მოძრაობის მდგომარეობისაკენ იქნებოდა მიმართული, ვიდრე იმ უხილავი საგნებისაკენ, რომელიც ამ მდგომარეობას სცვლიდენ. რა თქმა უნდა, ბარათაშვილის მთელი ცნობიერების ველიც მისი მღელვარე სულის ზვირთების განცდითა და ანალიზით უნდა ყოფილიყო მოცული, და ასეც იყო. ბარათაშვილი ღია თვალებით ჩასცქეროდა მსოფლიოს, მაგრამ მის ყურადღებას თვით მსოფლიოს სურათები კი არ ატყვევებდა, არამედ ის ძლიერი განცდანი, რომელნიც ამ სურათებისაგან იყვნენ გამოწვეულნი. და ბარათაშვილიც თუ ალაპარაკდებოდა, მისი მეტყველება ყოველთვის საკუთარი სულის მღელვარების გარშემო დატრიალდებოდა.

აქნაირად მოხდა, რომ მის მხედველობას იძენად გარეშე მსოფლიოს სურათების პროფილები არ ატყვევებდა, რამდენადაც ის სულიერი განცდანი, რომელნიც ამ სურათების შესებით ზვირთდებოდენ.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, რას ჰგრძნობდა ბარათაშვილის გული, როდესაც ვრცელსა და ფართო მსოფლიოს ჩასჩერებოდა; როგორი იყო ტონი იმ გრძნობებისა, რომელიც მთელს მის ყურადღებას ჰბორკავდა.

1837 წლიდან დაწყებული 1843-ამდი, ე. ი. მთელი ექვსი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები რომ განვიხილოთ, ჩვენს წინ ბარათაშვილის გრძნობების ტონი ნათელი სახით წარმოსდგება. რა თქმა უნდა, ამისთვის სრულიად არ არის საჭირო მისი ამ ხნის შემოქმედების ზედმიწევნითი ანალიზი. პირიქით სრულიად საკმარისია თუნდ მარტო იმ სიტყვების განხილვა და შეფასება, რომელთა საშვალეებითაც პოეტი თავისი გულის ნადების დახასიათებას ცდილობდა. აი ეს სიტყვებიც:

„ნაღვლიანი, მწუხარე, სევდიანი, გულ-დახურული, გულის ვაება, მკმუნვარება, ჩუმი ნაღველი, გულის ჭირი, კაეშანი, სევდიანისა გული-

სა სენი, მოკლული გული, გულის სევდით კრთოლვა, ბნელი გული, საბრალოა სული ობოლი, კრული გული, უნუგეშო, უნდო, მშიშარა და მოკრძალებული სული, ოხვრა არის შვება უბედურისა, გლახგული შავბედისაგან დაღმებული, მწირი სოფლისა, დამაშვრალი, გულში სევდა და წყვდიადი არის ვიმეფებელი და ნეტარება მას არ ასაღარებს, მწირი და მიუსაფარი“...

როდესაც ამ სიტყვებს ჰკითხულობ, ჰგრძნობ, თითქოს საწამლავი წვეთ-წვეთად შენს საკუთარ გულს ესხურება და სიცოცხლის ხალისისა და ნიჭის ფესვებს დასაბამშივე გიხშობს, თითქოს სიცოცხლის სხივი მიფერმკრთალდება და გულს გარშემო ბნელი ბურუსი ეხვევა. ჰგრძნობ საკუთარი გულის სიღრმეში რაღაც გამოურკვეველს და უსახო ტკივილს... და გესმის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ის ჯოჯოხეთი, რომლის კუბრშიც ბარათაშვილის გული იხარშებოდა. ამ სახით საერთო განწყობილება ბარათაშვილის სულისა სიმპათიური გრძნობის კანონით თვით ჩვენი გრძნობიერების განწყობილებაზე ჰპოულობს შესაფერ ანარეკლს. მაგრამ ეს მხოლოდ გრძნობაა ბარათაშვილის სულის მდგომარეობისა: თვით მისი შვებება კი ჯერ კიდევ არ არის ჩვენი ცნობიერებისთვის საკმაო სინათლით მოცული. ამისთვის საჭიროა გულის მღვლეზარების დამშვიდება და გულგრილი დოსტაქრის დანა, რომელიც ხელში ანატომიური ანალიზისთვის უნდა მოიპართო. სევდა და კაეშანი ბარათაშვილის ჩვეულებრივი გრძნობებია. მისი გული დასნეულებულია, „მოკლულია“, დაბნელებულია. რაღაც არა ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ის უბედურება, რომელსაც მის გულისთვის ნეტარების განცდის უნარი წაურთმევია. იგი მოკრძალებითა და უნდობლობით ეპყრობა მთელს მსოფლიოს, მიტომ რომ აღარა სწამს, რომ გულის იარებს დაიამებს. ამიტომ სცილდება ყველაფერს, რაც მის გარშემოა და დადის „სოფლად დამთენილი უსაგნოთ, მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი.“ იგი ობოლია უსახლვრო მსოფლიოში, იგი ერთი მხრით დგას, ხოლო მეორე მხრით მთელი მსოფლიოა, რომელიც თავისი ქებული მრავალმხრივობის მიუხედავად პოეტის გრძნობას ერთად ერთი მოვლენითაც კი ვერ ასაღარებს. ასეთი დაპირდაპირებას რომ უყურებთ პოეტის სულისას და გარეშე მსოფლიოსას, ძალაუნებურად ფიქრობთ, რომ მათ შორის ჩაწყვეტილი უნდა იყოს შემაერთებელი ძაფი, რომელსაც ერთის გავლენა მეორეზე შეუძლია

გადაიტანოს; ფიქრობთ, რომ პოეტის სული თავისთვის უნდა იყოს და ობიექტური არსებობა კიდევ თავისთვის, რომ ორივე კი არ შედის ერთს მიზეზობრივ რიგში, არამედ პოეტის სულის კაუზალური რიგი ერთს მხარეზეა და ობიექტური მსოფლიოსი კიდევ მეორეზე, რომ მათი პროცესი ორს დაშორებულსა და დაწინააღმდეგებულ სფეროში მიმდინარეობს.— თორემ რად უნდა ჰქონდეს პოეტს დაკარგული ნდობა სოფლისა, რად უნდა ჰქონდეს იმედი წარკვეთილი, რად უნდა ჰქონდეს მსოფლიოსაგან პირი მიბრუნებული?

პოეტი აღარაფერს ეძებს გარეშე ობიექტურ არსებობაში სანუგეშოსა და თავისი გულის სენის განმაკურნებელს, და სავსებით თავისი სულის საკვიდროში რჩება. ერთი გრძნობაც კი არ მოეპოება ისეთი, რომელიც მსოფლიოს გარდაქმნაში ჰპოულობდეს იმედს გულის სენის განკურნებისას. ამიტომაც არის, რომ არ ებრძვის არსებული მსოფლიოს უკუღმართობას, არ ჰკარგავს ძალას მისი გარდაქმნისათვის. ანკი რად უნდა ჰქნას ეს, თუ კი „ერთხელ დაობლებული სული მარად ითმენს უნუგეშობას კრული“, თუ კი ერთხელ მიღებულ იარას ველარაფერი განკურნავს.

რა უიმედობის ზღვა უნდა ტრიალობდეს ასეთი ადამიანის გულში, რომელსაც სამუდამოდ დაწმული აქვს ყოველი კარი შესაძლო ბედნიერებისა! ამიტომ პოეტს მხოლოდ ერთად ერთი საქმე დარჩენია: მუდამ ხელის ფათური თავის დაკოვნილ გულში, მუდამ გაზომვა თავისი იარების სიღრმისა, მუდამ ჩივილი განუკურნებელი სნეულების მოპოების გამო, ამიტომ მხოლოდ „ოხვრა“ და კვნესაა ერთად ერთი შვება უბედურისა, მხოლოდ მოთქმა და ტირილია მისი ერთად ერთი საქმე.

ამგვარად, ბარათაშვილის გრძნობების სამკვიდროს 1843 წლამდე მწარე სევდიანობა, უსაზღვრო უიმედობა და ამიტომ სრული უმოქმედობა და პასიურობა ახასიათებს. არაფერს მოელოის მსოფლიოდან და ცხადია არც სურვილი ექნება, მის გასაუმჯობესებლად იბრძოდოს.

მისი სულის ასეთი განწყობილება, მისი გრძნობების ასეთი ფერი და იერი მხოლოდ სინამდვილის სუბიექტურისა და ობიექტური სფეროების განცალკავების ნიადაგზეა გასაგები. ვისაც არ სწამს ზეგავლენის შესაძლებლობა ამ ორ სფეროს შორის, მის ცხოვრებას თავისი შინაარსის გასაგებად რალა დარჩენია გარდა ოხვრა-კვნესისა და მოთქმა-ჩივილისა!

მაგრამ ასეთი გათიშვა არსებობის ორ განუყოფელ სფეროს შორის ბარათაშვილის დამშვიდებულისა და ცივი აზროვნების ნაპოვნი როდია. პირიქით, როდესაც იგი თავისი სულიერი განწყობილების წყაროს ცნობიერ ძიებას იწყებს, შეგნებულად გარეშე მსოფლიოსაკენ იყურება, თავის გონების ძალებს მისს საანალიზოდ მიჰმართავს, და ეს მიტომ, რომ თავისი „უბედურობის“ მიზეზის პოვნას ალბად ობიექტურ მსოფლიოში ელის. ეს გათიშვა სინამდვილის ორი სფეროსა უფრო გრძნობის პოსტულატია, რომელიც მის გრძნობათა განწყობილების ელფერს გასაგებად ჰხდის, იგი უფრო პოეტის ემოციონალური ძალების ნაგრძნობია, ვიდრე მისი ინტელექტუალური ძალების რწმენა.

მაგრამ კიდევ არის ერთგვარი სულიერი განწყობილება, რომელიც პოეტის გრძნობათა თავისებურობას არა ნაკლებ ნათელ განმარტებას აძლევს. შეიძლება ადამიანი მთელი თავისი არსებით სუბიექტურისა და ობიექტურის განუკვეთელ მთლიანობას ჰგრძნობდეს, შეიძლება მიზეზობრივი კავშირს ამ ორ სფეროს შორის მისი გონების თვალი და „გრძნობის გული“ ნათლად და გარკვევით სჭვრეტდეს, მაგრამ სურვილი ობიექტურ მსოფლიოზე ზეგავლენისა მის გარდასაქმნელად საგნებით ჩაკლული ჰქონდეს; და ეს მიტომ რომ მიზეზობრივი ზეგავლენის წარმოდგენა სუბიექტურსა და ობიექტურს შორის ორნაირად არის შესაძლებელი.

როდესაც მე ამ ორ სფეროს შორის მიზეზობრივობის კანონის თავისუფალ მოქმედებას ვჭვრეტ, მაშინ, რა თქმა უნდა, არათერს დავზოგავ ობიექტური მსოფლიოს გარდასაქმნელად, თუ ჩემი უკმაყოფილების მიზეზს მასში ვბოულობ, განა საკმარისი არ არის თავისუფალი მიზეზობრივობისათვის, ერთი მხრით, ჩემი ზეგავლენა მსოფლიოზე, რათა იგი გარდაიქმნეს და მეორე მხრით მსოფლიოს შესაფერი გარდაქმნა, რათა მან ჩემი სულიერი ცხოვრების შუაგულში ბედნიერებისა და კმაყოფილების მცენარე ააყვას? ასეთი რწმენა ადამიანის ნებას უთუოდ მოქმედების წყურვილსა და ბრძოლის ხალისს გაუღვიძებს.

მაგრამ წარმოსადგენია შებოროტადი მიზეზობრივობაც. ვთქვათ, გულში მწველი სევდა-კაემნის იარასა ვგრძნობ და ვიცი, რომ ჩემი სული ობიექტური არსებობის ისარმა დაკოდა, ცხადია, ამით ობიექტურსა და სუბიექტურს შორის მიზეზობრივი ზეგავლენის შესაძლებლობას

აღვიარებ, მაგრამ მე მრწამს, რომ მსოფლიო მრავალ ფეროვანია, ხოლო ჩემთვის რაღაც უხილავი ზეარსი ძალის განკარგულებით მოშხამული ისრებს გარდა არაფერს იმეტებს, ხოლო თვით ისრებს, ჩემსკენ მომართულს, საოცარი გაქანების ძალითა და ნიშანში ამოღების უნართი აღჭურავს. სხვისთვის კი იგი ია-ვარდსა და ზაძბახსა ზრდის.— ჩემი ზეგავლენაც შესაძლებელია მსოფლიოზე, მაგრამ იმავე ზეარსის ძალის ნებით მოჯადოებული წრის უწყვეტ ფარგლებში ვგრძნობ თავს: ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადამიდვამს მოშხამული ისრების დასაშორებლად, პირიქით, ყოველი ჩემი ზეგავლენა მსოფლიოზე თითქოს განგებ ისეთი მხრეებისაკენ არის მიმართული, სადაც უფრო მეტი შხამი და სიმწარე იზრდება, და ყოველს ჩემს ხელის განძრევაზე, თითქოს ხელთ მოჯადოებული კვერთხი მეპყრას, ჩემივე გულის გამგმირავი ისრები იჭედება.

მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რა თქმა უნდა, აქაც აღსარებულია, მაგრამ ეს მიზეზობრივობა არ არის თავისუფალი, უმაღლესი ძალის ნებით არის შებორკილი. ასეთი შეხედულება ფატალისმის სახელით არის ცნობილი, და ვისაც მისი არსებობა სწამს, რასაკვირველია, თავის არსებაში ბრძოლისა და მოქმედების სურვილს ვერ ააყვავებს. კენესა და ოხვრა თავისი უბედობის გამო ერთად ერთი ამოძახილი იქნება მისი სულისა.

ბარათაშვილის გრძნობათა ნაკადი შეიძლება ფატალისმის ნიადაგიდანაც გამომდინარეობდეს; მისი პასიურობა და მორჩილების გრძნობების ტონი მაშინ ძალიან ადვილი ასახსნელი იქნებოდა. და მართლაც, არ არის დიდი გაჭირიანობა საჭირო, რომ ბარათაშვილის გრძნობებში კი არა, მის აზროვნებაშიც ფატალისმის ნათელი ელემენტები აღმოაჩინო. მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით მარტო მის გრძნობებთან ვვაქვს საქმე.

ამგვარად უეჭველია, რომ ჩვენი მგოსნის გრძნობათა ისტორიაში უთუოდ არის ერთი ხანა, როდესაც იგი მსოფლიოს ორად ვაპობილადაც გრძნობს და ფატალისტურადაც. ეს ის ხანა არის, როდესაც პოეტის არსებაში ვერც ერთს გრძნობას ვერ აღმოაჩენთ ისეთს, რომ პასიური ტანჯვის იერი არ გადაჰკრავდეს. პასიურია მისი გრძნობა და ქედმოხრილი მიტომ, რომ ობიექტურისა და სუბიექტურის სინამდვილის სფეროებს შორის პირლია უფსკრულსა გრძნობს, რომელზეც ბეწვის ხიდიც კი არ არის გადებული, რათა ერთი მხრიდან მეორეზე ნაზი

და სუბუქი ზეგავლენა მაინც გადაიტანოს. აქ მისი ტანჯვისა და ვაების ცეცხლს არსებული მსოფლიო უკუღმართობის ქარი კი არ აძლიერებს; არა, ეს ცეცხლი თვით განგების ფარული განკარგულებით უნდა იყოს დანთებული და გაღვივებული; მისი გული განწირულია სატანჯველად და განა „განწირულს“ თვითონვე პოეტი არ უწოდებს თავის თავს?

რა დარჩენია მაშ მკოსანს ამ სოფლად?

აქტიურად მგრძნობი ადამიანი ბრძოლაში მაინც იპოვიდა შევებას! მაგრამ „განწირულნი“ თავისი ძალების ამოქმედებიდან კი არა, ზეცი-დან მოვლიან ხსნას, და ამიტომ არის, რომ მათ ოხვრა-კენესით და ცრემლთა დენით ხეტიალისა და თავისი ბედის ვარსკლავის ქვრეტის მეტი არაფერი დარჩენიათ.

დასავლეთი ევროპის ისტორიაში მთელი ეპოქა იყო, როდესაც ბარათაშვილისებური გრძნობა მთელ თაობათ გადამდები სენივით მოედო. ეს ის ხანა იყო, როდესაც ლიტერატურაში ტიკი და ნოვილისი, შლეგელები მეფობდნენ, როდესაც ობიექტურ სინამდვილეს ყველამ ზურგი შეუქცია და თავისი ცხოვრებისა და განცდის ველი მარტო სუბიექტური სინამდვილის ფარგლებით შემოზღუდა. მაგრამ ევროპიელი რომანტიკოსები ფილოსოფისობასაც ჩემობდნენ და თავისი გრძნობის თავისებურობას რაციონალურად გასამართლებელს საბუთებსაც უძებნიდნენ.

უსაქმურობას იგინი ბრწყინვალე კვარცხლბეკზე ამაღლებდნენ და დაუღალავად დიფირამბებს უთხზავდნენ. „მხოლოდ იტალიელებს შეუძლიათ სიარული, მხოლოდ აღმოსავლეთის ხალხს ესმის, თუ როგორ უნდა ნამდვილი წოლა. მაგრამ ინდოეთში კაცობრიობამ ხომ გაცილებით მეტი სისრულე განახორციელაო“, ამბობდნენ. „უსაქმურობა ცისქვეშეთის ყველა კუთხეში წარჩინების დამახასიათებელ თვისებად ითვლება და ამიტომ არის, რომ ყველგან ნამდვილი კეთილშობილობის გუჯრად არის მიჩნეულიო!“ უსაქმურობა, უმიზნობა და უანგარიშობა ის სამყურა ბალახია, რომელსაც რომანტიკოსის ყოველ ველზე შეხვდებითო, ამბობს გეორგ ბრანდისი; და მართლაც საკმარისია ზერე-ლეთ მაინც გადაავლოთ თვალი რომანტიკოსების ნაწერებს, რათა უსაქმურობა აბსოლუტური სრულყოფის შარავანდედში დაინახოთ გამოხვეული: „უსაქმურობა უბიწობისა და აღფრთოვანების ცხოვრებაა...

იგი უმაღლესი ფორმაა ცხოვრებისა, იგი უმაღლესი და უსრულესი ცხოვრებაა — გესნის ყოველ მხრივ რომანტიკოსებისაგან.

რა თქმა უნდ, ბარათაშვილს არც ერთი დიფირამბი არ მიუძღვნია უსაქმეობისათვის, მაგრამ საშავიეროთ უსაქმურობას მან უძვირფასესი მსხვერპლი შესწირა, და ეს მსხვერპლი თვით მისი გული იყო, რომლის ყოველი ცემაც პასიური გრძნობების შობიარობის მეტს არაფერს ემსაუბრებოდა. ამიტომ არის, რომ მისი ნუგეშის კარი მუდამ დახშულია და ობლად დადის, „ისევ მწირი მიუსაფარი“, ამიტომ არის, რომ მოქმედებისა და ბრძოლის ნაცვლად, როგორც კი ფიქრები შემოაწვება, ბუნებას მიაშურებს, სადაც მხარეთმოზე წამოწოლილი რბილ მდგელოზე ცრემლით ინამება და ფიქრებს ირთობს. ბუნება და მისი მშვენიერი სურათების განცდა ერთად ერთი ნუგეშია პასიური გრძნობებით დამძიმებული გულისთვის.

რომანტიკოსები უსაქმურობის განხორციელებას ბუნებაში სჭვრეტდნენ და განსაკუთრებით ამ მიზეზით უყვარდათ იგი. ამ მხრით ბარათაშვილის სულიც მათს სულს ეთანხმება. უბრალო შემთხვევითი ხასიათის მოვლენად ხომ არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ბარათაშვილი „მტკვარსა“ და „მთაწმინდას“ მხოლოდ 1836 ს, 1837-სა და 1839-ში უგალობდა. ამ ხნიდან დაწყებული კი ბუნებას მარტო ერთხელ უბრუნდება და აქაც ალბად, ნაწილობრივ მაინც, იმ ძველი უმოქმედო გრძნობების ზეგავლენით, რომელთა ნაკვერჩხალიც ჯერ კიდევ ვერ იქნებოდა მის არსებაში სავსებით ჩაფერფლილი; თორემ რად ჩააკრებდა პოეტი ბუნების სწორედ ამ უკანასკნელ ძღვენში ისეთს ფურცლებს, როგორიცაა „საამო არის მის ჩრდილში ოცვნა და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა, და წყალთ დუდუნზე უკულმართისა ამა სოფლის ქირთა დათმენა“ (ჩინარი). მიაქციეთ ყურადღება: წყალთა დუდუნზე ამა სოფლისა ქირთა დათმენა, ჩინარის ჩრდილში ოცვნა და არა უკულმართ სოფელთან ბრძოლაო. განა მებრძოლ ბაჰანს ამის მსგავსს რასმე წარმოათქმევინებდით!

ექვი არ არის, ბარათაშვილიც უსაქმურობის მოტრფიალე რომანტიკოსებივით ფიქრთ გასართველად ბუნების წიაღს მიმართავდა ხოლმე.

მაგრამ მარტო აქ კი არ თავდება რომანტიკოსებისა და ბარათაშვილის გრძნობის ნათესაეობა. თვით ბუნების სურათებიც ერთნაირა, რომელიც რომანტიკოსებისა და ბარათაშვილის თვალთ ატყვევებს.

რომანტიკოსის გულს სრულად არაფერს ეუბნება ნათელი მზის სხივებში გახვეული წარჩტაცი ლანდშაფტის სურათები, სინათლისა და ჩრდილის ათასფერი ნიუნსები. ბუნება მის გულს მხოლოდ მაშინ უწყებს საუბარს, როდესაც იგი მწუხრის ზეწარში ეხვევა, როდესაც მისი ხაზები გარკვეულობასა და სიტხადეს ჰკარგავს და ფერმკრთალებდა. ასეთია ბართაშვილიც: მთაწმინდა შისთვის მხოლოდ საღამოობით არის ძვირფასი, როდესაც „ცისა კამარას ბინდი ეკვრება“, სწორედ ისე, როგორც ეს ბრანდესის თანამგზავრ რომანტიკოსზე ითქმის, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს საქსონიის შვეიცარიის მშვენიერების შესახებ და მხოლოდ დაღამებისას გაესხნა თვალი ბუნების წარჩტაცი სურათებისთვის.

რომანტიკოსებს განსაკუთრებით მოვარე უყვარდათ, მთვარიან ღამეს მათზე მუდამ რალაც იღუმალი ზეგავლენა ჰქონდა, და ტიკის ნაწერების გამირები თითქმის ყველანი მთვარიანი ღამის სინათლეში შლიდენ თავისი ცხოვრების შინაარსს.

გიოტეს თქმით, ბუნებას არც გული აქვს და არც კანი, ერთსა და იმავე დროს პირველიც არის და მეორეც. ამიტომ გერმანელი პოეტის შემოქმედება მუდამ ბუნების მთლიან სურათებს დატრიალებდა. ხოლო რომანტიკოსების გულის სიმებს ბუნების მთლიანობა არასდროს ამოძრავებდა. მათთვის ბუნების მშვენიერების განცდა მარტო „გულიდან“ გამოძინარეობდა. კანი მხოლოდ გარეგანი ზღუდე იყო, რომელიც ბუნებას მომხიბვლელობის ძალას უფარავდა. და თუ მთ მხედველობას მარტო მწუხრის ბინდში გახვეული ბუნების სურათები ატყვევებდა, ეს ალბათ მიტომ რომ საღამოს სიბნელე კანს აფერმკრთალებდა, მხედველობისთვის შეუმჩნეველად ჰქმნიდა და ამ სახით მასში დაფარულ გულს ათავისუფლებდა. ახლა გულღია ბუნების განცდა შესაძლებელი ხდებოდა, და რაც უფრო ნათელი იქნებოდა ბუნების გული, მით უფრო მეტი სიძლიერე მიეცემოდა მისი მშვენიერების განცდას. ასეთ სინათლეს რომანტიკებისთვის მთვარე აგზავნიდა. ამიტომ იყო, რომ რომანტიკოსთა გრძობისთვის მთვარის შუქებში გახვეული ბუნება მუდამ მრავალმეტყველი და წარჩტაცი იყო. ბართაშვილის გრძობასაც განსაკუთრებით მთვარიანი ღამე ასაღარებდა.

„გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მსურვალე ლოცვით მიქაცვ ბული?“

მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შუქმიბინდული!

შუქმიბინდულ მთვარეს ბარათაშვილი თავის კერძო წერილებშიაც ტრფობით იხსენიებს. როდესაც მას მშვენიერი ლანდშაფტის დახატვა სურს, აუცილებლად მთვარესაც მიმართავს და, რომანტიკოსების არ იყოს, მას მხოლოდ შუქმიბინდულობისთვის ეტრფის. მაგრამ რა არის ეს გული ბუნებისა, რომელიც რომანტიკოსების სულის სიღრმეში მშვენიერების წმინდა განცდას ამოძრავებდა? რა თქმა უნდა ეს ის გრძნეული შინაარსია ბუნების ცხოვრებისა, რომელიც მზის სინათლეში თავისი კანის, უქვრეტი ზღუდეებით იფარება და იქიდან მარტო ლამეო¹ით გამოკრთის; ეს ის სულებია, რომელნიც, რომანტიკოსების თვალში, ბუნების არსში ბინადრო²ენ და სასეირნოდ მარტო ფეთქრთალი მთვარის სხივებზე გამოდიან. ერთი სიტყვით რომანტიკოსების გრძნობისთვის ბუნება ცოცხალი არსია, და აკი ბარათაშვილის არსებაშიც იმავე გრძნობებს არა ვსჭვრეტთ? ბუნებას მწუხარება და სიხარული შეუძლია, ბუნებას თანაგრძნობა ესმის, ბუნებაში სიცოცხლე სჩქეფს, ბუნებაში თავისებური ენაც არსებობს...

ასეა თუ ისე ბარათაშვილის გული 1836 წლიდან დაწყებული 1842-ამდე მწუხარებისა და კაეშნის გრძნობათ ასაზრდოებს. ბრძოლა და მოქმედება მისთვის გაუგებარია. იგი სულით და ხორციით რომანტიკოსია, რომელსაც თავისი გულის ტკივილებზე ჩივილის მეტი არაფერი ეხერხება.

ე. 1843.—1845.

მაგრამ 1843 წლისთვის ბარათაშვილის პასიური გრძნობები თავისი უღელტეხილის მწვერვალს აღწევენ. და ამ ხნიდან დაწყებული პოეტის სულიერ არსებაში თითქოს შეუმჩნევლადა და მოუმზადებლად ახალი გრძნობების ჩანასახი იზრდება.

საზოგადოთ, საერთო განწყობილება მისი სულისა ამ დროიდან განსაკუთრებულ რყევას განიცდის. იგი თითქოს მეტი სიფხიზლით იხედება გარშემო და ზოგჯერ თავის ჩვეულებრივს სუ³იექტური სულის განწყობილების ფარგლებს სცილდება და ყურადღებას ობიექტური სინამდვილის ველისაკენაც მიმართავს. ასეთ შემთხვევებში სავსებით მიუღვამლადა და უპიროვნოდ, გულგრილადა და დამშვიდებით ობიექ-

ტური სინამდვილის ადექვატურ გამოხატულების მოძებნისთვის იწყებს ზრუნვას. აქ რომანტისმი რეალისმის ელემენტებს უთმობს ადგილს, და ბარათაშვილის სულის მღელვარება დროებით მაინც წყნარდება. ასეთ მომენტებში ხან მეზობლი მეომრის სულისკვეთების მატარებლად გამოდის და ხან კიდევ, სოფლის ყარიზი მუშის ნაბადში გამოხვეული, თავისი გრძნობების შესახებ მეტყველებს. მართალია, ბუნება აქაც საამო ოცნებისა და „ჭირთა დათმენის“ სადგურად მიაჩნია, მაგრამ საერთოდ ბუნების სურათებს თავისი სუბიექტური გრძნობების ბაღეს ახლა უკვე ადვილად აცლის და მისი ნამდვილი სახით გვიჩვენებს. „ჩინარი“ ერთად ერთი ლექსია, რომლის სახითაც პოეტმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ბუნებას უკანასკნელი სალამი მიუძღვნა. საკმარისია ზერელეთ მაინც გადაიკითხოთ ეს ლექსი და ნათლად დაინახავთ, რომ ბუნება პოეტისთვის მარტო ოცნებისა და გულის ჩივილის ფონს კი აღარ წარმოადგენს, არამედ დამოუკიდებელ ღირებულებად იქცევა, რომელსაც მეოსანი მარტო თავის ფიქრთა გასართველად კი არა, მისი საკუთარი სიმშვენიერის ცხად საყოფად ხატავს, ან და მისთვის, რომ ყველასათვის გასაგებად გახადოს იღუმალი და ძლიერი ტანჯვა მიჯნურისა, რომლის გულსაც ციური ცეცხლი ტრფიანებისა ნამდვილად ეგზნება. ანალოგიას ადამიანთა გრძნობებსა და ბუნების სურათებს შორის პოეტი წინეთაც ხედავდა, მაგრამ თუ მაშინ ბუნება მას მარტო საკუთარი, ზარდა გრძნობის ანალოგიას აწვდიდა, ახლა მას საზოგადო გრძნობის თავისებურობას უაშკარავებს.

მაგრამ ეს მხოლოდ ელემენტებია რეალისტური სულის განწყობილებისა. საერთოდ კი ბარათაშვილის გულისყური ისევ საკუთარი გულისცემის მიმდინარეობისაკენაა მიმართული, ისევ სუბიექტური სულის განწყობილების თავისებურობას დასტირის.

მაგრამ ახლანდელ ტირილში ძველი მორჩილების ჩივილის ხმები იშვიათად მოისმის. ბარათაშვილი დავაჟკაცდა და გაღონიერდა, ვაჟკაცს კი ცრემლთა დენა და ოხვრა-ჩივილი აღარ შეშვენის; მოთმინებისა და მორჩილების გრძნობებისთვის მის გულს აღარ სცალიან, ცდა და ქედმოხრბილი ლოდინი, აბა როდის გამომინათებს ბედის ვარსკვლავიო, ბარათაშვილის სულის სამკვიდროში ველარ ხეირობს და მის მაგიერ მოუთმენლობა, მოურიდებლობა, თავგანწირულება და ბრძოლის წყურვილი ისადგურებს. შეურიგებელი და შეუდრეკელი ბრძოლის

გრძნობები ბარათაშვილის არსებაში ყოველგვარ სხვა გრძნობას ჩრდილავს:

„რაა მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა; ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ-მოუბარსა... კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივსცე ზღვის ღელვას... ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავეს შორის... დაე მოჰკვდეს მე უპატრონოდ მისგან ოხერი! ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი! გაჰსწი, მერანო, შენს ქენებას არ აქვს სამძღვარი და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“

რა ძლიერი და შეუპოვარი უნდა იყოს გრძნობები იმ ადამიანისა, რომელიც სათითაოდ იგლეჯს თავისი გულიდან ყველა იმ გრძნობის მცენარეთ, რომელთა ჩრდილშიც ოდესღაც ერთად ერთ თავშესაფარს პოულობდა, და რა ძირითადი უნდა იყოს ის ცვლილება, რომელიც ადამიანს თავის წინანდელ ღმერთებს ფეხქვეშ ათელვინებს. ბარათაშვილის „მერანი“ ისეთი ძლიერი ნებისყოფის ადამიანის, ისეთი ბრძოლის წყურვილს სულის აღმოკვანცსაა, რომ პირველი შეხედვით ეჭვით იტყვი:

არა, კაცი რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ბედის ვარსკვლავის მოძრაობის მეტზე არაფერზე ფიქრობდა, რომელიც „ცრემლით ნამვისა“ და „ტკბილი ოცვნის“ მეტს ვერაფერს ახერხებდა*); იმის მიუხედავად რომ მთელი მისი არსება სევდა-ვაების ზღვით იყო ღელვილი, ასეთი კაცი „მერანის“ გრძნობების გამომსახველი ვერას დროს იქნებაო! მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბარათაშვილის მუზა კიდევ უფრო ძლიერი გრძნობების სიმებს ეხება და კიდევ უფრო მეტს აღშფოთებასა და რისხვას აღძრავს პოეტის არსებაში:

„სად ხარ აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმაღები, რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?—განვედი ჩემგან ჭი მაცთურო, სულთა ბო-

*) ამით, რასაკვირველია, იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს ბრძოლის წყურვილს გრძნობა ერთხელაც არ გაღვიძებოდეს მგოსანს. არა, ასეთი გრძნობა მას წინეთაც ეწვეოდა ხოლმე, მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევითი სულიერი განწყობილება იყო, რომელიც მხოლოდ სპარადიულად თუ იჩენდა თავს, თორემ შემოქმედების მოტივად არც ერთხელ არ გამოსულა (იხ. ბარათაშვილის 1 წერილი).

როტო“... — მიმართავს პოეტს „სულს“, რომელიც თავისი უბედურების მიზეზად მიაჩნია და რისხვა-კრულვას უგზავნის მას:

„წყველიმც იყოს დღე იგი, როს შენტა აღთქმათა, ზრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი, ჩემთ გულისთქმათა.“ — ამგვარათ სულიერი განწყობილება „მერანისა“ „სულო ბოროტოს“ სულიერი განწყობილებაც არის და ცხადია, ბარათაშვილის არსებაში ძირითადი ცვლილება მომხდარა:

ქედმოსრილი და თვადტრემილიანი მკოსანი შეუზოვარ და ქედმაღალ მებრძოლად გარდაქმნილა. მაგრამ მებრძოლიც არის და მებრძოლიც.

არის მებრძოლი, რომელიც მთელ კმაყოფილებას თვით ბრძოლის პროცესში განიცდის, მის გრძნობებს მარტო რღვევისა და მტვრევის ხმა ასადარებს, მარტო ბრძოლისთვის იბრძვის. მაგრამ არის მეორე ხასიათის მებრძოლიც: მის ბრძოლას განსაზღვრული მიზანი ჰყენს შუქს და შინაარსს აძლევს. იგი ამ მიზნისთვის იბრძვის

ბარათაშვილი მეორე ჯურის მებრძოლთა რიცხვს ეკუთვნის. მას სწამს, რომ ცუდად არ ჩაივლის განწირულის სულის კვცთება და გზაუვალი, მისგან თელილი მაინც დარჩება, რათა შემდეგ თაობათათვის მასზე სიარული უფრო ადვილი შეიქმნეს. ეს რწმენაა, რომ მას ბრძოლის სურვილებს აღუძრავს, რაზმავს კიდევ საბრძოლველად. ასეთი მებრძოლია ბარათაშვილი, მაგრამ იგი მაინც მებრძოლია. წინანდელ ბარათაშვილთან შედარებით მისი სულიერი განწყობილების ცვლილება დიდია, ხოლო ბუნებრივი ჯი არის. გავიხსენოთ თუნდ დასავლეთი ევროპის წარსული საუკუნოების სულიერი განწყობილების ისტორია. პირდაპირ გასაოცარია, როგორ მოთავსდა ერთი კაცის ბუნებაში მთელი ის სირაულე სულიერი ტრავმების განვითარებისა, რომლის სიღრმისა და სიფართოვეს დასატევად ევროპაში მთელი სამი თავობის სულიერი ცხოვრება შეიქნა საჭირო.*)

პირველად ბარათაშვილის არსებაში ჯერ კიდევ სრულიად უსახო და გაუბედავი პროტესტის გრძნობა იღვიძებს, რომელიც სინამდვილის ბნელი მხარეების არჩევასა და დახატვაში იჩენს თავს და პოეტს მხოლოდ იმ სოფლის ცხოვრების იმედს უტოვებს. შემდეგში მგოსნის გრძნობათა სამფლობელოს ერთბაშად გაუქარვებელი სევდა-კაეშნისა

*) იხ. К. Котляревский. Мировая скорбь, გვ. XVIII და შემდ.

და უიმედობის ზეწარი ეფარება და ბოლოს მისი გულის სიღრმეში გარკვეული პროტესტისა და იმედით განცხადებულ ბრძოლის გრძობები იჩენს თავს. — ეს სამი ხანა პოეტის სულიერი განწყობილებისა ნამდვილი ელვის სისწრაფით ცვლიდა ერთი მეორეს. სულ რაღაც ცხრა წელიწადი შეიქნა საჭირო მისთვის, რომ ბარათაშვილს სანტიმენტალისტის უნებო რომანტიზმის და აღტყინებული „Sturm und Drang“-ის სულის ტრაგედიის უმთავრესი ეტაპები განეცადა.

რა თქმა უნდა ასეთი ჩქარი, მაგრამ იმავე დროს ბუნებრივი ცილილება ბარათაშვილის სულის განწყობილებისა მხოლოდ წინა საფეხურებად, მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მისი საკუთარი ინდივიდუალობის სრულ გაფურჩქნას უსწრებდა წინ. ამ თვალსაზრისით, ბარათაშვილის ცხრა წლის ლიტერატურული მოღვაწეობა მხოლოდ უვერტიურაა მისი შესაძლო მომავალი შემოქმედებისა, უვერტიურა, რომელიც მოულოდნელმა სიკვდილმა ანაზღვეულად შესწყვიტა და მგოსნის სულის ტრაგედიის პირველი მოქმედების მომენტის შესაძლებლობაც კი მოგვისპო. მაგრამ უვერტიურა ყოველთვის ტრაგედიის მთავარი მოტივის გახმაურებაცაა, და ბარათაშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობაშიც ნათლად ისახება დამახასიათებელი თვისებები მისი შესაძლო დამწიფებელი შემოქმედებისა. ექვი არ არის, უკმაყოფილების გრძობა მუდამ უმთავრეს მოტივად დარჩებოდა ბარათაშვილის შემოქმედებაში, რომლის ნიადაგზეც ს. ნამდვილის ობიექტურ სფეროსთან ბრძოლის პროცესი თანდათანობით გაიშლებოდა. რეალისტური ჩანასახი ბარათაშვილის სულიერი განწყობილებისა დასრულებულ სახეს მისცემდა მგოსნის შემოქმედებას და ბარათაშვილი თავისი სულის მუდმივი ანალიზის მაგიერ ბრძოლის წყურვილით აღტყინებული გმირების ცხოვრების დასურათებას მიჰყოფდა ხელს. „მერანისა“ და „სულო ბოროტას“ ავტორი ფსიქოლოგიური აუცილებლობით „კანინისა“ და „მანფრედის“ ცხოვრებით დაინტერესდებოდა და ქართულ მწერლობას უთუოდ დიდი პოემების სახით მებრძოლი გმირების სახეებს აჩუქებდა.

ამნაირად, ბარათაშვილი ნამდვილი ბაირონი როდია, მხოლოდ პოეტენციალურად არის ბაირონი, და თუ ზოგი მხარე ბაირონის სულისა ბარათაშვილის სულსაც აქოძრავებდა, ეს მხოლოდ საბუთია და ზედმეტი არგუმენტი მისი, რომ ჩვენი პოეტის სულიერ არსებაში ევ-

რობის სულიერი ცხოვრების მთელ იმ ტრაგედიას მოუყრია თავი და განსახიერებულა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს დაიწყო და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში დასრულდა.

II. ბარათაშვილი, აზრთა სამკვიდროში.

ასეთი იყო გრძნობების სფერო ბარათაშვილის დაუცხრომელი სულის სამკვიდროში.—მისი დამახასიეთებელი თვისება ტკივილი იყო. და როდესაც ცნობიერ ადამიანს გული ტკივა, აუცილებლად თავისი ტკივილების მიზეზის ძიებას დაიწყებს. ადამიანის გონება არსებითად მუდამ მიზეზობრივი დამოკიდებულების ცხადსაყოფად არის მიმართული და ბარათაშვილის გონებაც ამ მიმართულებით უნდა ამოძრავებულიყო.

თავისთავად მგონის შემოქმედების საიდუმლოების ახსნისათვის არას დროს ჰქონია დიდი მნიშვნელობა მის ცნობიერ აზრთა მიმდინარეობას. ხელოვნური შემოქმედება არ არის ფილოსოფიური აზროვნების ცნობიერი ნაყოფი, იგი უფრო გრძნობითი განცდის საშოდან იბადება. მაგრამ რას ფიქრობდა ხელოვანი თავისი სულის ტკივილების შესახებ, —ეს ისეთი საკითხია, რომელიც თუ მგონის შემოქმედებას არა, მასი პიროვნების ცნობიერ მხარეს მაინც საკმაო ნათელსა ჰქვენს, და ამ მხრივ არას დროს არ უნდა ჩაითვალოს ზედმეტათ პოეტის აზრთა სამკვიდროს ბჭეთა შეღება და მისი ცნობიერების ველის საუნჯეთა განცდა.

ბარათაშვილი ხელოვანი არ იქნებოდა, რომ ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული, რაციონალურად განსაქვრეტი სისტემა შეექმნა და დაწყნარებულიყო, მას ასეთი სისტემა არ ჰქონდა. უფრო მისი ძიების პროცესში იყო ჩაფლული და ერთხელ რომ ერთს აკხადებდა თავისი სულის ტრაგედიის წყაროთ, მეორეხელ თავისი გულის ტკივილების მიზეზად მეორეს თვლიდა.

ლ უ რ ჯ ი უ ვ ა ვ ი ლ ი .

ნიკოლოზ ბარათაშვილის გრძნობათა სამკვიდროს ანალიზმა ნათლად დაგვანახვა, რომ პოეტის გული უკაცოფილებისა და დაუამებელი ტკივილის გრძნობების ყანად გადაქცეულა. იგი გლოვს და დასტირის თავის უბედო'ას, ცრემლის წვეთებით აკურებს სევდაკაეშნის ნათესს.

მაგრამ ტირილი არსებულით უკმაყოფილებასა და საუკეთესოსაკენ მისწრაფებას გულსხმობს. ხოლო ეს მისწრაფება არ არის აქტიური ნებისყოფის ამოძრავება; უფრო არსებული მდგომარეობის უარყოფითი შეფასებაა და საუკეთესო მოძველის დამკვიდრების უმოქმედო სურვილია. იგი „შორით მზერა და შორით კვდომა“ ამ საუკეთესო მოძველისა.

„შორით კვდომა“ კი ანუ გერმანელების სიტყვით რომ გამოვსთქვათ—Sehnsucht-ი გრძნობაა დაკარგვისა და იმავდროს სურვილი, ორივე ერთად შეწვევრებული, ხოლო სასურველის განხორციელების უნებოთ და უგადაწყვეტილებოთ და აგრეთვე საშვალებათა უარჩინოთ, რომელთა დახმარებითაც ამ სასურველი მდგომარეობის მიწევა იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ საით არის ეს კვდომა მიმართული? საით იქნება მიმართული, თუ არ იქეთ, საითაც მიიმართება ყოველი ნდომა და სურვილი ამა ქვეყანისა, რა მაღალფარღოვანისა და მყვირალა სიტყვითაც არ უნდა იყოს გამოთქმული! რა თქმა უნდა—ბედნიერებისა და სიტკბოებისაკენ. რომანტიკოსი ამ გამოთქმას არასდროს ხმარობს, მაგრამ სამაგიეროთ ყოველთვის გულსხმობს... მაგრამ დამახასიათებელი რომანტიკოსისათვის ეს ბედნიერებისაკენ მისწრაფება კი არ არის, დამახასიათებელია მხოლოდ მისი რწმენა, რომ ეს ბედნიერება მართლა არსებობს. იცის, რომ იგი მას მოეღის, რომ არის საღლაც დედამიწის ზურგზე ერთი ალაგი, სადაც ეს ბედნიერება მოულოდნელად გამოეცხადება. და რადგანაც იგი მხოლოდ საჩუქარია განგებისა, და არა თვითონ სქედს მას, ამიტომ რა საჭიროა მისთვის განსაზღვრული გეგმით ცხოვრება და მოქმედება! საკმაოა მხოლოდ გამოურკვეველი სურვილები და რწმენა, რომ მისი მისწრაფება ოდესმე თავის საგანს უსათუოდ მიაღწევს. ასეთი რწმენის შენახვა კი ადვილი საქმეა... ნოვალისმა თავისი მისწრაფების საგანს ცნობილი და იღუმალობით აღსავსე სახელი — „ფურჯი ყვავილი“ უწოდა (ბრანდესი).

როდესაც რომანტიკოსების ამ დახასიათებას კითხულობ, გგონია, გონება-მახვილ ავტორს ბართაშვილის სახეს დახატვა დაუსახავს მიზნადთქო. მართლაც, განა ბედნიერებისა და სიტკბოების დაკარგვას არ დასტირის უშრეტი ცრემლით ბართაშვილის მუხა? განა ცასა და მიწას, ღმერთსა და ქვეყანას თავის უბედურებას, ობლობასა და უთვისტომობას არ შესჩივის ჩვენი მგოსანი? მაგრამ ამის მიუხედავად:

„მწუხრი გულია-სევდა გულისა-ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განა-
ნათლებს!

და ან კიდევ:

„და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
დარჩება“.

ეს ყველა ბარათაშვილის სიტყვებია. და ამ სიტყვების ზოქმელს, რა
თქმა უნდა, დიდი რწმენა უნდა ჰქონოდა დაკარგული ბედნიერების
შოპოების შესაძლებლობისა. ამ მხრით იგი ნამდვილი მოძმეა დასავლე-
თი ევროპის რომანტიკისებისა. მაგრამ ამაზე უფრო საოცარი ის არის,
რომ ჩვენი პოეტის მისწროფების საგნის სიმბოლოდ იგივე ლურჯი ფე-
რი გამოდის, რომელსაც ნოვალისიც ეტრფოდა: საგულისხმოა, რომ
ნათარგმნ ლექსშიც, სადაც შავს ფერზეა ლაპარაკი, ჩვენი მგოსანი თა-
ვისი გემოვნების თანახმად იქცევა და სრულად თავისუფლად, შავის
ნაცვლად ლურჯის შესახებ იწყებს სიმღერას.

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდან ვეტრფოდი.
და ახლაც, როს სისხლი
მაქქს გაციებული,
ფიცავ—არ ვეტრფო
არ ოდეს ფერსა სხვას.
თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოჰკრთის სიამით.
ფიქრი მე სანატრა
მიმიწვევს მთისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს...
სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცვას—

იგიცა შესწირ, ს
ციაგმან ლურჯსა ცას!

ამგვარად, ბარათაშვილსაც სიტკბოება და ბედნიერება სწყურია, მისი ლურჯი ყვავილიც იგივეა, რაც დასავლეთი ევროპის რომანტიკოსების იყო. მაგრამ ბარათაშვილის ლურჯი ყვავილი გაუშლელია, მისი ლაქვარდი ცა ღრუბლებით არის დაფარული.

რამ უნდა გაუშალოს მგოსანს საოცნებო ლურჯი ყვავილი, რამ უნდა გადარეკოს მის ცაზე მოზღვავებული ღრუბელთა გროვა? რისგან მოვლის მგოსანი კმაყოფილებასა და ბედნიერებას?

პოეტი ფილოსოფიურად მსჯელობს. მისი შეხედულებით ადამიანს ერთგვარი დანიშნულება აქვს, იგი შეუგნებლად მიისწრაფის მის განხორცილებისაკენ და სანამ თავისი დანიშნულებისათვის ვერ მიუგნია, უკმაყოფილოა და იტანჯება. ნამდვილი სიტკბოებისა და ბედნიერების წყაროთ მხოლოდ დანიშნულების განხორციელების სარბიელზე მიმართული მოღვაწეობა იქცევა. „Душа твоя ищетъ пищи новой, духъ твой стремится къ большей дѣятельности, къ сценамъ болѣе сильнымъ, болѣе патетическимъ. И пока онъ достигнетъ своего назначенія, ему скучно, грустно“. — სწერს ბარათაშვილი თავის ბიძას, ზაქარია ორბელიანს.

„ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი კმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება რომ შენ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისა თვს დაბადებულო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ავ პაჩარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა კელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“ აქაც იგივე აზრია. აქაც თავისი დანიშნულების, თავისი ნამდვილი ხვედრის ასპარეზზე მოღვაწეობისაგან მოვლის ბარათაშვილი თავისი კმაყოფილებისა და ხსნის გასაღებს.

„იღუმალი ხმაც“ ამასვე ეუბნება მგოსანს:

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი“.

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ჰვბოებ,

და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ“-ო — უმატებს მგოსანი და ერთხელ კიდევ მოგვავაძინებს, რომ სევდა და კაეშანი ის ბუნებრივი

გრძნობებია, რომელსაც მხოლოდ ერთი გზით გაგეტყვევა ადამიანი და რომ ეს გზა მხოლოდ მისი დანიშნულებისაკენ მიმავალი გზაა.

ამგვარად, ბარათაშვილის აზრი ასეთია: საკმარისია ჩემი დანიშნულების გზაზე დავდგე და სევდა-კაემანი იმწამსვე ბედნიერებისა და კმაყოფილების გრძნობებს დაუთმობს ადგილსო!

ჰაგრამ ბარათაშვილის გულში ბედნიერებისა და კმაყოფილების გრძნობას ერთხელაც ვერ მოუწახავს ადგილი; მისი ჩანგისაგან „მოკლეული გულის ჩივილის“ მეტი არასდროს არათერი გვსმენია.

რამ მოუკლა გული მგოსანს? ან შეიძლება სევდა-კაემანი, ბარათაშვილის ოწმენით, საყოველთაო ბედი იყოს ა: აძიანის გრძნობიერებისა?

როდესაც მგოსანი თავისი ადრინდელი ახალგაზღვრების სულიერი განწყობილების შესახებ ლაპარაკობს, სშირად იგონებს იმ ნეტარებას, რომელსაც წრფელი ახალგაზღვრების ჟამს განიცდიდა, „როს ვარსკვლავი მშვენე ის ცით უნეტარება სიცოცხლისა დღეთა სიამით“. პოეტის ახალგაზღვრების ხანა ბედნიერების გრძნობათა შარავანდელში იყო გახვეული, სული მისი დამშვიდებული იყო და რწმენა კლდესავით შეურყვეველი (იხ. „სული ბოროტო“)

რა იქნებოდა, რომ მგოსანს ახალგაზღვრების ნეტარი გრძნობები სა მუდამოდ შერჩენოდა! ამისთვის მხოლოდ ერთი იყო საქირო:

იგი არ უნდა ჩაკვირებოდა თავის მდგომარეობას და სამუდამოდ „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“ შეენარჩუნებია, არ უნდა დაეწყო ფიქრი თავისი ნამდვილი დანიშნულების შესახებ და არ უნდა ეგრძნო მისწრაფება მისი განზარტოების მიმართულებით, ან და, თუ მაინც და მაინც თავის ნამდვილ დანიშნულებას და ცხოვრებას შორის შეუსაბამობას აღმოაჩინდა და ამის გამო გულში ტკივილებს იგრძნობდა, იმდენი ძალა მაინც უნდა გამოეჩინა, რომ თავისი დანიშნულების შესათფერი ცხოვრების პირობების შექმნა შესძლებოდა. თუ არა და, პოეტის სული მუდმივი უკმაყოფილების გრძნობების სათარეშო სარბიელად დარჩებოდა.

სამწუხაროდ, მგოსანმა ვერც ერთი მოახერხა და ვერც მეორე, ვერც არსებული ცხოვრების პირობებს შეუტრიგდა და ვერც თავისი დანიშნულების შესათფერი ასპარეზი იპოვა. როგორ მოხდა პირველი და რამ გამოიწვია მეორე?

a. ხმა იღუმალი, სული ბორჯოტი.

რა ვჰსცან პირველად წუთისოფელი...
მას აქეთ კმა რამ თან ჰსდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!

ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად,
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ქირად:

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,

ვინძლო იბოვო შენი სამშენი!“-ო, ამბობს 1836 წ.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა მგოსანი და ამნაირად თავის სწრაფ-
ვასა და ძიებას იმ „იღუმალი ხმის“ გრძნეულობით ჰხსნის, რომელმაც
მისი არსებული ცხოვრება შეუფერებლად დასახა და მის ხვედრს, ე. ი.
ნამდვილ დანიშნულებას დაუპირდაპირა. დაპირდაპირება კი სხვა-და-
სხვაობის აღსარებას ნიშნავს, და ეს იყო მიზეზი, რომ მგოსნის გულ-
ში პირველი სვედიანი კალო სწორედ იმ ხნიდან ახმაურდა. ქაბუკმა
მგოსანმა ჯერ კიდევ არ იცის, ანგელოზია მთარველი მისი ეს იღუმა-
ლი ხმა, თუ ეშმაკი და მაცდურია, რომელმაც სიცოცხლე სამუდამოდ
უნდა მოუწამლოს, მაგრამ გადის შვიდი წელი, და მგოსანი უკვე ბო-
როტი სულის სახელით ნათლავს ამ იღუმალ ხმას:

სულო ბორჯო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,

ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმშფოთრად?

მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,

რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ერთი სიტყვით ცხადია, რომ მგოსნის ბედნიერების დღეები მას შემდეგ
დაბნელებულა, რაც მის სულში საკუთარი დანიშნულების ძიების სურ-
ვილი დაბუდებულა და განმტკიცებულა, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარია
უბედურებისა ან და შეიძლება ნამდვილი ბედნიერების დასაწყისიც იყოს.
საჭიროა ოღონდ ძიების გზაზე დამდგარმა სულმა თავისი მისწრაფების
საგნის მიმართულებას მიაგნოს. „მაგრამ მე ჩემსა მხვედრსა ვერ ვპოვე
და მით კაემანს ვერღა ვიშორებო!“ აცხადებს მგოსანი ან და:

„სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,

რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები“...ო.

რატომ ვერ პოულობს მგოსანი თავის დანიშნულებას, რა უშლის
ხელს?

b. ბ ე ღ ი.

ობიექტურად მოაზროვნე ადამიანი ამის მიზეზის ძებნას ცხოვრების გარეშე პირობების თავისებურებაში დაიწყებდა. დაწვრილებითა და ზედმიწევნით ჩამოთვლიდა ყველა იმ უმნიშვნელოსა და მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც ყველა ერთად მისი ცხოვრების სრულ სურათს შეადგენს. აქ აღნიშნული იქნებოდა მრავალი მოვლენა, რომელთა ზეგავლენითაც მისი ცხოვრების სინამდვილეს ჩრდილი ეფინებოდა.

ასეთი მანერა აზროვნებისა ადამიანის გონების შემეცნებითი ძლიერების რწმენიდან გამომდინარეობს. ვისაც სწამს, რომ შემეცნებითი მისწრაფება უნაყოფო გონების ვარჯიშობას კი არა, ქეშმარიტების ცხადყოფის ერთად ერთ საშვალებას წარმოადგენს, ის რთული მოვლენის ზედმიწევნითს ანალიზზე უარს არას დროს იტყვის.

მაგრამ ბარათაშვილი არც ობიექტურად მოაზროვნე ადამიანი იყო და არც ენერგიული აზროვნების ნაყოფიერების მორწმუნე. ამიტომ მისი აზროვნება მუდამ ცხოვრების სინამდვილის სუბიექტური მხრისაკენ იყო მიმართული და მისი ანალიზი შორს არასდროს მიდიოდა.

როდესაც იგი თავისი დანიშნულების მიუღწევლობის საკითხს არკვევდა, პრობლემის გასაღებს უმთავრესად ობიექტური სინამდვილის ანალიზში როდი ექებდა. უფრო იმ აზრისა იყო, რომ ყველაფერი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის როგორ უნათებს ბედის ვარსკვლავი. ზოგის ცხოვრების გზა ბედის ვარსკვლავის ცხოველი სხივებით არის განათებული, და ასეთ შემთხვევებში ადამიანის ნამდვილი დანიშნულების სახე იმდენად ცხადი და ნათელია, რომ მის საპოვნელად ბევრი ძებნა არ არის საჭირო. ხოლო ზოგის ცხოვრების ცაზე სიბნელის ზეწარია გადაფარებული. ბედის ვარსკვლავის სხივთა სინათლე დედამიწის ზედაპირს ველარ სწვდება, და სიბნელით მოცული ცხოვრების გზაზე ადამიანის დანიშნულების სახე ფერმკრთალდება.

ამგვარად მიაგნებს ადამიანი თავის დანიშნულებას თუ ვერა, ეს საესებით მის ბედზეა დამოკიდებული. ზოგი იმთავითვე თავისი დანიშნულების გზას აღგება და ბედნიერია, და ზოგი კიდევ სამუდამო ტანჯვა-კვნესისთვის არის განწირული. აქ თვითონ ადამიანი არაფერ შუაშია: მისი ცხოვრების ძაფების მრთველი მარტო მისი ბედია.

ასეთი რწმენის ნიადაგზე იდგა პირველ ხანებში ბარათაშვილი და

რა თქმა უნდა, მაშინ მას „ბედის ვარსკვლავის“ თვალყურის დევნებისა და მუდარის მეტი მართლა არაფერი ჰქონდა ღარჩენილი.

მოციმციმი, მოდი, გამომეღარე,

შენგან ბნელი გული გამომიღარე,

კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე;

ნაბერწყალნი ეშისა მომაყარე-ო, ევედრება მგოსანი თავისი ბედის ვარსკვლავს, და ამას იმიტომ სჩადის, რომ თავისი დანიშნულების გზის პოვნასა და მაშასადამე სვედა-კაენის თავიდან აშორებას მართო მისგან მოელის. მაგრამ როდესაც რწმუნდება, რომ ქედმობრილ ვედრებასა და მუდარას ნაყოფი არ მოაქვს, მაშინ მგოსანი თავის ბედზე ზეგავლენის უკანასკნელ საშვალებას მიმართავს. ბრძოლას უცხადებს თავის ბედს და ფიქრობს, ამ გზით მაინც შევცვლი „ბედის ტრიალს“ — ამ უმთავრეს მიზეზს ჩემი „გულის სიბნელისასო.“

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

ადამიანის სიტკბოებისა და კმაყოფილების გრძნობების წყარო რომ მართლა მის ბედზეა დამოკიდებული, რომ „გლახ გული შავ ბედისგან არის დაღაშებული“ და „ბედისა ბრუნვით მოკლული“, ამას მგოსანი მართო თავისი გრძნობების ანალიზით კი არ ადასტურებს. ხშირად სხვისი ხვედრის შესახებაც საუბრობს და ყველგან და ყოველთვის უკმაყოფილებისა და უბედურობის მიზეზს ბედის ტრიალში სჭვრეტს.

რად ვერ მიაღწია „ბუღბუღმა“ თავისი სურვილის განხორციელებას, ან რად გასწყვიტა ქეთევანმა თავისი მშვენიერი სიცოცხლის ძაფები, ან რად დაკარგა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება? იმიტომ რომ ასეთი იყო სურვილი მათი ბედისა, რომელმაც ბუღბუღს „გლახ რული“ მოგვარა, ქეთევანი — ავენათა მსხვერპლად გახადა და საქართველოს ცხოვრება ისე მოაწყო, რომ „დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ კელმწიფება“. ტყვილა კი არ უწოდა მგოსანმა თავის ერთადერთ პოემას „ბედი ქართლისა“.

ასეა თუ ისე, ბარათაშვილის აზრი ნათელია: ადამიანი კმაყოფილებასა და სიხარულს განიცდის, როდესაც თავისი ნამდვილი დანიშნულების გზას ადგია. მაგრამ როდესაც ამ გზას ცილდება, მაშინ მისი გული ტკივილით ისერება და სვედა-კაენით იფარება. ხოლო ვინ მო-

ნახავს თავისი დანიშნულების გზას და ვინ-ვერა, ეს სავსებით ადამიანის ბედზე და მოკიდებული და არა მის თავისუფალ ნებაზე. ამიტომ ზოგი იშთავითვე ტანჯვა-ვაებისთვის არის განწირული და ზოგი კიდევ სიხარულისა და შვების გრძნობებისთვის განმზადებული.

როგორც ხედავთ, ბარათაშვილი ტიპური ფატალისტია. მაგრამ მისი ფატალისტი თავის სიმართლეს სავსებით კარგავს, როდესაც მგოსანი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში მასთან ბრძოლის შესაძლებლობასა და ზოგჯერ ნაყოფიერებასაც აღიარებს („მერანი“ და „სულო ბოროტა“) და როდესაც ბრმა ბედის ტრიალს ნების თავისუფლებას უპარდაპირებს.

ც. „კ ა ტ ა ს ი ა გ ე“.

ბარათაშვილის აზროვნებაში აღნიშნულია სხვა ხაზებიც, რომლის მიმართულებითაც ადამიანის გულში სევდა-კაემნისა და უკმაყოფილების გრძნობებში იჭრება. მისი აზროვნება არ არის სწორხაზიანი, უფრო ზიგზაგებით მოძრაობას არის ნაჩვევი და ამიტომ საკვირველი არ არის, როდესაც ბარათაშვილისგან შექმნილი სიტყვები გვესმის:

გულსა, მოკლულსა კატო სიაგა და ბედის ბრუნვით
ლამპარი წმიდა განმიტუმბდა ციურის სხივით.

ან და: იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟაი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცენია სოფელი მომდგარალი.

ან და კიდევ:

არლა რა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრალვის, არლა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეთიქრება კელმეორედ მას ნდობა!..
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამუნნი სოფლისა.

განა ცხადად არა სიანს ამ სიტყვიდან, რომ მგოსნის გულში დანთებულ ცეცხლს „კატო სიაგე“ და „მოქოერალი და დაუნდობელი სოფელიც“ უმატებს შემას? გაუტანელმა სოფელმა, ავმა ენებმა დაუხმეს „ქეთევანს“ ბედნიერების ბჭენი, „კატო სიაგემ“ დაუკოდა მგო-

სანს გული და სოფლის დაუნდობლობამ დაუობლა სული. ტყვილა კბ არ უწოდებს მგოსანი სოფელს სისაძგელს. განა სხვა სახელის ღირსია ქვეყანა, სადაც „ვინც მაღალის გრძნობის მექანი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისი გონებაც მრწამდა ზეგარდმო ნიქად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლიანი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალოულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა“. საშინელი უდაბნოს სურათია, სადაც ქვეწარმავალთა და ქვემძრომთ ფერხული გაუმართავთ, და რა გასაკვირია, როდესაც ამ ქვეყნად მგოსანი ერთ ციდა ადგილსაც ვერ პოულობს ისეთს, რომ სულს მშვიდობა და გულს მყუდროება მიანიჭოს.

„სად განისვენოს სულმა, სად მიიღრიკო თავიო“? მოსთქვამს მგოსანი. ამგვარად ცხადია, ბარათაშვილის აზრით, სოფლის უვარგისობაც დიდი მიზეზია ადამიანის გულის დაბნელებისა და დაირებისა.

მაგრამ საოცარი ის არის, რომ პოეტი „კაცთა სიავესა“ და „ბედის ბრუნვას“ როგორც თავისი გულის ტკივილის მიზეზებს ორსავე ერთად იხსენიებს. საოცარი არის მეთქი, მიტომ ვამბობთ, რომ ვისაც ბედი მიაჩნია თავისი უბედურების წყაროდ, მისთვის კაცთა სიავეს აღარავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც ბედის ვარსკლავმა გაუღიმა და თავის დანიშნულებას მიაგნებინა. ბარათაშვილის აზრით, ასეთი ადამიანის სული სავსებით დამშვიდებული და დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო და კაცთა სიავესა და სოფლის სისაძგელს მისი მოწამლვა არ უნდა შესძლებოდა, თორემ ამით ადამიანის ბედი დრღვეული იქნებოდა ან ის ბედი უკვე ბედი აღარ არის, რომელიც გარეშე პირობების თვისებათა ზეგავლენით იცვლება. ან და ასეთი შემთხვევაც წარმოადგინეთ: ვთქვათ, ბედმა ადამიანს მისი ნამდვილი დანიშნულების გზა დაუხშო. ცხადია, მის გულში უკაყოფილებისა და უსიამოვნების გრძნობები უნდა დამკვიდრდეს. განა შეიძლება ასეთ პირობებში რა გინდა ზნეობრივ სისრულესაც არ უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ, ადამიანის გული გამომრთელდეს და სიამოვნებისა და სიტკბოების სარბიელად გარდაიქცეს?

მაშ ცხადია, რომ „ბედის ბრუნვა“ და „კაცთა სიავე“ ჩვენი სულიერი ტანჯვის დამოუკიდებელსა და თანაბარ მიზეზებად ვერადროს ჩაითვლება. აშკარაა, ბარათაშვილი თავისი დაბნელებული გულის ტან-

ჯვის მიზეზებს ეძებდა, მაგრამ ნათლად და გარკვეულად მათ წარმოდგენას ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა.

d. „ს ა წ ე ა უ ლ ი ა ღ უ ვ ს ე ბ ე ლ ი“.

ზოგჯერ პოეტის მხედველობა უფრო შორს სწვდებოდა. იყო დრო, როდესაც ცხადად ჰგონებდა, რომ უმთავრესი წყარო მისი სულის მღელღარებისა მის შეუღრეკელ შიშს სწრაფვაში გამოისახებოდა:

„გულისთქმა ჩემი შენს იქითა...ეძიებს სადგურს,

შენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამოება“... (შემოლამ. მთაწმ.)

მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებ იცნობდა მგოსანი „საწუთროს“ და იმედით შესცქეროდა მომავალს: ეგონა, რომ ღუშრეტელი სწრაფვა ადამიანის სულისა სააქოსაც შესძლებს ოდესმე თავისი წყურვილის დაკმაყოფილებას; ჯერ კიდევ არ ეგონა, რომ ეს სწრაფვა იმ აბსოლუტური აქტივობის დაუცხრომლობის გამოკრთომა იყო, რომელიც ადამიანის აბსოლუტურ „ფაუსტისში“ ჰპოულობს თავის შესატყვის გამოხატულებას. ამიტომ ამბობდა:

„მწუხრი გულისა-სევდა გულისა-ნუგეშა ამას შენგან მიიღეს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდას ის განა-
ნათლებს“.

მაგრამ იმასაც ჰგონებდა, რომ „დილის გათენება“ შეუძლებელია, სადაც წინსწრაფვა აბსოლუტურ ბუნებისად ისახება:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთი სოფელი,

თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,

და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“ (ფიქრ.
მტკ. პირას).

და თავისი უბედურების წყაროდ ბოლო ხანებში პოეტი სწორედ ამ მისწრაფების დაუცხრომობას სთვლიდა. მაგრამ თანდათანობით იმ რწმენამდისაც მიდიოდა, რომ ეს არ იყო მარტო მისი ზვედრი, რომ ფაუსტური წინსწრაფვა ზოგად-კაცობრიული მოვლენა იყო, რომ იგი ადამიანის „ბედი“ იყო. ამიტომაც პოეტის რწმენით საჭირო იყო მასთან განუწყვეტელი ბრძოლის წარმოება; ხოლო განსაკუთრებით საინტერესო ეს არის: ბარათაშვილი, თავის „მერანში“ მაინც, იმდენედე ამაღლდა, რომ ნათლად ჰხედავს ამ მისწრაფების აბსოლუტურ

ბუნებას და მასთან ბრძოლის წარმატების უზრუნველ საყოფად აუცი-
ლებლად სთვლის ყველაფრის იმის ზვარაკად მიტანას, რაც თავისი
ბუნებით შედარებითი ხასიათის არის, მაგრამ ჩვენი სააქაო ცხოვრები-
სათვის განსაკუთრებით უძვირფასესად ითვლება ყოველი გრძნობა,
რომელიც საწუთროს გვაკავშირებს, რომელიც მას ძვირფასად ჰხდის
ჩვენთვის, ყველაფერი ეს ბრძოლას უნდა შეეწიროს. მხოლოდ მაშინ
იქნება შესაძლებელი ითქვას:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის
კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

დ. უზნაძე.

VI. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა.

საზომი. მუხლი. მახვილი. რითმა.

დღეს უკვე საკმაოდ გამორკვეულია¹ და მეცნიერებაშიაც მიღე-
ბულია² ის ჭეშმარიტება, რომ ქართულისა და მის მონათესავე ენათა
წყობილსიტყვაობა ტონურ-სილაბურია, ე. ი. დამყარებულია როგორც
მახვილზე, ისე მარცვალთა რაოდენობაზე ყოველ სტრიქონში. ეს დას-
კვნა სავსებით ედასტურება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთაწყობასაც:³
მისი ლექსი ჩვეულებრივი ქართული ტონურ-სილაბური ლექსია ყველა
მისი ღირსებითა და ნაკლოვანებით.

ნიკ. ბარათაშვილის უსაყვარლესი საზომი, ანუ სალექსო გვარი,
ეგრეთ წოდებული „ბესიკური“ და „შავთელური“ ლექსებია (38) ლექ-

¹ ს. გორგაძე. ქართული წყობილსიტყვაობა. ტფილისი. 1912 გვ. 59.
ქვემოთ საწყობილსიტყვაო ტერმინები (მახვილი, მუხლი, ტაეპი, ხანა, ლექსის
გვარები, რითმა და სხვ. ყველგან ამ გამოკვლევის თანახმად გვექნება ნახპარი.

² ი. ა. ყიფიძე. Грамматика мингрельского (иверского) языка. С.-Петер-
бург. 1914. გვერდი 0146 (§ 157).

სიდან*, რომელთაც ბარათაშვილის სახელით ჩვენამდე მოუწვდია, 13 ბესიკურია¹, 9 შავთელური² და ოთხი ამ ორი საზომის შეერთებას წარმოადგენს³. მასასადავე ბარათაშვილის ლექსთა თითქმის 70 პროცენტი „ბესიკურისა“ და „შავთელური“ საზომისაა. დანარჩენი 12 ლექსი ასე ნაწილდება: 7 ლექსი დაწერილია „შაირით“⁴, 3 — „თეჯლისით“⁵, ერთი არის „ბაიათი“⁶ და ერთიც — „ბარათაშვილური“⁷. ამ უკა-

* იხ. ამ წერილის ბოლოში შენიშვნა.

¹ „ბესიკური“ ლექსი ბარათაშვილის ნაწერებში ორგვარია: **მცირებესიკური** და **დიდბესიკური**. პირველისა შემდეგი 11 ლექსია: „ფიქრნი მტკვრის პარას“, „ნაპოლეონ“, „ჩემი ლოცვა“, „აღმოშდა მნათი“, „ჩემთ მეგობართ“, „ევპოვე ტაძარი“, „სუმბული და მწირი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სულთ ბოროტო“ და „ღამე ყაბახზედ“. **დიდბესიკურით** დაწერილია ლექსები: „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ (რომელიც ნაბეჭდ გამოცემაში შინაგან რითმათა გამოსაჩენად მუხლებადაა დაყოფილი და სამ სტრიქონად დაბეჭდილი) და „ფორტოპიანოზე მომღერალი“ (რომელიც აგრეთვე რითმების გამოსაჩენად მუხლებად არის დაყოფილი, ნამდვილად კი სამმუხლიანი ანუ 15-მარცვლოვანი ლექსია), დიდბესიკურითვე დაწერილია პოემის („ბედი ქართლისა“) მიძღვ აც „კახთა შიმართ“.

² აი ეს ლექსები: „აზა იღუმელი“, „თავადის ქ—ძის ასულს ეკ—ას“, „საყურე“, „ბედი ქართლისა“ (პოემა), „შენნი დალანი“, „შევიშრობ ცრემლსა“, „ძია გ—სთან“, „ჩინარი“ (რომელიც 20 მარცვლოვან სტრიქონებადაა დაწერილი, თუმცა რიჰმიულად იგი ათმარცვლოვანი ლექსია) და „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“.

³ მცირებესიკურისა და შავთელურის შეერთებას წარმოადგენს ორი ელეგია: „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და „მერანი“; ხოლო დიდბესიკურისა და შავთელურის შეერთება გვხვდება ლექსეში: „ჩონგურს“ და „მიყვარს თვალები“.

⁴ ამათში ერთი **ჩანჩუხაული** შაირია (სახელდობრ ლექსი: „სატრფოვ მახსოვს თვალნი შენნი“), ხუთი **რუსთავლურია**: „არ უკიეინო სატრფოო“, „ძრწოდე ქავკასო“, (ანუ „ომი საქართველოს თავადაზნაურთა“), „მადლი შენს გამჩენს“, „დაძქროლა ქარმან“ და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“; ერთიც ამ ორასავე გვარის შაირთა შეერთებას წარმოადგენს, სახელდობრ ლექსი „ქეთევან“, რომლის ორა პირველი და ორი უკანასკნელი ხანა რუსთავლურია, დანარჩენები ჩანჩუხაული.

⁵ ლექსები: „ჩემს ვარსკვლავს“, „ჩჩვილი“ და „სული ოზოლი“.

⁶ სახელდობრ ლექსი „ბულბული ვარდზედ“, რომელიც არსებითად შვიდმარცვლოვან ბაიათია, მაგრამ ავტორს მისი ორ-იარი მეზობელი ტაეპი თითო სტრიქონად შეერთებია და 14-მარცვლოვან ტაეპებად დაუწერია.

⁷ ლექსი: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“.

ნასკნელი გვარის ლექსი, მართალია, სხვა პოეტების ნაწერებშიაც გვხვდება, მაგრამ ჩვენ უპირატესობა ბარათაშვილის ხსოვნას მივეციტ და სახელიც მისი დავარქვით¹.

შედარებითი სიძრავლე „ბესიკურისა“ და „შავთელური“ ლექსებისა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენა არ არის: იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ამ პოეზიის შინაგან ხასიათთან, მის ძირითად კილოსთან, რომელიც ერთი სიტყვით გამოიხატება: „ნაღველი“. ხოლო ნაღველს ქართულ ლექსთა შორის ყველაზე უკეთ „ბესიკური“ და „შავთელური“ შეესაბამება. ამას გარდა „შავთელური“ ლექსი საეპიკო ნაწარმოებთათვისაც შესაფერისია; და ალბად ამით აიხსნება, რომ ჩვენს ნიჭიერ მგოსანს თავისის ერთადერთის, ეროვნული ნაღველით გამსჭვალულის, პოემისათვის სწორედ ეს საზომი შეურჩევია.

„შავთელურისა“ და „ბესიკური“ ლექსის ძირითადი რიტმიული ელემენტები, როგორც მოგეხსენებათ, ხუთმარცვლოვანი და ოთხმარცვლოვანი მუხლებია, რომელთაც მანვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვსთ. დანარჩენის ოთხი გვარის ლექსები „შირი“, „თეჯლისი“, „ბაიათი“ და „ბარათაშვილური“, რომელნიც ჩვენი მგოსნის ნაწერებში გვხვდებიან, სამმარცვლოვანი მუხლებსაც ჰხმარობენ, რომელშიაც მანვილი აგრეთვე ბოლოდან მესამე მარცვალზეა. და ამგვარად ნიკოლოზ ბარათაშვილის საყვარელი მუხლები, მის ლექსთა საზომის მიხედვით, ხუთმარცვლოვანი, ოთხმარცვლოვანი და სამმარცვლოვანი მუხლებია, ხოლო მისი საყვარელი მანვილი დაქტილურია.

მანვილიანი მარცვლები რომ მოგროძო ხაზებით (—) აღვნიშნოთ და უმანვილო მარცვლები პატარა რკალებით (—), მივიღებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის გვართა (საზომთა), მუხლთა და მანვილის შემდეგს სქემას (ჩამოსმული ხაზები მუხლების საზღვარს უჩვენებენ):

¹ იხ. ჩვენი „ქართული წყობილსიტყვაობა“, გვ. 39—40. ბარათაშვილზე აღრე, როგორც სამართლიანად შენიშნეს (ი. გრიშაშვილმა), ამ საზომის ლექსი ჩვენ გვხვდება ალ. ქავჭავაძის ნაწერებში, ხოლო კიდევ უფრო აღრე დავ. გურამიშვილის ცნობილ პოემაშიაც („ქაცვია მწყემსი“), მაგრამ ამ უქანასკნელში ეს საზომი დამოუკიდებლად როდია ნახმარი, არამედ ეგრეთ-წოდებულის „არეული ლექსის“ ნაწილს წარმოადგენს.

ჟ. ორმუხლიანი ლექსები:

1. „ბარათაშვილური“: — — — | — — — (6 მარცვალი).
2. „ბაიათი“: — — — | — — — (7 მარცვალი).
3. „რუსთაველური“ (შაირი) — — — — | — — — (8 მარცვ.).
4. „ჩახრუხაული“ (შაირი): — — — — | — — — — (8 მარცვ.).
5. „შავთველური“: — — — — — | — — — — — (10 მარცვ.).

აი მათი ნიმუშები (შავი მსუქანი ასოებით აღნიშნული გვაქს მახვილიანი ხმოვნები):

1. ბარათაშვილური

ცისა ფერს | ლურჯსა ფერს
პირველად | ქმნილსა ფერს
და არ ამ | ქვეყნიერს
სიყრმიდგან | ვმტროფოდი.¹

2. ბაიათი

განთიადით | ღამემდე
შევეფრფინვიდი | კოკრობას.²

3. რუსთაველური

არ უკიჟინო, | სატროფოო,
შენსა მგოსანსა | გულისთქმა.³

4. ჩახრუხაული

თუ ვმრ მცნობდი, | რად მმტყოდი:
მე შმნი ვარ | საშკუნოდ!⁴

¹ იხ. ლექსი: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“.

² ლექსიდან: „ბულბული ვარდზედ“, რომელიც ავტორს 14-მარცლოვან სტრიქონებად აქვს დაწერილი.

³ ლექსი: „არ უკიჟინო სატროფოო“, რომელიც ავტორს 16-მარცლოვან სტრიქონებად აქვს დაწერილი, თუმცა არსებითად ეს ლექსი რვა მარცლოვანი შაირია.

⁴ ლექსიდან: „ქეთევან“ სტრიქ. 17-18.

წ. შავთელური

მორპის პრავეი | არავეინანი,
თან მოსძახიან | მთანი ტყინანი¹

ბ. სამმუხლიანი ლექსები:

1. „თეჯლისი“: — — — — | — — — — | — — — — (11 მარცვალი.)
2. „მცირებესიკური“: — — — — | — — — — | — — — — (14 მც.)
3. „დიდბესიკური“: — — — — | — — — — | — — — — (15 მც.)

აი ამათი ნიმუშებიც:

1. თეჯლისი

ნუ ვინ იტყვის | ობლმბისა | ვაებას!²

2. მცირებესიკური

გასწი, მმრანო, | შენს ჭმნებას | არ აქვს სამძლარი!³

3. დიდბესიკური

ქმა საკრბვისა | ნელნარნარისა | სულს განაბარებს⁴

ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა გვარები (საზომი), საყვარელი მუხლები და მახვილი. როგორც ვხედავთ, უუგრძესი მისი ლექსი 15-მარცვლოვანია, უმოკლესი — 6-მარცვლოვანი. რითმების გამოსაჩენად ბარათაშვილი ზოგჯერ მეზობელ ტაეებს აერთებს და ორ ტაეებს ერთ სტრიქონად სწერს³; პირიქით ზოგჯერ ერთ ტაეებს მუხლ-

¹ პოეზიდან: „ზედა ქართლისა“ მეორე კარის დასაწყისი. სტრ. 134—135.

² ლექსიდან: „სული ობოლი“ 1-ლი ტაეი (სტრიქონი).

³ „მერანი“ მე-3-ზე ტაეი (სტრიქონი).

⁴ ლექსიდან: „ნა... ფორტოპიანოზე მომღერალი“, რომელშიაც ეს 15-მარცვლოვანი ლექსი რითმების გამოსაჩენად მუხლებადაა დაკვეთილი და ყოველი ტაეი სამ-სამ სტრიქონადაა დაწერილი. შეადარეთ პოემას („ზედა ქართლისა“) მიძღვნა „კახთა მიმართ“, სადაც ეს დიდბესიკური ნორმალურადაა დაწერილი.

⁵ მაგალითად ლექსებში: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევანის“ მეორე და უკანასკნელ ხანებში, „შემოღამება მთაწმიდაზედ“-ის შავთელურ ხანებში, „არ უკიჟინო სატრფოო“, „მერანის“ შავთელურ ხანებში, „ჩინარი“, „ძრწოდე კავკასო“, „მადლი შენს გამჩენს“, „დამქროლა ქარმან“, „ველოცავ დღეს ჩემის გაჩენს“.

ბად ჰკვეთს და რამოდენსამე სტრიქონად აქცევს¹; არაიშვიათად ერთსა-
დაიმავე ნაწარმოებში სხვადასხვა საზომის (გვარის) ხანებსაც ჰხმარობს²;
მაგრამ მის შიშ ნაწარმოებში ვერ უჩვენებთ ისეთ ლექსს (სამს გარდა*),
რომლის ერთსადაიმავე ხანაში სხვადასხვა საზომის ტაეპები იყოს არე-
ული. ამ მართი ნიკოლოზ ბარათაშვილის წაობილსიტყვაობაში ტაეპთა
სამაგალითო თანაზომიერებაა დაცული და ეს თანაზომიერება მის ლექს-
თა თითქმის მწ პროცენტში სრულ იგივეობამდე უწევს.

მაგრამ ვერ ვიტყვით—ტაეპთა და ხანათა ეს იდეალური სიმწყობ-
რე, ლექსის ტექნიკური სიმეტრია, ნიკოლოზ ბარათაშვილს იათად

¹ მაგალითად ლექსებში: „თავადის ქ—ძის ასულს“ (თვითეული ხანის პირველი ორ-ორი სტრიქონი), „საყუოე“ (აქც პირველი ორ-ორი სტრ), „ქნიაზ ბარათაეის აზარფეშაზედ“ (ერთი ტაეპი სამ სტრიქონადაა დაბეჭდილი), „უო-ტოპიანოზე მომღერალი“ (აქაც ყოველი ტაეპი სამ-სამ სტრიქონადაა დაკვეთილი).

² ასე ია მაგალითად ლექსები: „ქეთევან“ (რომელშიაც ორი პირველი და ორ უკანასკნელი ხანა რუსთაველური შაირია, დანარჩენები—ჩ რუხაული), „შ მოლაშვებ მთაწმიდაზედ“ (რომელშიაც კენტო ხანები მცირე ბესიკურია, ხოლო ლუწ ბი—შავთელური), „მერანი“ (რომლის 1-ლი, მე 4-ე, მე-7 ე და მე-9-ე ხანები მცირე ბესიკურია, დანარჩენები შა-თ ლურია) „მიყარს თვალე-ბი“ (რომელშიაც 1-ელი და მე-3 ე ხანა შავთელურია, მეორე დ მეოთხე კი დიდა ბესიკური). თუ რა არის „ხანა“ და „ტაეპი“, ამაზე იხ. ჩვენი „ქარ-თული წყობილსიტყვაობა“, გვ. 23—32.

* ეს სამი შემთხვევა გვხვდება ლექსებში: „ჩონგურს“ (რომლის ყ ველ ხანაში ორი პირველი ტაეპი შავთელურია თა მესამე დიდბესიკური), „ფიქრნი მკვერის პირას“ (რომელიც მცირებესიკურითაა დაწერილი, მაგრამ ერთი ტაეპი, სახ. ლლობრ მე-27-ე სტრიქონი, 15-მარცვლოვანია; მაგრამ შესაძლოა სიტყვა „უნდა“ აქ შეცდომით იყოს სრულად დაწერილი ნაცვლად ბოლო-კვეცილის ფორმისა „უნდ“); და „ძწოლდე კავკასო“ (ანუ „ომი საქართველოს თავად-ზნაურ-გლეხთა“), რომლის მე-24-ე სტრიქონის პირველი ნახევარი რუსთაველური შაირია, მეორე ნახევარი კი ჩახრუხაული (= „ღირსნი თქვენთა | წი-ნაპართა“), დანარჩენი ტაეპები კი ამ ლექსისა ყველა რუსთაველურია.—როგორც ჩნა, გადაწერთი შეცდომა ყოფილა შეპარული ბარათ შვილის ლექსში „ლაქე ყაბახზე“ (მე-9-ე ტაეპში წერებულა: „აქ-იქ“, უნდა იყოს „აქა-იქ“) (შეადარეთ „ლაქე ყაბახის“ მეორე ვარიანტი, იქვე გვ. 14, მე-11-ე ტაეპი, სადაც სიტყვა „აქ-იქ“ სისწორითაა დაწერილი). ვგონებთ, ასეთისავე შეცდო-მის ნაყოფი უნდა იყოს ლექსში „ცისა ფერს“, მეშვიდე სტრიქონში: „ვფაცავ—არ ვეტრფო“, ნაცვლად ფორმისა: „ვფაცავ; არ ვეტრფო“.

უჯღებოდეს: ამ გარეგანს სიმწყობრეს მის ლექსში ხშირად მსხვერპლად ეწერება ენის გრამატიკული სისწორე და ბუნებრიობა, რაც მოასწავებს სალექსო მუხლებისა და მახვილის ბუნებრიობის დარღვევას. აი ეს არანორმალური მოვლენანი ჯგუფებად დაყოფილნი:

1. **მარცვლის მიმატება.** რომ მუხლი და ტაეპი შეავსოს, ავტორი ზოგჯერ იძულებული ხდება გრამატიკის წინააღმდეგ ზედმეტი ასო ჩაუერთოს (ეს ასოები შავად გვაქვს აწყობილი): „უბიწო¹ სიყვარული“, „გალიაში² დატყვევებული“—ნაცვლად სწორე ფორმებისა: „უბიწო სიყვარული“, „გალიაში დატყვევებული“. ამავე კატეგორიას ეკუთვნის უმარცვლოვნო „ღ“-ს გამარცვლოვნება (ე. ი. სრულხმოვან „ი“-დ გადაქცევა) სიტყვებში: „ჰოა“³, „ვაა“⁴ და ერთხელაც „მდელოა“⁵.

2. **მარცვალთა დაკლება.** პირიქით, როცა სიტყვის სწორე, გრამატიკული, ფორმა მუხლისა და ტაეპის ზომას აღემატება, მაშინ ავტორი ასეთს სიტყვებს ასოებს აკვეცავს: „მტანჯ ჩემო“ (ნაცვლად სწორე ფორმისა: „მტანჯ⁶ ჩემო“ ან უკეთ „მტანჯა⁷ ჩემო“), „მის მხვედრმა“

¹ ლექსი „ქეთევან“, სტრიქ. 12.

² პოემიდან „ბედი ქართლისა“ სტრ. 375. ასეთივე ზედმეტი ასო გვხვდება სიტყვაში: „ჩრდილშია“ (იხ. ლექსი „საყურე“, სტრ. 9).

³ იხ. „შემოღამება მთაწმიდაზედ“ 1 სტრიქონი; იმავე ლექსში სტრ. 34 და 37. ლექსი „ჩონგურს“ სტრ. 4; „ბედი ქართლისა“, სტრ. 138 და 395. ბარათაშვილის ლექსებში ეს სიტყვა თავისი ბუნებრივი ფონეტიკური სახითაც იხმარება („ჰოა“), თუმცა ახირებულად კი არის დაწერილი: „ჰი“ (უნდა კი იყოს „ჰოა“ ან ერთი ასო „ჰ“, რომელიც უდრის ამავე სამს ასოს = „ჰოა“); აი ეს შემთხვევანი: „საყურე“ სტრიქ. 13 („ჰი საყურეო“ = „ჰოა საყურეო“), პოემა „ბედი ქართლისა“ სტრ. 88: „მაგრამ, ჰი გმირნო“ = „მაგრამ ჰოა გმირნო“; შეად. სტრიქონი 198: „ჰი ღმერთო“ = „ჰოა ღმერთო“); „ჩემი ლოცვა“ სტრ. 5; „აღმოჰხდა მნათი“ სტრ. 17; „სულო ბოროტო“ სტრ. 17: „ჰი მ-ც-დურო“ = „ჰოა მ-ც-დურო“.

⁴ იხ. „სუმბული და მწირი“ სტრ. 35: „ვაა თუ მასაც“ = „ვაი თუ მასაც“; ხოლო ლექსში „სულო ბოროტო“ უკან სკენელს სტრიქონში (20): „ჰაა მას ვისაცა“ ეს სიტყვა სისწორითაა ნახმარი.

⁵ ლექსი „არ უკეთენო სატფოო“, სტრიქონი 16, სადაც წერია: „მდელოა“ რომელიც აქ უნდა გამოითქვას = „მდელოი“, რადგან ლექსი რუსთაველური შაირითაა დაწერილი და მთელი ეს სიტყვა ამ საზომის მეორე მუხლს (— —) შეადგენს.

⁶ „ბულბული ვარდზედ“ სტრ. 2.

(ნაცვლად სწორე ფორმისა: „მისმა მხვედრმა“) * „იდაყვ-დაყრდნობილ“ (ნაცვლად ფორმისა: „იდაყვ-დაყრდნობილი“)¹; „კეთილ მეფე“ (ნაცვლად ფორმისა: „კეთილი მეფე“²); „თვის სახელი“ (ნაცვლად ფორმისა: „თვისი სახელი“)³; „უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ“ (ნაცვლად ფორმისა: „უბედურებაც ბედნიერმაბდ აქვნდეთ“)⁴; „ყოველივ“ (ნაცვლად სრული ფორმისა: „ყოველივმ“)⁵; „გული ცხოველ“ (ნაცვლად ფორმისა: „გული ცხოველი“)⁶; „ზოგნი ტრფიალ“ (ნაცვლად სრული ფორმისა: „ზოგნი ტრფიალნი“)⁷; აქ ანგარიშში არ ჩაერთანთ იმ შემთხვევებს, როცა ავტორი ძველქართულის ნორმების თანახმად ჰხმარობს სიტყვებს ბოლოკვეცილი ფორმებით (ეგრეთწოდებულ რთულ შესმენილში)⁸; ანც პირდაპირ კლასიკურ ფორმებს ზმნებისას: „მასვ“ (ძველად იწერებოდა: „მასუ“)⁹ და „მარქვ“ (ძველად: „მარქუ“)¹⁰.

3. იტყვის აზრბუნებრივი დანაწილება მხლებში. არაიშვიათად ნაკლოზ ბართაშვილის ლექსებში სიტყვები არაბუნებრივად დაგლეჯილ-დანაწილებულია მესობელ მუხლებში. აი პირველშეხვედრილი ორიოდე მაგალითი (ასეთი სიტყვები შავი მსუქანი შრფტით გვაქვს აწყობილი):

ბულბული ვარდზედ მჯდარი¹¹.

ზვიროთები მოღუ-ღუნებენ,

* „ქეთევან“ სტრ. 34.

¹ „ფიქრნი მტკერის პირას“, სტრ. 7.

² „ფიქრნი მტკერის პირას“, ტაეპ. 22.

³ იქვე 26.

⁴ „ბედი ქართლისა“ სტრიქ. 237.

⁵ იქვე, სტრ. 239.

⁶ იქვე, სტრ. 402.

⁷ „ღამე ყაბახზედ“ სტრ. 12.

⁸ ასეთია ფორმები: „ცულ იყო“ („ბედი ქართლისა“, =სტრ. 124), „საცვარელ არს“, „საცვარელ იყო“ (იქვე, =331 და 347.) ამავე კატეგორიას ეკუთვნის ფორმაც: „მალხინებელ დაბინდულის სულისა“ (იხ. „ჩემს ვარსკვლავს“ სტრ. 12) და „ბედნიერ ვარ“ (ლექსში: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ სტრ. 1).

⁹ „ჩემი ლოცვა“, სტრ. 9.

¹⁰ „სუმბული და მწირი“ სტრ. 15.

¹¹ „ბულბული ვარდზედ“ სტრ. 1.

ქალები ბუჩქნა-|-რეობენ¹.

მაინც გეტრფი, | თუმცა ხშირა | და მკლავო².

4. **არაბუნებრივი მახვილი.** ბარათაშვილის ლექსში მახვილის ბუნებრივობაც არ არის ყოველთვის დაცული, სახელდობრ: მისი სალექსო მახვილი ყოველთვის არ უდრის ბუნებრივს საგრამატიკო მახვილს, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ორმარცვლოვან სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზე ზის, ხოლო სამ და მეტმარცვლოვანებში, აგრეთვე ეგრეთწოდებულ „სასინტაქსო ჯგუფებში“, ბოლოდან მესამე მარცვალზე³. აი რამოდენიმე მაგალითი ამ ბუნებრივი სამახვილო კანონის დარღვევა-სა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან:

მაგრამ მგოსანსა თურმე⁴.

თვალნი ემოქსა ცრემლით⁵.

ქეთევან ნაქები გულით⁶.

რომ ჩემებრ იგიც | იყრ მწუხარ | და სევდიანი⁷.

მაგრამ ჩვენი ნიჭიერი მგოსნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამახვილო კანონის და მუხლის ბუნებრივობის დასახელებული დარღვევა უფრო მის პირვანდელ ნაწერებში გვხვდება, შემდეგში კი პოეტმა ეს ნაკლი თანდათან აიცილა და თავისი ლექსი (მახვილისა და მუხლთა ბუნე რიობის მხრით) მუსიკალობის საკმაოდ მაღალ ხარისხზე აიყვანა. სინიშუშოდ საკმაოა დავასახელოთ ისეთი ლექსები, როგორნიც არიან: „ნაპოლეონ“ (დაწერალია 1838 წელს), „თვადის ქავჭავაძის ასულს ეკატერინას“ (დაწერილია 1839 წელს), „ჩემი ლოცვა“ (დაწერილია 1840 წელს), „არ უკიჟინო სატრფოო“ (1841 წ.), „გვპოვე ტაძარი“

1 „ქეთევან“ სტრქ. 1-2.

2 „ჩემი ვარსკვლავს“ 2.

3 იხ. ჩვენა ქა-თული წყობილსიტყვაობა“ თავი II, გვ. 10-15.

4 „ბულბული ვარდზედ“ სტრ. 9.

5 იქვე, 13.

6 ლექსი „ქეთევან“, სტრ. 31. ამ ტაეპში ორივე მუხლის მახვილი არა-ბუნებრივია.

7 „შემოდამება მთაწმიდაზედ“, სტრიქონი მე-12. ამ ტაეპის პირველი ორი მუხლის მახვილი არაბუნებრივია, მესამე მუხლისა კი ბუნებრივი.

(1841 წ.), „მერანი“ (1842 წ.) და „სულო ბოროტო“ (1843 წელს)*.

დავერჩა განსახილველი ნიკოლოზ ბარათაშვილის რითმა.

ქართული ლექსის ერთ საუკეთესო სამკაულს რითმა შეადგენს. მეტსაც ვიტყვით: თუ მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ ქართული ხალხური ლექსი მუდამ შერითმულია და ურითმოდ არასოდეს არა გვხვდება, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ რითმა ჩვენი ლექსის განუყრელს, თითქმის ორგანიულს კუთვნილებას წარმოადგენს. მართალია ჩვენს მწერლობაში უძველესი დროიდან ურითმო ლექსებიც გვხვდება¹ და კეთილშმოვანებით არც ერთი მათგანი ტანური სისტემის „თეთრ ლექსებს“ არ ჩამოუვარდება, — მაგრამ ქართველი კაცის ყური რითმიან ლექსს იმდენად შესჩვევია, რომ ურითმო ლექსი ლექსადაც არ მიაჩნია. და მართლაც რითმა ლექსის კეთილშმოვანების შექმნაში ერთს

* არის კიდევ ენის ბუნებრიობის ერთი მხარე, რომელსაც პოეტები ჩვეულებრივ არღვევენ ხოლმე, სახელდობრ სიტყვათა დაწყობის წესი წინადადებაში. ეს წესი ქართულ სადასიტყვაობაში ჩვეულებრივ ასეთია: „წინადადების უპირატესი ნაწილი, სახელდობრ **შესმენილი ჩვეულებრივ ბოლოში დაისმის**, ხოლო მასზე დაპოკიდებული დამატებანი, გარემოებითი სიტყვები და ქვემდებარე შესმენილის უახლოეს აუგის ლიოლკუური უპირატესობის მიხედვით იქერენ. რაც შეეხება წინადადების დ ნარჩენ ნაწილებს, იგინი იმ სიტყვების გვერდით (უფრო ხშირად წინ, იშვიათად უკან) დაისმინ, რომელთაც ეკუთვნიან და განმარტებენ (იხ. ჩვენი გამოკვლევა: „ქართული სადასიტყვაობა“. ტფილისი. 1915. გვ. 37—38) და, როგორც ჩანს, **პოეზიაში** ნიკოლოზ ბარათაშვილი საკმაო სისწორით ასრულებდა ამ წესს (იქვე, გვ. 9, სხოლიო მე 2-ე, სადაც ნაჩვენები გვაქვს ბარათაშვილის სამი წერილი: გრიგოლისადმი 1841 წლის თარიღით და მაიკოსადმი, 1842 და 1845 წლების თარიღებით); მაგრამ ამასავე ვერ ვიტყვით მისი პოეზიის შესახებ, და არც გასაკვირალია: პოეტს და ისიც ლირიკოს-პოეტს ვერ მოვსთხოვთ—წყობილსიტყვაობაში (ლექსში) არასაწყობილსიტყვაო (საპროზო) ნორმები უსათუოდ დაიცვას, თუმცა დიდად სასურველი კია—ენის ეს ბუნებრივი ნორმები, რამდენადაც კი შესაძლოა, პოეზიაშიც დაცულ იქნას. როგორც ვიცით, ხალხი და რუსთაველი თავისუფლად ახერხებენ ქართული ენის ამ თვისების დაცვას (იხ. იქვე მაგალითები, გვ. 15—19), რის მეოხებითაც მათი ლექსი საოცრად მსუბუქი და უმაღლესად მუსიკალურია. ბარათაშვილის ლექსს ეს სიმსუბუქე აკლია.

¹ ასეთია მაგალითად ძველი დროის „იამაიკოები“, გრ. ორბელიანის „მეშა ბოქლოძე“, ი. მაჩაბლის მიერ ნათარკმნი შექსპარის ტრაგედიები და სხვანი.

ახალ ფაქტორს წარმოადგენს: თუ ლექსში მუხლთა და ტაეპთა რიტმი-ული თანამიმდევრობის წყალობით ენის კეთილხმოვანება უმაღლეს ხარისხამდე აღის, — რითმის შემწეობით თვით ლექსის მუსიკალობა უმწვერვალესობამდე ახწვეს. რითმა ქართული ლექსის მუსიკალობის ერთი უძლიერეს ფაქტორთაგანი და უსაჭიროეს პირობათაგანია¹. ეს კარგად ჰქონიათ შეგნებული ჩვენს კლასიკოს მგოსნებს (შაფთველს, ჩახარუხაძეს, რუსთაველს) და განახლების პერიოდის უნიჭიერეს პოეტებს (გურამი შვილსა და ბესიკს), რომელთა უკვედავი ქმნილებანი ყველანი შერითმულნი არიან და იმავე დროს რითმიანი ლექსის საუკეთესო ნიმუშებსაც წარმოადგენენ.

ეს შეგნებული ჰქონია ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, რომლის 38 ლექსში არც ერთი არ არის ურითმოდ დატოვებული, თუმცა თითო-ოროლა სტრიქონი კი ზოგიერთ ლექსში ურითმოდაც გვხვდება.

მის 38 ნაწარმოებში სულ 1176 სტრიქონია: ამათში ურითმოდ დატოვებულია მხოლოდ 24 სტრიქონი², დანარჩენი 1152 სტრიქონი კი რითმიანია. მაშასადამე რითმათა რიცხვიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში 1152-ია; ამ რიცხვს უნდა მივუმატოთ ორი რითმა, რომელიც ერთი ლექსის „ჩონგურის“ ორი პირველი სტრიქონის შინაგან მუხლოებში გვხვდება, და მივიღებთ რითმათა საერთო რიცხვს, სახელდობრ 1154-ს. ამ რიცხვში „შინაგანი რითმა“ მხოლოდ 44-ია³, დანარჩენი 1110 „გარეგანი რითმა“.

¹ ქართული რითმის შესახებ საზოგადოდ იხ. „ქართული წყობილის ტყვაობა“ გვ. 28—36.

² აი ეს სტრიქონები: „ფიქრნი მტკვრის პირას“—2 (მე-17 ე და მე-26-მე); „ჩონგურს“—3 (მესამე, მეექვსე და მეცხრე); „ნაპოლეონ“—6 (ყოველი ხანის პირველი სტრიქონი); „ბედი ქართლისა“—2 (ერთი პირველ კარში სახელდობრ—52: „ოდეს მოყმენი ვით მამას შვილნი“ და ერთიც მეორე კარში მე-390: „რასა ვიპოვით ჩვენ სიცოცხლეში“); „მიყვარს თვალები“—2 (სტრ. 3 და 9); „შენნი დალალნი ყრილობენ გველად“—2 (მესამე და მეშვიდე ტაეპები); „ქნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“—1 (მესამე); „ცისა ფერს“ 6 (მესამე და მეოთხე, მეშვიდე და მერვე, მე-17-ე და მე-19-ე).

³ აი ეს რითმები: „თ. ჭ—ძის ასულს ეკ—ას“ 12 (ყოველი ტაეპის პირველი ორ-ორი სტრიქონი); „საყურე“—12 (აგრეთვე); „თ. ბარათაშვილის აზარფეშაზედ“—(პირველი ორი სტრიქონისა); „ფორტოპიანოზე მომღერალი“—16 (ს ლექსი დიდბეიკური საზომითაა დაწერილი, ე. ი. სამუხლიანია და ყოველი ტაეპის პირველი ორ-ორი მუხლი ერთმანეთთანაა შერითმული) შინაგან რითმებად უნდა ჩაითვალოს ამათ გარდა კიდევ „ჩონგურის“ პირველი ორი ტაეპის პირველი ორი მუხლის დაბოლოებანი: „მოთქმანი“ და „ოხვრანი“. ამ ლექსის დანარჩენ ტაეპებს შინაგანი რითმები აღარა აქვს. და ამგვარად ბარათაშვილის რითმათა საერთო რიცხვი იქნება 1152 და 2=1154.

გარეგანი რითმები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში შემდეგი კომბინაციებითა გვხვდება:

1. ზოგიერთ ხანაში ყველა სტრიქონი ერთისადიმავე რითმითაა შეწყობილი. რადგან ხანებში ჩვეულებრივ ოთხ-ოთხი სტრიქონია, ეს კომბინაცია სქემატიურად ასე შეიძლება გამოიხატოს: aaaa. ამ კომბინაციით არის შერითმული მთელი ლექსი „ვპოვე ტაძარი“, ლექსის „ბულბული ვარდზედ“ ყველა ხანა გარდა მეორისა და თითო ხანაც შემდეგი ლექსებისა: „ძრწოდე კავკასო“ 1-ელი ხანა გარდა მეორისა და თითო ხანაც შემდეგი ლექსებისა: „ძრწოდე კავკასო“ 1-ელი ხანა და „დამქროლა ქარმან“ 1-ლი ხანა.

2. ზოგჯერ ხანაში პირველი სტრიქონი ურითმოა, დანარჩენი სტრიქონები ერთსადიმავე რითმას ატარებს. ურითმო სტრიქონი რომ ნულით (0) აღვნიშნოთ, მივიღებთ ამ კომბინაციის შემდეგ სქემას: 0aaa. ამ კომბინაციით შეწყობილია ერთადერთი ლექსი: „ნაპოლეონ“.

3. ზოგჯერ ხანაში ურითმოდ მესამე სტრიქონია დატოვებული, დანარჩენებს კი ერთიდაიგივე რითმა აქვსთ: aaoa. ამ კომბინაციის რითმებს ატარებს მთელი ლექსი: „შენნი დალაღნი ყრილობენ გველად“ და 1-ელი და მე-3-ე ხანა ლექსისა: „მიყვარს თვალები“.

4. გვხვდება აგრეთვე ასეთი კომბინაცია: abba, ე. ი. შუა სტრიქონები ერთმანეთთანაა რითმით შეწყობილი და ნაპირა სტრიქონები — ერთმანეთთან. ასეთია მაგალითად რითმების კომბინაცია 1-ელ, მე-3-ე, მე-7-ე და მე-9-ე ხანებისა ლექსში: „შემოღამება მთაწმიდაზედ“ და ლექსის „როს ბეღნიერ ვარ“ ყოველი ხანის პირველ ოთხ ტაეპში.

5. შედარებით უფრო ხშირია ასეთი კომბინაცია: abab, ე. ი. კენტი სტრიქონები ერთმანეთთანაა შეწყობილი და ლუწები ერთმანეთთან. მთლად ამ კომბინაციით შერითმულია ორი ლექსი: „სატრფოვ მახსოვს“ და „ძია გ — სთან“; ამას გარდა ამ კომბინაციის რითმებს ატარებს მე-5-ე ხანა ლექსისა „შემოღამება მთაწმიდაზედ“, და პირველი ხანა პოემის მიმართვისა კახთა მიმართ, 1-ლი ხ. ნა „ჩემი ლოცვისა“, „ქეთევანის“ ყველა ხანა გარდა 1-ელისა და მე-8-ისა.

6. მაგრამ ბარათაშვილის საყვარელი კომბინაცია ასეთია: aabbc და სხვანი, ე. ი. ყოველი ორი მეზობელი სტრიქონი ერთმანეთთანაა შერითმული. ამგვარად არის შეწყობილი მთელი პოემა „ბედი ქართლისა“ და მისი მიმართვის ორი უკანასკნელი ხანა; აგრეთვე მთლად

შემდეგი ლექსები: „კმა იღუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ჩივილი“, „სული ობოლი“, „აღმოჰხდა მნათი“, „ჩემო მეგობართ“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „სუმბული და მწირი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სული ბორბოტო“, „შევიწრობ ცრემლსა, „ღამე ყაბახზედ“, „ჩინარი“ და „მადლი შენს გამჩენს“. ამ კომბინაციის ხანები გვხვდება შემდეგს ლექსებშიაც: „ბუღბული ვარღზედ“ (მე-2-ე ხანა), „ქეთევან“ (1 და 8 ხ.), „შემოლამება მთაწმიდაზედ“ (მე-2, 4, 6, 8, 10 ხ.), „ჩონგური“ (ყველი ხანის პირველი ორ-ორი ტაეპი), „ჩემი ლოცვა“ (ყველა ხანაში გარდა 1-ელისა), „მიყვარს თვალები“ (2 და 4 ხ.), „ძრწოდც კავკასო“ (1-ელს გარდა ყველა ხანა) და „დამქროლა ქარმან“ (მე-2-ე ხანა).

გვხვდება ბარათაშვილის ლექსებში ამავეარი შეერთებაც შინაგანისა და გარეგანის რითმებისა: პირველი ორი მუხლი ერთმანეთთანაა შერთმული, ხოლო მესამე მუხლი შეწყობილია მეორე ტაეპის მესამე მუხლთან. ასეა შერთმული მაგალითად ლექსი „ხმა საკრავისა“ (რასაკვირველია, როცა მას დავსწერთ მისი საზომის თანახმად ასე):

„ხმა საკრავისა | ნელნარნარისა | სულს განახარებს
და მშვენიერის | ენა ამიშლის | გულისა ქირებს“.

როგორც ვხედავთ, ამ კომბინაციაში გარეგანი რითმები ამავე (მე-6-ე) კომბინაციისა არის.

7. დასასრულ, რითმების კომბინაციათა შორის ყურადღებას იქცევს უუგარეგანესი რითმები, ე. ი. როცა წინა ხანის უკანასკნელი სტრიქონი რითმით უდრის შემდეგი ხანის უკანასკნელ სტრიქონს. ასე არის დაწერილი შემდეგი ლექსები: „თავ. ჭ—ძის ასულს ეკატერინას“, „საყურე“ და „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის ლექსი ლარიბი არ არის რითმით და არც რითმათა კომბინაციებით, თუმცა ამ უკანასკნელის მხრით იგი დიდად ჩამორჩება ბესარიონ გაბაშვილის ლექსს (შეადარეთ ამათი „ბესიკურები“). მაგრამ რითმაც არის და რითმაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში ჩვენ სამგვარი შედგენილობის რითმა გვხვდება: სამარცვლოვანი, ორმარცვლოვანი და ერთმარცვლოვანი.

აი პირველშეხვედრილი ნიმუში (რითმები შავი ასოებით გვაქვს აწყობილი):

1. **სამმარცვლოვანი:** „მორბის არავეი არა-გვიანი
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი“.
2. **ორმარცვლოვანი:** „და შეუბოვრად მოუთა-მაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს“.
3. **ერთმარცვლოვანი:** „როგორ იქნება არ განისვენ-ნოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღენი-ნოს“.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში სულ 1154 რითმაა. ამ რიცხვში სამმარცვლოვანი რითმი მხოლოდ 276-ია¹, დანარჩენნი ორმარცვლოვანი და ერთმარცვლოვანი რითმებია, სახელდობრ: ერთმარცვლოვანი არის 350², ხოლო ორმარცვლოვანი — 528³. როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის უფრო საყვარელი რითმა ორმარცვლოვანი ყოფილა. შემდეგი ადგილი უჭირავს ერთმარცვლოვან რითმას და უკანასკნელი სამმარცვლოვანს. ამ ციფრებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბარათაშვილის ლექსის მუსიკალობის აეკარვიანობის გამოსარკვევად.

როგორც თავის ალაგას შევნიშნეთ, ბარათაშვილის ყვილა ლექსი იმგვარის საზომითაა დაწერილი, რომ არცერთ მათგანში სამმარცვლოვანზე ნაკლები მუხლი არ მოიპოვება, რისგამოც ყოველი ტაეპის უკანასკნელი მუხლი იქ მუდამ დაქტილურ მახვილს ატარებს (ე. ი. ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვს ხმის ამაღლება). ამგვარს მუხლებში კი მუსიკალურად კეთილხმოვანი მხოლოდ სამმარცვლოვანი რითმა გამოდის, ორმარცვლოვანი რითმა უფრო ნაკლებ მუსიკალურია, ხოლო ერთმარცვლოვანი პირდაპირ ქართული რითმის კარიკატურას წარმოადგენს, განსაკუთრებით იპათთვის, ვისი სმენაც შეფთელისა, ჩახრუხაძისა, რუსთაველისა, გურამიშვილისა და ბესიკის ლექსის ღვათებრივს მუსიკას არის შეჩვეული*.

1 ამაში 102 რითმა პოემა „ბედი ქართლისა“ და მისი მიმართვისაა.

2 ამ რიცხვში მარტო პოემისა და მისი მიმართვისა 135 რითმაა.

3 აქედან მარტო პოემისა და მისი შესავლისა არის 194 რითმა.

* როგორც უკვე შევნიშნულია (იხ. ჩემი „ქართული წყობილისიტყვაობა“, გვ. 31), ორმარცვლოვანი რითმა მაშინ არის კეთილხმოვანი, როცა მუხლიც

მაგრამ ბარათაშვილის რითმებს სხვაგვარი ნაკლიც ახლავს. უმეტეს მათგანში ერთგვარობა მხოლოდ ხმოვან ბგერებსა და უკანასკნელი მარცვლის ერთს ან ორს თანამოვანშია დაცული, რითმის დანარჩენი ფონეტიკური შედგენილობა კი ფრიად აქრელებულია. აი მაგალითები:

1. **სამმარცვლოვანი რითმებიდან:** „სოფელი“ და „მოგელი,“¹ „ვჭფიქრობდი“ და „ვიტყოდი“²; „ანკარა“ და „კამარა“³; „უბედურება“ და „თავი-სუფლება“⁴; „შიშიანობა და „სახლობა“¹ და მრავალნი სხვანი.

2. **ორმარცვლოვანი რითმებიდან:** „შემოკრ-ბითა“ და „წყულულითა“²; „გასართ-ველად“ და „განსასვე-ნებლად“³; „მოლუთა-მაშებს“ და „ჭალებს“⁴; „ა-ტარა“ და „მოი-ხმარა“⁵ და სხვანი.

3. **ერთმარცვლოვანი რითმებიდან:** „ციოთ“ და „სია-მიოთ“⁶;

ორმარცვლოვანია, მაგრამ როგორც ვთქვით, ბარათაშვილის ლექსში ორმარცვლოვანი მუხლი არ მოიპოვება. აგრეთვე ერთმარცვლოვანი რითმაც კეთილხმოვანი მხოლოდ მაშინაა, როცა ქართული ლექსის ტაეპთა უკანასკნელი მუხლები ერთმარცვლოვანი არიან, მაგრამ ამგვარი მუხლების შემოტანა ჩვენს წყობილსიტყვაობაში სულ ახალი საქმეა (იგი კ. მაყაშვილს ეკუთვნის) და ბარათაშვილის დროს ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო. ამიტომ ვერც „ვაჟური“ (ერთმარცვლოვანი) და ვერც „ქალური“ (ორმარცვლოვანი) რითმა ბარათაშვილის ლექსის შესაფერისად ვერ ჩაითვლება: მისი შესაფერისი მხოლოდ „დაქტილური“ (სამმარცვლოვანი) რითმაა.—ბარათაშვილის ლექსებში აქა-იქ ხუთმარცვლოვანი და ოთხმარცვლოვანი რითმებიც გვხვდება, მაგრამ ამათ წის ლექსში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მისი საყვარელი მახვილი დაქტილურია და მახვილის წინ მდგომ მარცვლებს მუსიკალობის შექმნაში არავითარი ძალა არა აქვსთ. მნიშვნელობა იქ მხოლოდ მახვილიანსა და მის მომდევნო მარცვლებს ეძლევათ.

¹ „ქეთევან“ სტრიქ. 26 და 28.

² „შემოღამება მთაწმიდაზედ“ სტრიქ. 34—35.

³ „ფიქრნი მტკვრის პირას“ ტაეპ. 5—6.

⁴ „ბედი ქართლისა“ სტრ. 266—267.

¹ იქვე სტრ. 308—309.

² „ბულბული ვარდზედ“ სტრ. 15—16.

³ „ფიქრნი მტკვრის პირას“ სტრ. 1—2.

⁴ „ბედი ქართლისა“, კარი II, სტრ. 136—137.

⁵ „ჩემთ მეგობართ“ სტრიქ. 9—10.

⁶ „აღმოჰხდა მნათი“, სტრ. 13—14.

„სათქმე-ლად“ და „ლო-ცვად“¹ და სხვანი. საზოგადოდ კი, რაღა თქმა უნდა, ბარათაშვილს ერთმარცვლოვან რითმაში უფრო ხშირად აქვს დაცული ფონეტიკური ერთგვარობა, ვინემ ორმარცვლოვანსა და ტილოურში.

ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, ვითომც ბარათაშვილის ლექსებში სრულიად არ მოიპოვებოდეს იდეალურად სწორე რითმა. არა, მუსიკალური რითმები აქა-იქ ბარათაშვილის ლექსშიაც გვხვდება, მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირეა და იმავე დროს ეს რითმები იმდენს უხეირო რითმებთან არიან არეულნი, რომ მათს მუსიკალობას იქ არაპტოუ სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით მსმენელისა და მკითხველის ფსიქიკაში ერთგვარს კონტრასტის გრძობას იწვევს (დისონანსი) და, სიაჰოვნების ნაცვლად, უსიაჰოვნებას ჰგვირის.

მიუხედავად ამ ტენზიკურ-მუსიკალურის ნაკლისა, როგორც მკითხველს მოეხსენება, ბარათაშვილის ლექსი მაინც საყვარელია ქართველი კაცისათვის, მის ლექსს მაინც დიდი გატაცებით ვკითხულობთ და ვიზუბირებთ; რუსთველის შემდგომ ბარათაშვილი მაინც პირველ მგოსნად მიგვაჩნია. იკითხება: რაშია დამარხული ამ მოვლენის საიდუმლოება? სად უნდა ვეძებოთ ბარათაშვილის ლექსის მომსიბლაობის მთავარი მიზეზი?

ჩვენი თემის თვალსაზრისით ამ კითხვაზე ჩვენ მხოლოდ შემდეგი უარყოფითი პასუხის მიცემა შეგვიძლია:

— ეს მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ბარათაშვილის ლექსის გვართა სიმრავლესა და მრავალსახეობაში, არც მათს ორიგინალობაში (ბესიკსა და გურამიშვილს უფრო მეტი გვარისა და ორიგინალური საზომების ლექსი მოეპოვებათ), არც მისი ლექსის სიმსუბუქესა და ბუნებრიობაში (რომელსაც, როგორც ვნახეთ, ბარათაშვილის ლექსი ვერ დაიკვებნის), არც რითმის მუსიკალობაში (რომელიც ბარათაშვილს ფრიალსუსტი აქვს და შედგენილობითაც მისი რითმა ლექსის საზომს იშვილათად შეეფერება), ერთი სიტყვით, არა ბარათაშვილის ლექსის ფორმაში, — არამედ უეჭველია, მისი პოეზიის სხვა ღირსებებში; თუ სახელდობრ — რაში, ამისი გამორკვევა ჩვენი თემის ფარგლებს აღემატება და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; მხოლოდ შევნიშნავთ, რომ

¹ „ჩემი ლოცვა“, სტრ. 15—16.

ჩანს — ქეშმარიტად დიდი ყოფილა ეს ღირსებანი, თუკი ბარათაშვილის ლექსი, მიუხედავად მისი ტექნიკური დეფექტებისა, ასე ძლიერად იზიდავს, ესოდენ ძლიერად ჰზიბლავს მკითხველის გულსა და გონებას. და სალიტერატურო კრიტიკის მოვალეობას შეადგენს — ღრმად ჩასწვდეს ბარათაშვილის პოეზიის ამ უეჭველ ღირსებებს და მისი ძლიერების საიდუმლოება ყველასათვის გასაგები გახადოს*.

ს. გორგაძე.

ტფილისი. 1917, I, 10.

* ეს წერილი დამზადებული იყო საგანგებოდ ამ გამოცემისთვის, მაგრამ რადგან უკანასკნელი ძალიან დაგვიანდა და შეფერხდა, ამიტომ პირველად დაებეჭდეთ „პრომეთე“-ში (№ 2 1918 წ.), სადაც ბარათაშვილის ლექსების ხანები და ტაეპები ნაჩვენები გვქონდა 1895 წლის გამოცემის თანახმად (მე-V-ე გამოცემა). აქ კი ყველგან წინამდებარე გამოცემა ნაგულისხმევი; მხოლოდ ნიკ. ბარათაშვილის ნაწარმოებთაგან ჩვენ ანგარიშში არ მიგვიღია ლექსი „ელენეს და მაროს“, რომელიც ამ ახალ გამოცემაშია დაბეჭდილი (გვერდი 57). ამიტომ ჩვენს წერილში ბარათაშვილის ნაწარმოებთა საერთო რიცხვად ნაჩვენები არა ვმ (როგორც ამ ახალი გამოცემით გამოდის), არამედ 38.

VII. 6. ბარათაშვილის ლექსების

გ ა მ ც ე მ ა ნ ი.

1. ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან. თფილისი. ექვთიმე ხელაძის სტამბა. 1876. VIII+63 გვ.—წიგნში დაბეჭდილია 30 ლექსი და „ბედი ქართლისა“. არაა: „ძია გ...სთან“, „ღამე ყაბახზედ“, „ნ... ფორტოპ. მომღერალი“, „ომი საქართველოს თავად-აზნ.-გლებთა“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფირს“ და „ვლოცავ დღეს“. ლექსებს წინ მიუძღვის წინასიტყვაობა, სადაც გამომცემლები ამბობენ: „ეს ლექსთა-კრება ნიკოლოზ მედიტონისძის ბარათაშვილისა გადმოგბეჭდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელთნაწერთაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. გრიგოლ დიმ. ორბელიანს. ხოლო ოთხი, ბოლოს მოქცეული ლექსი („შევიშრობ ცრემლსა“, „დამქროლა ქარმან“, „ჩინარი“ და „მადლი შენს გამჩენს“) სხვა ხელნაწერებში ვიპოვეთ. მათ შორის „ჩინარი“ ზედმიწევნით ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია, დანაშთენს სამს ლექსზედ კი მაგას ვერ ვიტყვი, თუმცა ნ. ბარათაშვილის სიტყვის კილო და სიკბოვლე მართლ-გრძნობისა ზედ აჩნევია. სამწუხაროდ ჩვენდა უნდა ვსთქვათ, რომ ერთის დედნის გარდა, ვერსად ვერ ვიშოვნეთ სხვა ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ანუ სარწმუნოთა გვამთა გადმონაწერები, რომ შეგვედარებინა ერთმანეთთან და ესე შედარებით შეთანხმებული დაგვებეჭდა“. შემდეგ გამომცემლები აღნიშნავენ, რომ უნდოდათ დაებეჭდათ პოეტის ყველა თხზულება, მიწერ-მოწერა, აგრეთვე ბიოგრაფია, მაგრამ ვერ მოახერხეს.

2. ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან. შეორც გამოცემა. გამოცემული გრ. ჩარკვიანისაგან. თბილისი. 1879. აზბ. ემფიანჯიანცის სტამბა. 64. გვ. გადმოგბეჭდილია პირველი გამოცემითგან ლექსები და „ბედი ქართლისა“.

3. ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან და მისი ნაწერები. შესამე შევსებული გამოცემა. თბილისი. 1886. გრ. ჩარკვიანის სტამბა. VI+98 გვ. წინასიტყვაობაში (პ. უმიკაშვილს უნდა ეკუთვნოდეს) სხვათა შორის ნათქვამია: „ეს შესამე გამოცემა ჩვენის გამოჩენილის და უდროოდ გარდაცვლილის პოეტის ნ. ბარათაშვილის ლექსებისა. ამით შევასრულეთ სურვილი და წყურვილი საზოგადოებისა ბარათაშვილის თხზულებათადმი. ამ გამოცემაში დაემატა ლექსები და მიწერ-მოწერა პოეტისა, რომელნიც დღემდის თუმც იყვნენ დაბეჭდილნი ცალკე გაზეთში, მაგრამ მისს თხზულებათა კრებულში პირველათ შეუერთდებიან პოეტის სხვა ნაწარმოებებს“. — დაბეჭდილია ყველა ლექსი გარდა ორისა: „ომი საქართველოს თავად-აზნ. გლებთა“ და „ვლოცავ დღეს ჩემის“. ბოლოში დართულია „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალის“ სახელით ოთხი წერილი გრ. ორბელიანთან (1841 წ. მაისის 28, 1841 წ. ოქტ. 18, 1842 წ. მაისის 2 და 1843 წ. აგვისტოს 21) და ოთხიც მაიკო ორბელიანთან მიწერილი.

4. თავადის ნ. ბარათაშვილის ლექსები. მეოთხე შევსებული გამოცემა უ. ჭიჭინაძისაგან. ტფილისი. 1890. მ. დ. როტინოვის სტამბა. IV+66 გვ.—წიგნი შეიცავს 37 ლექსს და პოემას „ბედი ქართლისა“. თავში მოთავსებულია მოკლე ბიოგრაფია „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1816—1845“. ხოლო ბოლოში დაბეჭდილია „ქართული სალიტერატურო ისტორიის მას.ლ.ს“ სათაურით რვა წერილი პოეტის, იგივე რაც მესამე გამოცემაშია.

5. ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. გამოცემა მეხუთე. გამოცემა წ. კ. გამ. საზ. № 25. ტფილისი. სტამბა წიგნის გამომც. ქართვ. ამხანაგობისა. 1895. XVI+124+IV.—წიგნის თავში დაბეჭდილია „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მაგიერ“ და „ცნობები თ. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების შესახებ“, შემდეგ 37 ლექსი და „ბედი ქართლისა“ და 14 წერილი (არაა მხოლოდ ნაწყვეტი მე 15 წერილისა, რომელიც პირველად ჩვენს გამოცემაში იბეჭდება). ბოლოში დართული აქვს „უმთავრესნი განსხვავებანი ვალ გუნიას ვარიანტისა“.

6. ნ. ბარათაშვილი. ლექსები. მეექვსე გამოცემა. გამოცემა სპ. ქელიძისა № 3. ბათუმი. სტამბა ი. ბ. შინკინისა. 1904. გვ. 46+54.—თავში დაბეჭდილია გამომცემლის „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“, მერე 35 ლექსი და „ბედი ქართლისა“, აქლია ორი ლექსი „ბარათაშვილის აზარფეშაზედ“ და „ვლოცავ დღეს ჩემის“.

7. ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. გამოცემა მეშვიდე. წიგნის მალაზია „ცოდნის“ გამოცემა № 45. 1910. სტამბები ა. ს. კალანდაძისა და „გუტენბერგი“. გვ. 113+XVII.—წიგნში მოთავსებულია ყველა ლექსი, „ბედი ქართლისა“ და 14 წერილი. წინ დართული აქვს „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია“ დ. კარიჭაშვილისა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ი. ჭავჭავაძისა და „ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია“ ი. გომართელისა, ხოლო ბოლოში „შენიშვნები“ დ. კარიჭაშვილისა.

8. ნ. ბარათაშვილი. ლექსები. გამ. ამხ. „სოროპანი“-სა. წ. მეორე. ქ. ტფილისი. 1910. 77 გვ.—დაბეჭდილია 34 ლექსი და „ბედი ქართლისა“; აქლია „ბარათაშვილის აზარფეშაზედ“, „ცისა ფერს“ და „ვლოცავ დღეს ჩემის“. ბოლოში დართულია „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მაგიერ“.

ს. ფ.

შესწორება და შენიშვნა

წერილისთვის „ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი“.

ა. შესწორება. ლექსის (გვ. 138, ია) „თავადის ქ...ძის ასულს, ეკ...ნას“ განმარტებას უნდა დაემატოს: „ამ ეკ. ჭავჭავაძისას გრ. ორბელიანმა უძღვნა ლექსი „წინანდლის ვარდო“ და იგივე გრ. ორბელიანი 1882 წ. 23

აგვის ზოს — 2 სექტ. — ტასო ოგლობეიოსთან მიწერილ წიგნში ასე ახასიათებს ეკ. ქავჭავაძისას და ზოგიერთ სხვა ქალე^სს ნ. ბარათაშვილის დროისას:

„..... „ქენინა ეკატერინა მენგრელიისა გარდაიცვალა გორდსა 13 აგვისტოს. განვიდა ესეცა, წარსულის დროესა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული! ვინცა შეხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა. ესრეთნი იყუნენ: ანნა, მანანა, მათა, ჩუშნი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩუშნი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხუანიცა! აბა, ეხლა თუალი გადაავლე ჩუშნს საზავადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი? — ჩემო ტასო, ბნელდეა საქართველო“!...

ბ. შენიშვნა: რადგან სტამბაში არ მოიპოვებოდა უ (უ ბრჯგუ) აგრე წოდებული „კორპუსი“ სზომისა, ამიტომ იძულებული ვიყავით უბრალო უ გვეხმარა ნაცვლად უ-სა შემდეგ სიტყვებში: შუშნიერს (გვ. 136, სტრ. 13), შუშნებამ (იქვე, სტრ. 14), სახედუღლი (იქვე, სტრ. 15). განსუშნებას (გვ. 142, სტრ. 9), სიყუარულს (იქვე, სტრ. 11) საკუპრთხზედ (იქვე), წყუღიადი (იქვე, სტრ. 14), სიყუარულმა (იქვე, სტრ. 17), ყუაღილთ (იქვე, სტრ. 26), კუტთება (143, სტრ. 24 და 26), კულაგ (146, სტრ. 3), თქუშნგან, თქუშნის (იქვე, სტრ. 6), თქუშნი (იქვე სტრ. 9), თქუშნდა, თქუშნ, თქუშნთა (იქვე, სტრ. 11), ჩუშნთა (იქვე, სტრ. 12), მტკუარი (იქვე, სტრ. 24), თუარემ (გვ. 151, სტრ. 4), ამ სიტყვებში ყველგან უ უნდა იყოს.

VIII. ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის.



მკითხველმა უკვე უწყის (ცხოვრ. ნ. ბარათაშვილისა, გვ. XXV). რომ ჩვენი პოეტის პორტრეტი არ მოიპოვედა და იმ სურათს, რომელიც გავრცელებულია ჩვენს საზოგადოებაში (ნ. ბარათაშვილი ქართულ ტანსაცმელში), არაფერი საერთო არა აქვს ნ. ბარათაშვილთან. ხოლო ამ რამდენისამე წლის წინად განსვენებულმა გ. თუმანიშვილმა თავის მამის მიხეილის ქალაქებში აღმოაჩინა სქელ საწერ ქალაქის ნახევარ ფურცელზე ორი სურათი, კარანდაშით დახატული. ერთს უწერია ქვეშ რუსულად НВ. და მეორეს ЗП.—გ. თუმანიშვილი ფიქრობდა, რომ პირველი უნდა იყოს ნ. ბარათაშვილი და მეორე ლიტერატორი ზაქ. ფალავანდიშვილი (+1845 წ.). ამასთანავე ამბობდა: მამაჩემმა საკმაოდ კარგად იცოდა ხატვა და ნაპოვნ ესკიზში აღბად დატულია საერთო მოხაზულობა ნ. ბარათაშვილის სახისაო.

ჩვენ ვბეჭდავთ აქ მიხ. თუმანიშვილის ნახატს (რომლის დედანი დღეს ეკუთვნის პატივცემულს ანას. თუმანიშვილს—წერეთლისას), მაგრამ ცხადია, რომ საკითხი ნ. ბარათაშვილის პორტრეტისა დღესაც გამოურკვეველია და ამის გადაწყვეტა უნდა მივანდოთ მომავალს.

მასალები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისთვის.

1. კოეტიის დის ბარბალე მუხირეშვილის ნაამბობი.

(ვესაუბრე აწ განსჯენებულს ზოქტას დას მისი ვაჟის გიორგის და ნ. დ. ერისთავის თანადასწრებით 1915 წ. დეკემ. 6/19).

ნიკო ბარათაშვილის მამა მელიტონი, ეხლა რომ ეკზარხოსის მოედანია, იქ ცხოვრობდა, ორბელიანების ნამხითევ სახლში, არქელის სახლის ცოტა იქით. სახლი ერისთავთუღიანი იყო, ბანიანი როკორც ყველა სახლი მაშინ, რვა ოთახისაგან შესდგებოდა. უკან პატარა ეზო ჰქონდა, წინ პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა. ეს ადგილი ეხლა მანთაშვილისა და იქ სხვა სახლია აშენებული. მელიტონის სახლის გვერდით ცხოვრობდა ქეთევან ბატონიშვილი, დედა ალექსანდრე (პუპლა) ორბელიანისა. შემდეგ მელიტონი სამების ეკლესია რომაა, იქ ცხოვრობდა შიო მღვდლის სახლში.

მელიტონი ფიცხი, მაგრამ მეტად კეთილი კაცი იყო, საუცხოვო მოსაუბრე, მჭევრმეტყველი, კარვად იცოდა გარდა ქართულისა რუსული, სომხური და თათრული ენები და ხშირად თარჯიმანობდა ჟეჟის მოადგილესთან. ხელმწიფე რომ ჩამოვიდა ტფილისში, მელიტონს სთხოვეს თარჯიმანობა. მელიტონის სახლის კარი მუდამ ღია იყო, სტუმრობა უყვარდა, ბევრი ხალხი დადიოდა. მარშლის არჩენებსა და სხვა საზოგადოებრივ საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და მის სიტყვას დიდი გასაგალი ჰქონდა. მისი კანდიდატი იმარჯვებდა ყოველთვის.

მელიტონის ოჯახობა დაახლოვებული იყო უფრო ორბელიანებთან: მანანა ორბელიანთან, იოებ და გრიგოლ ორბელიანებთან; განსაკუთრებით კარგი დაპოკიდებულება ჰქონდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახობასთან, რომელიც ცხოვრობდა ჭავჭავაძისა და გოლოვინას ქ. კუთხეში, სადაც ეხლა არაფელოვის სახლია.

მელიტონის სახლში ხშირად შეიკრიბებოდა სამღვდლოება: ანჩისხატის დეკანოზი დიპიტრი ალექსი—მესხიშვილი, ძალიან განსწავლული კაცი, საუცხოვო მცოდნე ქართულის წერისა, მ. დავით კანდელაკი, მ. ეგნატე იოსელიანი, მამა პლატონისა, თვითონ პლატონი და სხ.

მელიტონი 18 წლისა იყო და ეფემია 15-ისა, ჯვარი რომ დაიწერეს. პირველი შვილი ნიკო იყო. სულ მელიტონს 14 შვილი ჰყავდა, 8 ქალი და 6 ვაჟი, მაგრამ გარდა ნიკოსა და ოთხის ქალისა სუყველანი პატარები დაიხოცნენ, სამ წლამდის. ქალები გათხოვილნი იყვნენ ეკატერინე-ერილთავეზე, პარბალე ვეზირიშვილზე, ნინო ბარათაშვილზე და სოფიო სუმბათაშვილზე.

მელიტონის ცოლი მეტად მოსიყვარულე ქალი იყო, ოჯახს მუდამ თავს დასტრიალებდა. ლამაზი იყო, მაღალი, ქერა, ქართულად ეცვა, გულპირ ამოქრილი კაბა. შვილებს თვითონ აწოვებდა ძუძუს. ოჯახში გამდელად ჰყავდათ მიაა (გორელი), რომელსაც ყველა დიდს პატივსა სცემდა...

ნიკო ძალიან მალხაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახის. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც მსუქანი; წაბლის ფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებული; წვერულვაშს იპარსავდა. იცავდა ევროპიულს სამოქალაქო ტანისამოსს. იმპერატორი ნიკოლოზ პირველი რომ ჩამოვიდა ქალაქში, ნიკოს ქულაჯა ეცვა, — ქულაჯა ყოლოსფერისა ბეწვ—მოვლებული, ახლოხი ციაგი მკრთალი, შალვარი შავი მაუდისა, წალა თეთრი ქართული, წვეტიანი. ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო!

სახლში წიგნი ბევრი ჰქონდათ. ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს. ჰქონდათ სხვა და სხვა საკრავები: დაირა, დაპლიპიტო, კიანური, თარი, სანთური. ნიკომ არ იცოდა დაკვრა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძლიერ უყვარდა. ასეთი მზიარული იყო, რომ ვერავინ შეატყობდა, მწერალიაო. ყოველ ღამეზე სათარას მოიყვანდა. მთელი ქვეყნის ჯასათხოვარი ქალების ამბავი დაწვრ ლებით იცოდა. უყვარდა ნათესავობა და მუდამ დღე მათში დადიოდა. ნიკოს ახლობელი ამხანაგები იყვნენ გრიგოლ, ილია, ზაქარია, ივანე, ალექსანდრე ორბელიანები. ხშირად დადიოდა აგრეთვე ნიკოსთან მიხეილ ბირთველისძე თუმანიშვილი ..

მელიტონი გარდაიცვალა ოსიაურში და იქვეა დასაფლავებული; ხოლო ეფემია ასაფლავია ქვაშვეთის ეკლესიაში და წარწერაც აქვს...

ს. ფ—ვა.

2. ბრ. ორბელიანის წერილი

ზაქარია ორბელიანთან.

25 июля რილით.

ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარიაე! შენი უკანასკნელი წერილი უთარლო მომივიდა ხუთს ამთვეს. შენმაგაზდამ ვერ მოვიცალე ხან სმოტრებისგამო და ხან პოხონდრიისაგან. მყვედრი მოუწერლობისათვის, არც ერთი შენი წერილი არ მომსვლია, რომლის პასუხი არ მომეწეროს. —ღთის მოწყალებით ვარ მშვიდობით—ჩუქნი პოლკი წავიდა ვილნოს ლაგირად, და მე აქ დავეთხოვე რამდენ-

სამე დღეს და ზვალ ვაპირებ წასვლას, იქ დავრჩებით ერთი თვე ესე იგი აგვისტო და სექტემბრის შ-ს წამოვალთ კვარტირებში, ამისთვის მომწერე ისევ ბირჟაში. ...ვმადლობ ღმერთსა, რომ მელიტონ მორჩა, რომლის იმედი არ მქონდა. შენის მოწერის მიხედვით.—ეგ სინდილიანი! რა დაემართა?—ჩემს საყვარელს დას ეფემიას თავის შეილებით დავჰკოცნი! ახა, ანგელოზო ჩემო! რათ დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღაო მახსენეს.—რასა იქს ტატიკო, კიდევ კოქლობს, თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казенномъ иждивеніи იმის გავზავნა რომელსამე უნივერსიტეტში.— Жаль, очень жаль будетъ если его умственныя способности останутся безъ развитія.—ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში.—ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონ ჰსთხოვს ბარონს.—*).....

3. მელიტონ ბარათაშვილის წერილი

დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილთან.

მაღალ ღირსო მამავო დეკანოზ დიმიტრი! უმდაბლესათ ქთხოვთ ახლათ გარდაცვალებულისა ჩემის შეილის ნიკოლოზის პანაშვიდი შეიდი წირვა თქხოვთ გარდუხადოთ შესრულების შემდგომად. ამის საწირავს მოგართმევთ. —რომელზედაც ხელს ვაწერ.—

მელიტონ ბარათოვი. (ბარათზე შემდეგ სხვა მეღნით მიწერილია:) ამ ბარათით სრულებით 30-ს ამ თვეს მიეცა საწირავი

1845-го года

შვიდი მანეთი.

ოქტომბრის 16-го дня.

4. მელიტონ ბარათაშვილის წერილი

დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილთან.

მაღალ ღირსო დეკანოზო

მამაო დიმიტრი

გთხოვ ინებოთ წლის შაბათის წირვის შესრულება ახლად გარდაცვალებულის ჩემის მეუღლის კნენინა ეფემიასათვის და როდესაც დამიბრუნებთ ამ ბარათს მაშინ მიიღებთ ფულს.

უმდაბლესი მოწაფე

თავადი მელიტონ ბარათოვი.

ჩემთ (1849) წელსა

თებერვლის იმ (18) დღესა.

*) ბარონი—ბარონ გრ. ვლად. როზენია, მთავარმართებელი 1831—37 წლებში.

5. ბრძანება ერთდროულად ახმარებისა

გარდაცვალებულის ნ. ბარათაშვილის ოჯახისთვის.

Указъ Его Императорскаго Величества Самодержца Всероссійскаго, изъ Грузино-Имеретинской Казенной Палаты Тифлисскому Уѣздному Казначейству. По указу Его Императорскаго Величества Казенная Палата по журналу въ 20 день сего декабря состоявшемуся Приказали: Во исполненіе предписанія Его Сіятельства Намѣстника Кавказскаго, на основаніи 277 ст. устава о пенсіяхъ тома 3, изданія 1842 года и предписанія Г. Министра финансовъ отъ 6-го марта 1841 года, предписатьъ Тифлисскому Уѣздному Казначейству, слѣдующіе семейству умершаго помощника Елисаветопольскаго уѣзднаго начальника Губернскаго Секретаря Кнзя Николая Баратова, отцу его Майору Мелитону Баратову, матери и тремъ сестрамъ въ единовременное пособіе годовое его жалованіе 750 р. а за вычетомъ 10⁰/₀ въ пользу увѣчныхъ 75 руб. остальные затѣмъ шесть сотъ семьдесятъ пять руб. сер. отпустить подѣ собственную ихъ росписку или того кому они довѣрятъ изъ общихъ доходовъ, на счетъ Главнаго Казначейства и записатьъ расходомъ по департаменту полиціи исполнительній Министерства Внутреннихъ дѣлъ.

21 декабря 1845 года.

6. ბრ. მრბელიანის წერილი

ნ. ბარათაშვილის დედასთან.

ჩემო საყვარელო დაო ეფემიავ! ამა წერილთანა გიგზავნი ხუთს თუმანსა, გთხოვ მიიღო და არ დამემდურო სიმცირისათვს. ღთი მოწყალეა, თუ რამ შებადება, არასა დავიშურებ შენთვის.—გაიმაგრე გული სასოებითა ღთისადმი, რომლისა ბრძანებასა ვერა ვინ გადუვალს, და რომელსაცა არა ჰნებავს მომატებული მწუხარება და სასოწარკვეთილება. ევედრე ღთსა და მან განჰკურნოს მწუხარება შენი.—
მელიტონს საყვარულით მოვიკითხავ; ეს რა არის, რომ ერთხელ არ მოიწერებით წიგნა? შენი შვილები დამიკოცნე....

მშვიდობით ჩემო საყვარელო დაო, ნუ დამივიწყებ მარადის შენს პატივისმცემელს და ერთგულს ძმას

გრიგოლ მრბელიანს.

8-ს მარტსა 1847.

ჯუნგუთით.

7. დიმიტრი ყიფიანის ცოლის ნათქვამი.

ძვირფასო სამსონ!

გიგზავნი ზოგიერთ რამ ცნობას ტატო ბარათაშვილზე, დედი-ჩემისაგან ვაგონილს.

დედა ჩემი იყო იაგორ გაბრიელის ძე ქილაშვილის ასული. რუსთა პირველი მთავრობის დროს ეს ქილაშვილი იყო „Прокуроромъ Грузинскаго Правительства“.

რადგანაც დედა ჩემი მოჩეტებულად რუსულად გველაპარაკებოდა ხოლმე, მეც იმის სიტყვებს აქ რუსულადვე განვიხიორებ.

„Нико, называли его Тато, был большой друг моего Димитрия и все время пропадали у нас с утра и до поздней ночи, и обедали у нас и ужинали, только не ночевали. Он был низенького роста, чистое лицо и маленькие черные усики. Волосы на голове всегда стригь подь гребенку. Не любил длинныхъ волосъ. Говорилъ скороговоркой и былъ очень живой. Былъ не разговорчивъ, всегда нахмуренный. Онъ готовъ былъ молчать цѣлый день, если бы съ нимъ не заговаривали“.

პოეტის და სოფიო, როგორც დედა ჩემი ამბობდა, ძალიან ჰგავდა თავის ძმას ნიკოს, ისე რომ, სოფიოს უღვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზედ, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის თუ ნიკო ბარათაშვილიო.

„Вотъ уговорите кн. Софію сняться въ фотографіи, гვეტყოლა ხოლმე ჩემი დედა, придѣлайте ей усики и надѣньте ей сюртукъ и будетъ у васъ портретъ поэта“.

ბარათაშვილი ყოველთვის სერთუქში იყო ხოლმე გამოწყობილი, ქართულ ტანისამოსს არა ხმარობდა. ეს გარემოებაც დედი ჩემისაგან გამიგონია. მე თვითონ ბარათაშვილი არ მახსოვს და იმის დებსკი ყველას კარგად ვიცნობდი და ძალიან მიკვირდა, რომ ამ დებმა არც ერთი ლექსი თავიანთი ძმისა არ იცოდნენ და როდესაც იმათთან ჩვენ ვაჭებდით და ვადიდებდით ჩვენს პოეტს, ისინი როგორღაც უნდობლად იღიმებოდნენ ხოლმე.

კოტე ყიფიანი.

ბოლო სიტყვა ბა.

ამ ჩვენს გამოცემას ცოტა რთული და გრძელი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ამ 10—12 წლის წინად ნ. ბარათაშვილის ლეიძლმა დისწულმა, განსვენებულმა ნიკოლ. რევაზ. ერისთავმა განიზრახა პოეტის ნაწერების აკადემიური ხასიათის გამოცემა. მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო ამის განხორციელება.

მის სიკვდილს შემდეგ საქმეს მოკიდა ხელი მისმა მეუღლემ ქ. ეკატერინე მიხეილის ასულმა და ღიძის ხალისით და იშვიათის ენერგიით შეუდგა თავის ქმრის ნაანდერძევი აზრის შესრულებას. 1915 წლის გაზაფხულზე შეადგინა საგანგებო კომისია ქართველ მწერლები-საგან, გადასცა განსაზღვრული თანხა და სთხოვა გამოცემის მოწყობა.

თვითონ ინიციატორის თავმჯდომარეობით კომისიას რამდენიმე სხდომა ჰქონდა გამოცემის ხასიათის გამოსარკვევად და გეგმის შესამუშავებლად. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კ. აბაშიძემ, ი. გედევანიშვილმა, ი. გრიშაშვილმა, ნ. ერისთავმა, გ. ვეზირიშვილმა (პოეტის დისწულმა), გ. თუმანიშვილმა, გ. ლასხიშვილმა, გ. ჟურულმა, გრ. რობაქიძემ, ს. ფირცხალავამ, დ. შივარდნაძემ და ი. ჯავახიშვილმა. ზოგი სისტემატიურად ესწრებოდა სხდომებს, ზოგი დაესწრო ერთ-ორს.

კომისიამ ასეთი გეგმა შეიმუშავა: ა) პოეტის ნაწერების ტექსტი უნდა აღდგენილიყო დედნების მიხედვით და მკაცრად დაცული ნ. ბარათაშვილის მართლწერა; ბ) რადგან ნ. ბარათაშვილის ლექსების და პოემის მხატვრული დასურათება ამ ჟამად მეტის მეტს სიძნელეს წარმოადგენს და თითქმის შეუძლებელია, ამიტომ გადაწყვიტა, რომ წიგნში მოთავსდეს მხოლოდ სურათები იმ ადგილებისა და პირებისა, რომლებიც მოხსენებულა პოეტის თხზულებაში და რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან; გ) გარდა ვრცელი ბიოგრაფიისა უნდა დაიწეროს რამდენიმე წერილი ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ და თითოეულს ლექსს დართული ექნეს მოზრდილი ისტორიულ-ლიტერატურული განმარტება; დ) კლიშეები დამზადდეს უცხოეთში და სურათები დაიბეჭდოს იქვე; ე) ქალაქი იყოს საუკეთესო და ნაწილი უმაღლესი ხარისხისა, ვ) შრიფტი დამზადდეს, რამდენად შესაძლებელია, ისეთი, როგორსაც ხმარობდნენ ნ. ბარათაშვილის დროს.

კომისიამ გაინაწილა შრომა, შეუდგა საქირო სურათების შეგროვებას და წერილების დაწერა შეუკვეთა სხვა და სხვა პირებს. თვითონ

წიგნის ბეჭდვას არ ვჩქარობდით, რადგან მაშინ მსოფლიო ომი იყო და ყველაფერი გაძვირდა. ეუცდიდით ომის დასრულებას. სამწუხაროდ ომი გაგრძელდა, მას მოჰყვა რუსეთის და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გართულება, კომისიის წევრები საქმეს ჩამოშორდნენ ნებისთნე უნებლიეთ და მთელი მუშაობა თავს დაგვაწვა ორს წევრს — ეკატ. მიხ. ერისთავისას და ამ შენიშენის ავტორს. გვეხმარებოდა პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელიც დიდის ინტერესით მოეპყრა გამოცემის საქმეს.

დადგა 1920 წელი. რაკი ვხედავდით, რომ ცხოვრების ნორმალურ პირობების აღდგენა არ იყო მოსალოდნელი ახლო მომავალში, გადავსწყვიტეთ დაუყოვნებლივ შევსდგომოდით ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემას იმ ნამუშევარის და მასალის მიხედვით, რაც ხელთ გვქონდა. შეუთანხმდით გამომცემელს ა. არაბიძეს და შემოდგომაზე დავიწყეთ წიგნის ბეჭდვა. 1921 წ. თებერვლის დამდგვისთვის უკვე დაბეჭდილი გვქონდა ნახევარზე მეტი, მაგრამ მოგვისწრო თებერვალ — მარტის ოქმა, საქმე შეჩერდა, ქაღალდი დაგვეკარგა, ზოგი დაბეჭდილი ფორმაც გაფუჭდა და რაკი კერძო გამომცემლობა მისპო, ჩვენი წიგნის დამთავრება გადავეციით მთავარ სახელოვნო კომიტეტის სალიტერატურო სექციას.

გამოცემის დეფექტებისათვის პასუხის მკებლობა უნდა დამეკისროს მე, რომელსაც მეკუთვნის საერთო რედაქცია და ტექსტის შესწორება ავტორგრაფების მიხედვით, უეჭველია, წიგნს ბევრი ნაკლი აქვს, შეცდომები შეგვეპარა, წიგნის გარეგნული სახეც ვერ არის შესაფერისი, ვერ მოვათავსეთ ზოგიერთი უკვე დამზადებული წერილი სათანადო ქაღალდის უქონლობისა გამო. მაგრამ ვფიქრობთ, იმ სახითაც, როგორც ეს დღეს მოვანერხეთ, ჩვენი გამოცემა ახალს მასალებს მისცემს ქართველ საზოგადოებას ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესასწავლად.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ გვეღირსება გამოცემის განმეორება და მაშინ შევსძლებთ საფესებით განვახორციელოთ ის გეგმა, რომელიც ჰქონდა პატივცემულ ეკატერინე ერისთავისას და მთელს კომისიას.

დასასრულ არ შეგვიძლია გულითადი მადლობა არ მიუძღვნათ წიგნში მოთავსებულ წერილების ავტორებს, რომელთაც სიყვარულით თავს იღვეს დახმარება გაეწიათ გამოცემისთვის, აგრეთვე წ. კ. საზოგადოების, ს. და ს. საზოგადოების და ქალაქის მუზეუმთა გამგეებს და იმ კერძო პირებს, რომელთაც მოგვაწოდეს საჭირო მასალები.

სამ. ფირცხალავა.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

ცხოვრება ნ. ბარათაშვილისა, ი. მეუნარგიასი V.

ლექსები.

1834.

1. ბულბული ვარდზედ. 3

1835.

2. ქეთევან 4

1836.

3. შემოღამება მთაწმიდაზედ. 6

4. კმა იდუმალი 10

5. ძია გ...სთან. 11

6. ღამე ყაბახზედ 12

7. ღამე ყაბახზედ (მეორე ვარ.) 14

1837.

8. ფიქრნი მტკვრის პირას 16

9. ჩონგურს, 18

10. ჩემს ვარსკვლავს 19

1838.

11. ნაპოლეონ 21

1839.

12. თავადის კ...ძის ასულს ეკ...ნას 22

13. საყურე 23

14. ჩხვილი 24

15. სულთ ობოლი. 25

1840.

16. საჭრფოვ, მახსოვს 26

17. ჩემი ლოცვა, 27

IV

18. აღმოჩნდა მნათი	29
1841.	
19. ჩემთ მეგობართ.	30
20. ჩემს მეგობარს	31
21. არ უკიჟინო სატრფოო	32
22. ვჰვოვ ტაძარი	33
1842.	
23. მიყვარს თვალები.	34
24. სუმბული და მწირი.	35
25. შენნი დალაღნი	38
26. რად ჰყვედრი კაცსა.	39
27. მირბის, მიმაფრენს	40
28. საფლავი მეფის ირაკლისა.	44
29. კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ	46
1843.	
30. სულო ბოროტო	47
31. შევიშრობ ცრემლსა (წელი?)	48
1844.	
32. ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა	49
33. ჩინარი	51
1845.	
34. მაღლი შენს გამჩენს.	52
?	
35. ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი	53
36. დაქვროლა ქარმან.	54
37. როს ბედნიერ ვარ	55
38. ცისა ფერს	56
39. ელოცავ დღეს ჩემის	57
40. ელენეს და მაროს.	57

შ ო ე მ ა.

1839.

1. ბედი ქართლისა	63
----------------------------	----

წ ე რ ი ლ ე ბ ი .

1837.

1. გრ. ორბელიანს 89

1838.

2. მიხ. თუმანიშვილს 91

1841.

3. გრ. ორბელიანს 93

4. მასვე 94

1842.

5. გრ. ორბელიანს 96

6. მაიკო ორბელიანს 100

1843.

7. გრ. ორბელიანს 103

1844.

8. ზაქ. ორბელიანს 106

9. მასვე 109

10. გრ. ორბელიანს 111

11. ზ. ორბელიანს 112

1845.

12. მაიკო ორბელიანს 116

13. მასვე 120

14. მასვე 122

?

15. გრ. ორბელიანს 123

ნაწერის კრიტ. ბიბლ. განხილვა.

1. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები, ექ. თაყაიშვილისა 127

2. ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი, ს. ფირცხალავასი . 132

3. ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი, გ. ჯავახიშვილისა 165

4. ნ. ბარათაშვილი, გ. ქიქოძისა 181

5. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება, დ. უზნაძისა . 192

6. ნიკ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა, ს. გორგაძის 220

7. ნ. ბარათაშვილის ლექსთა გამოცემანი 237

VI

8. ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის 240
დამატება: მასალები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისთვის. . . 241
პოლოსიტყვაობა.
სარჩევი.
-



ს.ხმ. ფინანსების რედაქცია.
სახელმწიფო სტამბა.

